

# ხატაური

მოძრაობა „სრულყოფილი ადამიანი - სრულყოფილი საზოგადოება“



1(2) 2001

## შინაარსი


3 დიდება მართლისაჲ

*მარხვა, ყვავილი ყოვლისა კეთილისა ნაყოფისა ანუ გზა აღდგომისაკენ*

5 პოეზია

*მანანა ჩიტიშვილი*

7 პროზა

*შოთა არაბული*

13 პოეზია

*ტარიელ ხარხელაური*

15 ხალხური პოეზია

უცნობი ავტორები

17 სიკვდილი არ არის საშიში...

18 თარგმანები

20 ერთ-არსებისა ერთისა

*ვიქტორ ნოზაძე*

25 ბუმბერაზი ადამიანი

ფრაგმენტი წიგნიდან „გორა მბორგალი“

32 „დუენდე“

*გარსია ლორკა*

39 მზის ჰიმნი „შამარერა“, როგორც ქართული ლექსის არქეტიპი

*ვიზო ჭელიძე*

43 ყოველ სიკვდილში გოჯითა და მადლით ვივსები

*ერეკლე საღლიანი*

44 სოციოლოგია

XXI საუკუნის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია

53 ხელოვნებაა თავად უკვდავება

*ნათია ხოშტარია*

56 ქართული ასომთავრული და ბემბოს ფირის საიდუმლოება!..

*თამაზ თავაძე*



ჟურნალის დამფუძნებელი: მოძრაობა „სრულყოფილი ადამიანი – სრულყოფილი საზოგადოება“

მთავარი რედაქტორი:

ერეკლე საღლიანი

რედაქტორი:

თამაზ თავაძე

ტექნიკური დირექტორი:

ვახტანგ რატიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

გიორგი ძულიაშვილი

კორექტურა:

ეკა ბაკურაძე

## დიდება მართლისაი

# მარხვა, ჩვენი ცოდვის ბნელის ნაყოფისა ანუ გზა აღდგომისაკენ

*«მიუახლოვდნენ მოწაფეები იესოს და უთხრეს: «ჩვენ რატომ ვერ შევძელით მისი განდევნა?.. ხოლო მან უთხრა მათ: თქვენი მცირე რწმენის გამო... ეს მოდგმა კი მხოლოდ დაცვითა და მარხვით განიდევნება».*

მათე 18,19-21.

მიზანი ჩვენი სულიერი ცხოვრების და ობიექტი ჩვენი რელიგიური მიზანსწრაფვისა არის ღმერთში ჩვენი და ღმერთის ჩვენში მოქცევა-დაბრუნება, ანუ ჩვენი დაცემული - მომკვდარი ბუნების აღდგომა-განახლება, ამიტომაც ნებისმიერი რელიგიური მოვლენა თუ საკრალური აქტი აუცილებლად უნდა განიხილებოდეს სწორედ ამ უმთავრეს მიზანთან მჭიდრო კავშირში.

ჩვენ გვიახლოვდება უდიდესი ქრისტიანული ღდესასწაული, დღე კოსმიური მნიშვნელობისა, ბრწყინვალე აღდგომა უფლისა და მაცხოვრის ჩვენისა იესო ქრისტესი. ეს არის მეუფე დღესასწაულთა, რამეთუ ნებისმიერ დღესასწაულში განიჭვრიტება აღდგომა, ხოლო თვით აღდგომაში კი დღესასწაულობს ყოველი დღესასწაული. დიდი და განუზომელია მნიშვნელობა ამ დღისა, რომლის ბრწყინვალებამაც მთლიანად შესცვალა სამყაროს იერსახე, იძლია სიკვდილი და ჯოჯოხეთი, და განიხვნა სამოთხის ბჭენი.



ეს არის ჩვენი რწმენა და რწმენით დანახული სინამდვილე, რომელმაც თითოეული ადამიანის სულში უნდა იჰეიმოს, თითოეულმა ამ რწმენაში უნდა იპოვოს შვება და სიხარული. ეს არის დღესასწაული, სადაც ყველა ჩვენთაგანს გვიხმობენ, მოგვიწოდებენ, თუმც მცირედნი წვეულთაგან მორჩილებენ ამ მოწოდებას.

წუთისოფელი, რამდენადაც ღმერთს მოკლებული რეალობაა, იმდენად საუფლოა სიკვდილისა, ხრწნადობისა და ტანჯვა-ვაებისა, ეს არის სივრცე, სადაც სიცრუე და ბოროტება - ეს უარსებო არსებობა ბრძანებლობს. წუთისოფელი, რომელიც ოდენ გეოგრაფიული სივრცე როდია, არამედ უმეტესად და უპირველესად ცნობიერების ხარისხია, მდაბალი და დაბნელებული ცნობიერებისა, რომელიც ღმერთს - არსებათა არსებას ვერ ცნობს, ვერ ცნობს საკუთარ თავს, ვერ ცნობს სამყაროს. ეს არის პარალიზებული არსებობა, სიხარულიდან დაშრეტილი უსიცოცხლო სიცოცხლე, რომელსაც სულიერ, მისტიურ ენაზე სიკვდილი ჰქვია და წინმსწრებაა, როგორც მოვლენა ბიოლოგიური სიკვდილისა. ამგვარი ყოფის დასაბამზე მოგვითხრობს წიგნთა წიგნი ჩვენი ცხოვრების - ბიბლია, რომელიც ამ უდიდეს უბედურებას პირველ კაცთა მიერ მარხვის უგულებელყოფით ხსნის:

*«გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი, უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გეჭმება ამ ბაღში, მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ მოკვდებიო».* დაბ. 2, 16-17.

ეს იყო პირველი მცნება, პირველი მარხვა, პირველი გამოვლინება თავისუფალი ნებისა სიკვდილსა და სიცოცხლეს, სიცრუესა და ჭეშმარიტებას, მაცხოვარსა და მაცდურს შორის. მაშინ ჩვენ ვეურჩეთ უფლის სიტყვას, გავტეხეთ მარხვა, განვუდექით ღმერთს და ავირჩიეთ სიკვდილი სიცოცხლის ნაცვლად, გავცვალეთ ჭეშმარიტება სიცრუეზე და თავისუფლება მონობაზე. ღმერთის პატივი და თაყვანისცემა სიცრუის მოძღვარს და მამას - გველს დასაბამისას, სატანას ვარგუნეთ. ასე შემოვიდა სიკვდილის სული სოფლად და წუთისოფლად გადააქცია იგი. ცოდვის რჯულმა შერყვნა ღვთივქმნილი, უზადო ბუნება კაცისა და გახადა ბუნებრიობა არაბუნებრივი, დაცემული და მადლს მოკლებული. ეს გლობალური მასშტაბის ტრაგედიაა, რომელსაც გაცნობიერება სჭირდება, როგორც მაცხოვარი ბრძანებს: *«შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგანთავისუფლებთ თქვენ».* იოანე 8,32.

ცოდვამ, რაც ზემოთ აღნიშნულ დარღვევაში გამოვლინდა, დაამდაბლა ადამიანის შემეცნებითი უნარი, დაანაწევრა ურთიერთდაპირისპირებით სულისა და სხეულის მთლიანობა და სასიცოცხლო ძალები. აქედან გამომდინარე, ცოდვაში მყოფი ვერ გრძნობს თავის მძიმე მდგომარეობას და მითუმეტეს, ვერ აცნობიერებს მას. ეს არის დაცემული არსებობა, რასაც რელიგიურ ენაზე სიკვდილი ჰქვია. ამ მძიმე მდგომარეობის გრძნობებში ასახვის და გაცნობიერების დასაწყისი არის მოქცევის, მობრუნების წერტილი, რომელიც გამოიხატება რელიგიური ცნებით - სინანული, ბერძნულად «მეტანოია», რაც მოქცევას, მეტამორფოზას, ფერისცვალებას გონებისას გულისხმობს. ეს არის უდიდესი სულიერი აქტი უკვდავებისაკენ მიმართული, რადგანაც სინანულშია ჩვენი ხსნა, რომელიც მიგვაახლებს საუკუნო სიხარულს - ჩვენი ზეციური მამის სასუფეველს, სავანეს მოუკლებელი სიხარულისას. წმინდა ეკლესიამ ამიტომაც დააწესა დიდმარხვის ორმოცდღიანი პერიოდი, როგორც სულიერი სივრცე სინანულისა, რომელზეც აღმასვლით უნდა მოხდეს ჩვენი არსების რეანიმაცია - რეაბილიტაცია, რათა შინაგანად განწმენდილები აღვიდეთ წმინდა აღდგომის მთაზე, გამოუთქმელი სიხარულის მწვერვალზე. ეს არის საკრალური აქტი, რომელშიც ვსუსტდებით, რომ გავძლიერდეთ, ვგლოვობთ, რომ გვიხაროდეს და ვკვდებით, რომ აღვდგეთ. უფლის სიტყვისამებრ - *«ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: იტირებთ და ივალალებთ, წუთისოფელი კი გაიხარებს... თქვენ დამწუხრდებით, მაგრამ თქვენი მწუხარება სიხარულად იქცევა...»* იოანე 17, 20. ამავდროულად ეს არის მიბაძვა მაცხოვრის წმინდა მარხვისა, როგორც გამარ

ჯვება პირველცოდვაზე და დღესასწაული მეორედ შობის მისტერიისა.

ახლა უფრო კონკრეტულად მარხვის შესახებ, რაც ძველ ქართულ ლექსიკაში სიტყვა-სიტყვით ნიშნავს შენახვას, დაცვას. ეს რელიგიური მოვლენა გარკვეული პრინციპების ერთგულებას გულისხმობს. ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, მარხვა, როგორც საკრამენტი, კაცობრიობის ხნისაა და ჯერ კიდევ სამოთხიდან იღებს დასაბამს, ამიტომაც მეტად გვმართებს შესაძლებლობისამებრ ღრმად გავაცნობიეროთ მისი მნიშვნელობა. მისტიურ-საკრალურ მეტყველებაში, მარხვა ნიშნავს - არ შეჭამო სიკვდილი, უფრო ზუსტად - ყველაფერი შეჭამე მის გარდა, და კიდევ უფრო ზუსტად ნიშნავს - გიყვარდეს ღმერთი, გიყვარდეს ყოველივე მასში და იგი ყოველივეში. ეს არის საუკუნო სიცოცხლე, მოუკლებელი სიხარული, *«ესაა საუკუნო სიცოცხლე, რომ გიცნობდნენ შენ, ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს და მას, ვინც მოავლინე - იესო ქრისტეს».* იოანე 17, 3. სწორედ ამ წესრიგის დაცვას გულისხმობდა მარხვა დასაბამისა. მის თავდაპირველ, დასაბამიერ არსს და დღევანდელ მნიშვნელობას შორის განსხვავება არსებობს იმდენად, რამდენადაც განსხვავებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. წუთისოფელი ცოდვის სამკვიდროა, სადაც ყველაფერი გაუწმიდურებულია ცოდვით, ატომისა და უჯრედის დონეზე. ამიტომაც, ჩვენთვის - ცოდვის საუფლოში მყოფთათვის, მარხვა ნიშნავს - სხეულებრიობაზე, რომელიც თავის თავში ატარებს ბოროტ გამოცდილებას, უცხო ინფორმაციას, ცოდვის რჯულს, მოვიპოვოთ უპირატესობა. *«სული მხნეა, ხორცი კი - უძლური»* - ბრძანებს მაცხოვარი. მათე 26, 41. მოვაუძლუროთ ხორცი, ქვენა გრძნობების და ინსტინქტების საუფლო, სულიერ-ცნობიერი საწყისის მძლავრობით, რომ აზნაურობდეს სული ხორცზე, ნება ბუნებაზე და ასე შევქმნათ ახალი წესრიგი სულიერების პრიმატით.

მარხვა ხასიათის მიხედვით, უნდა განვასხვაოთ ორი სახისა - ლიტურგიული და ასკეტური მნიშვნელობის. ლიტურგიული არსი - დღესასწაულის მოლოდინის მზადყოფნისათვის მობილიზებაში გამოიხატება. ასკეტური მარხვა კი, - პიროვნებაში ხასიათის წვრთნას და აღზრდას, ცოდვილი ბუნების გამოვლინების დათრგუნვას გულისხმობს. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ორივე სახის მარხვა ავსებს და სრულყოფს ერთმანეთს. ასკეტური მხარე გამოიხატება საკვების რაოდენობის და სახეობის შეზღუდვაში, სხვა ფიზიოლოგიური პროცესების მიზანმიმართულ რეგულირებაში. უნდა აღინიშნოს, რომ მარხვა ცნობილია ყველა რელიგიური ცნობიერებისათვის, როგორც განწმენდის საშუალება და მეტიც, ცხოველებსაც კი გააჩნიათ ინსტინქტი მარხვისა, რაც ვლინდება მწუხარების, ავადმყოფობის დროს საკვებისაგან თავის შეკავებაში.

აღსანიშნავია ასევე, რომ უცოდველი კაცობრიობისთვის საზრდოდ მცენარეული პროდუქტები იყო განკუთვნილი, არა მხოლოდ ადამიანებისთვის, არამედ ყოველი ზოოლოგიური არსებისთვის. *«თქვა ღმერთმა: აჰა, მომიცია თქვენთვის ყოველი ბალახი, თესლის მთესველი, რაც კი დედამიწის ზურგზეა, და ყოველი ნაყოფიერი ხე, თესლის მთესველი. ეს იყოს თქვენი საზრდო. მიწის ყველა მხეცს, ცის ყველა ფრინველს, ყველა ქვემძრომს, რასაც კი სიცოცხლის სული უდგას...»* დაბადება 1, 29-30.

ამ კონტექსტში მარხვა გახსენებაა, ფიქრია, **ნოსტალგიაა იმ დროზე, როცა იყო მთლიანი ყოფნა.** ხსოვნა რომ ხსოვნის საგანთან დაკავშირებაა, ამაზე მაცხოვარიც მიუთითებს: *«ეს გააკეთეთ ჩემს მოსაგონებლად».* ლუკა 22, 19.

მარხვის, როგორც სულიერი სრულყოფის საშუალების მიმართ დამოკიდებულებას, მაცხოვარმა განსაკუთრებული ხასიათი შესძინა იგი გვასწავლის, რომ არ ვიმარხულოთ ფარისეველთა მსგავსად, რომელთათვისაც უმთავრესი მიზანი იყო მოჩვენებითი ღვთისმოსაობის დემონსტრირება ადამიანთა წინაშე - *«როცა მარხულობთ, ნუ იქნებით მწუხარენი, როგორც თვალთმაქცნი, ვინაიდან ისინი ღებულობენ დამწუხრებულ სახეებს, რათა ადამიანებს მარხულებად აჩვენონ თავი... ხოლო შენ, როდესაც მარხულობ, ზეთი იცხე თავზე და დაიბანე პირი, რათა ადამიანებს კი არ ეჩვენო მარხულად, არამედ დაფარულში მყოფ შენს მამას».* მათე 6, 16-18.

უნდა აღინიშნოს, რომ მარხვა, თავისი უზენაესი მნიშვნელობით, არის საშუალება უმაღლეს სათნოებათა მისაღწევად და არა თვითსათნოება, არა თვითმიზანი, როგორც მაცხოვარი ბრძანებს, ნებისმიერი რელიგიური აქტისა და ადამიანის დამოკიდებულების შესახებ. *«... შაბათი ადამიანისთვის არის შექმნილი და არა ადამიანი შაბათისთვის. ამრიგად, შაბათის უფალიც არის კაცის ძე.»* მარკოზი 3, 27-28.

უმთავრესი მიზანდასახულობა მარხვისა არის გულის სიწმინდე, ღვთაებრივი პრინციპების ერთგულება. გავიხსენოთ უფლის სიტყვები - *«არაფერია ადამიანის გარეთ ისეთი, რასაც მასში შესვლით შეეძლოს მისი წაბილწვა. არამედ რაც ადამიანისაგან გამოდის, ის ბილწავს ადამიანს... ვინაიდან ადამიანის გულიდან გამოდის ბოროტი ზრახვანი, სიძვანი, ქურდობანი, მკვლელობანი, მრუშობანი, მზაკვრობანი, ვერაგობანი, გარყვნილებანი, თვალბოროტებანი, გმობანი, ამპარტავნობა და უგუნურება.»* მარკოზი 7, 19-22.

როდესაც ვამბობთ მარხვას, აუცილებლად, მასთან მოუწყვეტლად ვგულისხმობთ ლოცვას და პირიქით იმდენად ვლოცულობთ, რამდენადაც ვმარხულობთ და პირიქით. ეს არის ერთის მხრივ სწრაფვა სულიერი, ცნობიერი, მაღალ ღირებულებათა სისტემისკენ, მაღალი წესრიგისკენ, ღმერთისაკენ და მეორე მხრივ, ამით გამდიდრებული ცნობიერების შემოსვლა ყოფიერებაში. ცნობიერის კვალად ყოფიერების თანა ამაღლებისას მკვიდრდება მაღალი წესრიგი და საერთოდ უმაღლესი რამ ხდება - გასულიერება, განმღრთობა ყოფიერის, სხეულებრივის, გარემოს, სივრცის. ნეგაციით რომ გამოვხატოთ - განიდევნება სიბნელე, უმეცრება, უსამართლობა, ავადმყოფობა და ყველა სახის უბედურება, სიკვდილისა და ცოდვის სახლეულიდან.

სწორედ ეს გახლავთ ჭეშმარიტი მიზანი წინდ მარხვისა, რათა ვადღესასწაულოთ აღდგომა, აღდგომა ქრისტესი, რომელიც არის ჩვენი რწმენა და იმედი, წმინდა ჩვენი აღდგომისა, საუკუნო ნეტარებისა, რამეთუ ჩვენთვის, ჩვენი აღდგომისა და საუკუნო ცხოვრებისათვის - იშვა, იცხოვრა, მოკვდა და აღდგა ღმერთი საუკუნეთა, უფალი ჩვენი იესო ქრისტე! ამინ!

***თბილისის ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მოძღვარი ზაზა თევზაძე***

## წინათქმის მაგიერ



ამ ლექსების უმეტესობა ჩემი ადრეული წიგნებიდანაა. ლექსი მკითხველით ცოცხლობს, მისი ყურადღებით და სიყვარულით სულდგმულობს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რომ კარგა ხნის წინ დაწერილი სტრიქონებისთვის კიდევ ერთხელ მიმეცა საშუალება, ეგრძნოთ მკითხველთან შეხვედრის ბედნიერება. ეს მათი ახალი სიცოცხლე, ხელახალი დაბადების ტოლფასი იქნება.

*მანანა ჩიტიშვილი*

## ქსანზე რომ...

შენ ნუ იფიქრებ, რომ დავიღალე,
ან წვიმა შემკრთობს სადმე, მარტოს,
ქსანზე რომ ბოკვერებს გავზრდი ხვალე,
ჩემს საქართველოს შეემატოს.

შენ ნუ მიმატოვებ ოღონდ ნურსად,
ქარში ფრიალებენ პეპელები...
ქსანზე რომ ბალახს ხელს გადავუსვამ,
მთელ საქართველოს ვეფერები.

## გაზაფხულზე

ისე აყვავდა გზისპირს ტყემალი,
ისე უცებ და ისე მალულად,
თითქოს ამდგარა თეთრი ქალწული
და ქორწილიდან გამოპარულა.

მე კი შეხვედრა ვერ მოვასწარი,
ვერ გამოვექეც ზამთრის გრიგალებს,
მოდი, მომკალი, ჩემო ცისკარო
და გაზაფხული გადაიბრალებს.

## გზისპირს

რომ აღარაფრისა მეშინოდეს,
ცრემლი აღარავის ვანახო,
ერთი საიდუმლო გამიმხილე,
გზისპირს მობიბინე ბალახო.

მოგართმევ, თუ რამ მაბადია,
ვფიცავ უწმინდესი ფიცითა,
ოღონდ გამიმხილე საიდუმლო -
როგორ ამოხვედი მიწიდან.

## ჯვრის უღელტეხილზე

ძირს ნახატივით დავტოვეთ მლეთა,
მყინვარი -
ხევში ჩამდნარი ვერცხლი...
წყაროსთან თავშლით შებუდნულ ქალებს,
მთიულის ქალებს უნთიათ ცეცხლი.

და თოვლი, როგორც თეთრი ქალწული,
წევს შორიახლოს უცხოდ და ურჩად,
და მყინვარწვერი -
ქათქათა ძუძუ,
ნისლის უნაზეს პერანგში უჩანს.

***

ჟამო, როგორ მიქარწვიმე,
ულოს მიგრეხ ნარ-ეკალით,
ვაი, ჩემო სიყმაწვილევ,
იმ დროს მაინც დაგეკალი.

ჩანელებულს ვუცქერ ღადარს,
სად დავკარგე აბედ-კვესი...
ტყეში შაშვი ბევრია და
ნეტა, სტვენა რად არ მესმის.

ბილიკები გამისალკლდა,
წლებს ვლეწავ და ვუძლებ ხვატებს,
კევრს რომ ერთი კოჰი აკლდა,
ადგნენ, ისიც მომიმატეს.

გამოჟონავს ხშირად ხმაში
სევდა, ცრემლში ანალესი -
ტყიდან გადიკარგა შაშვი,
თუ... მე სტვენა აღარ მესმის.

## ცხრაჯერ

ცხრაჯერ ჩავშალე ნაწნავი
ქალმა კოშკიდან ამაყად,
ცხრაჯერ ჩავშალე ნაწნავი,
ერთხელ არავინ ამამყვა.

ცხრაჯერ ვამტვრიე ცხრა კლიტე,
ან ცხრაკლიტული რა იყო...
კარი დავტოვე ღრიჭოდა,
მაგრამ არც ერთხელ გაიღო.

ცხრაჯერ ვიქეცი თეთრ შუნად,
დავწურე მკერდის მტევნები,
ფეხთ ვეცი მონადირეთა,
სად იყო გამომდევნები.

ცხრაჯერ შევბღავლე ქარაფებს,
ცხრაჯერ დუმილმა დამსუსხა,
ჯავრით გულშეწუხებულსა
არავინ გამეპასუხა.

ცხრაჯერ ჩავშალე ნაწნავი
ქალმა კოშკიდან ამაყად,
ცხრაჯერ ჩავშალე ნაწნავი,
ერთხელ არავინ ამამყვა.

***

მე კვლავ ვიხსენებ იმ გაზაფხულებს,
ავსებულს მზით და თეთრი მტრედებით...
ისე სუფთაა თვალები შენი,
რომ საჩემოდაც არ მემეტები.

საღამოობით, შენი ბალღობა
როცა ამივსებს ხელებს, ვნებიანს,
მოფრინდებიან ცრემლის ჩიტები
და წამწამებზე ჩამოსხდებიან.

## მერე გაფრინდი

მიწას წივილით მივლოკავ,
გზები მინამქრეს ქარებმა,
სად მიჰყეფ, შავო ყორანო,
საითკენ მიგეჩქარება.

ჯერ ჩემი გული დაფლითე,
სისხლმა კოცონად იალოს...
ჯერ მე და...
საქართველოსკენ
მერე გაფრინდი, ტიალო!

## პაპაჩემი იყო და...

- თუ შენც გულში გქონდა ჩავარდნილი,
რავი, უარი კი მიანაყე...
ჰაი, შე პატარა კუდიანო,
ჰაი, შე ძალისძალა სიამაყევ.

ავდევდე მაგნაირ ბალღ-ბულღებსა,
კარგა ვუტირებდი დედას ჯერაც...
გამჩენძაღლს, ქალი არსად გაეგო, რო
ეგრე ჰაიჰარად დაგიჯერა.

პაპა გენაცვალოს, მაგ ხნობისა
თოფის წამალივით უცებ ვტყროდი,
უნდილი რამ ჩანდა, შვილო, თორე
განა მე თავად არ ვეტყოდი:

«აპა, ეს ნაბადი, მეცხვარული,
არც კი გამოჩნდება გარეთ ქოში»,..
ე ჩემ შავრა ცხენსაც ვაჩუქებდი,
ამით გაგაფრენდა ყაბარდოში.

იქ ერთი ნაძმობი მეცხვარე მყავს,
ჩამოტყავდებოდა ნისლა ხარი...
ვეტყოდი, იმის პაპა ვყოფილიყავ,
პაპაშენი ვიყავ და...
ვერ ვუთხარი.

## ერთხელ რომ ვიგრძნო

ერთხელ რომ ვიგრძნო, თუნდაც სულ ოდნავ,-
შენი ფეხის ხმა ჩემს კართან დადის,
მე მქონდეს შენი სუყველა ცოდვა,
შენ გქონდეს ჩემი სუყველა მადლი.

მთებიდან მთებში მიდის გზაწვრილი,
მთებიდან მთებზე ფრენენ ფოთლები,
არ შეიძლება ჩემი გაწირვა
სულ ასე, ხელის ერთი მოქნევით.

წაჰყრია ღადარს სიჩუმის მტვერი,
ეზოში ყვავის ბალბა და ანწლი,
თითქოს ვიღაცამ ამხადა ჭერი
და რა ხანია, ზედ გულზე მაწვიმს.

გადმოუფრინე ჩემს ზეცას, ჰოდა,
წამომეფარე მაგ ფრთების აღლით...
მე მქონდეს შენი სუყველა ცოდვა,
შენ გქონდეს ჩემი სუყველა მადლი.

## ვისაც ვუყვარდით

ვინ აკაკუნებს ჩემს სარკმელზე
ამ დილა სისხამს?
ქარია, ალბათ,
გზა აებნა, იქნებ, მათხოვარს...
მშვიდობა ყველას,
შორ წარსულში ვუყვარდით ვისაც,
ვისაც ვუყვარდით,
მაგრამ ახლა აღარ ვახსოვართ.

ამ სასტიკ ქარში
სული ჩემი მარტოდ ვალალებს
არ ჩანს მშველელი,
საიმედო თუნდაც დროებით,
და ჩემს მშვენიერ,
სინათლისგან დახლეჩილ თვალებს,
კვლავ ენატრებათ
მყუდროება საღამოების.

ჩამოდის თქეშად
უგუნურთა ცოფი და რისხვა,
განმსჯელი არ ჩანს,
მივავიწყდით, იქნებ, მაცხოვარს...
მშვიდობა ყველას,
შორ წარსულში ვუყვარდით ვისაც,
ვისაც ვუყვარდით,
მაგრამ ახლა აღარ ვახსოვართ.

## გაზაფხული ქართლში

ეჩურჩულება ქარი ისლიანს,
მზე ნორჩ მურყანებს მოსავს ფერადით...
გაღმა, სერებზე, თეთრი ნისლია,
თუ... ანგელოზებს დარჩათ პერანგი.

აქ სულ სხვაგვარი შუქით ვინთებით,
სხვა ძალით მხმობენ აქეთ მთები და
თბილად მიმზერენ ქართლის მინდვრები
ბალახის მწვანე წამწამებიდან.

ჩემი სიმდიდრე და საესავი
არც ეს მთაა და არც ის მურყანი,
გზისპირს ქალი დგას ატმის ხესავით
და თბილ ხელებში ბავშვი უყვავის.

## დედის სახლისკენ

შენ გენაცვალე, ბუხრის კვამლო,
დედის სახლისკენ
გულისხეთქებით მიმავალს და
მუხლებჩაკრეფილს,
სამების სერთან
პირველი შენ მომეგებები,
შენ გამომძახებ:
«დედაშენი კარგად არისო!»

## შვილისადმი

*ჩემს ლაშას*

თუმცა იღბალი იმგვარად მთარსავს,
ბევრჯერ ჩამატყდა ხელში ჭინჭილა...
ნუ გეშინია, არ წავალ არსად,
ვიდრე შენ კაბის ბოლო გიჭირავს.

შენ ჩემს სუყველა იარას შველი,
არა ტკივილი არ გეურჩება
და ვგრძნობ, რომ შენი პატარა ხელით
თვითონ სიცოცხლე მებღაუჭება.

ახლა ამ ზეცას, მლოცველის მსგავსად,
შევყურებ რწმენით, განა ეჭვითა...
ნუ გეშინია, არ წავალ არსად,
ვიდრე შენ კაბის ბოლო გიჭირავს.

## საღამო ანანურთან

ნელა შემოხსნის აპრილი კარებს
და სერებს მწვანე ტერფით დაივლის...
ანანურს იქით - ახალი მთვარე,
ანანურს აქეთ - ვაშლის ყვავილი.

ახლოს - ია და ლურჯი ბალახი,
შორს - ფშავის მთები, ჩამობინდული,
არაგვი გდია,
როგორც კალმახი,
მთვარის ნემსკავით ამოზიდული.

# მტრების წუთისოფელი

## (ციკლიდან: «ხევსურეთის წარსულის ქრონიკები»)

ის იყო, მდინარე ასას ხეობაში ნისლის ბოლო ფთილებიც გაიცრიცა და ქისტეთისაკენ ჩაწურული არხვატის ხეობა გამოჩნდა, რომ სამზირლად მონადირის ეხში მსხდომმა ხევსურებმა დურბინდები მოიმარჯვეს.

დილის ბინდბუნდში არილად გაილანდა მდინარის ნაპირებს გადევნებული, მგზავრთა იშვიათობისაგან ბალახში გამდნარი ბილიკი, რომელიც ქვევით სადღაც ქარაფების ჩრდილში იკარგებოდა.

ეხში ორნი იყვნენ.

უფროსი-შუახნის, უთურგი კვირიწმინდელი, უჟმური შესახედაობისა, ცალთვალელამი იყო, მეორე კი - მოხდენილი გარეგნობის ახალგაზრდა ამღიონი ქორძო წიკლაური.

ეხის კუთხეში მინავლებული მუგუზლები ოდნავ ბოლავდა.

ხევსურები კარგა ხანს ათვალიერებდნენ ხეობას.

პირველად ახალგაზრდა დარწმუნდა, რომ ხეობაში საეჭვო არაფერი იყო, გამვლელი სულიერისაგან ნამიც არსად იყო გაბღერტილი და დურბინდი გვერდზე გადადო. მერე თოფი აიღო, საკეტი გახსნა, ვაზნები ამოალაგა, გადათვალა, ათვალიერა და ისევ თოფში ჩააწყო.

მეორე ხევსურიც მორჩა ხეობისაკენ კირკიტს.

- ჭალაზე ეშმაკიც არ შემობედავს, - თქვა მან, - მთის ყელში თუ გადმოიპარებიან ხაროვნის გასალალავად.

- იქნება არც ფიქრობენ... - თქვა ქორძომ, - რამდენი წელია, ამღიონს აღარავის დაუკარგია ხარ-ცხენი.

- თორელის სიკვდილი გააბედვინებს მაგ კანტალებს საქურდლად წამოსვლას, - იციან, რომ ამღიონთ დღეს მკვდარი გვყავს მიწას მისაბარები, არავის სცალია მთა-წვერთ სადარაჯოდ...

წუთით ორივენი დაღონდნენ, თავი ჩაქინდრეს.

სიჩუმე ისევ ახალგაზრდამ დაარღვია:

- რაც დრო შეიცვალა, თოფიც აღარ გავარდნილა ღილღო-არხოტში, არც ქურდობა მომხდარა.

- სანამ ეგ დრო ღილღო - არხვატს მოაღწევს, - თქვა უთურგიმ, - ბევრი ღილღველი და არხოტიონი მოკვდების კიდევ ერცხვის ხელით...

მზის პირველმა სხივმა მთათა წვერი ოქროსფრად გალესა და ჭაუხებიდან მონაბერმა ნიავმა შურთხების ზარის ხმა ჩამოატარა ხეობისაკენ.

უთურგი ყალიონს აბოლებდა.

ქორძომ ისევ დურბინდი აიღო და კვლავ ხეობისაკენ გაიხედა.

- შავქარაფასთან ცხენიანი კაცი! - წამოიძახა მან და მუხლებზე წამოჯდა.

უთურგიც დურბინდს ეცა და ხეობას გაუმიზნა. როგორც კი დარწმუნდა ამხანაგის სიმართლეში, თოფს დასწვდა, ლულით საყუჩზე გადადო და ვაზნა მისცა პირში.

- პირველსავე ტყვიას მასაკლავად ესრევა?! - წამოიძახა ამხანაგის უცაბედი მოქმედებით შემკრთალმა ქორძომ და ისიც საყუჩთან ჩაჯდა თოფმომარჯვებული.

- თუ ქისტია, მასაკლავად! - გამოსცრა უთურგიმ წეკოს წევისაგან ჩაყვითლებული კბილებიდან და თოფს უფრო მოხერხებულად გამოექადლა.

ქორძო უკმაყოფილოდ შეიშმუშნა, შორს, ხეობაში ბილიკზე ბუზისტოლად გამოჩენილ ცხენ-კაცს გახედა, მერე მზერა ამხანაგის ხეობისაკენ საბედისწეროდ გამიზნული თოფის ტუჩზე გადაიტანა.

მისი პატრონი, ავად აელვებული საღი თვალით, სუნთქვაშეკრული მიშტერებოდა ხეობაში მიმავალ ცხენოსანს.

- იქნება, როგორი ქისტი... - თავისთვის გაუბედავად იკითხა ქორძომ.

უთურგიმ ელამი თვალი საზარლად გადმოუბრიალა ამხანაგს.

- შენ სამზირლად რა გინდოდა, შინ უნდა იჯდე და დედას ფურებს უწველავდე!..

ახალგაზრდამ ამხანაგის დაცინვა აინუნში არ ჩააგდო, ისევ დურბინდი აიღო და მგზავრს გახედა.

ერთხანს ქვადქცეული აკვირდებოდა მგზავრს, მერე სახეზე ნათელი მოეფინა, კმაყოფილებით ჩაიცინა, დურბინდი გვერდზე გადადო და თოფიდან ვაზნა მშვიდად ამოიღო.

უთურგიმ გაოცებულმა გადმოუბღვირა ქორძოს.

- მე ბებერ კაცს თოფს არ ვახლი! - თქვა ქორძომ და ამხანაგს ზურგი შეაქცია.

უთურგიმ კვლავ დურბინდი დაიტორიკა.

- მკვდარვირიანს, წელზე სცემს თეთრი წვერი, მაგ ხნის კაცი ცხენზე როგორ შაითარა?! - უთურგიმ ხეობისაკენ გააფურთხა.

ქორძო, როგორც ჩანს, დარწმუნებული იმაში, რომ ამჯერად ადამიანის სისხლი არ დაიღვრებოდა, მშვიდად ილიმებოდა.

- რას იკრიჭები, ყურუმსაღო, - გაცეცხლდა უთურგი, - აქ მტრის თოფის სასროლად ხარ, განა ვირების სამწყემსაოდ!

- სადაა მტერი, ეგ მტერია?! - თვალით ხეობისაკენ ანიშნა ქორძომ, - მტერი დღისით, მზისით არხვატისაკენ წამოვა მძახალივით?!

მგზავრი რამდენიმე წუთში მოაღწევდა ქისტეთ - არხვატის საზღვარს და «მზირთ ეხას», სადაც ხევსურები იყვნენ ჩასაფრებულნი.

მგზავრის ჩაცმულობამ და წვეროსნობამ დაარწმუნა ხევსურები, რომ ცხენოსანი ქისტი იყო, მაგრამ ამ ხნის კაცი სად და ვისთან მიდიოდა, რა ჰქონდა გუმანში?..

გორებზე მარგალიტივით აბრჭყვიალებულ ცვარ-ნამს დაწაფებული მზის სხივი ასას ხეობაშიც ჩამოეფინა და ხევსურებში მიმოფანტული ჩრდილები ენის ერთი მოქნევით ამოაშრო.

დურბინდში მშვენივრად ჩანდა ახოვანი ტანის მხედრის ნაცრისფერი სკლატის ჩოხაზე აკიაფებული ვერცხლის მასრები, თავზე ყვითელსაკუჭიანი თვირთვილისფერი კრაველის ქუდი ეხურა.

ჩალისფერი ცხენი ბალახის წიწკნით ნებიერად მოაზაყუნებდა პატრონს.

- ეს ბებერი დუსურბანი ყონდივითაა შადებული ცხენზე, - თქვა ზიზღით ელამმა უთურგიმ, - ბრმაც არ დააცილებს ტყვიას…

- ურსაც არ არტყია წელზე, მთლად უიარაღოა, - შეარბილა თავისი ამხანაგის მკაცრი სიტყვები ქორძომ.

უთურგიმ ხელი ჩაიქნია და კვლავ მგზავრისკენ გააფურთხა:

- სამარეში ფეხჩადგმულს რად უნდა იარაღი!..

ამასობაში მგზავრმა საზღვარს მიაღწია.



მან ცხენი შეაჩერა, მიდამო მოათვალიერა, მერე ბილიკიდან გადაუხვია და მდინარის პირას ჭალაში შეიყვანა ცხენი. ხევსურების გასაოცრად, ცხენიდან ახალგაზრდული ჯომარდობით ჩამოხტა, სადავე კისერზე შეუდგა ცხენს, ქამარში გაჩრილი ხელსაწმენდი გაიძრო, ბალახებზე გაშალა და ზედ დაიჩოქა ქუდმოხდილმა.

- ლოცულობს თავის წესზე! - წამოიძახა გაოცებულმა ქორძომ.

- მადლია ახლა მაგისთვის შუბლში ერთი ტყვია, - თქვა კბილების კრაჭუნით ელამმა ხევსურმა, - საიქაოდან თავის ფეხით მივიდოდა იმ უფალთან, რომელსაც ლოცულობს, ამდენი ხელების შლა და ხვეწნა აღარ დასჭირდებოდა, იქ პირში ეტყოდა სათქმელს…

ქორძო გაოცებული ადევნებდა თვალს მოხუცი ქისტის მოქმედებას და არც უკვირდა, რომ მის მიმართ არავითარი მტრობა და სიძულვილი არ ჰქონდა გულში.

ლოცვად დავარდნილი მოხუცის გადაპარსული პრიალა თავი ბალახში ჩაღვრილი თეთრი წვერებით უხარმაზარ სოკოს ჰგავდა, ხან რომ ცისკენ აღიმართებოდა აჩონჩხლილ ხელებს შორის და ხან ისევ მიწამდე ეშვებოდა, ამ დროს მოხუცის ნაცრისფერჩოხიანი ზურგი მუხლებზე წაჩოქილი აქლემის კუზს ჰგავდა.

მოხუცმა ლოცვა დაამთავრა, ცხენზე შეჯდა და გზა განაგრძო.

ხევსურებმაც საფარი დატოვეს, შამბნარიანი ფერდობი ჩაიარეს და ბილიკზე ჩავიდნენ.

გზაში ჯიქურ გადამდგარი თოფმომარჯვებული ხევსურები რომ შენიშნა მოხუცმა, ცხენის სადავე ოდნავ მოზიდა.

ხევსურებმა თითო ნაბიჯით წაიწიეს მისკენ.

მოხუცმა ქისტმა უნაგირზე წინ გადმოიწია და ხევსურებს ხელის მოჩრდილვით დააკვირდა.

- ფხია![1] - ჩაილაპარაკა მან ჩიფჩიფით და უნაგირზე გასწორდა.

- ვინ ხარ, სად მიხვალ? - იკითხა ზვიადად უთურგიმ, თან ელამი თვალით წარბს ქვემოდან გაუბღვირა და იღლიაში ამოჩრილი თოფის წვერიც შეატოკა.

მოხუცი ხმას არ იღებდა, დამცინავად მოწკურული თვალებით მშვიდად აკვირდებოდა ხევსურებს.

ქორძო მონუსხულივით შეჰყურებდა მოხუცი ქისტის გარეგნობასა და მორთულობას. თეთრი წვერი, ღრმად ჩამჯდარი, ჭკვიანი თვალების ზემოდან ბორჯღად გადმოჭამფრებული ხშირი წარბები, თვალებს ირგვლივ წვრილი ნაოჭების გვირგვინი, ქუდსა და წარბებს შორის გამოჩენილი სპილოს ძვლისფერი ტკიცინა შუბლი, უნაგირის ტახტაზე ჩამოწყობილი დამუშიებული გრძელთითება ხელები არამიწიერ იერს აძლევდა მოხუცს, ამასთან ერთად - მისი შეუვალი სიდინჯე და დამცინავი იერიც, და რასაკვირველია, ბუნებრივი იყო ახალგაზრდა არხოტიონის გაოცება.

მოხუცი ისეთი გამომეტყველებით აკვირდებოდა ხევსურებს, თითქოს მრავალი წლის წინანდელ რაღაც ამბავს იხსენებდა.

უთურგიმ დამტვრეული ქისტურით გაუმეორა კითხვა მოხუცს.

მოხუცმა ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა.

- ხელმაგემართოთ, ხევსურებო! - თქვა მან ქართულად.

ხევსურები ოდნავ შეცბუნდნენ, მაგრამ ქისტის ქართული არ გაჰკვირვებიათ, ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები ქისტები და არხვატივნები იოლად სწავლობდნენ ერთიმეორის ენას.

მისალმებაზე პასუხი როგორღაც ვერ მოახერხეს კვლავ კითხვადქცეულებმა.

- ამლიონ მანგიას უნდა ვესტუმრო, - თქვა ქისტმა კვლავ ნიშნის მოგების კილოზე.

მანგიას ხსენებაზე ხევსურები დაფაცურდნენ, უთურგი ახლოს მივიდა ცხენოსანთან, ირგვლივ შემოუარა, ცხენკაცის კაზმულობა ეჭვიანად გაჩხრიკა, შევერცხლილ ლაგამ-აბჯარ-უნაგირს ხარბი მზერა შეავლო და ისევ მხედარს შეაბრუტიანა ელამი თვალი.

ავად აბრიალებულ თვალზე შეამჩნია ქისტმა, რომ ხევსური სასიკეთოს არაფერს ფიქრობდა.

- მე არხვატიონთ სისხლი აღარ მმართებს… თქვა ქისტმა მშვიდ ხმაზე, - ისე კი, თუ სხვა ქისტების ვალსაც მე მომთხოვთ, ჩემს მაკვლაზე არხვატში საკარგმოს მოგართმევენთ…

- შენდროულა კაცს არხვატიონი თოფს არ ახლის! - ველარ მოითმინა ქორძომ და ამრეზილ უთურგისა და ცხენზე დაუდევრად მჯდომ ქისტს შორის ჩადგა.

უთურგის კიდევაც ეწყინა ამხანაგის მოქმედება და სადღაც კიდეც ესიამოვნა, რომ მტრისთვის თოფის ადვილად მსროლელ კაცად გამოჩნდა ქისტთან.

ქისტმა კი წარბებს ქვემოდან გამომცდელად გამოხედა ხევსურებს, უთურგის კვლავ ეჭვიანად ჩააშტერდა და მიხვდა, რომ ავი კაცი იყო და ძნელად დასთმობდა ავი საქმის არ გაკეთებას, მისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი, უკან დახევა კი ითაკილა.

- თუ ის კაცი მითხოელი ელიმარძა იქნება?! - თქვა ქისტმა და უნაგირზე შემაღლდა.

ხევსურები გველნაკბენსავით შეტოკდნენ…

უთურგის თოფის ჩახმახმა საბედისწეროდ გაიჩხაკუნა.

[1]ფხია - ხევსური (ქისტურად).

- ცხენის მჭამელო! რამდენი ამღიონის სისხლია შენს კისერზე, - იყვირა უთურგიმ, - რომენ ერთს შაგწირა?!

- იყო და აღარ არის!.. - მოხუცი კვლავ ზვიადად შემართული, ცალყბად შეღმენილი უყურებდა ბრაზით თვალანთებულ ხევსურებს, რომელთაც ვერ გადაეწყვიტათ თეთრწვერა მოხუცისათვის თოფის დახლა.

- ლოგინში სიკვდილს, მტრის ტყვიით სიკვდილი უჯობს ელიმარძას, - ჩაილაპარაკა თავისთვის კმაყოფილ კილოზე ქისტმა, - ოღონდ ეგაა, არხოტიონი მანგიას უნახავად წასვლა არ მინდოდა სამზეოდან...

მანგიას მეორედ ხსენებამ უფრო შეაყოვნა ხევსურები.

- მანგიას მტრის ხელით მოკლული შვილი უწევს ჭერხოში, დუსურბანის სამასპინძლოდ არვის სცალის...

- ჩემი სულთის მამკლავი თორელი! - წამოიღაღადა მოხუცმა, თან თვალები არხოტისაკენ მიაშტერა, - ჩემი არწივის მზის ჩამქრობიც ჩამქრალა...

ხევსურებს გაახსენდათ, რომ ელიმარძას ერთადერ-

- ცა რად დახურე ამღიონთა, თორელოო,
- ციხე წაექეც ბერდიშვილთა, თორელოო,
- ელიმარძაის შვილ დაგეხვდება, თორელოო,
- სულეთში შენგან წალულული, თორელოო,
- გულზე თუკლაღ[2] სჭირს იმასაცაა, თორელოო,

. . . . . . . . . . . . . . . . .

ხევსურებით სავსე ჭერხოს სიღრმეში საიარაღო კედელთან მიდგმულ ტახტზე ბორგავდა მოკლულის მამა მანგია, ძალა აღარ ყოფნიდა, არც მუხლები ემორჩილებოდა, რომ «ჭირის მწყენთ» ფეხზე მდგომი დახვედროდა. თავისკბილა ბებრებმაც შეუგნეს, ბევრი შვილმკვდარიც უხსენეს, მაგრამ დარდის სატკივარს ვეღარ სძლევდა სულ «ჭრა-ჭრილობაში» და «მამკლავ-მამკვდრობაში» ჩამობერებული, «ღილღველთ ჭირად გაჩენილი» არხოტიონი.

იქვე სამფეხა ჩიკებზე ისხდნენ ბებერი არხოტიონები, ყალიონს აბოლებდნენ. თან ცალი ყური ხმითმოტირალთაკენ ჰქონდათ მიპყრობილი.

ვერავინ შენიშნა, როდის ჩამოხდა ბანზე და შემოი-



თი შვილი სულთი თორელს ჰყავდა მოკლული რამდენიმე წლის წინ და ერთიმეორეს შეცბუნებულებმა გადახედეს.

- მივიყვანოთ, არხვატი რას იტყვის და სად გაგვექცევა, ძაღლს, ძაღლივით უნდა ჩაძაღლება.

მოხუცმა ზიზღით გადააფურთხა და ცხენს ქუსლით წასვლის ნიშანი მისცა, ამით ხევსურებსაც აგრძნობინა, გზას დაადექითო.

უთურგიმ ქორძო წინ წაუმძღვარა ცხენოსანს და თავად უკან მიჰყვა თოფმომარჯვებული, თუმცა გამქცევი არავინ იყო და არც გზა იყო სადმე გასაქცევი.

***

ამღაში მოსისხლეებისაგან მოკლულ ვაჟკაცს დასტიროდა მთელი არხვატის თემი.

სისხლი ემართა და ჰკრეს ტყვია ხახმატელებმა მანგიას ერთადერთ შვილს.

არხოტივნებმა საკაცით მოასვენეს საძელიდან «მეთავის[1] ხელით დახარჯული თემის იმედი».

ხმლის ვადაზე ნიკაპჩამოდებული ხმით მოტირალნი ერთიმეორეს არ აცლიდნენ:

- რად გაგვიშავე სამზეოი, თორელოო...

არა ხალხით სავსე ჭერხო უთურგი კვირიწმინდელმა.

სამფეხებზე დაფელხვილ მოხუცებს გვერდი აუარა და ტახტზე გაშოტილ მანგიას წაადგა თავზე.

მოხუცმა ნაღველში ჩაძირული თვალებით ამოხედა უთურგის.

- არხვატის ჭალაზე ღილღველ მავას! - თქვა უთურგიმ სხვა მოხუცების გასაგონად.

მანგიამ დალიბრული თვალები მოწყურა, თან ყურიც წამოსწია, რაღაც შეცდომით ხომ არ ჩამესმაო.

მოხუცებმა კისრები წაიგრძელეს.

უთურგიმ ოდნავ დაიხარა ტახტზე მწოლისაკენ და ხმამაღლა ჩასძახა:

- ურჯულო მავას არხვატისაკე!..

- რად არ მახკალით?! - დაიგრგვინა რომელიღაც მოხუცმა, - აქ საკითხავად მოსვლა რად გინდოდა?!

ჭერხო გაინაბა, ხმით მოტირალს ხმალი გაუვარდა ხელიდან და სოხანეზე გაიწკრიალა.

- ბებერია, ვერ ვიკადრეთ თოფის ხლა!..

მანგიამ თავს ძალა დაატანა და იდაყვზე წამოიწია.

- ნეტა რომენ სოფლელია? - იკითხა ვიღაცამ.

- ნეთხიჩოელი ელიმარძაა! - წამოიღრინა კბილების კრაჭუნით უთურგიმ, და მოხუცებს მიაშტერდა კითხვადქცეული.

[1]მეთავე - მოსისხლე (ხევს.)
[2]თუკლაღ - ხომ არ (ხევს.)

- ელიმარძა?! - წამოიბუზუნა მანგიამ და ტახტზე ნახევრად წამოჯდა.

მოხუცებიც ფეხზე ადგნენ.

მთელი ჭერხო ასადგომად დაფათურებული მანგიას შეჰყურებდა.

წუთით მიცვალებული ყველას დაავიწყდა, სიტყვა «ელიმარძას» ჩურჩულებდა დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

- რა უნდ მაგ ცხენს მჭამელს, რასთან მავას არხვატისაკე?!. - ივითხა სხვებზე უხნესმა.

- ეგ აღარ გაძლა არხვატიონთ სისხლით არც სიახლეში და არც სიბერეში!.. - ახლა სხვამ დაუმატა.

მანგია ტახტიდან გადმოვიდა.

- მე ვიცი, ნეთხიჩოელს რაც უნდა! - თქვა მან ჩახრინწული ხმით, - დრო მამიწვერე განა, დუსურბანო, - განაგრძო თავისთვის მანგიამ, - მაგიკვდეს მანგია, თუ შენ გულ დაიცინოს!..

მერე, იქვე დაკიდებული ჩოხისაკენ და ქამარ-ხანჯლისაკენ გაიწოდა ხელი.

მიაწოდეს.

კაცი უცბად სულ გამოიცვალა, თავისი უბედურება თითქოს გადაავიწყდა, აკანკალებული ხელებით ვეღარ იცვამდა ჩოხას, მაგრამ მაინც იცვამდა, შემოიკრა ქამარ-ხანჯალიც.

- წინგარდაზე ჩიკა დამიდგით! - ბრძანა მან ბოლოს და ჭერხოს კარისკენ გაემართა. შვილის ცხედარს რომ გაუსწორდა, წამით დააშტერა ამღვრეული თვალები.

- ერთხან ნიადე წასვლა უნდა ყველას! - თქვა და გზა განაგრძო.

წინგარდაზე მისთვის დადგმულ სამფეხ სკამს მიუახლოვდა.

- აი, ეხლა მივიდეს ეგ ღილღველი! - თქვა თავისთვის ამაყად და სკამზე ჩამოჯდა.

ვერავინ გაუგო მანგიას მოქმედებას თავი და ბოლო.

ერთი მოხუცი მორიდებულად მიუახლოვდა, ის იყო, რაღაც უნდა ეთქვა, რომ მანგიამ ხელი აიქნია და ბრძანების კილოზე უთხრა:

- მე და თორელი დღეს მაინც უნდა გავიყარნათ მამა-შვილობით, აქ, ბანზე გამოასვენეთ, აქ იტირას ქალ-ზალმა!..

რამდენიმე წუთის შემდეგ ფარდაგგადაფარებული ტახტით თორელის ცხედარი მამის მახლობლად ბანზე დაასვენეს ხევსურებმა და თავად ბანის კიდეზე ჩამწკრივდნენ.

დედროვანმა ზარს მოუმატა.

მანგიამ ყალიონი გამართა და თავისი ჩვეული სიდინჯით გააბოლა.

იქვე დერეფნის სიგრძეზე გადებულ ძელზე მსხდომი ბერიკაცები შეცბუნებულები და დაეჭვებულები უთვალთვალებდნენ შვილმკვდარი მოხუცის მოქმედებას, ვერავინ წვდებოდა, რა ძალამ და რა ცეცხლმა შეაძლებინა ერთადერთი შვილის დაკარგვით ჩალოგინებულ მოხუცს უცბად ფეხზე ადგომა.

- აგე, მახყავ! - დაიძახეს ჭერხოს ბანზე ასულმა ყმაწვილებმა.

«ამღის ყანათ» გამოჩნდნენ ქორძო წივლაური და ჩალისფერ ცხენზე მჯდომი მოხუცი ქისტი.

სოფლის პირში რომ მოვიდნენ, ქისტი ცხენიდან ჩამოხდა და საფერხე დასადავებული წამოიყვანა.

ყველა სულგანაბული და გაფაციცებული უყურებდა სოფელში შემოსულ დაუძინარ მოსისხლეს, რომლის ბრძოლებსა და შეუპოვრობაზე, წარსულსა და ნამოქმედარზე ზღაპარივით ჰყვებოდნენ ხოლმე ხევსურები არხვატის საფიხვნოებში.

რომ დაიგუმანა ქისტის მოახლოება, მანგია წამოდგა და ბანზე დინჯად, გამართულად გაიარა, თითქოს წინგარდაზე საქორწილო სუფრა ჰქონდა გაშლილი და არა შვილის ცხედარი ესვენა.

ქისტი ნელა უახლოვდებოდა მანგიას ბან-კარს, გამჭვალავი თვალით აკვირდებოდა ყველაფერს, ეზოში რომ შევიდნენ, ცხენის სადავე ქორძოს მიუგდო და ბანზე ავიდა.

მანგია ღოინჯშემოყრილი უყურებდა ქისტს.

ქისტი წყნარად მიუახლოვდა ცხედარს, მერე დაიხარა და მიცვალებულის სახეს კარგა ხანს აკვირდებოდა, მის ტანსაც აატარ-ჩაატარა მზერა.

- ღირებულხარ, მანგიას შვილო, თოფსაკრავად! - თქვა მან, - იმსიბრტყე მკერდი გქონია, რომ დაესწრო, ჩემი სულით შენ ტყვიას არ აგაცილებდა...

მერე მანგიასკენ შებრუნდა.

მოხუცები მშვიდად აკვირდებოდნენ ერთიმეორეს, თავიდან ფეხებამდე ათვალიერებნენ.

- როგორი ფერი აქვს შენთვის დღეს სამზეოს, არხოტიონო? - უთხრა ქისტმა მანგიას მშვიდად, წყნარი ხმით.

- ჩემის ძმის მამკლავი რახელ მახვედ ჩემს კარზე, ცხენის მჭამელო, ის ხომ არ გეგონა, მანგიას მტირალს ღნახავდი?!.. - თითქმის ჩურჩულით ივითხა მანგიამ.

- მოვედი, შვილის ქორწილი რომ მოგილოცო, - თქვა ქისტმა და ხანჯლისწვერივით წამახული თითი ცხედარს მიაშვირა.

მანგიამ უცნაურად გაიღიმა, თან ნაბიჯი ცხედრისაკენ გადადგა.

- ხო წევს მანგიას შვილი გველაშაპივით, ღილღველო, სიცოცხლეც უღირდა, სიკვდილიც უღირს!

- გიხარის, რომ მოგიკლეს?!

- მოსისხლემ მოკლა...

- ჰო, ხევსურები იბადებით, რომ ერთიმეორე ხოცოთ...

- ქისტებიც! - თქვა ამაყად მანგიამ.

- სასაფლაოზე დათვალეთ ჩვენი ნათოფარები, - უპასუხა დამცინავად ქისტმა და თეთრ წვერზე დინჯად ჩამოისვა ხელი.

ხევსურმა სამფეხა ჩიკები მოუტანა მოხუცებს.

- სასმელი გამაიტანეთ! - გასძახა მანგიამ ჭერხოში.

მერე არავის გაუგონია, რას ლაპარაკობდნენ მოხუცები, ტაბლას ჩაჰყურებდნენ თავჩაქინდრულები, რომელზედაც დოქით ლუდი ედგათ და კანტი-კუნტად ესიტყვებოდნენ ერთიმეორეს.

მიცვალებულის გასვენების ჟამმა რომ მოაღწია, მოხუცი ხევსური მიუახლოვდა მანგიას:

- შვილს უკენობის[1] სიტყვას ხო არ დააკვალებ...

- ელიმარძაის შვილი მომიკითხოს, სულეთ შა-

[1]უკენობის - საბოლოო (ხევს.)

სულმა! - თქვა მანგიამ და სოფლის ნაპირას მდებარე სასაფლაოსკენ გაიხედა.

მოხუცი ქისტი ცხედარს უმზერდა.

- აღარც შენა გყავ თორელი, - თვალი თვალში გაუყარა მანგიას, - რა შეგრჩა სისხლის აღებით, რამდენჯერაც აიღე, იმდენჯერ გაიღე!

- კარგი მამცას არხოტის ჯვარმა და კარგი მამიკლას! მაგას დავმარხავთ, სხვა კიდევ გაიზრდების!..

მოხუცი ქისტი მიწას ჩაჰყურებდა და რაღაცას ფიქრობდა კარგა ხანს. მერე თავი აიღო და ხევსურს ძლივს გასაგონი ხმით ქისტურად ჩაულაპარაკა:

- რად არ გიკვირს, რომ ელიმარძი გესტუმრა?

- არ მიკვირს, ძაღლი ძაღლად დაბერდი, ბოლოს თოფის ზიდვა რო აღარ შეგიძლავ გატეხილი მანგიას ნახვის წყურვილმა მოგიყვანა...

- ნეთხიჩოს მამწვდა, შვილის სიკვდილმა მანგია ჩაალოგინაო...

- უკანასკნელად თოფვა გინდოდა ჩემი, მაინც დაგიცდა. - ჩიკაზე ამაყად შესწორდა მანგია.

ქისტმა სინანულით გააქნია თავი.

- შვილის სიყვარულზე მაგარი მტრის სიძულვილი ყოფილა შენს გულში, სათოფავია ეგეთი გული...

- შვილის სიყვარული ჩემია, მტრის სიძულვილი - სახოყნო! - ცარიელი ყანწი ტაბლაზე დააგდო მანგიამ, - შენ არხვატისკე მაშინ წამოხვედი, ჩემი ჩალოგინება რომ გაიგე...

- არა! - თქვა ქისტმა და შორს მთებისაკენ სადღაც ჰკიდა ნაღვლიანი მზერა, - ჩემი თავი მებრალებოდა ოხრად დარჩენილი, ჩემი დაუძინებელი მტერიც შემბრალდა გაჩემფერებული, მამაცი მტერი!.. იმიტომ წამოვედი, ჩემი ტკივილი შემომეჩივლა, შენიც მომესმინა...

მანგია ყბაჩამოვარდნილი, დატყვრეცილი თვალებით გაოცებული შეჰყურებდა ქისტს, მეჩვენება, თუ ნამდვილად ეგ სიტყვები თქვა, რაც ჩამესმაო. - აღარავინ თოფავს ერთმანეთს ახლა და არც მოსისხლეობენ, - განაგრძო ქისტმა ნაღვლიანად, ქისტეთ ჩემ სწორებს შვილბოლოში თავი არ უჩანს, ერთი მე ვარ მარტოხესავით ამოსული... მათი მამა-პაპის მაგიერადათ მე გახლიდით ტყვიას, რა შემრჩა...

- სახელი! - თქვა მანგიამ და ახლოს მოუჩოჩდა ელიძმარას, - სახელი დარჩა, ნეთხიჩოელი ელიმარძის სახელი!..

მერე ელიმარძაზე არხოტელების გამოთქმული ლექსი ჩაილაპარაკა:

გახსოვდას, ელიმარძაო,
არხვატით წანატანია,
მიხოლ მიგიდის ტყვეები,
მიგიდის ხაროვანია,
იცოდე, არ შეგრჩებოდა
არხოტივნების ვალია!

ქისტმა ხელი ჩააქნია და მისკენ წაძაგრულ ხევსურს თვალებში ჩახედა.

- ცოდვიანო არხოტიონო, რამდენ ქისტის ქალს ჩააცვი შავი, რომ მახკვდები, შინაით შანდობის მთქმელი აღარვინ დაგრჩა, არცვინ შენი სახელის მხსენებელი იქნება, წავიდა შენი თორელი, იქ, - მან თითი ცისკენ აიშვირა, - ჩემს არწივთან წავიდა...

ხევსური გაყინული თვალებით ჩაჰყურებდა სასაფლაოსკენ წაღებულ შვილის ცხედარს, ფეხზე ადგომა უნდოდა და ვეღარ ბედავდა, ვაითუ ქისტის თვალწინ ჯანმა მიღალატოს და თავი მომეჭრასო.

- მძიმე ყოფილა მტრიანი კაცის წუთისოფელი, ნათხიჩოელო, - თქვა მან ხიხინით, - ძალიან მძიმე, კიდევ კარგი, რო შენ გხედავ... მადლობელი ვარ, შენი აქ მოსვლისა... ძალიან დიდი მადლობელი...

ქისტი წამოდგა.

სირცხვილის შიშმა და ჯერ კიდევ შემორჩენილი სიამაყის გრძნობამ ძალა შემატა მანგიას, მძიმედ წამოიმართა და ბანიდან ჩასასვლელად გამზადებული ქისტისკენ გადადგა ნაბიჯი.

ქისტი შეჩერდა.

ისინი ახლა მარტოკები იყვნენ, ახლომახლო აღარავინ იყო, ხალხი სასაფლაოზე გაკრეფილიყო.

ეზოში ჩალისფერი ულაყი მიწას ტორავდა, პატრონს უხმობდა.

გამაგრდი, არხოტიონო, - თქვა ელიმარძამ, თან უცნაური ღიმილით გაუნათდა სახე, - თორემ ელიმარძა იფიქრებს, რომ ბოლოს ნასრევი არ აგაცდინე...

ხევსურმა მხარზე ჩამოადო მუგუზალივით ხელი ელიმარძას, თავადაც სცადა რაღაც გაღიმებასავით, თუმცა არ გამოუვიდა.

- ჩათვალე, ცხენის მჭამელო, რომ დამჯალდე[1], ნასრევიც შენი შესაფერისი გამოგივიდა... ხელი მოგიმართოს არხოტის ჯვარმა...

მრავალი წლის დაუძინებელი მოსისხლეები ერთხანს კიდევ ეკირკიტებოდნენ ერთიმეორეს ლიბრიანი, ბებრული თვალებით, რომლებშიც მტრობის და სიძულვილის ნატამალი არ ჩანდა, პირიქით, მათ გამოხედვაში იხატებოდა უსაზღვრო სინანული და მოკრძალებული ურთიერთპატივისცემა.

ქისტი ბანიდან გადავიდა და ცხენისაკენ გაიმართა.

სასაფლაოდან მობრუნებული ქორძო და უთურგი მანგიასთან პირველნი მივიდნენ.

უთურგის თვალი ცხენისაკენ მიმავალ ქისტზე რჩებოდა, მას თავის ნადავლად თვლიდა და მანგიას ბრძანებას ელოდა.

- სტუმარს გაჰყევით სოფლის ბოლომდე, პატივი დასდევით და ჯვარი დასწერეთ - ბრძანა მანგიამ.

- პატივი კი არა, ტყვია უნდა მაგ ძაღლს! - ჩაისისინა უთურგიმ.

- რეგვენო! - იფეთქა ხევსურების გასაოცრად მანგიამ, - ეგ ძაღლი არას, ეგ ნათხიჩოელი ელიმარძაა!.. მაგან ბევრჯელ შემოხკივლა არხვატს არწივივით და შემოგვთოფნა... რამდენიც მავუკალით, მაგვკლა. ახლა აღარც მაგას ვინ დარჩა მასაკლავი, არც მე... - უცბად ხმა ჩაუწყდა მოხუცს.

ქისტმა ცხენი ეზოდან სადავითვე გაიყვანა, მერე სწრაფად შეჯდა, ხევსურებისაკენ შემობრუნდა, ქუდის მოხდით დაემშვიდობა ბანებზე წამდგარ არხოტიონებს და ცხენს ქუსლი ჰკრა.

ვიწრო ბილიკზე ქარივით გაფრენილ ცხენს გაკვირვებული მზერა გააყოლეს ხევსურებმა.

*შოთა არაბული*

[1]დაჯალდვა - ჯობნა.

## ტარიელ ხარხელაური

ფეხით გათელილ ყაყაჩოს სტირი,
ღაწვს ჩაგიზოლავს სისველე წვრილი,
რას ფიქრობს შენი დაღლილი ტვინი,
როცა წვეთები კვდებიან წვიმის.
როცა ქარს მიაქვს ფოთოლი ხმელი,
აპირულ კლდეთა ბილიკზე სცვეთავს,
როცა ნამდვილად არ გინდა ცრემლი
            და მაინც სწვეთავს.
ხარ გარინდებით არავის ელი,
გარდასულ დროთა ჭენება გკენწლავს,
მოვა ვიღაცის მურდალი ხელი
და მოიისფრო თმებს აგიწეწავს.
რას ფიქრობს შენი დაღლილი ტვინი,
როცა წვეთები კვდებიან წვიმის.

როგორც ირემმა სიმწვანე მოვიმშიე,
გავყურებ მთებს იისფრად მოთოვლილს,
მოდი, საკოცნელად მომიშვირე,
            ბუერას ფოთოლი.
მიწა მომიზომე, მომიმტკავლე,
ამინდი თანდათან უარესობს,
მოდი ყვავილები მომიტანე,
შენი სიყვარულით ვუალერსო.
და როგორც ირემმა სიმწვანე მოვიმშიე,
გავყურებ მთებს იისფრად მოთოვლილს,
მოდი, საკოცნელად მომიშვირე,
            ბუერას ფოთოლი.

ვერკვლის ციხე ვარ ბებერი,
ამოზიდული დიდგორსა,
შვიდპირ მაკვრია ღრუბელი
გველი მილოკავს ლიბოსა.
ვერ იქაამს წუთისოფელი
ფეხებზე დამიკიდოსა.

* * *

დავეწაფე,
        ვიღაცამ ბეჭებში დამტაცა ხელი,
გავუძალიანდი,
შევები,
      ავიხედე,
კლდე აყუდებულიყო თვალებსველი…
შემრცხვა,
        მუხლებში ჩავუვარდი და
ვეჩურჩულები.
- თქვენი ფეხის ნაბანსა ვსვამ,
კარგებო…
მერე ნაბიჯის სიგრძე გამიზომეს,
ბეჭები გადამიმტკავლეს,
შუბლი ჩამიზოლეს,
მკერდი გადამიტყავეს,
მაჯა გამისინჯეს,
მუხლი შემიმოწმეს,
ქედზე მზე დამიმშვიდეს
დაიბუბუნეს:
- შაგერგოს!

* * *

შემომკარით მზის სხივი
ხანჯალივით ყბაში,
ანდა შუბლი
გამიხეთქეთ ირიბად,
ჰე, ხეებო,
 დაუკარით ტაში,
ვტირივარ
გვირილების ანთებული სინაზე
გამიტარეთ გულში,
მერე ყველა გუთნისდედის ჯინაზე
მარცვალივით გადამაგდეთ ხნულში.

* * *

მოვსულვარ,
მოვკვდე და შენთვის ვწერო,
მონა წარსულის,
ახლის მლოცავი,
შენ გამახსენე,
მამულო ჩემო,
რამე თუ დამრჩეს დაუკოცნავი.
მზე ელამ თვალებს მტვერით ამივსებს,
და მიმილეწავს სულს ქარიშხლიანს.
უნდა დავმიწდე ბებერ კრწანისზე
და გულზე მუხა ავიშრიალო.
ცა, როგორც ცხენმა - ლაგამი, შევხარ,
გზა ოქროსფერით მოვავარაყე,
სამშობლო ჩემო,
პოეტი შენ ხარ,
მე შენი ენით მოლაპარაკე!

* * *

მზად ვარ,
სამყარო ავიკლო,
მივდევ სივრცეებს,
მივგრგვინავ,
წუხელ მზე არსად არ იყო,
მზემ ჩემში გამოიძინა.
მივარღვევ ღრუბელთ საწვიმართ,
მთვლემარ ვარსკვლავებს წავაფრთხობ
მზე ამაგლიჯა არწივმა,
ცაზე გულაღმა განართხო.
დამემტვრა ფრთები უღონო,
სხეული დაბლა ეშვება,
და ჩაშავებულ კლდეებზე
მიმინოსფერად შეშრება.

* * *

ეხვევა,
გმინავს,
ულოკავს მაჯას
ნისლი მთებს,
სწურავს ღალას ეგების

და ჰკოცნის,
როგორც ხევსური ხანჯალს,
ძმისმკვლელის სისხლით წითლად შეღებილს.
დატრიალდება ნელი ტორტმანით,
წავა და შავბნელ ხევებს დაბობღავს,
ეხვევა,
გმინავს,
ულოკავს მაჯას
ნისლი მთებს,
სწურავს ღალას ეგების
და ჰკოცნის,
როგორც ხევსური ხანჯალს,
ძმისმკვლელის სისხლით წითლად შეღებილს.

* * *

გადარინდებულ ცას ამზღვლევს
თვალთაგან ცრემლის მოდენა,
იქ ირხეოდი,
სადაც მზე
ჩანს ხელისგულისოდენა.
სადაც ღრუბლების ჭენება
ალეწილ ზოლებს მიირევს,
შენი ლამაზი ჩვენება
სწვავს ჩამოცვარულ გვირილებს,
ვიდექი სახეშეცვლილი,
ნაწვიმარ ბილიკს ვმუხლავდი,
ცა ზურგზე მედო კეცივით,
ძლივს მივათრიე მუხამდის.
და...
განა რამდენს შევძლებდი,
პირქვე დავეცი,
გავთავდი...
ვაი,
რამდენ ხანს გეძებდი,
სადა,
სად იყავ აქამდის.

* * *

ცოლს ნუ გამითხოვებთ,
ცხენს ნუ გამიჩუქებთ,
ღრუბლები დამიქუჩეთ
საწვიმარი.
სიტყვა არ მიხსენოთ საწყინარი.
სახეს ნუ იქავებთ,
დუმილი არ გბეზრდებათ,
დარდი გაიქარვეთ,
შვილი გამეზრდება
ჩემზე ძლიერი,
ჩემზე ამაყი
კარგს არ დააყრის
მამულის მოშულარს,
თვალებს აუნთებს
უწმინდეს სანთლებად,
მოკვდება ხნიერი
და ჩასვლა საფლავში
არ დაეხათრება.
სამკვიდრო მამისა დაუტოვეთ,
ბეჭები თუ გინდათ,
დაუმტვრიეთ,
        მოუთელეთ,
ცხენს ნუ წაურთმევთ,
შუბლები დახსენით,
        მოუთენეთ,
საკარგყმო დამილიეთ, არწივებო...

* * *

ჯავრო, რა ძაან მაჯავრებ,
ჯავრო მამულის ჩემისა,
ხან გამაშიშვლებ საჯარედ,
ხან ფრთას დამკრავ და შემნისლავ.
კრძალვით მიმკეცავ საძვალეს,
შემძრას ხმამ ძვალთა ფშვენისამ,
გაძაღლდა და არ მიწყდება
ნერვი ბოროტის თმენისა.

* * *

ხევსურთ კაი ყმად შემრაცხეს,
მასვეს ნახარშის წვენი,
მაგრამ, ვაი, რომ შემარცხვენს,
გულო, დედლობა შენი!
ძველთა ყორეთა ლოკვისგან
სდნები - ნაშენი მტვრისაგან,
ვერცა მტერს არჩევ მოყვრისგან, -
ვერცა მოყვარეს მტრისაგან.
შენის ნამუსის შემბღალველს,
ჯილაგის სისხლის ამმღვრევს,
ხანდახან კიოთ შეჰბღავლებ
ციხის მორღვეულ თაღებს,
მაგრამ ძალა რამ დაგზნექავს,
წელს გაგიმრუდებს ხნიერს,
გაგტეხეს, კლდევ, კლდის ნაჟღენთო,
გძლიეს, ბედკრულო, გძლიეს!
რამდენჯერ დაგიკემსია,
ცრემლით სამშობლოს ზეცა,
შიშით ვერ დაგიკვნესია,
წართმეულია კვნესაც.

* * *

მიდის
მიღელავს ქარი,
მიიყოლიებს ნისლებს,
ატეხილ მხარეს მთვარე
თეთრი ღრუბლებით ივსებს.
დადუმებულა მუხა,
დგება,
მდინარე წყრება.
არ ვიცი, რაზე ვწუხვარ,
გული რაღაზე მწყდება.
არის საღამო გრილი,
ხეს აჰხვევია სურო,
რა დიდებულად სტირი,
ჩემო
მაღალო სულო!

# ხევსური პოეზია

კაიყმის ციხე ამბობდა,
რაის მიქვიან მტერიო,
გადმოვყოფ ვერცხლის ძეგლიგებს,
გავაბოლებ და ვმღერიო,
ზეთავზე კოცონს დავინთებ,
ღრუბელს შერუჯოს ფრთენიო,
ოღონდ პატრონი არ წახდეს
არ მინდა არაფერიო.
თუ არ და ჩამავიშლები,
დავრჩები კირიბღვერიო.

შავეთსა ჰკითხეს მოყმესა:
- შენ ქონებისა რა გერგო?
- ნეტავი ჩემი ბედი-დღე,
მე სიცოცხლეშივ გამეგო
ის ჩემი ციხე დარბაზი
მე შუა გზაში ამეგო,
მშივრისად პური მეჭმია,
გაყინულ ცეცხლთან გამეთბო,
ამთენის ცოდვის მომქმედსა
სული მით მაინც მამეგო.

* * *

ადგილის დედა ჩიოდა,
სოფლის თავკაცი კვდებაო,
ნუ მოჰკლავ დამბადებელო!
სოფელი წაგვიხდებაო.

* * *

ბიჭო, რა მომგლინაბიჯობ
ე მაგ შავ-ყორნა მერნითა?
ტანთ სალმასური გაცვია
ნახატი ოქროს მელნითა,
ხელში გიჭირავს ლახვარი
მზითვალმამთხრელი წვერითა,
ტახტაზე გიზის ყოილი
გადმომზირალი წყენითა,
პირზე გადაგდის ნათელი
აუწერელი ენითა,
ქვეითად შაგყეფს სოფელი
გაუმაძღარი ღრენითა
წინ ბეწვიხიდი მაგელის
გადასავლები ფრენითა
ხიდგაღმა ბროლის კოშკი დგა
ჯოჯოხეთ დამწვდარ ბჭენითა,
ი კოშკში იადონი ზის
გელის გალობა-სტვენითა,
მიხვალ და გაეხარდების,
დადნება აღმაფრენითა
ი ჩიტი გულში ვფართქალებ
დაწერილი მაქვს ზენითა
მამა ვარ, განა უცხო ვარ
არ გამამწარო შენითა!
გამაძღე, მოდი გამაძღე,
ე მაგ ჯავარის ცქერითა.
ოღონდ ხიდგაღმა შასჯერდი,
ჩემკენ პირ-ბადახშ ჩენითა.
აქეთ სიკვდილი მეუფობს
გაუთენებლის ღღენითა.
წუხელ სოფლის გზას გამაჰყვა
გამაპირულის ცელითა,
დიდსათიბობას ამბობენ
გაუგონარის სენითა,
ვინძლო არ გადაგეყაროს
არ გამილაღო ლხენითა!

## სხარტულა

ერთ მძივ-ღილიანს შევუჩნდი,
აგრემც ჩემს მკლავზე გნახავო,
უწყალოდ მწყია: დამეხსენ,
შე პირქვე დასამარხაო.
მეც გვარიანად დავლოცე,
ქალო შე დასათალხაო
შენ ჩემ ქვეშ მოგცა სამარე
გულაღმა დასამარხაო.



ორი სტიქია ცეცხლი და წყალი
XIX ს. ფრანგული ვინიეტკა

ირაკლი ალბუთაშვილი

ენაცვლოს თავის პატრონი,
თავის გულყვითელ ციცასა
ყოველდღე მეზობლებიდან
დამბალ ხაჭოსა ზიდავსა.
ვინც მე იმ ციცას მომიკლავს
ძაღლ იყოს იმის მკვდრისადა.

*(მოგვაწოდა ნუნუ ქართველიშვილმა)*

* * *

*ალ. ჭინჭარაული მგზობრებმა, რომელთა შორის ბევრი იყო მანდილოსანი, დაპატიჟეს ზედაზნის მონასტერზე. მან უპასუხა:*

ვაი, შენ ჩემო სახელო,
ამოგანგლულო მტვერშია,
მივყავარ ქვედა ზნის ხალხსა
ზედაზნის მონასტერშია.

# უცნობი ავტორები

წავრანას შემომაღოდა
მშიერი ლეკვი მგლისაო
დავდექ და ძუძუ ვაწუე,
გამშრალი ერთი წლისაო.
რძის ნაცვლად სისხლი გამდინდა,
სუნ გემო სიმლაშისაო,
რაღაი ერთი დაჰგეშა
სულ ჩემ კარძრომში ზისაო.
ვეფხი ვარ, მაგრამ გული მაქვს
თვალზე კურცხალი მდისაო.
ვითამ ჩემ ბოკვერ მიზრდია
წაგვრილი სიკვდილისაო
ძუძუებ რომ დამაღიჯნოს
ველარ გავაგდებ სხვისაო.
ე, მაგის წერა ვყოფილვარ
შამძრავი ცა-მიწისაო.
ეგ იცის დედა-შვილობამ
ძალამ მის ძუძუ რძისაო
სულაც რომ შევეჭმევინო
მადლს ვერ მოვისხამ მისაო,
მგელი მგელადვე დარჩების
ლაშზე სულ სისხლი სდისაო,
მაგისას ვეფხვად მაქცევნას
პირი არ უჩანს ღვთისაო.
მაგრამ რაი ვქნა მებრალვის,
ცოდვაც მკლავს ამაგისაო?
ცუდია? - მაინც შვილია,
ბრალია რა მაგისაო,
ერთია მარტო, ის მომწონს
ჯავრ არ შეიჭამს მტრისაო,
არც არა სხვისა ებრალვის,
არც არა თავისისაო.
წავარნისკარში მიყვუის
მშიერი ლეკვი მგლისაო,
ნეტაი გამაგებინა
სიკვდილ თუ დამაცლისაო.
*(მოგვაწოდა ღიღინო ცახურმა)*

* * *

საფიჩხეყელზე წავაწყდი
ლეკ ნაიბს გაიძვერასა,
ისე მიჰყვანდა ბალღები,
როგორც წიწილა ძერასა.
შავუძეგლიგე გულ-მკერდი,
ატანილ იყო წერასა,
ვაი, მის თვალთა ტარებას
ცამოკამკამის ცქერასა,
ხო ეგრე მესოფლიობდა,
თიკუნს ეტყოდენ «მელასა»
მაინც ავდექ და დავმარხე
ამ ჩემი სულის ლხენასა,
საფლავზე ლოდი დავადე,
როგორც უქნია ყველასა,
შვილები დედას მივგვარე,
კაიყმიქვრივსა ლელასა,
ორნივ მე მამანათვლინა,
ურჩისძეს შაიშმელასა.

* * *

სალეკოს დაიფანტების,
ნაოჭა ჩემი ძვლებისა,
ანდა ჩამიტანს უფსკრულში
ზვავი დაღისტნის მთებისა.
ჩამომყვებიან ყორნები,
ჩრდილი დამფარავს ფრთებისა,
სალეკოს დაიფანტების
ნაოჭა ჩემი ძვლებისა.
ხან ტყვია შემათამაშებს,
გამოგზავნილი მტრებისა,
რა მამა დამიღონდების,
რა დედა ატირდებისა.
შენ მაინც დამიტიროდი,
ჩემებრ ჩაგრულო ბედისა.
შენ ჩემო დიდო იმედო,
მჩრდილველო ვარსკვლავებისა,
რა ვიცი? მე ჩემს გეძახი,
იქნება გახდი სხვებისა.

## *რაშოუდა*

რაშოუდა, მიდრეკილ ავისგან ცხონდების, ცხონდების უკუნით რაშოუდა,
რაშოუდა, ძახილი შენი მდევს, შენი მდევს, დღემდე არ გამშორდა, რაშოუდა,
რაშოუდა, აგვივსე ყოველი წუთი დღე ალმობით, რაშოუდა,
რაშოუდა, ილევა ალერდი მტარვლისა ჩვენ სისხლს რომ აშრობდა, რაშოუდა.
რაშოუდა, შენ იქეც, ყოველი ჩვენგანის სიფხიზლედ, რაშოუდა,
რაშოუდა, სახლ-კარს, გვიჯარავს საქმენი ავთაგან ნაშობთა, რაშოუდა,
რაშოუდა, ო მეც მსურს, იმ დარდის სიმაღლე რითაც ხარ აღსავსე, რაშოუდა,
რაშოუდა, სულს სწადის სილაღე, სილაღე ჩვენს ქმნამდე რაც ჰქონდა, რაშოუდა,
რაშოუდა, ზიდილი სუყველა მამულის გამომხვრელს, რაშოუდა,
რაშოუდა, საქვეენო ფიქრი ხარ, რომ ვერვინ, რომ ვერვინ გახშობს და, რაშოუდა.
რაშოუდა, სირცხვილ არს, სირცხვილ არს, ყოველი ჩამუხლვა, რაშოუდა,
რაშოუდა, მოარულ სიკეთედ მოხველ და ისევე, ისევე, ისევე, მახვშობ და, რაშოუდა,
რაშოუდა, თითქოსდა სამყაროს შექმნის დღეს ესწრები, რაშოუდა.
რაშოუდა, წადილ ხარ ბედნიერ, ძერას შობ და წვას შობდა, ხსნას შობ და, ცას შობ და, რაშოუდა.
რაშოუდა, მიდრეკილ ავისგან ცხონდების უკუნით, რაშოუდა,
რაშოუდა, ძახილი შენი მდევს, შენი მდევს, დღემდე არ გამშორდა, რაშოუდა.

*ე. გვიმეგვილი*

## სიკვდილი არ არის საშიში...

ღირსეული მიცვალებული ერის სამომავლო გზის ნიშანსვეტია. ნიშანსვეტი, რადგან ის არის შუამავალი წუთისოფელსა და საუკუნო სოფელს შორის.

შენ იმ ურთულეს დროს მოგიწია მოღვაწეობა, როდესაც პარტოკრატიულ ინტერესებს ეწირება ერი და ოჯახური ბიუჯეტის თვალსაწიერიდან ფასდება მისი ბედი.

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ნამოღვაწარის შედეგს სიცოცხლეშივე იმკიან და არიან ადამიანები, რომელთა ნამოღვაწარიც გარდაცვალების შემდეგ ხდება ფართო მსჯელობის საგანი.

შენ დღეიდან ახალ სიცოცხლეს იწყებ, სიცოცხლეს, რომელმაც უნდა გაამთელოს «გაწყვეტილი კავშირი დროისა»

დღეს საოცარი სისწრაფით, სინათლის სიჩქარით იკარგება ქართული ცნობიერება. რანიც ვიყავით გუშინ, უკვე აღარ ვართ დღეს, რანიც ვართ დღეს, აღარ ვიქნებით ხვალ.

ეს საბედისწერო, თავბრუდამხვევი სიჩქარე იმის ნიშანია, რომ თუ ამ უსასრულო ვარდნაში არ გავჩერდით, წამით მაინც, წინსვლაზე ლაპარაკი ზედმეტია. სიცოცხლე მიჯნავს საზღვარს სიკეთესა და ბოროტებას შორის. რომ არა წარსული, რომ არა მის წიაღში ფესვის გადგმა, საყდართან მისასვლელი გზის მოძიება შეუძლებელია. დიდი ილიაც ხომ ამას ჩაგვაგონებდა: «ყოველი შენობის ქვაკუთხედი ძირიდან დაგებულა».

როგორც ადამიანი შედგება სხეულისა და სულისაგან, ასევე ერიც იმეორებს ადამიანის არსს. ის მთლიანობაში ერთი ორგანიზმია, მასაც გააჩნია თავისი ფიზიკური და სულიერი გეგმილი. მწერალი ერის არსებობას განიცდის ორივე ასპექტში. ამით განსხვავდება მისი თვალთახედვიდან აღქმული ერის ისტორია.

არა მხოლოდ მშრალი თარიღები და მშრალი მოვლენები, არამედ სისხლხორცეული განცდა დიდი წარსულისა.

მკითხველმა გულთბილად მიიღო თქვენი «გიორგი სააკაძის პიროვნება», «სული აღმაშენებელი», «ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა» და ისტორიული რომანი «ქართლოსის საფლავი».



წუთისოფლის თვალსამზიერზე არ მდგარხარ არასოდეს, კულისებში დგომას არჩევდი მუდამ. ქართველი საზოგადოების წინაშე შენი სიკვდილი აღიქმება სიმბოლოდ, უჩინარი სიცოცხლის ჩინებულებისა. ტრაგიკულ აღსასრულს სხვა ელფერს ანიჭებს საჯარო გულისდაწყვეტა, საჯარო გოდება, საჯარო შეცხადება.

კაცს, რომელიც გაურბოდი სცენას, სცენაზე მოგისწრო სიკვდილმა. ის ერთი საბედისწერო წამი, რითაც დაიმუხტა ოპერის თეატრი, მთელ გავლილ ცხოვრებას იტევს.

ამ წამითაც შეგვახსენე ყველას: აი, მე მივდივარ, გიტოვებთ იმ საქართველოს, რომელსაც მე, ჩემი სისხლით და ჩემი უღონო მხრებით ვინარჩუნებდი.

დარბაზში მყოფთა თვალებიდან არასოდეს არ ამოვა ეს დღე, საოცარი ცეცხლი ანაპერწკალდა ყველას გულში და იგრძნო ყველამ, რომ უღელი რომელიც შენ გედგა ქედზე, ყველას გადააბარეთ.

სამზეოს მზესთან შენი გამოთხოვება, შუაღამის დიდ მზესთან შეხვედრა იყო.

გეთხოვებით და თავს ვინუგეშებთ შემდეგი სიტყვებით: «სიკვდილი არ არის საშიში, რადგან როცა ჩვენ ვართ, ის აღარ არის, როცა ის არის, ჩვენ აღარ ვართ».

## პოეტის ერთი ლექსი

რამდენი ქარი დაღლილა როკვით,
გადათიბულა რამდენი ზეცა -
მე მაინც ვეძებ პატარა გოგოს
ატმის ფიფქების კაბა რომ ეცვა.
მის ნაფეხურებს ზამთარიც ფუნჯით
ხატავდა თოვლზე და მერე შლიდა,
ვთქვათ რომ მეპოვნა ჩემი საუნჯე
დავიძინებდი ნეტავი მშვიდად.
გავათენებდი ღამეებს შვებით?
არ გავიჩენდი ათას საზრუნავს
ფიქრები როგორც ყინულის მთები
ჩემს წასალეკად ისევ დაძრულან.
გადაიკარებს რამდენი წვიმა,
გადაეყრებათ ტირიფებს ნამი,
მე მაინც ვეძებ ვინც ერთხელ წინათ
შემომანათა სულ ერთი წამით.

**ომარ გვეტაძე**

**გიორგი ძიგვაშვილი**
(1916-1944)

რა სახელი დარქმევიათ, გმირებსა და მამაცებს,
რა სახელი დარქმევიათ, ჩვენი ქვეყნის ლამაზებს.
ტურფა იყო ტფილისისა, თუ გლეხქალი ქართლისა
ზოგსა ერქვა პირიმზისა, ზოგსა დილავარდისა.
ხან ფრესკაზე დახატული, ხანაც ოხვრა თარისა,
მზექალა და მზეხათუნი, მარიხი და მთვარისა.
და ვაჟკაცს კი ლხინში მჭექავს, გმირს თუ ყანის მომყვანსა
ირემა და ვეფხა ერქვა, ზვიადა და ლომკაცა.
ეს იმიტომ მამამ შვილი, ასე მიტომ მონათლა
რომ სახელთან თანშეზრდილი, ვერ გაძლებდა მონათა.
მტერთან ომს რომ დაიწყებდენ, მოკვდებოდნენ მარტონი
სახელს კი არ შეარცხვენდა, ამ სახელის პატრონი.

## თარგმანები

# ბელადი

*(ნ.კ. რერიხი)*

შვა ჩინგიზ-ხანი მამისაგან მოძულებულმა ცოლმა,
გახდა თვითონაც მოძულებული ხანი ჩინგიზი
და გადახვეწა მამამ შორეულ მამულში იგი.
მოიხმო ჩინგიზმა ირგვლივ მოძულენი სხვანი,
ბრიყვულ ცხოვრებას მიჰყო ხანმა ჩინგიზმა ხელი.
ხან ნადირობდა იარაღასხმული, ხან ერთობოდა
ხასებთან წასული,
და ხშირად სადღაც გადახვეწილი უგზო-უკვლოდ
იკარგებოდა ჩინგიზ.

* * *

აი, თითქოსდა გადათვრა ხანი,
ყოფნა-არყოფნის დიდ სანაძლეოს ჩამოდის ჩინგიზ,
რომ ვერასოდეს ვერ მიატოვებს ჩინგიზს ვერავინ.
მაშინ გამოთლის წივილა ისარს ხანი ჩინგიზი,
უბრძანებს მხლებლებს მიართვან ცხენი,
ამხედრებული მიჰყავს ყოველი რაზმელი მისი,
საკუთარ საქმეს დაადგას თავი - განზრახული აქვს
ჩინგიზს.
აი, ყაენი სტეპებში გადის,
უახლოვდება ხანი საკუთარ ჯოგებს,
მოულოდნელად სტყორცნის წივილა ისარს ხანი.
საუკეთესო მერანს მზეს დაუბნელებს ჩინგიზ.
საუკეთესო მერანს, რბოლის უძლეველ ფაშათს.
მოგეხსენებათ ალბათ, თათრისთვის რაა ცხენი.
მავანმა ბევრმა მისებრ ცხენის ვერ შეძლო მოკვლა,
მათ წააცალეს თავი.

* * *

უახლოვდება ჩინგიზი თავისი მამის ჯოგებს,
ესვრის წივილა ისრებს მამის საყვარელ ცხენებს.
სხვათა ისარიც, ყველა იგივე მიზანს ეძებს.
ასე გამოწვრთნის მეგობრებს ჩინგიზ.
ასე გამოცდის სანდო ხალხს ხანი.
არ უყვართ ხანი, მაგრამ შიში აქვს მისგან ყოველთ,
ჰაი, ჰაი, რომ ყოჩაღი იყო ძლიერ!

* * *

კვლავინდებურად მიდის ხანი ჩინგიზი სტეპში.
მოულოდნელად ისარს საკუთარ მეუღლეს სტყორცნის.
ყველა ვერ სტყორცნის მისებრ სიკვდილის მთესველ
ისრებს.
ვისაც შეუკრთა გული, მყისვე წააჭრეს თავი.
მეგობრებს ელდა ეცათ, ჩაუდგათ გულში შიში,
მაგრამ სუყველა შეკრა, სიკვდილის ფასის ფიცით
ჰაი, ჰაი! რა ყოჩაღი იყო ჩინგიზ...



**ნ. კ. რერიხი**

* * *

უცებ მეტს იწყებს ხანი,
სადგომში მამასთან მიდის.
თავის წივილა ისარს მამამისს ესვრის მტკიცედ.
ყველა დაახლის ისარს, არ დარღვეულა ფიცი.
თავისი ხალხის ხელით გადამდგარია ხანი,
და დიდი ურდოს ტახტზე ხანად დაჯდება ჩინგიზ.
აი! რა ყოჩაღი იყო იგი.

* * *

მეზობელი ტომები ბრაზდებოდნენ მასზე.
მასზე, ახალგაზრდაზე, გაყოყოჩდა ყველა
წარუგზავნეს ბრაზიანი ელჩი:
მოგვეც საუკეთესო ცხენთა ჯოგები,
იარაღი მოკაზმული მოგვეც!
თავს მდაბლად უკრავს მოძალადეს ხანი.
იხმო თათბირზე ჩინგიზმა თავისი ხალხი.
აყვირდა და ახმაურდა კრება:
მოითხოვენ: «განვუცხადოთ მეზობელ თემს ომი!»
ჩინგიზ ხანი უკან გზავნის ყველა თავის მრჩეველს,

თანაც დასძენს: «ცხენებისთვის არ ვარგია ომი.»
რაც ითხოვეს - გაუგზავნა, ყველაფერი გასცა.
ასეთი ეშმაკი იყო ჩინგიზ ხანი.

* * *

თავს გაუვიდათ ყველა მეზობელ თემთა ხანებს,
ითხოვენ: «გამოაგზავნოს ჩვენთან ყოველმა ხანმა ცოლი!»
აზმაურდა ყველა ჩინგიზ ხანის მრჩეველი,
რადგან ვერ თმობენ ცოლებს, იმუქრებიან ომით.
და კვლავ გაუშვა ჩინგიზ ხანმა ყველა მრჩეველი
და გაუგზავნა მოშურნეთ ყველა თავისი ცოლი,
ვერაგი იყო ჩინგიზ.
ძლიერმა სიამაყემ შეიპყრო მეზობელი თემის ხანები.
ლაჩრებს ეძახდნენ ჩინგიზ ხანის ხალხს.
ძლიერ გულსაკლავად ქირდავდნენ დიდი ურდოს წევრებს.
გათამამებულებმა გუშაგნი მოხსნეს თავიანთ საზღვრებს
და ეტრფოდნენ მეტად ახლად შეპყრობილ ცოლებს.
აჯირითებდნენ ხანები გამოტაცებულ ცხენებს,
და დიდი ურდოს გულში ბოღმა იკრებდა ძალას.
უეცრად ღამით წამოიმართა ჩინგიზ ხანი.
უბრძანა ურდოს მას გაჰყოლოდნენ კვალში.
ქორივით თავს დაატყდება მეზობელ თემის ხანებს
შეიპყრო მათი ურდო,
წაართვა იარაღი, ცხენები, განძი
და დაიბრუნა ყველა თავისი ცოლი,
ბევრი მათგანი ხელუხლებელი.
ჩინგიზის გამარჯვებას ადიდებდნენ მრჩევლები
და უფროს ვაჟიშვილს აქტაის, გაანდობს ჩინგიზ-ხანი:
«მოახერხე მტრის ბანაკში ხალხი გახდეს ამაყი,
მყისვე ბრიყვად გახდის ყველას სიამაყის სენი,
და მაშინღა იოლია აიყვანო ყველა.»
მთელი დიდი ურდო ადიდებდა ყაენს;
ოხ! რა ყოჩაღი იყო ჩინგიზ ხანი.



* * *

დაუდო ურდოს ჩინგიზ ხანმა მარადიული წესი:
«სხვისი ცოლის მოსურნეს - მოეკვეთოს თავი:
აუგის მთქმელს - მოეკვეთოს თავი;
ქონების გამომძალველს - მოეკვეთოს თავი;
მტერთან გადასულს - მოეკვეთოს თავი.»
ყველას დაუწესა ჩინგიზმა სასჯელი.
ყველგან გაბრწყინდა მალე ხანის სახელი.
ყველა მთავარს ეშინოდა ხანის:
როგორც არასდროს, დოვლათით ივსებოდა დიდი ურდო.
მრავალი ცოლი გაიჩინა ურდოში ყველამ,



ფარჩის სამოსელით შეიმოსა ბევრი.
ტკბილად ჭამდნენ და სვამდნენ,
ყოველთვის ყოჩაღი იყო ჩინგიზ ხანი.

* * *

შორს ჭვრეტდა ჩინგიზ ხანი.
მეგობრებს უბრძანა: შემოეგლიჯათ ფარჩა.
მდიდრული კვებით დაავადება გაეთამაშებინათ
დაე ხალხი ძველებურად სვამდეს რძეს.
დაე ატარებდეს ტყავის სამოსელს.
რათა არ განაზებულიყო დიდი ურდო.
ყოჩაღი გვყავდა ჩვენ ჩინგიზ ხანი!

* * *

ყოველთვის მზად იყო ბრძოლისთვის ურდო,
მოულოდნელად გაჰყავდა ურდო სტეპებში ჩინგიზს.
დაიპყრო ტაურმენის ყველა სტეპი.
მონგკულის ყველა უდაბნო აიღო.
მთელი ჩინეთი, ტიბეტი დაიპყრო.
კასპიის ზღვიდან წითელ ზღვამდე დაისაკუთრა მიწა
აი, ვინ იყო ჩინგიზ-ხანი-თემუჩინი!
დაატყვევა იასები, ობეზები და პოლოველები,
თორგბელები კოსოგორები, ხაზარები,
ალანები, იატვაგები დაამარცხა და განდევნა.
ოცდაათ ერს, ოცდაათ მთავარს
ხარკი გადაახდევინა და ბეგარა დაადო
ააოხრა მიწა რუსული, ემუქრებოდა კეისარს.
თემუჩინი-ჩენგიზ ხანი ასეთი ყოჩაღი იყო.

***თარგმნა თამაზ თავაძემ***

### რადიარდ კიპლინგი
### თუ...

თუ ძალგიძს დარჩე ძველებურად მშვიდი და
მტკიცე
და არ დაიბნე როცა თავგზა ებნევა ყველას,
თუ ძალგიძს სიმხნედ შემართებად და რწმენად
იქცე,
როცა შენს ირგვლივ მკვდარი არის შენდამი რწმენა.
თუ ძალგიძს მკაცრი მოთმინებით ელოდო ხვალეს,
ცრუს გაუტანელს არ მიაგო სიცრუე ავი,
მოძულეს შენსას მძულვარება შეუნდო მალე
და თან არც ქრისტედ არ აჩვენო არავის თავი.
თუ შეგიძლია სულში მარად ოცნება რეკდეს,
მაგრამ ოცნების არასოდეს არ გახდე მონად,
გამარჯვებას და დამარცხებას თანაბრად შეხვდე,
და ამ ორ თაღლითს მიეგებო ტოლად და სწორად.
თუ შეგიძლია აიტანო სიმართლე შენი
ბრბომ სულმდაბალმა ვით აქცია ხითხითის საგნად,
იხილო ერთ დღეს დანგრეული სიცოცხლის დღენი,
რასაც შესწირე და შენებას შეუდგე ახლად.
თუ შეგწევს ძალა მაგიდაზე დაყარო ჩალად,
რაც გაგაჩნია გიშოვია ოფლით და სისხლით,
წააგო წყნარად წაგებული ჩათვალო არად,
იშოვნო კვალად და სასწორზე შეაგდო რისკით.
თუ შეგწევს ძალა წარბი შეჭკრა მოთოკო გული,
მოუხმო ნერვებს გამაგრდე და ივარგო ასწილ,
ეს მაშინ როცა სულიერად დაღლილს და დაცლილს,
ნებისყოფადა გეუბნება წინ მეთქი, გასწი!
თუ შეგწევს ძალა ბრბოში იყო და დარჩე კაცად,
მეფეებს ახლდე და გახსოვდეს ყოველთვის ხალხი,
შენი ღირსება არ დაჰკარგო აროდეს არსად,
მტერ-მოყვარესთან პირდაპირი იყო და ლაღი.
თუ შეგწევს ძალა გაიაზრო ყოველი წუთი,
აზრით დატვირთო სამოცივე ფეხმარდი წამი,
მაშინ შენია შვილო ჩემო ეს მიწის ბურთი,
ადამიანიც მაშინ გქვია და გერქვას ამინ!

**თარგმნა მურმან ლებანიძემ**

### ომარ ხაიამი

საცოდავია ვისაც ტრფობის ჭირი და სნება,
არ განუცდია, არ ჰქონია ამისგან ვნება
ვისაც ამ ქვეყნად უცხოვრია უსიყვარულოდ,
მე ვცხოვრობდიო, მას ამის თქმის არა აქვს ნება.

**თარგმნა მაგალი თოდუამ**



### რაბინდრანატ თაგორი

ნუ დააყოვნებ, მოწყვიტე და ეგ ყვავილი
თან წარიტანე
არ დაიფურცლოს ქარისაგან მიწით აღგვილი.
მერე რა თუ შენს თაიგულს ვერ დაამშვენებს,
მოწყვიტე მაინც,
აგრძნობინე სატკივარი შენი ხელის შეხებისაგან
თუმცა სხვებივით ფეროვანი არაა იგი,
მოწყვიტე მაინც
და შენს ღვთაებას სხვებთან ერთად ესეც
შესწირე.

**თარგმნა თამაზ ჩხენკელმა**

# ერთ-არსებისა ერთისა

## ერთარსება
## 1. ერთარსების საკითხისათვის.

სამივე დიდ რელიგიაში - მოსეიზმი ანუ იუდაიზმი, ქრისტიანიზმი და მაჰმადიანიზმი, - ხუთი მთავარი და მტკიცე დებულებაა: 1. ღმერთის არსებობა, 2. ღმერთის ერთება, 3. ღმერთის განგება, 4. ქვეყნის შექმნა 5. გამოცხადება.

თეოლოგიის განვითარებაში ამ ხუთ დოგმას მიემატა კიდევ: 6. რწმენა მკვდრეთით აღდგომისა სამივე რელიგიაში და 7. სწავლა წმიდა სამების შესახებ ქრისტიანობაში მარტოდ. მაგრამ მაინც ეს ხუთი მთავარი დებულება სამივე რელიგიისათვის ძირითადი არისო, - ამბობს პროფ. ჰ. ვოლფსონი.

ღმერთის არსებობის საკითხში სამივე რელიგია სკეპტიციზმს, ათეიზმს, სტოიციზმს, ეპიკურეიანიზმს უარსა ჰყოფს და ჰგმობს.

ღმერთის ერთება (უარყოფა მრავალღმერთიანობისა, მხოლოობა ღმერთისა, ვითარცა შეუქმნელისა, ღმერთის თვითკმარობა და მარტივობა - სისადავე) ყველა სამივე რელიგიის მიერ არის აღიარებული, ოღონდ ქრისტიანობაში სამების რწმენის წარმოშობასთან ერთად და ისლამში ღმერთის ატრიბუტთა აღიარებით, ღმერთი მაინც განიხილება ვით მარტივი, სადა და ამით სამებისა და ატრიბუტთა რწმენა შეეგუება.

ღმრთეებრი განგებას სამივე რელიგია იზიარებს და ქვეყნის შექმნა მათ მიერ აღიარებულია, თუმცა მცირე სხვადასხვაობა შეხედულებაში ამის გამო მჟღავნდებოდა.

რელიგიათა ამ ხუთი მთავარი დებულების მიხედვით ვერ გამოირკვევა, თუ ვეფხისტყაოსანის ღმერთი რომელ აქ აღნიშნულ რელიგიას მიეკუთვნება, ამიტომ ვეფხისტყაოსანში უნდა მოიძებნოს ის განსხვავება, რომ-

ლითაც ეს რელიგიები ერთი მეორეს შორდებიან. ამიტომ პირველ რიგშივე «ერთ არსების» საკითხი უნდა გავარკვიოთ, რადგან სწორედ იგი არის უმთავრესი.

საოცარი მოვლენაა: ვეფხისტყაოსანის მკვლევართ თავი არ შეუწუხებიათ ჩაფიქრებოდნენ, თუ რატომ არის და რას ნიშნავს ვეფხისტყაოსანში «ერთ არსებისა ერთისა»!

ნეტარ ხსენებულთ და ნეტარ მყოფთ ამ ჩვენს მკვლევართ ეს ცნებანი «ერთ არსებისა ერთისა» არ განუსინჯავთ და არც განუმარტავთ: თუ რა არის ეს «**ერთ არსება**» და რა დამოკიდებულება აქვს მას «**ერთ**»-თან, რა ურთიერთობა შეიძლება იყოს «ერთ არსებისა» და «ერთი»-ს შორის.

***

ვახტანგ მეფე 1712 წელს ამ ცნებას «ერთ არსებისა ერთისა»-ს გამო ასეთ განცხადებას ბრძანებს -

«ერთარსებისაგან ერთი ხომ ქრისტე არის და ქრისტეს ეხვეწება და აქებს (:) ვისაც ციერნი ერთის წამისყოფით გმორჩილობსო (,) მე ბედს ნუ მიქცეო და ჩემს ცოლს შემყარეო (.) აბა ქრისტიანი ფილოსოფოსი საბოზვრად ქრისტეს როგორ შეახვეწებს (,) ხელი მოუმართეო».

ვახტანგ მეფეს «ერთ არსება» ესმის ვითარცა «წმიდა სამება», ხოლო « ერთი კი გაუგია ვით ქრისტე. ეს უკანასკნელი განმარტება მცდარად მიმაჩნია: «**ერთი**» აქ არ არის ქრისტე.

უეჭველია: ვახტანგ სჯულმდებელი ამ განმარტებისას ემყარება მეექვსე საეკლესიო ყრილობის დადგენილებას, რომელმაც 680 წელს გამოაცხადა -

"აღვიარებთ უფალსა ჩვენსა და ჭეშმარიტსა ღმერთისა იესო ქრისტეს **ერთისა**, მას წმიდისა და **ერთარსებისა სამებისაგანსა**..."

***

ქართველმა მეცნიერმა და პირველმა აკადემიკოსმა თეიმურაზ ბატონიშვილმა (1782-1846) თავის განმარტებაში მკაფიოდ და სავსებით გასაგებად ბრძანა -

«ერთ-არსება სამგვამოვანისა ღმერთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა არს. ერთ-არსება, ერთი ბუნება და ერთი ღმრთაება აქვს მას სამგვამოვანს ღმერთსა»-ო.

როგორც ცხადია: მან ცნებას «**ერთი**» გვერდი აუარა, ოღონდ «ერთ არსება» კი განმარტა, მაგრამ ეს განმარტებაც უყურადღებოდ დარჩა, ისე როგორც უყურადღებოდ მიატოვეს მკვლევარებმა მოსე ჯანაშვილის ნათქვამიც, მოსე ჯანაშვილმა ავთანდილი «ქრისტიანად» აღიარა - ავთანდილის «ქრისტიანობის» ამბავი ჩვენს მკვლევართ ალბათ სასაცილოდ არა ჰყოფნიდათ და მას დაცინვით გვერდს უვლიდნენ.

მოსე ჯანაშვილი თავის წერილში, რომელიც მან კრებულში «მოამბე» მოათავსა 1904 წელს, სათაურით: «თამარ მეფე და მისი ისტორიკოსნი», სხვათა შორის, ამბობდა -

«ქრისტიანი ავთანდილი იტყვის: ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვის მზიანისა ღამისად, ერთ არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად...

«ძველადვე მზე მიაჩნდათ ხატად ერთარსებისა: მამისაგან ძე იშობება და გამოვალს სული წმიდა, მზისაგან გამოდის სინათლე და იბადება სითბო».

აბა, ასე «აზირებულ» და «გასაოცარ» შეხედულებაზე ერთი წამით მაინც ფიქრს ვინ შეაჩერებდა! მით უმეტეს, რომ ისტორიკოს მოსე ჯანაშვილს ეს თავისი დებულება არ დაუსაბუთებია!

***

პროფ. ნიკო მარისათვის «ერთარსება» ყოფილა მაჰმადიანური ღმერთი, ალლაჰ! იგი ამბობს -

«პოეტი (რუსთაველი) არც ერთ ადგილზე არ ღალატობს თავის წარმოდგენას მუსულმანური ერთღმერთიანობის შესახებ, ესე იგი, ერთია ღმერთი, და არ არის ვინმე მის გარდა, იქაც კი, სადაც გამოდის თვითონ; მთელი პოემის სიგრძეზე არც ერთი ხსენება, არც ერთი აზრის გადაკვრა სამების შესახებ»-ო.

ჭეშმარიტებაა: ისლამში მხოლოდ ერთი ღმერთია და ერთღმერთიანობაა და მასში არავითარი ჰიპოსტასი, ანუ გვამი ანუ პირი არ არსებობს. ესაა დებულება ისლამის წმიდა წიგნში: ყურანი, ამას ასწავლიდა თვითონ მაჰმადი და საამისოდ გარკვევით და ცხადად არის ნაბრძანები -

ნუ იტყვით, ღმერთში არისო სამება. იგი არის ერთი. ეს რწმენა თქვენთვის უფრო გამოსადეგია. შორს იმისაგან, თითქოს მას (ღმერთს) შვილი ჰყავდეს: იგი მარტო განაგებს ცასა და ქვეყანას. იგი საკმაოა თავისი თავისათვის. (ყურანი 5,77). აქ არაფერი სასაცილო, ან სადავო არაა. მაჰმადის ღმერთი - ალლაჰ - არის ერთი და მას არავითარი «შვილი» არა ჰყავს, ესე იგი: მასში არავითარი ჰიპოსტასი არ არის.

მაგრამ ვეფხისტყაოსანის შაირში, სადაც **ერთი** არის მოხსენებული და იგი ღმერთს წარმოადგენს, - იქვე ნათქვამია, რომ ეს **ერთი,** ანუ ღმერთი არის **ერთ არსებისაო.** რა არის ეს **ერთ არსება?**

***

მაჰმადმა, რომლის შინაგანი ხილვა არ იყო განსაზღვრული ბერძნული აზროვნებით, - ამბობს ჰ. ა. რ. კლიბბ, - უარჰყო სავსებით ყველა ცნება ბუნებრივი კანონისა და წარმოადგინა მწყობრობის მომგვარებელი ძალა, ყოვლად ძლიერი ღმერთის პიროვნებით «ლა შარისა ლაჰუ», მხოლოო და განთავისუფლებული ყოველგვარი სხვა მონაწილესაგან, მოზიარესაგან. რომ ეს თვითონ მაჰმადისათვის იყო გადამწყვეტი, ეს გამოსჩანს იქიდან, რომ ყურანი უპირატესობას ანიჭებს «შირკ»-ის დაგმობას, - ესაა ცოდვა, როდესაც კაცს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ღმერთის მოზიარე არის რაიმე, ან ვინმე სხვა, და რომლის ერთადერთი სახე მარტო ქრისტიანული სამება არ არის. და იგი, მაჰმადი მართლაც ხედავდა, რადგან თუ ღმერთის მხოლოობა და არა-თანაზიარობა აღიარებული იქნებოდა, მაშინ ყოველი სხვაგვარი სახე კულტისა, მაგალითად: ვარსკვლავთა, თავისთავად ისპობოდაო.

ალლაჰს აქვს ერთება, იგი არის ერთი წინააღმდეგ ქრისტიანული სამებისა, სპარსული დუალიზმისა და აგრეთვე პოლითეიზმისაო - ამბობს პროფ. მ. ჰორტენ. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ «ერთარსება» არის უჰიპოსტასო ღმერთი - ერთი, ანუ უფრო გარკვევით: თუ «ერთარსება» არ შეიცავს სამ გვამოვნებას, ანუ სამ პირს, მაშინ «ერთარსება» ყოფილა ღმერთი - ერთი და არა სამებითი, ან ორებითი. ამის მიხედვით "ვეფხისტყაოსნის" ლექსი რას გვეუბნება?

მზეო, შენ ხარო ხატი ერთ არსებისა ერთისა, ანუ -

მზეო შენ ხარო ხატი ერთი არსებისა - ერთისა, ერთისა - ღმერთისა.

გამოსჩანს ასე: «ერთ არსება» ყოფილა ერთი ანუ ღმერთი, და ერთი ყოფილა «ღმერთი». მაშ, "ვეფხისტყაოსნის" ლექსი ასე უნდა გადაითარგმნოს, - მზეო, შენ ხარო ხატი ღმერთისა!

მაგრამ ერთი თეოლოგიური ცნება «ერთ-არსება» მეორე თეოლოგიურ ცნებასთან «ერთი» რაღაც შინაარსით მაინც უნდა განსხვავდებოდეს, როცა ჩვენ მათ გადაბმულ-დაკავშირებულად ვეცნობით. აი, ეს საკითხია გამოსარკვევი.

პავლე ინგოროყვა, პროფ. მარის მიხედვით და მის დაუსახელებლად გვასწავლის: ვეფხისტყაოსანში.

«არც ერთხელ არ არის აღნიშნული მისი სამსახეობა… ყველგან შეგნებულად არის დადუმებული ღვთაების ჰიპოსტასობა. ეს არის დამახასიათებელი იდეა შოთას რელიგიური მსოფლმხედველობისა»-ო.

«და მართლაც, - ადგენს საკითხს პ. ინგოროყვა, - რით უნდა აიხსნას ეს მოულოდნელი დეტალი: დაწყება პოემისა ღვთაების სახელით, მაგრამ სამების მოხსენების გარეშე»… ეს იმით აიხსნებაო, გვიხსნის პ. ინგოროყვა, რომ "ვეფხისტყაოსანის" დამწერი, შოთა რუსთაველი «ეკუთვნოდა მანის ფილოსოფიურ-რელიგიურ ორდენს, რომლის ერთ-ერთი მთავარი დოგმატი იყო უარყოფა ღვთაებაში ყოველგვარი ატრიბუტისა»-ო. ასეთი იყო დებულება პ. ინგოროყვასი. და ამავე საკითხზე ზ. ავალიშვილი ამბობს -

«რუსთაველი წმიდა სამებას არსად იხსენიებს; ეს ფაქტი ყოველთვის ცნობილი იყო, ხოლო არც მისი მაჰმადიანობის, არც ებრაელობის, ან კიდევ ნაკლებად მისი მანიქეველობის ნიშნად ჩაითვლება. სწორედ ეს მწვალებლობა (მანიქეიზმი) სამებას ცხადად არც კი უარჰყოფდა. თავდაცვის და ქრისტიანებში პროპაგანდის მიზნით, ზოგჯერ სამების ფორმულასაც ხმარობდა კიდეც, რასაკვირველია, არა ქრისტიანული შინაარსით და განმარტებით. მანის რელიგიაში მამაც არის, ძეც და სული იესოც და სახარებაც»-ო.

"ვეფხისტყაოსანის" მკვლევარი ზურაბ ავალიშვილიც ეხება სამების საკითხს და გვეუბნება -

რუსთაველისო «სამებაზედაც ისე, როგორც მუჰამედის აღსარებაზედ სდუმს მისი კალმის ხმა იმიტომ, რომ კერძო სარწმუნოებისაგან უკვე დამოუკიდებელია მისი პოეზია, და ადამიანობისაკენ არის მიმართული მისი თავისუფალი მუზა»-ო.

მაშასადამე: ზურაბ ავალაშვილიც ფიქრობს: არავითარ სამებაზე "ვეფხისტყაოსანში" ლაპარაკიც არ არისო, მაგრამ ასე არ ფიქრობს პროფ. მიხეილ წერეთელი და რათა დაამტკიცოს ის დებულება, თითქოს ვეფხისტყაოსანში სამება არისო, ვეფხისტყაოსნის გადაკეთებას შეუდგა.

პროფ. მიხ. წერეთელმა გამოაქვეყნა 1951 წ. სამი წერილი სათაურით: «ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი», რომელშიც იგი ამტკიცებს დასახელებული ისტორიის დამწერი და ვეფხისტყაოსნის შემთხზველი ერთი და იგივე პიროვნება არისო და ამის დასამტკიცებლად ორივე ნაწარმოების ადგილთა, წინადადებათა და სიტყვათა მსგავსება მოაქვს.

და აქ მ. წერეთელმა გამოგვიცხადა -

«ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად» წარყვნილია და იგი შესწორებას საჭიროებს, იგი აღდგენილ უნდა იქნასო! მ. წერეთელი სწერს -

«რუსთაველი ღრმა მორწმუნედ სჩანს და სამებასაც იხსენიებს: ვეფხისტყაოსნის ადგილი: «ჰე მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად» წარყვნილია და უნდა იქნეს აღდგენილი: «**მზიარისა სამისად**» (ერთარსებისა ერთისა და სხ.). მაშასადამე: ამ ძვირფას შაირში წარყვნილი ყოფილა გამოთქმა «**მზიანისა ღამისად**» და უნდა იყოს «**მზიარისა სამისად**». **მზიარი სამი** კი, იგულისხმება, არის წმიდა სამება.

***

ამგვარად უკანასკნელი ხანის ყველა ჩემთვის ცნობილი მკვლევარი, გარდა მ. წერეთლისა, რომლის შესწორება სრულიად უმართებულოა, ამბობს: ვეფხისტყაოსანში «სამება» არც მოიხსენიება და არც არსებობსო. და საერთოდ ეს შაირი ქრისტიანული არ არისო. მაშ დარჩნენ, ობლად ნეტარხსენებული მეფე ვახტანგ, თეიმურაზ ბატონიშვილი და მოსე ჯანაშვილი. (იქნებ სხვამაც ბრძანა, არ ვიცი). მაგრამ არც ასეა. აკად. პროფ. კორნელი კეკელიძე, რომელიც პ. ინგოროყვას ეკამათებოდა, ამბობს:

«მზე წარმოდგენილია არა ღმერთად, არამედ ხატად, ესე იგი, მის მსგავსებად. ამ შემთხვევაში გადმოცემულია იმ ღვთისმეტყველთა (ფილოსოფოსთა წინანი), აზრი, რომელნიც ღვთაების ერთ-ერთ სახედ მართლაც მზეს ხატავდნენ და ამით ამტკიცებდნენ მის სამპიროვნებას და სამგვამოვნებას: მზე თავისთავად ერთი რამ არის, მაგრამ ამავე დროს ის სამგვამოვანია: თვით დისკო მზისა (მატერია), სინათლე და სითბო. მაშასადამე: აქაც ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ჩვენი პოემისათვის არაა უცხო «ერთარსება სამების იდეა»-ო.

აკად. პროფ. კ. კეკელიძე კიდევ უფრო გარკვეულად ამბობდა:

«ტყუილია, რომ ვეფხისტყაოსანი არ ახსენებს **სამებას**; პოემაში ნათქვამია, რომ მზე ხატია «ერთარსებისა» ღვთისა (სტრ. 719); თეოლოგიურ ტერმინოლოგიაში «ერთარსება» (იმპლისიტე) გულისხმობს «სამებას», ისე მას არავითარი აზრი არა აქვს»-ო.

მაინც პროფ. კ. კეკელიძემ მკაფიოდ არ განმარტა, მას თუ როგორი «სამება» აქვს მხედველობაში, რადგან «სამება» თეოლოგიურ ფილოსოფიაში არსებობს, არა მარტო ქრისტიანულ თეოლოგიაში, არამედ ალექსანდრიისა და ათენის სკოლაშიც, ნეოპლატონიზმში. ოღონდ უეჭველია, კ. კეკელიძე ქრისტიანულ სამებას, წმიდა სამებას გულისხმობს.

***

თავის ნარკვევში: «რუსთაველის ჰუმანისტური მსოფლმხედველობის შესახებ» პროფ. ალ. ბარამიძე სწერს -

«საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ რუსთაველის ღმერთი არის «ერთარსება ერთი» შემოქმედი, აბსოლუტური კეთილი და გონიერი ძალა. ეს კეთილი ჰუმანური ღმერთი ადამიანებს ქომაგობს და მფარველობს მათს ამქვეყნიურს, მიწიერს, ოღონდ - რა თქმა უნდა - ზნეობიან საქმეებში»-ო.

სამწუხაროდ, ასეთი საბოლოო დასკვნა ნაკლულოვანია, მხოლოდ იმიტომ, რომ "ვეფხისტყაოსნის" კარგი მკვლევარი ალ. ბარამიძე მკითხველს არ განუმარტავს, თუ რას ნიშნავს ეს «ერთ-არსება ერთი», რომლის გაგება სწორედ ვეფხისტყაოსნის რელიგიური შეხედულების მეტად დახლართული კვანძის გამოხსნა იქნებოდა.

## 2. ერთისა

ჩვენ გავიცანით პლატონიზმისა და ნეოპლატონიზმის ცნება «ერთი». ეს ცნება მიღებული აქვს ქრისტიანულ ფილოსოფიურ თეოლოგიას, ამისი პირველი დამამუშავებელი და გამომთქმელი იყო დიონისე არეოპაგელი, რომელიც თავის თხზულებაში «საღმრთოთა სახელთათვის» ასწავლიდა -

ერთი არის სახიერება, ანუ კეთილობა, ანუ ღმერთი. როგორც კეთილი, იგი ერთი - ღმერთი, უხვად ანიჭებს ყოველ არსებას და ავრცელებს მათზე მონაწილეობას თავის სიკეთეთა მთლიანობაში, იგი სავსებით განსხვავდება მათგან და რჩება ერთი, მაგრამ ამასთანავე ერთებაში მრავლდება; იგი მრავალ სახეს ღებულობს ამ ერთებისაგან გამოუსვლელად. როდესაც ღმერთი, რომელიც არის ზეარსებითი, თავის არსებას სხვა არსებებს, ქმნილებებს უბოძებს და წარმოშობს ყველა არსს, - იტყვიან, - ეს არსება ერთი ღებულობს მრავალ სახესო (ფიგურას), რადგან იგი არსება ერთი წარმოქმნის თავის გარეშე არსებათა მრავლობას, ხოლო თვითონ კი, რჩება თავის თავისადმი იგივე და თანაბარი, რჩება თავის მასვეობაში (იგივეობაში), ერთი თავის გამრავლებაში, ერთადერთი თავის პროცესში, მთლიანი თავის განყოფაში, ზეარსებითი უზენაესობისა გამო ყველა არსების მიმართ; იგი ამ გამრავლებით და შექმნით თავის თავს არაფერს აკლებს, არაფერს ჰკარგავს "ვეფხისტყაოსანის" «უზადო ჰყოფს, არ აზადებს», ვთქვათ მეტიც: ეს არსება ერთი, რომელიც თავის ერთობას ანიჭებს ყველა ნაწილს და ყველა მთლიანობაში, ერთისა და მრავლობას, ეს არსება არის ერთი მხოლოდ ზეარსებითი სახით, რადგან თვითონ არ არის ნაწილი მრავლობისა და არც ნაწილთაგან შემდგარი მთლიანობა; ასე რომ ამ მხრივ, იგი არ არის არც ერთი და არც მონაწილეობს ერთობაში, არც ერთის თვისება გააჩნია, მაგრამ იგი მაინც არის ერთი, ყველა სახის გაღმა, ერთი ამ ერთების გადაღმა, მრავლობა უნაწილებოდ, ჭარბად სავსე, წარმომქმნელი, დაუსრულებელი და შემცველი თავის თავში ყველა ერთებისა და ყველა მრავლობისა. ეს ღმერთი არის სათავე, პრინციპი ღმრთეებისა, მეტი ვიდრე ღმრთეები, ზეარსებითი წესით - **ღმერთი ერთი**, განუყოფელი ყოველში, რაც განყოფას ღებულობს, უუნარო შეეზავოს, შეუერთდეს არსებათა მრავლობას, უუნარო განმრავლდეს მათ შორის.

**კორინთელთა** 8-6 არამედ ჩვენდა ერთ არს ღმერთი მამა, რომლისაგან არს ყოველი და ჩვენ მისა მიმართ, და ერთ არს უფალი იესო ქრისტე, რომლის მიერ ყოველი და ჩვენ მიერ...

თუმცა იოლი გასაგები არ არის, მაინც მსურს ამ ერთის შესახები ადგილი ეფრემ მცირეს თარგმანიდან (მე-11 საუკ.) ამოვწერო -

«ხოლო ერთ, რამეთუ ყოველთა შორის ერთსახეობით არს ერთითა მის ერთობისა ზეშთაალმატებულებითა და ყოველთავე ერთისა გამოუვალობისა მიზეზ არს, რამეთუ არარაჲ არსთაგანი მიუღებელ ერთისა, არამედ ვითარცა ყოველი რიცხვი, ერთისაგან მიიღების... და თვინიერ ერთისა ვერ არს სიმრავლე, ხოლო თვინიერ სიმრავლისა არს ერთი, ვითარცა - იგი ერთობაჲ უპირატეს არს პირველ ყოვლისა რიცხვისა განმრავლებულისა და უკუეთუ ვინმე ყოვლისა ყოველთა შეერთებულებაჲ დადვას, ყოველივე იყოს ყოვლად ერთ».

აი, ეს **ერთი არის** ვეფხისტყაოსნის ღმერთი - **ერთი**, ოღონდ ამასთანავე იგი არის **სამება**:

- და ერთ არს ღმერთი მამაჲ და ერთ უფალი იესუ ქრისტე და ერთ თვით სული წმიდაჲ ზეშთა - გარდამეტელითა მით ყოვლისა ღმრთეებისა ერთობისა განუყოფლობითა, რომელთა შორის ყოველი ერთობითად შემოკრებულ არს და უფროჲსად შეერთებულ არს და პირველითგან არს იგი ზეშთაარსებისა»-ო, - ამბობს იგივე დიონისე.

გავერკვეთ ამ სამების საკითხშიც.

## 3. სამება წარმართულ რელიგიებში

საერთოდ რომ აღინიშნოს, სამება ყველგან იყო აღიარებული ქვეყნის წარმოშობის საქმეში და ამ სამებას ყველგან ვხვდებით, დაწყებული ბაბილონური სამებიდან (ტიამატ, აპსუ, მუმმუ) და სკანდინავიიდან (ოდინ, ვილი, ვე, ან ოდინ, ჰომინერ ლოკი) და გათავებული ჰავაის კუნძულებით (კანე, კუ, ლონო), წყნარ ოკეანეშიო, - ამბობს პიერ გორდონ ქვეყნის დაბადების საქმეში, ისრაელთა იაჰვე-ში ერთი წარმოთქვამს სიტყვას, მეორე - აღასრულებს მას და მესამე - თავმჯდომარეობს წარმართვასო, - განმარტავს პიერ გორდონ.

სამების იდეა, - ამბობს ი. კროლი, - არის ძველთა ძველი და იგი დამკვიდრებულია არა მარტო ქრისტიანობაში, არამედ ძველ სარწმუნოებრივ სხვა და სხვა სწავლაშიო. ჯერ კიდევ ბაბილონურ მნათობთა რელიგიაში ცნობილი არის სამება და «ორაკულა ხალდეიკა»-შიც (ქალდეველთა მოგვობაშიც), სადაც სამება არის: 1. მამა, 2. დინამის (ძალი) და 3. ნუს (გონება, სული გონიერი) და ბაბელგნოსტიკოსთა შორისაც სამება არსებობს: 1. მამა ღმერთი, 2. ბარბელო-ღმერთი, და 3. კაცი-ღმერთი. ვალენტინიანთა მოძღვრებითაც არსებობს სამი ღმრთეება: 1. მამა, 2. ალათეია (ჭეშმარიტება), 3. კაცი. «ჰერმეს ტრისმეგისტოს»-შიც არის სამება: 1. მამა, 2. ლოგოს (სიტყვა) და პნევმა (სული, გონება). **მანიქეიზმ**-საც აქვს თავისი სამება: 1. მამა (პატერ ტოფ მეგეთოს), 2. დედა (მეტერ ტეს ზოეს) და 3. კაცი.

ამგვარადვე უძველეს საქართველოშიც, მოულოდნელად და შემთხვევით მიღებულ ვ.ვ. ბარდაველიძის ჩინებულ წიგნში ქართველ ტომთა უძველესი სარწმუნოების შესახებ, ავტორს ნათქვამი აქვს -

აღმოსავლეთ ქართველ მთიელთა რწმენით, «მათ ჰყავდათ ორგვარი ღმრთეები: დიდნი, ანუ უფროსნი და ადგილობრივნი. დიდ, ანუ უფროს ღმერთებად ითაყვანებოდნენ: ღმერთი, ანუ მორიგე ღმერთი, ღმერთიდიაცი მზე, მზექალი ანუ დღეისელი», და კვირია - ეს სამი ღმრთეები - ამბობს ვ.ვ. ბარდაველიძის ასული, - შეადგენენ სამებას (ტრიადას) და პანთეონში მათ პირველი ადგილი უკავიათ-ო.

## 4. სამების საკითხი ფილოსოფიაში

პირველ და მეორე საუკუნის პლატონიანნი, როგორც მაგალითად ფილო ალექსანდრიელი, ალკინოეს და სხვანიც სამებას ეძებდნენ; აგრეთვე პლოტინოსიც ამ სამებას ხედავდა ანაკსაგორას, ჰერაკლიტეს, ემპედოკლეს და არისტოტელეს სწავლაში. პროკლოსი სამე-

ბას პოულობს პლატონთან: 1. მამა, 2. ძალი, 3. გონება. იგივე პროკლოსი სამებას ხედავს სოკრატესის სწავლაში: 1. სრული, 2. უსრული, 3. შერეული.

ასე შორს უხამსობა ეკლექტიციზმში არასოდეს არ წასულაო, - ამბობს ამის გამო პროფ. ე. სიმონ: რამეთუ არც ერთ აქ დასახელებულ ფილოსოფოსს არავითარი სამება წარმოდგენილი არა ჰქონია, თუმცა წმიდა მამანიც ეძებდნენ მათ შორის სამებასო და დაასკვნის, საჭიროა უარყოფილ იქმნას ძებნა სამებისა ბერძნულ ფილოსოფიაში ნეოპლატონიზმამდეო.

***

ფილო ალექსანდრიელის ფილოსოფიაში არის: 1. ღმერთი, 2. ლოგოს და 3. სული. ოღონდ ესენი არ არიან სამნი პირნი ერთი და იგივე ბუნებისა, არამედ უბრალოდ სამი პრინციპი, უთანასწორო მათი ბუნებით და უთანასწორო მათი ღირსებით, რომელთა შორის მხოლოდ ღმერთი არის პირველი.

და პირველი დამცველი ქრისტიანობისა წმიდა მამა იუსტინე ამაზე შორს არ წასულა, იგი ამბობს: ჩვენთვის ძე ჭეშმარიტი ღმერთისა არისო მეორე რიგში და წინასწარმეტყველური სული კი მესამე რიგში. ჯერ კიდევ შორს იყო ქრისტიანული აზროვნება წმიდა სამების დოგმისაგან.

ნეოპლატონიზმმა, როგორც იგი დამკვიდრდა - ამბობს პროფ. ვაშრო, - გაანამდვილა უძლიერესი შეზავებით კავშირი ბერძნული ფილოსოფიის ყველა პრინციპისა. ამ ფართო გაერთიანებაში იმყოფებოდნენ: პერიპატეტიზმი (არისტოტელიზმი), სტოიციზმი, შესანიშნავად შეთხზული პლატონიზმთან; სამება ალექსანდრიული ერთბაშად შეიცავდა პლატონის ღმერთს, არისტოტელესის ღმერთს და სტოელთა ღმერთს, და მათ თავის უმაღლეს აზროვნებაში ყველა თეოლოგიის სკოლათა და ტაძართა უმაღლეს აზრს სახეს აძლევდაო.

## 5. ნეოპლატონური სამება

აქვე, წინ ჩვენ უკვე გავიცანით პლოტინოსის მიერ წარმოდგენილი სამება: 1. ერთი, 2. გონება, და 3. სული. ერთი-ღმერთი არის წარმომქმნელი; მან წარმოქმნა გონება, გონებამ წარმოქმნა სული; სულმა - მსოფლიო.

პროკლოსი პლოტინოსის სამებას: 1. ერთი, 2. გონება, და 3. სული კიდევ უფრო განავითარებს და მისგან ურიცხვ სამებას ღებულობს.

პროკლოსის სამება არის 1. სახიერება, 2. მნებელობა, 3. განგებულება, ან მეორენაირად: 1. სახიერება, 2. სიბრძნე, და 3. შვენიერება. თითოეული ამ სამეულთაგანი მრავლდება და ხდება ცალკეულ სამებად.

ღმრთეების პირველი სამების შემდეგ დაუყოვნებლივ მოდის: არსი გონებრივი, არსება თავის თავში, ანუ თვითარსება, პირველი, უსრულოვანესი, უსუფთავესი ხატი ღმერთისა. არსი გონებრივი, ვითარცა ერთის გამოცხადება ჩამორიგდება: პირველ რიგზე არის თვითარსი; მეორეზე - სიცოცხლე; მესამეზე - გონება. ამათგან თითოეული წარმოადგენს აგრეთვე სამებას: 1. არსება, 2. სიცოცხლე, და 3. გონება. არსების სამებაში სიცოცხლე, გონებაზე უფროსი პრინციპი, არის დასრულებადი, სრული, გონება არის დაუსრულებადი, უსრული; არსება არის შენარევი, შეთხზული; სიცოცხლის სამებაში არსება სრული არის, გონება - უსრული, სიცოცხლე - შეთხზული; გონების სამებაში არსება არის სრული, სიცოცხლე არის უსრული, გონება არის შეთხზული; ამგვარად, არსება, სიცოცხლე, გონება არიან პრინციპნი გონიერების ყველა ბუნებისა და იმყოფებიან გონივრობის მსოფლიოში ყველგან, განუსაზღვრელი სხვადასხვაობით. ისინი ჰქმნიან არა მარტო სამებას, რომელიც არსთა, სიცოცხლეთა და გონებათა თავშია, არამედ თვითოეულ არსს, თვითოეულ სიცოცხლეს, თვითოეულ გონებას შეადგენენ, რის შედეგადაც გვეძლევიან განუსაზღვრელნი რიცხვნი სამებათა.

ჩვენ არ მოგვაქვს პროკლოსის გასაკვირველი ანალიზი **დემიურგოსის** ბუნებისა, - ამბობს პრ. ჟ. სიმონ - რათა პროკლოსის ფილოსოფიაზე ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ; შეუძლებელია ამოწუროთ მისი განყოფანი, დანაწილებანი, დაჯგუფებანი, - საჭირო იქნებოდა მაშინ ყველა მისი ნაწერის თარგმნაო. ამიტომ აღარ მოვიხსენიებთ **დიმიურგოსის** სამების ქვემო დანაწილებასო, თუმცა ყველა მისი განყოფა ერთი მეორეში შედის, საიდანაც მათ ერთში მიიყვანს, რომელიც პროკლოსის ეკლექტიზმის იარაღი არისო.

***

ერთება მხოლოო ღმერთისა სამი ჰიპოსტასით - აი ეს არის ზოგადი მსგავსება პლოტინოსისა და ქრისტიანულ სამებას შორის. ოღონდ პლოტინოსის ღმერთის თვითეული პირი-ჰიპოსტასი ძირითადად განირჩევა ქრისტიანული ჰიპოსტატისაგან და არა ნაკლებია მათ შორის წინააღმდეგობა, როდესაც არა თვით პირთ, არამედ მათ ურთიერთ დამოკიდებულებას თუ განვიხილავთ.

ქრისტიანულ სამებაში: მამა, ძე და სული წმიდა ერთმანეთს იცნობენ და მათ ერთმანეთი უყვართ. მამას უყვარს ძე, ძეს - მამა; სული წმიდა იცნობს მამას და ძეს და მათ უყვართ ერთმანეთი. პლოტინოსის სამებაში, პირიქით, თვითეული ჰიპოსტასი იცნობს და მას უყვარს მხოლოდ მის წინ მყოფი ჰიპოსტასი და სრულიად უცხო არის და გულგრილი მომდევნო უმდარეს ჰიპოსტასისადმი. ერთი, რომლის ზემოდ არაფერია არ იცნობს და არც უყვარს არაფერი და პლოტინოსი შიშით ამბობს: მას ერთს - ღმერთს თავისი თავი უყვარს და მხოლოდ თავის თავსა იცნობსო.

თავის თავად ცხადია, არც ქრისტე - ლოგოსის განკაცებაზე შეიძლება ლაპარაკი ნეოპლატონიზმში.

პლოტინოსის სამება: ერთი, გონება, და მსოფლიო სული შეიცავს, როგორც ითქვა, სამ ჰიპოსტასს, რომელიც არის მხოლოდ თანაარსი «კონსუბსტანციელ», «ომოოუსიოს», - ეს ნეოპლატონური სამება, - ამბობს ვლ. ლოსსკი, - ქრისტიანულ სამებამდე ვერ აღწევს. ნეოპლატონიზმში სამება ქვეითდება, მისი ჰიერარქია ზემოდან ქვემოთ ჩამოდის და ნამდვილდება იგი მუდმივი გამოვლენებით, წარმოქმნით; ერთი მეორეში გადადის, მეორე - მესამეში და ურთიერთს გამოსახავს.

ქრისტიანულმა ეკლესიამ გამოსთქვა თანაარსით, «ომოოუსიოს», «კონსუბსტანციით» სამისა, ერთიგივეობა იდუმალი მონადისა და ტრიადისა (ერთისა და სამისა); ერთიგივეობა ერთსა და იმავე დროს ბუნებისა ერთისა და სამი ჰიპოსტატისა-ო.

ასეთი არის არსებითად განსხვავება ნეოპლატონური და ქრისტიანული სამებისა, რასაც ჩვენ ქვემოთ კიდევ შევხვდებით.

*ვიქტორ ნოზაძე*

# ბუმბერაზი ადამიანები

*მეჭიდავება მრავალთავა უძღები დევი*
*ბანჯგვლიან ტორში მოიმწყვდია ჩემი დღეობა,*
*დამიუძლურდა გრძელ ღამეში ძილით სხეული,*
*მაინც ჯინაზე ამირანის მაქვს გამძლეობა.*

*დავზრდი ავაზებს კვლავაც ქართულ იავნანათი,*
*ერის სიცოცხლეს აზიდავენ მოქნილ სხეულით.*
*თავისუფლებას შეაწევენ მრავალჟამიერს,*
*ეცოდინებათ სიყვარული გამორჩეული.*

თინათინ მირზიაშვილი

> **"ყველაფერი პოლიტიკაა, ადამიანები ყოველთვის იქნებიან ისეთები, როგორებადაც მათ სახელმწიფო აყალიბებს."**
>
> **ჟ. ჟ. რუსო**

არიან ადამიანები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ერისა თუ კაცობრიობის ისტორიაში. მათ დიდებაზე მეტყველებენ ლიტერატურის, ხელოვნებისა თუ ხუროთმოძღვრების ძეგლები და ყოველწამიერად შეახსენებენ თავიანთ შემომქმედებს შთამომავლობას.

მაგრამ მათ გვერდით მეორე კატეგორიის ადამიანებიც არსებობენ. ისინი ადამიანური სულისა და გონის უხილავი მოქანდაკეები არიან. ეროვნული ფესვებიდან ნაჟური სიბრძნით ქმნიან ახალ ძალას აზროვნებისა და აძლიერებენ ერის იმუნიტეტს, რაც ქვეყანას ჭირში გამძლეობას და ლხინში შემოქმედებით ძალას უნარჩუნებს. ამ იმუნიტეტს კი მხოლოდ ერთი ხერხით თუ შეებრძოლება მოვნე. ეს არის ეროვნული ცნობიერების დაბინდვა, დაქვეითება, მისი გარყვნა და დაბინძურება.

თუ პიროვნებასთან ეს გარემოების ზემოქმედებაა, ერთან და ერის ცნობიერებასთან ბრძოლა მხოლოდ იდეოლოგიით ხდება.

შენ გაიძულებენ იმ ფორმაში არსებობას, რომელიც დაგიკანონეს და არ გაძლევენ საშუალებას გათავისუფლდე უსაშინლესი გარსისაგან.

ამ დროს მამულიშვილები, ერის ჭირისუფალნი კლდედ აღუდგებიან ხოლმე ამ უსახურებას და ეროვნული ცნობიერების გადარჩენით კიდევ ერთ ქვაკუთხედს დებენ სამომავლო იმუნიტეტში.

დროა სათქმელმა თავად მოძებნოს გზა მკითხველის გულისკენ მიმავალი და ამცნოს მას, რომ საუბარი ჭაბუა ამირეჯიბის «გორა მბორგალს» ეხება.

კითხულობ ამ საოცარ წიგნს და გრძნობ: სატუსაღო, სადაც ათასობით ადამიანი ეწამება, გაწვდის ჯუნგლების კანონს. ამგვარ სინამდვილესთან შეგუება უდრის ადამიანის სიკვდილს. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს ისიც, თუ ვით გადაიზარდა გორას გაქცევა გარღვევაში.

მიდის გორა შუაგულ ტაიგაში და ეხლება უზარმაზარი განსაცდელი, როგორც პურგა.

«დათა თუთაშხიაში» ნაჩვენებია კაციჭამია ვირთხების გამოყვანის წესი, რაც «გორა მბორგალში» ერის განადგურების იდეოლოგიურ იარაღად გარდაისახება. ერთმანეთის ჭამაში ერის ცნობიერება, ერის ძალა, ვაი, რომ მართლაც გადაშენების პირას მივიყვანეთ. მაგრამ ფხიზლობენ ერისკაცები. მათი თავისუფალი და უშეღავათო აზროვნება ბრძოლას უცხადებს იდეოლოგიურ საშინელ მანქანას და მწამს, რომ როგორც წარსულში, ისე აწმყოშიც ეს ბრძოლა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე გაიმარჯვებს.

პაპა გორას მსგავსი პაპები გონების, თავისუფალი ნების გადარჩენისთვის იბრძვიან. წარსულის არდავიწყება მომავალს გვინაღდებს და ბრძოლის განუმეორებელ პანორამას ქმნის. ვინ არ იცის დღეს, რომ იმპერიული აზროვნების ყველაზე მზაკვრული იარაღი ერების ცნობიერების დეგრადაციაა. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ფრანგებისგან ვუდუს ტომის განუმეორებელი, ტირანული ჩაგვრა.

მაგრამ ამ ერისკაცებმა ერს ასწავლეს თავისუფლების ექსტაზი და თითქმის ცარიელი ხელებით მრავალგზის დაამარცხეს მტერი ამ სისხლიან ომში.

ერების ასიმილირება ადამიანების ზომბირებაა. გონებაგადაგვარებული ადამიანები დღეს ამ ზომბის საშინელებას ვერ ხედავენ და მონური ყოფის მაძღარ ცხოვრებას მისტირიან.

გორა ერის წარსული და მომავალია. აწმყო მისთვის მხოლოდ ბრძოლის ველია. განუმეორებელია იმპერიის დამარცხების ფინალი. მიტილენიჩი გამოფხიზლდა, მოხდა მისი ფესვებთან დაბრუნება. უდედმამო და უსამშობლო კაცი სამშობლოს პოვნით ერთდროულად პოულობს დედასაც და მამასაც.

ამ გადასახედიდან მან თავისუფლებისთვის მებრძოლი კაცის გმირობა აღიქვა უკვე არა როგორც იმპერიის მსახურმა, არამედ როგორც უფლის ქმნილებამ, მარადიული კაცობრიობის ნაწილმა და ტაიგაში გავლილი ორი ათას კილომეტრიანი მონაკვეთი თავის სიდიდედ აღიქვა.

და აჰა, ფინალიც იგივეს მეტყველებს. კორიდას მისტერია, სისხლის წყურვილის ექსტაზი, ბრძოლა და სიფხიზლე, სიფხიზლე და უშეღავათო ბრძოლა, აი, საქართველოვ შენი კორიდა!

მართალია, ხარის მძორი გაათრიეს, მაგრამ ბრძოლის იდეა რჩება. და რჩება საბედისწერო კითხვა, ამ ბრძოლაში ჩაბმული საქართველო «ხარია თუ ვესპადა?»

თუ დიდ ესპანელ პოეტს ფედერიკო გარსია ლორკასაც დავესესხებით, რომ «ყველა მოკლულ ხარში ქალწულის ჩონჩხი ჭვივის», ვიგრძნობთ, მთავარია ექსტაზი, «დუენდე», რომელიც მარადისობის იქითა მხარის იდუმალი გზებით შემოდის სულში და სინათლით გვავსებს შინაგანი მზე «დუენდე». ამ დიდ საიდუმლოს გვაზიარა უპირველესად დიდმა მწერალმა.

ასეთი შთაგონებული ნათელი სჭირდება მკითხველს, სწორუპოვარი ნაწარმოების «გორა მბორგალის» მკითხველს!

შემოგთავაზებთ ეპიზოდს «გორა მბორგალიდან» და რა დასანანია, რომ «დათა თუთაშხიასა» და «გორა მბორგალის» ავტორს კაცობრიობის უმაღლესი მნიშვნელობის ლიტერატურული პრემია არა აქვს მიღებული და სხვადასხვა ენებით გამიჯნულ კაცობრიობას დათა თუთაშხია და პაპა გორა საკუთარი სიცოცხლის ნაწილად ვერ აღუქვია. ეჰ! რას იზამ, მძიმე ტვირთია, როცა ადამიანი დრო-ჟამს ათასწლეულით უსწრებ, ან ისეთ გმირობას ჩაიდენ, რომელსაც მხოლოდ მომავლის თვალი დაინახავს.



ფრაგმენტი წიგნიდან "გორა მბორგალი"

"ორმოცდამერვე დღეა, ვიაროთ, გორავ... სუსტად ვარ, მიჭირს... შე კაი კაცო, ამ პირობებში ამდენი ასეული კილომეტრი გამოიარე, იავადმყოფე და, სუსტადა ვარო!.. კარგი, როგორც არის!.. ჩანძოლინი რაღამ მომაჩვენა, რას უნდა ნიშნავდეს?.. განვაგრძოთ ფიქრი და მოგონებები?.. სხვა რა საქმე გვაქვს?..

ეხლა უმცროსი პაპის ნაამბობები ვთქვათ. ბათუმში ნიკო ნაკაშიძე ყოფილა, საკმაოდ დიდი მამულების პატრონი, ქეიფებს, ბანქოს თამაშს, ნადირობას, დუელებსა და ქალებს გადაყოლილი, ნაღდი მეცხრამეტე საუკუნის თავადი - ღვინო, დუდუკი, ქალები! მისი მეუღლე სამეგრელოს და აფხაზეთის ბოლო მთავართა შვილიშვილი გახლდათ. უამრავი შვილის პატრონნი იყვნენ, უმეტესად გოგოებისა, მაგრამ ბატონ ნიკოს დარდი არაფრისა ჰქონდა, იმდენად არაფრისა, რომ თავშეკავებისა არა იცოდა რა. ასე იცხოვრა ორმოცი წლის ასაკამდე. მერე რა დაემართა, ამისა ვერავინ ვერაფერი გაიგო - ჯერ ვეგეტარიანობას მიჰყვა და მერე ტოლსტოის მოძღვრებასაც ეზიარა. პაპაჩემი მიხეილის სიტყვით, სიკვდილამდე ბოსტნეულისა და მაწვნის მეტი აღარაფერი უჭამია. ბატონი ნიკო ნეგოციანტობას შეუდგა, ამით მამა-პაპის დატოვებული ქონება, რომელიც მან თავისი უკუღმართობით გაფლანგა, მოკლე ხანში აღადგინა, ქართველთა შორის ერთ-ერთი დიდი მრეწველი, ბითუმად მოვაჭრე და პირველი გილდიის სოვდაგარი გახდა. ისიც უნდა ითქვას, რომ მისმა გამდიდრებამ არალეგალურ პოლიტიკურ პარტიებს საგრძნობი შვება მისცა - თავადი ფულად დახმარებას უწევდა ყველას, ვისი პროგრამაც თვითმპყრობელობის დამხობას შეიცავდა და მისი ასეთი მიდრეკილება საიდუმლო პოლიციასაც კარგად მოეხსენებოდა. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ უკვე ორმოცდაათი წლისას ასეთი რამ შეემთხვა:

მის ოჯახში ერთობ ხშირად სტუმრობდა ბათუმის გიმნაზიის ინსპექტორი, ვინმე სტარჩინსკი თუ ველჩინსკი... იმ მამაძაღლისა კი არა, ამ ქრისტეს ტირილში ლამის საკუთარი გვარი დამავიწყდეს... დიახ, და ის სტარჩინსკი თუ ველჩინსკი... რა გვარისა იყო, კაცო?!. დასწყევლოს ღმერთმა, ინსპექტორი სთქვი და ეგ არის!.. ჰო აი, ის ინსპექტორი, თურმე ნუ იტყვი, პოლიციასთან ახლო "დამოკიდებულებაში" ბრძანებულა და შენიშნა, რომ ნაკაშიძეებს შინ ვიღაც ისეთი კაცი ჰყავთ, რომელსაც - სხვა მიმსვლელ-მომსვლელი რა სათქმელია - გაშინაურებულ სტუმარსაც კი უმალავენ. ერთხელ, როგორღაც მოხდა, ველჩინსკიმ იმ უცხო კაცს თვალი მოჰკრა, სახით დაიხსომა და პოლიციაში ძებნილთა სურათების დათვალიერების შედეგად დარწმუნდა, რომ ნაკაშიძეების სახლს ცნობილი რევოლუციონერი აფარებდა თავს. პოლიციამ ნაკაშიძის სახლს ჩხრეკა ვერ აკადრა, თვალთვალი დაუნიშნა, მაგრამ ამან სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. მაშინ ინსპექტორმა დავალება მიიღო, იმ ოჯახში უფრო ხშირად ევლო და თვალყური მეტი რუდუნებით განეგრძო. ლაქიებმა ველჩინსკის ცნობისმოყვარეობა შენიშნეს, ქალბატონს აცნობეს, - ასეა და ასეო! ოჯახმა ეჭვი უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგან ისე ჩანდა, რომ ინსპექტორის მოხშირებული სტუმრობა ნაკაშიძეთა ერთ-ერთი ქალიშვილის მიმართ საგანგებო ინტერესით იყო გამოწვეული. სიძეობას მოწყურებული კაცი ცოლად განზრახული ქალიშვილის ოჯახს ხიფათში ჩააგდებდა? ესაც ნუ იქნება, ინსპექტორი, როგორც თითქმის ყველა იმდროინდელი ინტელიგენტი, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ განწყობილ ადამიანად იყო მიჩნეული და არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ კაცს როგორ დააბეზღებდა?!. ერთი სიტყვით, ნდობამ ინსპექტორს დროთა განმავლობაში შესაძლებლობა მისცა ნაკაშიძეების სახლში, ადრე შენიშნულის გარდა, სხვა დევნილის ყოფნაც დაეფიქსირებინა. ყოველივე ამის შედეგად თავადი ნიკო ნაკაშიძე საიდუმლო პოლიციაში მიიწვიეს, ბრალდება წარუდგინეს და, რაღა თქმა უნდა, ყველაფერზე ცივი უარი მიიღეს. პოლიცია თავისაზე დადგა. არც თავადი ნიკო იყო ის ჩიტი, რაიმე დაეთმო. საქმე ჩიხში მოექცა, ნაკაშიძემ დაპირისპირება მოითხოვა. პოლიცია მოტყუვდა, დაჰყვა და, აკი, ბატონი ინსპექტორი გამოუყვანეს. გამოუყვანეს და პირზეც დაადგა, - თქვენთან ესა და ეს კაცები მყავს ნანახი, იმპერატორის მტრები არიან და თქვენც მისი მტერი ხართო!.. ნაკაშიძემ მშვიდად მიუგო, - პროვოკატორის უხამსი პირით მისი უდიდებულესობის ხსენებას ჩემს პირად შეურაცხყოფად ვთვლიო!.. ხანჯალი დაიძრო და ინსპექტორს მუცელში ატაკა...

თავადმა ნიკომ ციხეში რომ კაი ხანს იყურყუტა, ეს ვიცი - თავი როგორ დააღწია, აღარ მახსოვს. ეს შემთხვევა ტრივიალურია, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ნაკაშიძე ტოლსტოის მოძღვრების მიმდევარი იყო, რაიც მისგან ბოროტების მიმართ მიმტევებლობას თუ არა, წინაღუდგომლობას მაინც მოითხოვდა. ეს კაცი მწერს არ დაადგამდა ფეხს, ინსპექტორს კი ხანჯალი გაუყარა! ტოლსტოის მოძღვრების თავისებური გაგება მან სხვა მაგალითებითაც მრავალგზის დაადასტურა.

საქართველოს ანექსიის შემდეგ, ოციანი წლების მიწურულს, ნიკო ნაკაშიძე ბათუმის გეპეუს უფროსმა დაიბარა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. მათ შორის: მისი ერთადერთი ძე - მეშვიდე შვილი, ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, ინგლისში უმაღლესი განათლების მისაღებად წავიდა. ამასობაში გასაბჭოება მოხდა, ვაჟი აღარ დაბრუნდა. დედ-მამასა და ვაჟს მიწერ-მოწერა ჰქონდათ. ალბათ ამის გარშემო საუბარი თუ ენება "მთავარი პოლიტიკური სამმართველოს" ბათუმელ უფროსს. ისიც შესაძლებელია, რომ მას საბჭოთა ხელისუფლებაზე ნიკო ნაკაშიძის აზრი და შეხედულებები აინტერესებდა. ეს ის დრო იყო, როცა ამიერკავკასიის ფედერაციის ნომერ პირველმა ბოლშევიკმა ტრიბუნიდან დაიტრაბახა, - ქართველების თორ-

მეტი პროცენტი თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების ნაშიერები იყვნენ და ჩვენ მათი რიცხვი შვიდ პროცენტამდე დავიყვანეთო! მერე ნომერ მეორე ბოლშევიკმა მოწოდებისა თუ ლოზუნგის სახით დაჰყვირა, - ნულამდე უნდა დავიყვანოთო! აუდიტორიამ ოვაციებით გააყრუა იქაურობა, ერთი-ორი ფანჯრის მინაც კი გაიბზარა. ამ მოვლენას ბაბუაჩემმა მიხეილმა კომენტარი გაუკეთა, - ცუდია, შვილო წინდაუხედაობაო! ჭეშმარიტად: მომდევნო ათი წლის მანძილზე იმ დარბაზის "ოვატორთა" სამმა მეოთხედმა საიქიოს თითო ტყვია გაიყოლა, ნულამდე დაყვანის პროპაგანდისტს თავისივე აზნაურობა და "კლასობრივ მტერთა" რაოდენობის ნულამდე დაყვანა შეახსენეს, - ასე არ ამბობდიო?: და დარბაზის ხსენებულ სამ მეოთხედს მიაყოლეს. თორმეტიდან შვიდ პროცენტამდე დაყვანის მოთავემ თავისი აგრეთვე აზნაურული წარმოშობის გამო იფიქრა, - ალბათ ვერ ვამჩნევ, რომ მეც კლასობრივი მტერი ვარო, და საქმე წინ წაიგდო, პროლეტარ მხვრეტელებს დაასწრო, თავი მოიკლა.

ნულამდე დაყვანის ვითარებაში აჭარის ნომერ პირველ ჩეკისტს, შესაძლოა, დასახვრეტი კაცი შემოაკლდა და ბატონ ნიკო ნაკაშიძეს ამისთვის უხმო. ისიც დასაშვებია, რომ მას ნაკაშიძესა და ჯოჯუებს შორის დავა აღიზიანებდა. ძმები ჯოჯუები მეჯოგეები იყვნენ. ზამთარში ლანჩხუთის ჭალებში და ზაფხულში ბახმაროს მთებში თავიანთ ჯოგთან ერთად ნიკო ნაკაშიძის ოც ძროხასაც აძოვებდნენ. ძროხები და საკუთარი სახლი თავად ნაკაშიძეს ბათუმის რევკომმა შეუნარჩუნა "რევოლუციის წინაშე დამსახურებისთვის". საქმე ის არის, რომ თავადს საქონლის სიყვარული ჰქონდა, ჯოჯუებს მწყემსობა-ძოვებაში ფულსაც კი უხდიდა და თავისი ოცი სულის სულგუნსა და ნამატსაც მათ უტოვებდა. ავიდოდა ზაფხულობით ნაკაშიძე ბახმაროს მთაში, რამდენიმე დღეს ჯოჯუების კარავში დაჰყოფდა, თავის ძროხებს მიესიყვარულებოდა და წამოვიდოდა. ეს იყო მისი მეპატრონეობა, სხვა არაფერი. მაინც უყელეს, ჯოჯუები შეუგულიანეს, - ნაკაშიძეების დრომ ჭირი მოგჭამათ, ეგ ძროხები თქვენია, სხვა არავისიო! აქეთ, თავადი ძროხების მოვლა-პატრონობაში ფულს რომ იხდიდა, დაქირავებულ შრომად ჩაუთვალეს და მისი საქონელი "ექსპლუატირებულებს" მიაკუთვნეს. მართალია, სულ რამოდენიმე წლის შემდეგ ჯოჯუები, როგორც შეძლებული გლეხები, გააკულაკეს და ციმბირში უკრეს თავი, მაგრამ ეს ცალკე თემაა... ასე იყო თუ ისე, ნაკაშიძემ სასამართლოს მიმართა, კანონი და რევკომის დეკრეტი მის მხარეზე იყო, საქმე გაჭიანურდა. შესაძლოა, ბათუმისა და სრულიად აჭარის ნომერ პირველი ჩეკისტი ნაკაშიძის პრინციპულობამ გააღიზიანა - შესაძლოა...

მივიდა ბერიკაცი. ჯერ მისაღებში ბარე ორი საათი აყურყუტეს. მერე, როგორც იქნა, კაბინეტში შეუშვეს. ზღურბლთანვე დადგა, - მეტყვიან და დავჯდებიო. არავინ არაფერი უთხრა. უფროსს თავი ჰქონდა ჩაღუნული, რაღაც ქაღალდებს რუდუნებით ჩაჰკირკიტებდა. ნაკაშიძე თავის მსხვილ ხელჯოხს დანდობილი იდგა და ფიქრობდა, - ნეტავი, რა უნდა ჩემგან ამ მამაძაღლსაო?! და თანდათან ღიზიანდებოდა. რამდენიმეჯერ ჩაახველა კიდეც. კაბინეტის პატრონს წარბი არ შეხევია. ნახევარ საათზე მეტი გავიდა, თავადის აღშფოთება, სჩანს, დუღილის წერტილს ასცდა, იგი მაგიდასთან მივიდა, მთავარსამმართველოს უფროსს უთხრა, - კაძახო, მოხუცი ადამიანი რომ შემოვა, ფეხზე უნდა ადგე, მიესალმო და დაჯდომა სთხოვო! მაგ ზრდილობით აპირებთ ახალი წყობის აშენებასო?.. უთხრა და თავისი კორძებიანი ხელჯოხი თავში ჩასცხო. ნაკაშიძე უზარმაზარი ტანის, ღონიერი კაცი გახლდათ, მთელი ძალით ჩასცხო. უფროსმა გონება დაჰკარგა, სავარძლიდან გადავარდა. თავადი ნიკო ნაკაშიძე სატუსაღოში მიაბრძანეს. შვიდი თუ რვა თვე "ნაობახტში" ჰყავდათ. ბოლოს ის რევოლუციონერები გამოესარჩლნენ, ვისაც უწინ ათასნაირ დახმარებას უწევდა და ახალ დროში დიდი თანამდებობები ეკავათ. გამოუშვეს. სხვათაშორის, ბათუმისა და სრულიად აჭარის ნომერი პირველი ჩეკისტი ოცდაჩვიდმეტში სხვებთან ერთად დახვრიტეს. საეჭვოა, უზრდელობისთვის დაეხვრიტათ. ბერიას აშოლტანები უფრო დამაჯერებელ მიზეზებს მოუნახავდნენ.

ის კორძებიანი ხელჯოხი ბათუმში, ნაკაშიძეების სახლში თავად მინახავს, მისი ჩამომავლები რელიკვიად ინახავენ... მოიცა, ის თავადი ნიკო მართლა მონსტრი კი არ იყო, როგორ გეკადრება... სწორია, სხვა რამეებიც ვიცი. აი, მაგალითად - დისწული ჰყავდა, ილარიონ მიქელაძე, ისიც ნეგოციანტი. ილარიონმა თავის ბიძას ხელქვეითი გაუგზავნა, ბარათი გაატანა, - ბიძია ნიკო, სასწრაფოდ დამჭირდა ფული, თუ შეგიძლია, ამ ბარათის მომრთმევს ორმოცდაათი თუმანი გამოატანე, ხვალე დაგიბრუნებო. თავადმა ბარათის მომტანს ფული მიართვა. ამან ჯიბეში ჩაიდო და გასწია. ნაკაშიძემ მიაძახა, - დაბრუნდიო! დაბრუნდა. თავადმა მაგიდას დაათითა და უთხრა, - დადე მაგ ფული აქ! - კაცმა ამოიღო, დადო. - წადი და მოახსენე ილარიონს, ისეთი კაცი გამომიგზავნოს, ფულის ყადრი იცოდესო! მიქელაძის ხელქვეითმა ვერაფერი გაიგო. თავადმა განუმარტა, - დათვლა უნდა ფულს, რომ აძლევ ან გამლევენ. წადი და გადაეცი ჩემი ნათქვამი!..

ის თავაშვებული ცხოვრება და ფულების ფანტვა ყაირათიანობად ვეგეტარიანობა-ტოლსტოელობამ აქცია თუ ასაკმა მოიტანა? საინტერესოა, ღმერთმანი! ამ მოვლენას როდისმე უნდა მივხედო... თანაც, ძუნწობა რა სათქმელია, ხელგაშლილი კაცი ყოფილა, რამე საზოგადოებრივი თუ ეროვნული საქმისთვის შესაწირავს არასოდეს გამოჰკლებია, რუსეთსა და უცხოეთში სტიპენდიატები ჰყავდა. ბევრჯერ ისეთი საქმისთვის გაუღია სოლიდური თანხა, რომ სხვა კომერსანტებს გაჰკვირვებიათ, - ეს რაღა ფანდია, ნეტავიო?! ვაჭარი კაცისთვის ამ უარყოფითსა და, ზოგ შემთხვევაში, დამღუპველ თვისებას, ეტყობა, ქართველი კაცი მოდგმით იღებს.

გასული საუკუნეებიდან მოდის, ომიანობის დროს მტერი ერთი თავადის სახლს მიუახლოვდა, ოჯახის წევრებმა სამკაულების, ძვირფასი ნივთებისა და სხვა სარჩო-საბადებლის გარიდება დააპირეს. თავადმა აუკრძალა, ყველაფერი თავთავის ადგილზე დააბრუნებინა, - მტერს ნუ ვათქმევინებთ, საქართველოში საძარცვსაალაფო თავადის სახლშიც კი ვერაფერი ვნახეთო!..

ბატონ ნიკო ნაკაშიძის მეუღლის დედის ძმამ - აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილმა და ცნობილმა

პოეტმა - გიორგი შერვაშიძემ მონტე-კარლოში ორი მილიონი თუ მეტი ფრანკი მოიგო, მაშინდელი ორი მილიონი! ლანგარზე დადებული მიართვეს. გაუკვირდა, - მოგებულ ფულს როგორ მთავაზობთ, ქართველი თავადიშვილი ვარ, მაგის აღება არც მოდგმით მეკუთვნის და არც გვარიშვილობით! უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს გადაუგზავნეთო!

განუმეორებელი დრო და ურთიერთობები იყო. თბილისის ერთ-ერთ რესტორანში, დანახარჯის ანგარიშს გამოჩენილ, სახელიან სტუმარს არასოდეს წარუდგენდნენ, - ხვალ იყოს, ბატონო, და სულაც არ არის საჭირო. ჩვენთვის ისიც დიდი სიამაყეა, თქვენისთანა ადამიანმა რომ ინება ჩვენთან სტუმრობაო! ეს მეთოდი პირდაპირ ქართველი კაცის თვისებებზე იყო ნავარაუდევი: ამოიღებდა, ორჯერ მეტს შესთავაზებდა. მაინც არ გამოართმევდნენ, - ქეიფიანად ბრძანდებით, ბატონო, ფხიზელ გუნებაზე ლაქიას გამოატანეთ, თქვენ თვითონ არ შეწუხდეთო. რომელი იკადრებდა, მეორე დღეს ნაკლები გაეგზავნა, ვიდრე წუხელის სთავაზობდა?! ცხადია, ასეთი ანგარიშსწორებისას ზარალიც არ იყო გამორიცხული, მაგრამ ერთი თუ ორი გადაუხდელი სუფრა საქმეს ვერაფერს დააკლებდა. მეორე ის, რომ სიტყვის გამტეხი იმ რესტორანში სხვა დროს ვეღარ მივიდოდა და ამას რესტორნის პატრონი თავისებურ მოგებად სთვლიდა.

პაპაჩემების დროს - მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისს ვგულისხმობ - ქართველ კაცს კიდევ ერთი მახასიათებელი ჰქონდა - სიზარმაცე და უგერგილობა. თავადი ყოფილა, ვინმე გიგუცა ერისთავი, ქსნისა. გორში ცხოვრობდა, უშვილო იყო. შემოდგომაზე მოუტანდა მოურავი მიწების იჯარის ფულს, წამოვიდოდა თავადი თბილისში, იმავ საღამოს ქართულ კლუბში ერთიანად წააგებდა, გაბრუნდებოდა და მომავალ შემოდგომამდე ცოლ-ქმარი იმ ყოველთვიურ თხუთმეტ მანეთად ირჩენდნენ თავს, რასაც მისი მეუღლე გადამალავდა ხოლმე. არცთუ მოხუცებული და უმწეო იყო, მაგრამ საითმე თუ გასწევდა, ღამის ჭურჭლები ხურჯინით მიჰქონდა. ერთხელ ნათესავი ეწვია მოსანახულებლად, ახალგაზრდა ადვოკატი. გიგუცა ერისთავმა, - აბა, შვილო, ეს საბუთები ნახე, ვისი რა არის, გამაგებინეო. საბუთების მიხედვით და, როგორც შემდგომში დადასტურდა კიდეც, გიგუცა ქსნის ერისთავი საქართველოს უდიდესი მიწათმფლობელი ყოფილა. იურისტმა ის იმოდენა მივიწყებულ-მიტოვებული მამულები მოკლე ხანში დაუბრუნა. თავადი ამით დაკმაყოფილდა, ქონებისთვის არ მიუხედავს. რევოლუციამ მიჰხედა... ასე ცხოვრობდა - უჭირდა და იმდენი ფხა ვერ გამოიჩინა, კუთვნილის მეათედით მაინც ესარგებლა...

ეს კიდევ არაფერი. რომელიღაც ციციშვილმა თავად ამილახვრის მშვენიერი ასული - ნინო შეირთო, რომელსაც უამრავი ხელნაწერი წიგნი მზითვად მოჰყვა და არც ციციშვილების ოჯახში დაუხვდა ნაკლები. განათლებული, წიგნიერი ქალი იყო, კარგა დიდი, უმნიშვნელოვანესი ნიმუშების შემცველი ბიბლიოთეკა გამოუვიდა. პაპაჩემებს ის წიგნთსაცავი თავად ჰქონდათ ნანახი. ოცდაოთხი წლის ხოცვა-ჟლეტის დროს, ქალბატონმა - წიგნებით ორი დიდი კიდობანი გაავსო. თავის მაზლს გაატანა, - გადამალე სადმეო.

მაზლმა წაიღო და გადამალა. ამბობდნენ, ყუბანში გადაიტანაო. როცა დაბრუნდა, რაზმელები დაესხნენ, სროლა აუტეხეს. ვერ მოჰკლეს, როგორღაც გაექცათ, გომის სადგურში მივიდა, მატარებლის ლოდინში გული გაუსკდა, მოკვდა, საცოდავი. მას მერე იმ ორი კიდობნის ასავალ-დასავალი ველარავინ გაიგო. ესაც უდარდელობის, უპასუხისმგებლობის შედეგია. ვინ იცის, როგორი სიმდიდრე დაკარგა ქართველმა ერმა მხოლოდ იმიტომ, რომ ქალბატონი ნინოს მაზლის მეტმა არავინ იცოდა კიდობნების ადგილსამყოფელი... რა კაი კაცი იქნებოდი, სათქმელიდან ამსიგრძე გადახვევები რომ არ იცოდე... მართალი ხარ, მაგ შენიშვნას ყოველთვის ვიმსახურებდი. ჰო, თავად ნიკო ნაკაშიძეზე ზოგი რამ, სრულიად შემთხვევით მე თვითონ გავიგე. გურიაში მრავალსტუმრიან სუფრას ვუჯექი, ღრმად მოხუცებული კაცის გვერდით. შევეკითხე, - რა გვარის კაცი ბრძანდებით-მეთქი. ჩემი თბილისელი მეგობრის - სწავლულის, ოთარ ქინქლაძის მამის ძმა აღმოჩნდა. დარბაისელი, მეტად სანდომიანი მოხუცი გახლდათ. საუბარმა მოიტანა, ვკითხე, - ეს მამულები რევოლუციამდე ვის ეკუთვნოდა-მეთქი? ნაკაშიძეებსო. რას წარმოადგენდნენ ეგ ნაკაშიძეები-მეთქი? დაფიქრდა, გაიღიმა, - უმრავლესობა ცეტები, ჩიტირეკიები და ზარმაცები იყვნენ. მშრომელი, ჭკვიანი და მდიდარი ერთი იყო მხოლოდ - ნიკო ნაკაშიძე. მოურავად ვიყავი მასთან. თბილისში, მუზეუმში ერთი კუთხე უჭირავს მას და მისი სურათიც ჰკიდია იქო. ვიცოდი, საქართველოში პირველი ჩაის ფაბრიკა, "ჩხავერის" პირველი ზვრები და ღვინის ქარხანა, გურიაში პირველი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი და კიდევ მრავალი რამ ნიკო ნაკაშიძის დაარსებული იყო და ვკითხე, - რით გამდიდრდა-მეთქი? ჭკუით და შრომითო, - დაუყოვნებლივ მითხრა და ასეთი რამ მიამბო:

- ღია ბარათი მივიღე ერთხელ, ამა და ამ დღეს ჩამოვალ, ნატანებში ცხენი დამახვედრეო. დავხვდი. მოვდივართ და მკითხა, - მამულში რა ხდებაო? - მშვიდობაა, ნიკო-ბატონო, იმდენი არაფერი. ნიკოლოზა ბაღში გადმოვიდა, ფორთოხალი წაიღო კაი ნახევარი ფუთი. ივანე ოხერმა სანერგიდან ოცი ძირი ნარინჯის ნერგი მოიპარა და ისე, სხვა არაფერი მომხდარა საყურადღებო-მეთქი.

ვიარეთ კიდევ და მითხრა ბატონმა ნიკომ:

- უთხარი ნიკოლოზას, კიდევ თუ ჩაიდინა ეგ, ბოქაულთან ექნება საქმე. ივანეს ნუ გაუჯავრდები, რას უზამს იმ ნერგებს?.. დარგავს, ალბათ და ნარინჯის ბაღი ექნება საკუთარი.

- ასე გამდიდრდა ნიკო ნაკაშიძე. - დაასრულა მოხუცმა.

როგორც იტყვიან, რთული ხასიათისა ყოფილა ბატონი ნიკო ნაკაშიძე...

შევისვენოთ, კარგი ადგილია... მართლაც ლამაზი ადგილია, რაღაცას მაგონებს... წიწამურსა ჰგავს, ილია რომ მოჰკლეს, იმ მიდამოს!.. ის კიკაშვილი გახსოვს?.. როგორ არა, საინტერესო პიროვნება იყო, მამაჩემთან დადიოდა, მცხეთაში სასამართლოს აღმასრულებლად მსახურობდა, რაღაც სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი განჩინების შედეგებს ფრიად შესაშური დაჟინებით

ებრძოდა. ოციანი წლები იმდენად მდიდარი იყო ამაღელვებელი მოვლენებით, რომ სასაუბროსა და სალაპარაკოს რა გამოლევდა, მაგრამ წარსულში მომხდარი ზოგი მნიშვნელოვანი ამბავიც არავის ავიწყდებოდა და ეს, უპირველესად ყოვლისა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თემა გახლდათ. თითქოს, ყველაფერი ცხადი იყო - ვინ, რისთვის და როგორ მოჰკლა და, მიუხედავად ამისა, ინტელიგენციაში ამ საქმის ყოველი წვრიმალი - მოგონილი თუ მართალი, ცხოველ ინტერესს იწვევდა. იმ საუბრებს თავისებური აზარტი ახლდა და ეს გასაგებიც არის, რადგან ილიას მიმართ განხორციელებული ატენტატის თემას საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ტაბუ ედო, ქართველ ბოლშევიკებს იგი სისხლისმსმელ მებატონედ ჰყავდათ მონათლული. ამით ისინი, არა მარტო ამართლებდნენ ილიას მოკვლას, არამედ ადასტურებდნენ კიდეც, რომ ბოროტება მათი ჩადენილი იყო, თუმცა ეს დანაშაული ოფიციალურად არასოდეს უკისრიათ. როცა ხელისუფლება რამეს მალავს, ხალხს ჩხიბვისა და კვლევის აზარტი უჩნდება და ამაში ნიშნისგების ელემენტიც არის, - ცოდვილი ხარ და მე ამას დაგიმტკიცებო!..

კიკაშვილი მოხუცი კაცი იყო, ახალგაზრდობიდანვე დუშეთსა და მცხეთაში ნამსახური. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო, მართალია, იმაზე მეტი არაფერი იცოდა, რამდენიც დანარჩენმა ქართველობამ, მაგრამ საიდანღაც და როგორღაც, ღრმად იყო ჩახედული ილიას წინააღმდეგ მოწყობილ ყველა იმ აქციაში, რასაც მოკვლის გადაწყვეტილებამდე ახორციელებდნენ მისი ნაძირალა მოწინააღმდეგეები. კიკაშვილის სიტყვით, ტყვიით ილიას მოკვლა თავიდან განზრახული არ ყოფილა, ამას სხვა საშუალებებით აპირებდნენ. კერძოდ, ცდილობდნენ ხელოვნურად გამოეწვიათ მისი სიკვდილი - გულის გახეთქვით! კიკაშვილმა იცოდა არა მარტო ის, სახელდობრ რა საშუალებებით ებრძოდნენ ილიას და როგორი მიმდევრობით უშლიდნენ ძარღვებს, რომ გული გახეთქოდა, არამედ ისიც, თუ ვისი ხელით კეთდებოდა ეს. გვარებითა და სახელებით იხსენიებდა წაქეზებითა თუ მუქარით დაყოლიებულ შემსრულებლებს. პატარა ვიყავი, არ ვიცოდი, რომ ასეთი რამეების დახსომება უკიდურესად საჭიროა. ამას გარდა, ჩემს ყურადღებას თვით ბოროტი ხრიკები უფრო იპყრობდა, ვიდრე შემსრულებელთა ვინაობა. ჩემი ბავშვური შეცდომა მაშინღა გავიცნობიერე, როცა გვარში ყოველივე ამის გამხსენებელი აღარავინ დამრჩა. რას იქმს კაცი, განა მხოლოდ ილიასთან დაკავშირებული გვარები დამრჩა დაუმახსოვრებელი?.. ის ხრიკები უსაქმო და ბოროტი კაცის მიერ გამოგონილი თითო-ოროლა ცუღლუტობა კი არა, მოქმედების კარგად შემუშავებული, სისტემატიზებული გეგმა იყო და იმის ფიქრიც შეიძლება, რომ შემუშავებაში ფსიქოლოგმა მიიღო მონაწილეობა... სწორია, აი, ინებე: იმით დაიწყეს, რომ აივანზე მერცხლის ბუდეები დაუნგრიეს. მერე გზა გადაუთხარეს, ეტლმა ვერ გადმოიარა. ილია მოურავს შეეკითხა, - რისთვის გადათხარეო? მოურავმა მიუგო, - რა ვიცი, ჩემო ბატონო, მე თქვენ დასახვედრად წამოვედი და ამასობაში ვიღაცას ეს მამაძაღლობა ჩაუდენიაო. გზა გაასწორეს და ახლა ეზოში კატებისა და ძაღლების მძორის გადაყრა დაუწყეს. ილიას მოთმინების ფიალა აევსო, სოფლის თავკაცებს უხმო, - ესეები მოიშალეთ, თორემ როგორც გატყობთ, ჩემი აქ ყოფნა არ გინათ, გავყიდი ამ მამულსა და სხვაგან გადავბარგდებიო. იფიცეს თავკაცებმა, - ჩვენ ამაებისა არა გაგვეგება რაო. გაზაფხულზე დარგული ხილი შემოდგომით ნიადაგიდან დაუძრეს და გადაყარეს. ესაც არ აკმარეს, რანაირად ახერხებდნენ, ქალაქიდან მოსულს ოთახებში ხან თავგასრესილი ქვეწარმავალი დაუხვდებოდა, ხან ცოცხალი მორიელი. ვერაფერი დააკლეს, მაგარი იყო ილია. მაშინ, სახლის წინ რომ წყარო აქვს, იმის გაბინძურებას მიჰყვეს ხელი. ერთხელ და ორჯერ კი არ ჩაუდენიათ ეს საზიზღრობა - გამუდმებით სჩადიოდნენ. ისევ შეჰყარა ილიამ თავკაცები, - სოფლიდან ამსიშორეს წყაროზე ამომსვლელი არავინ არის. წყაროები იქვე გაქვთ. ვიღაც არის, განზრახ მიბინძურებს. თქვენი წყარო რომ დააბინძუროს ვინმემ, კარგი იქნება? თუ არ დაიშალეთ, ამ წყალზე აღარავის მოგიშვებთო! ეგ იყო! სხვა არაფერი უთქვამს და ბინძურებმა მთელ საქართველოს მოსდეს, - ილია საგურამოელ გლეხებს წყალს არ აძლევს, სისხლისმსმელი ბატონია, მაგისი სიცოცხლე აღარ იქნებაო. საყურადღებო ის არის, რომ ბინძურების ყოველი ხრიკი სოფლელებსა და ილიას შორის ურთიერთობებს ძაბავდა, კონფლიქტებს იწვევდა. მტრებსაც ეს უნდოდათ, მათ მკვლელობის შემამსუბუქებელი გარემოება ესაჭიროებოდათ, - შეაწუხა გლეხები და მოკლავდნენ, მაშ როგორ იქნებოდაო! ჰო, ბოროტებით გული რომ ვერ გაუხეთქეს - ტყვიით მოჰკლეს... თან ვიაროთ, არა?..

ჩვენს ოჯახში შინაურთა თუ სტუმართა საუბრების ერთ-ერთი მთავარი თემა, რა თქმა უნდა, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა იყო. რამდენი სინანულიანი ღამე დამთენებია, რომ იმ დროში არ გამაჩინეს და იმაზე ფიქრშიც, თუ თავად როგორ მოვიქცეოდი ამა თუ იმ ვითარებაში. ეგ არის, მაშინვე ოპტიმისტი ვიყავი, იმედს არ ვკარგავდი: დადგებოდა დრო, ქართველი ერის განთავისუფლებაში მეც შევიტანდი წვლილს. ამ სასოებით ჩამეძინებოდა ხოლმე.

ითვლებოდა, რომ მაშინდელი ამბების საუკეთესო მთხრობელი ძია სერგო გერსამია იყო. მართლაც, რამდენი რამ იცოდა! აი, ერთი იმ ამბავთაგანი:

- ცხრაას ხუთში, ქუთაისში, გიმნაზიის მოწაფეებმა დემონსტრაცია მოვაწყეთ, სრული დემოკრატიისა და სხვა ასეთების მოთხოვნით. გვეტაკენ კაზაკები, მათრახების ტყლაშა-ტყლუშით მიგვრეკეს საგუბერნიო ციხეში. მახსოვს, მირტყამდნენ, მტკიოდა, მაგრამ ცოდვა გატეხილი სჯობს, თან მეამაყებოდა, რომ ერისა და ხალხის კეთილდღეობისთვის მცემდნენ და მგონია მსიამოვნებდა კიდეც. დიახ, და ახლა ზედამხედველებმა გვითავაზეს და გვითავაზეს პანღურები საკანში შეწყვდევისას. ერთი სიტყვით, უკვე გამობრძმედილ მებრძოლებად მიგვაჩნდა თავი... ახლა ვფიქრობ, იმ ასაკში ვიყავით, ყოველი ჩვენგანი ცალ-ცალკე რომ ავეყვანეთ, იქნება გვეტირა კიდეც - ეგ არის, ერთმანეთის წინაშე საკუთარი ღირსების შებღალვას რომელი იკისრებდა?!.

ვსხედვართ. ერთადერთი თემა იხილება - სახელდობრ რომელ გუბერნიაში მოგვიწევს გადასახლება და პირადად მე კი სინდისი მაწუხებდა, რომ საკატორღო ვერაფერი მოვახერხე. ჩემნაირი სინანული, ვფიქრობ,

ბევრ ჩვენგანს აწამებდა, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებდით, რომ დასაწყისისთვის რაიმე ვიატკასა თუ კანდალაკშაში გადასახლებაც კმაროდა, ხოლო კატორღებს მომავალ საქმეთა საგმიროთათვის მოვივლიდით.

ეს ამბავია, ხმა დაირხა, - გუბერნატორი მოდის, ციხის შემოვლაზეო! სასწრაფოდ შევიმუშავეთ საქციელის ფორმა, რომლითაც საზიზღარი მეფის მიერ ქუთაისისა და სრულიად ლიხთ-იმერეთის განმგებლად დანიშნულ, არანაკლებ საზიზღარ მოხელეს უნდა დავხვედროდით. იარა ბატონმა გუბერნატორმა, იარა და ჩვენი კარიც შემოუღეს. საკნის შუაგულში იატაკზე ვისხედით. შემოვიდა თუ არა, ყველამ ერთდროულად შევუქციეთ ზურგი. ეფექტი მოულოდნელი აღმოჩნდა მაღალი სტუმარი ბრინჯაოვით დაიბნა - პირღია იდგა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. როცა თავს დაეუფლა, გარს შემოგვიარა, კარგა ხანს გვათვალიერა და ციხის უფროსს ჰკითხა, - ესენი ვიღა არიანო?! აღარც შეცბუნებული იყო, არც გაკვირვებული - ცნობისწადილი ჰქონდა. ციხის უფროსმა მოახსენა, - პოლიტიკურები არიან, კაზაკებმა მორეკესო. ასეთმა ინფორმაციამ საცოდავი გუბერნატორი კინაღამ აქვე, ჩვენს თვალწინ გადარია და საშინელი ხმით დაიღრიალა, - ახლავე გაყარეთ, ამათი კვალი აღარ ვნახოო! კარისკენ გაქანდა, ზღურბლზე შეჩერდა, ერთი კიდევ მოგვავლო თვალი, თავი ჩააქიცინა, თავისთვის ჩაილაპარაკა, - იმ სახელმწიფოს რაღა უნდა ეშველოს ამათი რომ შეეშინდებაო... და წავიდა. მისტერიის ასეთი ფინალი მოულოდნელიც იყო და ერთობ დამაფიქრებელიც. სად გადასახლების პერსპექტივა და კატორღაზე ოცნებები და სად ის დღე, ჩვენ რომ ათიოდე წუთის შემდეგ დაგვადგა!.. გასვლაზე ყველამ ერთად ვთქვით უარი. მაშინ ზედამხედველები შემოცვივდნენ, კატის კნუტებივით სათითაოდ გაგვათრიეს და ეგაც არაფერი, შინ რომ მივედი, მამაჩემმა გამოაცხადა, - დაბრუნდა ჩვენი საკუთარი რევოლუციონერიო!

სერგო გერსამია ფედერალისტი იყო, თავის დროზე ქუთაისში ამ პარტიის გაზეთს რედაქტორობდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არაერთხელ იჯდა ციხეებში. ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიებს იმიტომ გადაურჩა, რომ ოცდათექვსმეტის დასაწყისში კიდევ ერთხელ დააპატიმრეს, მალევე გაათავისუფლეს, თბილისში გადმობარგდა და სახელოვანმა შინსახკომმა მისი წარსულის საჩხიბავად ვერ მოიცალა - აბა, დასაჭერ-დასახვრეტი იმდენი იყო!.. სანამ გერსამიას რიგმა მოაწია, რეპრესიებიც ჩათავდა. ისიც შესაძლებელია, რომ იგი, როგორღაც მოხდა, მხედველობიდან გამორჩათ. ყოველივე ეს მისი გადარჩენის სერიოზულ ახსნად, რა თქმა უნდა, ვერ გამოდგება, მაგრამ შინსახკომს ასეთი ლაფსუსები, საბედნიეროდ, ჰქონდა. გერსამიამ თეატრალურ მუზეუმში დაიწყო მუშაობა, ღრმა სიბერემდე იცოცხლა, ქართული თეატრისა და თეატრალურ მოღვაწეთა ბიოგრაფოსობით ირჩენდა თავს და ამ ჟანრის ბარე ათი მონოგრაფიის ავტორი გახლდათ. თავის დროზე ეს კაცი იმითაც იყო ცნობილი, რომ მის გაზეთებს ცენზურა წარამარა ხურავდა, მაგრამ გერსამია დაუყოვნებლივ აარსებდა ახალს - ასეთი დრო იყო, შეიძლებოდა. დახურავდნენ მაშ როგორ იქნებოდა, როცა მისი სტატიები რევოლუციური მოძრაობის დენთისა და ლაღუმის დეტონატორად იყო განზრახული და ხშირად მიზანსაც აღწევდა. ერთი ასეთი წერილის გამოქვეყნებისთვის გერსამიას გაზეთიც დაუხურეს და ციხეშიც უკრეს თავი. მიმდინარე რევოლუციის მიზნების, მისი შესაძლებლობებისა და პერსპექტივის ასეთი შეფასება, იქნება ორიგინალური არ იყო, იგივე შეხედულება, ალბათ სხვებსაც ჰქონდათ, მაგრამ საქართველოში გამოქვეყნების პრიორიტეტი უდავოდ გერსამიას ეკუთვნის. ისიც უნდა ითქვას, რომ იმდროინდელ პოლიტიკურ ლიტერატურაში, პირადად მე, მსგავსი არაფერი შემხვედრია... აი, რას წერდა ათას ცხრაას თხუთმეტ წელს!..

- რუსეთის იმპერიის ჩაგრული ხალხების ბრძოლას ორი ფაქტორი უდევს საფუძვლად - სოციალური და ეროვნული. ისინი, ერთი მხრივ, გაბატონებული ფენებისგან მწვავე ექსპლოატაციას განიცდიან, მეორე მხრივ - იმპერიისგან ეროვნულ დისკრიმინაციასა და ჩაგვრას. იმპერია მპყრობელი ერის სახელმწიფოა და არა ყველა შემადგენელი ერისა ერთად. რუსეთის იმპერიის საშინაო პოლიტიკის ძირითადი ნიშანი ისაა, რომ იგი ზღუდავს ხალხების ეროვნული კულტურის განვითარებას, უსპობს მათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერსპექტივას, ძალადობითა და ტერორით ახშობს განმათავისუფლებელ მოძრაობას. იმპერიებს, როგორც სამყაროში ყველასა და ყველაფერს თავისი შექმნის, ჩამოყალიბების, ლპობისა და დაშლის დრო უწევთ. რუსეთის იმპერია უფსკრულის პირზეა, ინგრევა და ამას მპყრობელი ერი გრძნობს, იმპერიის შენარჩუნების ნაირნაირ გზებს ეძებს. ერთი მათგანი ევროპიდან იმპორტირებული მარქსიზმია. ეს მიმდინარეობა გამოსავალსა და ხსნას რევოლუციაში, ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის შექმნაში ხედავს, ხალხებს დემოკრატიულ თავისუფლებებს, ეროვნული კულტურის დამოუკიდებელ განვითარებას, მატერიალურ კეთილდღეობას ჰპირდება. ამ გრანდიოზული მოტყუებით იმპერიის შენარჩუნებას იმედოვნებს და სწორედ ამით არის საშიში ჩვენთვის. ჩაგრულმა ერებმა ხანგრძლივი რუსიფიკატორული პოლიტიკის წნეხქვეშ ეროვნული თვითშეგნება დაჰკარგეს, მატერიალურ მისატყუარზე ადვილად წამოეგებიან. ახლა ეროვნული პარტიების უპირველესი მოვალეობაა, მასებში რუსული ბოლშევიზმისა თუ სოციალიზმის ჭეშმარიტი ბუნების მამხილებელი პროპაგანდა გასწიონ, რევოლუციაში პროლეტარიატის დიქტატურის ყალბ დროშას ეროვნული განთავისუფლებისთვის ბრძოლა დაუპირისპირონ, გზა გადაუკეტონ ახალ იმპერიას!.. ასეთი იყო სერგო გერსამიას დოქტრინა. ცენზურამ იგი ჯერ კომუნიზმის საწინააღმდეგო მასალად მიიჩნია, მაგრამ მეორე დღეს გუბერნატორი ნამდვილ არსს მიხვდა, გაზეთი დახურა, სერგო გერსამია დააპატიმრებინა.

იმპერისტებს შიგ გულში ჩაჰხედა, დაიჭერდნენ მაშ როგორ?!.

გაიოზისა და შალვას ფათერაკიც ცხრაას ხუთი წლის კალეიდოსკოპიდან ჩამრჩა მეხსიერებაში. არე-

ულობა იყო - ექსპროპრიაციები, ფულის გამოძალვა. თბილისელმა მილიონერებმა შეიარაღებული დაცვა გაიძლიერეს. მთხრობელები ამ მცველებს "ჯამფიდანებად" იხსენიებდნენ. ეს სიტყვა საიდან მოდის - არ ვიცი. ერთ-ერთი ეროვნული ორიენტაციის პარტიის სამხედრო ორგანიზაციას გიორგი ხუციშვილი ხელმძღვანელობდა, დავალება მიიღო, პარტიის სალაროსთვის საიდანმე ფული ეშოვნა. გზა ერთი იყო - ექსპროპრიაცია. ხუციშვილმა სარწმუნო წყაროდან გაიგო, რომ მავანი მილიონერის სახლში საკმაოდ დიდი თანხა ინახებოდა. ეგ არის, ბინაში შეღწევა ჭირდა, სახლის სადარბაზოში მაუზერითა და სხვა საფრთხობელებით შეიარაღებული ჯამფიდანი იჯდა, ჰაიჰარად შინ არავის შეუშვებდა. ხუციშვილმა ასეთი გეგმა შეთხზა: ახალგაზრდული ორგანიზაციიდან ბავშვი შეარჩია - თოთხმეტიოდე წლისა, ორ ძმა ქართველიშვილთაგან უმცროსი, სახელად გაიოზი. ცქვიტი და გულადი ბიჭი იყო. დღისით-მზისით მივიდნენ მილიონერის სადარბაზოსთან. გიორგი ხუციშვილი კედელს აეკრა, გაიოზმა ზარს ჩამოჰკრა. ჯამფიდანს კარი ჯაჭვზე ჰქონდა, გამოაღო, ღრიჭოში გამოიხედა, ყრმა გიმნაზისტი დაინახა და ჰკითხა, - რა გინდაო? ბიჭმა მიუგო, - დეიდა მაშასთან მოვედიო. მაშა მილიონერის ოჯახში "ეკონომკად" მსახურობდა. მცველმა კარი გააღო. გაიოზმა წიგნებით სავსე ზურგჩანთა მოიხსნა, ხელი ჩაჰყო, დიდი ბებუთი ამოიღო და ჯამფიდანს ღიპზე მიაბჯინა. სანამ მცველი გონს მოეგებოდა, ხუციშვილი შემოვიდა, მცველს იარაღი აჰყარა, ხელ-ფეხი გაუკოჭა... თანხა ექსპროპრიირებულ იქნა, შორიახლო მომლოდინე პირს გადაეცა, გიორგიმ და გაიოზმა წინასწარ დასახული გეზით გასწიეს, მაგრამ გზად გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. საქმე ის არის, რომ გამოსვლებისა და მიტინგების გამო, ქალაქში საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, ჯარისკაცები და კაზაკები მათი აზრით საეჭვო პირებს აჩერებდნენ, ჩხრეკდნენ. ვისაც იარაღი აღმოაჩნდებოდა - აპატიმრებდნენ, ციმბირი განაღდებული ჰქონდა. წინააღმდეგობის გამწევს - სახრჩობელა არ ასცდებოდა, საველე სასამართლოები მძვინვარებდნენ... გიორგიმ და გაიოზმა ვორონცოვის ხიდი გადაიარეს, დიდი თავადის ქუჩაზე პატრული შემოეყარათ, გაჩხრეკა მოუნდომეს. გაქცევა სჯობდა და მოუსვეს კიდეც. ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს. გაქცეულებმა მარჯვნივ აუხვიეს, აღმართს აჰყვნენ. პატრულმა შესახვევამდე მოირბინა, სროლა განაგრძო. ხუციშვილმა ბიჭს უთხრა, - წადი, გაიქეცი, ამათ მე მოვუვლიო, და თავადაც სროლა დაუწყო. ჯარისკაცები სამნი იყვნენ. გიორგიმ ერთი დასჭრა, ორნი იქაურობას გაეცალნენ. მეორე დღეს ქალაქის ყველა გაზეთმა მოსახლეობას აცნობა, რაც მოხდა და დამნაშავეთა გარეგნობის აღწერილობაც მოიყვანეს, - ერთი შავქურთუკიანი ასეთი და ასეთი იყო, მეორე - გიმნაზისტი, ასე თექვსმეტი ჩვიდმეტი წლისაო. პოლიციამ აღწერილი გარეგნობის თითქმის ყველა გიმნაზისტი დააპატიმრა, მათ შორის იმავე ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი გაიოზის ძმა - შალვაც. გაიოზი დაჭერას გადარჩა, მაგრამ შალვა ორი თვე ციხეში იჯდა. გამოუშვეს და შინ მოვიდა. მოვიდა და უმცროს ძმას მათრახით სცემა, - შენი გულისთვის ვიწვალეო!

ათას ცხრაას თვრამეტი წლის ოცდაექვს მაისს გიორგიმ და გაიოზმა მთავრობის სასახლეზე საქართველოს დამოუკიდებლობის დროშა აღმართეს!

პაპაჩემი იაგორი იტყოდა ხოლმე, - რევოლუცია არის ქაოსი, სადაც პოლიტიკური ავანტურისტები ფანატიკოსების ხელით ამღვრეული წყლიდან ამოყვანილ ზვიგენს ინტელექტუალების ხორცით ჰკვებენო. ზვიგენებისა რა მოგახსენოთ, ეს მეტაფორა იაგორ კარგარეთლის მხატვრული აზროვნების პროდუქტად ჩავთვალოთ, მაგრამ ინტელიგენციას რომ ავი დღე დაადგა, ეს ცნობილი და ურყევი ჭეშმარიტებაა. ბალღობიდან მახსოვს, ხშირად იხსენებდნენ იმ ასჩვიდმეტ ქართველს, ვინც ქაოსს გამოერიდა, რუსეთიდან სამშობლოსკენ გამოსწია, არმავირში ვიღაც "რევოლუციონერებმა" მატარებლიდან გადმოიყვანეს და ასჩვიდმეტივე ერთად, განუკითხავად გაჟლიტეს. განადგურებული ინტელიგენციის სტატისტიკა არავის უწარმოებია ისევე, როგორც დღემდე არავინ იცის რამდენი რევოლუციონერი დაიხვრიტა რევოლუციისავე სახელით. არმავირის ამბავს სხვაზე ხშირად იმიტომაც იხსენებდნენ, რომ იმ ასჩვიდმეტში ათი, თხუთმეტი ჩვენი ოჯახის ნათესავი და ახლო მეგობარი გახლდათ... ერთი ასჩვიდმეტთაგანი ბაუკ წერეთელი იყო. მხვრეტელებში ქართველიც ერია, ამან ბაუკი იცნო, თუ მისმა ვაჟკაცურმა ახოვნობამა და სანდომიანობამ მოაჯადოვა - გამოიყვანა და უთხრა, - შენ წადი, თავისუფალი ხარო! ბაუკმა მიუგო, - მარტო არ წავალ, მაგას დახვრეტა მირჩევნიაო, და განწირულებში შებრუნდა. დახვრიტეს, რა თქმა უნდა. ეს ამბავი შემსწრე არმავირელმა ქართველებმა ჩამოიტანეს... ტრაგედიებს თავი დაანებე, სხვა დროს იყოს. ისეთი რამ სთქვი, სიკვდილები არ ერიოს. ცოტა იცი?.. მართალი ხარ, ეხლა ისეთ კვალზე ვდგევართ, სიკვდილების დრო არ არის, გუნებას ნუ გავიფუჭებთ... რეზო გოშხოთელის ნაამბობი სთქვი... რეზოსი? რეზოსი იყოს... ეეე, ეს რის კვალია?!. კვალი, კაცო! ადამიანის ნაკვალევია. ძველი კვალია. რამდენიმე დღისაა... რა მნიშვნელობა აქვს?.. ის მნიშვნელობა აქვს, რომ ეს კაცი ამჟამად ახლომახლო არ არის და საშიში არაფერია... დავსხდეთ, ვიფიქროთ... მაინც რამდენი დღისა იქნება, ეს ოხერი - ერთი კვირისა, ნაკლებისა თუ მეტისა?.. ასეა თუ ისე, ეს სულიერი აქ გუშინდელი ან გუშინწინდელი ნამყოფი არ არის, უფრო ადრე იყო... მაგრამ კვალი არის, მაშასადამე აქ სადმე ქოხიც არის... რომელი ქოხი? სადაც, მიშას სიტყვით, თოფი მელოდება, თუ სხვა ქოხი?.. ბოლო ბუნაგიდან თოფიან ქოხამდე ასოცი, ასოცდაათი კილომეტრი უნდა გამომევლო. სწრაფად ვიარე? რატომაც არა, სავალი სულ ვაკეზე იდო. კარგი, ამ კვალის დამტოვებელს ფილიპოვების ქოხში რა უნდოდა?.. გზა ეგრე ჰქონდა, მიშას მამის სახურავახდილი და მინგრეული ხუხულა რა შუაშია?.. ასეა თუ ისე, კვალს მივყვეთ... მივყვეთ, მაგრამ ფრთხილად. რა ვიცით, იქნება სწორედ ის მონადირეა, ვისაც ჩვენი დაჭერა აქვს დავალებული?.."



# DUENDE-ს

## თეორია და თამაში[1]

ფედერიკო გარსია ლორკა

***ფედერიკო გარსია ლორკას შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის სტატიებსა და ზეპირ გამოსვლებს. ლორკას პროზა - სტატიები და ზეპირი გამოსვლები - პოეტური პროზაა. პოეტის მიერ დაწერილი სტატიებია და პოეტის გამოსვლებია, შთაგონებული ერთი რომელიმე იდეით და გამოხატული უბადლო პოეტური სახეებით.***

***«Duende-ს თეორია და თამაში» - მოხსენებას, რომელიც პოეტს 1930 წელს წაუკითხავს ჰავანაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთელი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობისთვის. ამ მოხსენებაში ლორკამ პირველად ჩამოაყალიბა ზოგადად თავისი შეხედულებანი ხელოვნებაზე და თავისებურად გაიაზრა მისი განვითარების გზები.***

ქალბატონებო და ბატონებო! 1918 წლიდან 1929 წლამდე, სანამ მადრიდის სტუდენტურ რეზიდენციაში ვიმყოფებოდი და ვიდრე დავამთავრებდი ჩემს ლიტერატურულსა თუ ფილოსოფიურ განსწავლას, რაფინირებულ სალონში, რომელსაც ხშირად ეწრებოდა ესპანეთის ძველი არისტოკრატია, რათა გამოესყიდა თავისი ფუქსავატური ყოფა საფრანგეთის კურორტებზე, მე მომისმენია ათასზე მეტი ლექცია. ჰაერისა და მზის მონატრულს ამ ლექციების სმენა ისე მბეზრდებოდა, რომ გამოსვლისას, გაღიზიანების წიწაკად ქცეული ვგრძნობდი, რომ მთლიანად დაფარული ვიყავ ფერფლის თხელი ფენით.

მე არ მინდა, რომ ამ დარბაზშიც შემოფრინდეს მოწყენილობის საშინელი კრაზანა, რომელსაც ძალუძს ქინძისთავების წვრილი წვეტებით დაჩხვლიტოს მსმენელთა თვალები და ყველა თავი თვლემის უწვრილეს ძაფზე აასხას.

მე შევეცდები მხოლოდ ჩემი პოეტური ხმის რეგისტრში, რომელსაც არ გააჩნია ხელოვნური ბრწყინვალება, ციკუტის ხვეულები და ირონიის მახვილებად მოქცევადი ცრუმაამებლობის ნასახი, გადმოგცეთ სადა გაკვეთილი ნატანჯი ესპანეთის იდუმალი სულისა.

ვისაც უმოგზაურია ხუკარის, გვადალეტეს, სილისა და პისუერგას მდინარეთა შორის ხარის ტყავივით გადაჭიმულ მიწაზე (მე საგანგებოდ არ ვახსენებ ლაპლატის წყალუხვსა და ლომისფაფრისფერტალღოვან მდინარეებს), ადრე თუ გვიან, უსათუოდ გაიგონებდა ასეთ გამოთქმას: «ამაში არის duende».

დიდ ანდალუსიელ არტისტს მანუელ ტორესს[2] ერთხელ უთქვამს რომელიღაც მომღერლისათვის: «თქვენ გაქვთ ხმაც და სიმღერის საკუთარი სტილიც, მაგრამ ვერასოდეს მიაღწევთ წარმატებას, ვინაიდან არ გაგაჩნიათ duende».

მთელ ანდალუსიაში, ხაენის მთებიდან კადისის ნიჟარამდე, ხალხი გამუდმებით ახსენებს duende-ს. ეს ხალხი duende-ს მისი გამომჟღავნებისთანავე გრძნობს უტყუარი ინსტინქტით. დებლის[3] შემქმნელს, ლებრიხელ ფლამენკოთა საოცარ მომღერალს განუცხადებია: როდესაც მამღერებს duende, ვერავინ შემედრებაო. ხნიერმა ბოშა მოცეკვავემ ლა მალენამ ბრაილოვსკის მიერ ბახის მუსიკის შესრულებისას წამოიძახა: «ოლე![4] ამაში არის duende!» ხოლო გლჲუკის, ბრამსისა და დარიუს მიჲოს სმენა კი მოსწყინდა.

მანუელ ტორესმა, რომელსაც სისხლში აქვს მეტი კულტურა, ვიდრე რომელსამე სხვას ჩემს ნაცნობთ შორის, ფალჲას მიერ შესრულებული მისივე «ხენერალიფეს ბაღების ნოკტჲურნის» მოსმენისას გამოთქვა ეს საოცარი აზრი: «ყოველივე, რისი წიაღიდანაც გამოიცემა უკუნი ხმები, შეიცავს duende-ს». და არ არსებობს უფრო დიადი სიმართლე.

[1] წაკითხულია მოხსენების სახით 1930 წ. ჰავანაში. duende (იკითხება ისევე, როგორც იწერება - დუენდე) - ესპანურად ნიშნავს უბოროტო დემონს, რომელიც მფარველობს ფუძეს (შორეულად ჩვენებური «ფუძის ანგელოზი» ან «ადგილის დედა»). ლორკა ამ ტერმინს ხმარობს ხელოვნების დიონისური საწყისის გამოსახატავად (აპოლონურის საპირისპიროდ). ამ მოხსენების თარგმანისას წამოიჭრა პრობლემა ტერმინ duende-ს ქართულად გამოხატვისა. ზუსტი შესატყვისის დაძებნა უაღრესად გაჭირდა. ევროპულ ენებზე შესრულებულ თარგმანში ეს ტერმინი უცვლელად არის გადატანილი. ჩვენც ასავე მოვიქცევით (მთარგმნ. შენიშვნა).

[2] ლორკას თანამედროვე ესპანელი მომღერალი, ანდალუსიური სიმღერების უბადლო შემსრულებელი.

[3] დებლა - ანდალუსიური «კანტე ხონდოს» ერთ-ერთი სახეობა (თვით «კანტე ხონდო» ნიშნავს «სიღრმისეულ სიმღერას»).

[4] ვაშა!

ეს «უკუნი ხმები» არის იდუმალი ფესვები, გადგმული ნოყიერ ნიადაგში, რომელიც ყოველი ჩვენგანისათვის ნაცნობია და მაინც უცნობი; საიდანაც ჩვენ ამოგვაქვს ის, რაც ჭეშმარიტია ხელოვნებაში. ტორესის აზრი აქ თანხვდება გოეთეს გუმანს, რომელიც განსაზღვრავდა duende-ს, ოდეს იგი პაგანინის ანიჭებდა იდუმალ ძალმოსილებას, რომელსაც ყველა გრძნობს, მაგრამ ვერც ერთ ფილოსოფოსს ვერ აუხსნია.

მაშასადამე, duende ძალმოსილებაა და არა მზა საქციელი, იგი ბრძოლაა და არა აზრი. მე გამიგონია, როგორ ამბობდა გიტარის მოხუცი ჯადოქარი: «duende ყელში არ ბუდობს, იგი ზეაღმოისწრაფვის ტერფებიდან»; რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გაწაფულობა კი არ არის, არამედ - სისხლის, ძველი კულტურისა და ქმნადობის ჭეშმარიტი, ცოცხალი ფორმა.

ეს «იდუმალი ძალმოსილება, რომელსაც ყველა გრძნობს, მაგრამ ვერც ერთ ფილოსოფოსს ვერ აუხსნია», არის სული მიწისა.

სწორედ duende იყო, ნიცშეს გულს რომ ჩაეჭიდა, რომელიც ამ duende-ს გარეგან ფორმებს რიალტოს ხიდზე თუ ბიზეს მუსიკაში ეძიებდა და ვერ პოულობდა. მან არ იცოდა, რომ მისი საძიებელი duende კადისის მოცეკვავეებსა თუ სილვერიოს სეგირიის[1] დიონისურ შეძახილებს ძველი ბერძნებისაგან ჰქონდათ გადმოცემული.

მე არ მინდა, რომ ვინმეს duende ეგონოს ლუთერის თეოლოგიური ეჭვის დემონი, რომელსაც მან ნიურნბერგში ბახუსური ჟესტით მიახალა სამელნე; არც კათოლიკური განმანადგურებელი და ნაკლებგონიერი დემონი, რომელიც ძუკნა ძაღლივით დაძრწის მონასტრის თაღებში; არც მოლაპარაკე მაიმუნი, რომელიც აჭარბებდა სერვანტესის თაღლითს ანდალუსიის ეჭვიანობისა და ველურობის კომედიაში. არა! უკუნი და მთრთოლვარე duende, რომელზედაც მე მოგახსენებთ, მომდინარეობს სოკრატეს მხიარული დემონისაგან, მარმარილოსა და მარილისაგან, რომლის მომნუსხველი რისხვა შუშხავს ხოლმე მის გაბრუებულ მფლობელს. იგი მომდინარეობს აგრეთვე, დეკარტეს მელანქოლიური დემონისაგან, პატარა, როგორც მწვანე ნუში, რომელიც წრეებისა და ხაზებისაგან თავგაბეზრებული ამოდის არხებიდან მეზღვაურთა სიმღერების მოსასმენად.

ადამიანი, ან როგორც ნიცშე იტყოდა, არტისტი თავისი სრულყოფილებისაკენ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს მოიპოვებს სწორედ duende-სთან (და არა ანგელოზთან ან მუზასთან) ბრძოლის ფასად. ყოველი ნაწარმოების ფესვებამდე ჩასაწვდომად, აუცილებელია, ამ ძირეული სხვაობის გამოვლენა.

ანგელოზი წინამძღოლია და მადლმცხებელი, ვით წმიდა რაფაელი, ანდა მცველი და მფარველი, როგორც წმიდა მიქაელი, ან კიდევ წინასწარმაფრთხილებელი, ვითარცა წმიდა გაბრიელი.




ანგელოზს ძალუძს გაოცების გამოწვევა, მაგრამ იგი მხოლოდ თავს დასტრიალებს ადამიანს; იგი გასცემს თავის წყალობას, რის გამოც კაცთათვის ადვილად მიიწდომვის საქმე, თანაგრძნობა თუ ცეკვა. დამასკოს გზად მიმავალი ანგელოზი, ან ის ანგელოზი, რომელიც ასიზის პატარა კანკლედში შეფრინდა, ან იგი, რომელიც კვალდაკვალ მიჰყვებოდა ენრიკე სუზოს - მბრძანებელი ანგელოზია, რომლის ნათების გაძლება არავის ძალუძს, ვინაიდან იგი რჩეულის სიახლოვეს იქნევს თავის ფოლადის ფრთებს.

მუზაც მბრძანებელია და ზოგჯერ აღმაფრთოვანებელიც, მაგრამ იგი, შედარებით, ნაკლებმოქმედია, ვინაიდან შორეულია და იმდენად ქანცმიხდილი (მე იგი ორჯერ მინახავს), რომ საჭირო ხდება მარმარილო მის მოსაღონიერებლად. მუზით შთაგონებულ პოეტს ესმის მისი ხმები, მაგრამ არ უწყის, საიდან მოედინებიან ისინი. ეს ხმები მომდინარეობენ მუზისაგან, რომელიც მათ ინახავს და ზოგჯერ კიდეც შთანთქავს ხოლმე. ასე შეემთხვა აპოლინერს, დიდ პოეტს, განადგურებულს შემაზრზენი მუზისაგან, რომლის გვერდითაც დახატა იგი ღვთაებრივმა და ანგელოზურმა რუსომ. მუზა აღაგზნებს ინტელექტს. მას მოაქვს სვეტებიანი ლანდშაფტები და ყალბი შეგრძნება დაფნისა. ინტელექტი პოეზიას, ძალზე ხშირად მტრად ევლინება; ვინაიდან იგი იმიტაციისაკენ ისწრაფვის, ვინაიდან მას პოეტი აჰყავს ეკლიან ტახტზე და აიძულებს დაივიწყოს ის, რომ შესაძლებელია, მას თავზე დაეცეს შხამიანი კიბო, ანდა იგი ჭიანჭველებმა გამოხრან. ყოველისავე ამის წინაშე უძლურნი არიან მუზები, რომელნიც მონოკლებში ირეკლებიან ხოლმე პატარა, თბილი სალონების ხელოვნურსა და პრიალა ვარდებს შორის.

ანგელოზი და მუზა გარედან მოილტვიან. ანგელოზი მანათობელია, მუზა - მქადაგებელი (ჰესიოდე სწავლობდა მათგან). პოეტი თავის ნიმუშებს: ოქროს ფოთოლს თუ ტუნიკის ნაოჭს იღებს დაფნის ბუჩქნარიდან, ხოლო duende გაღვიძებულ უნდა იქნეს სისხლში.

ჩვენ უნდა განვიშოროთ ანგელოზი და გავაძევოთ მუზა, თავი დავიხსნათ იმ შიშისაგან, რომელსაც გვგვრის XVIII საუკუნის პოეზიიდან მომდინარე იის სურნელი, თუ დიდი ტელესკოპი, რომლის ლინზებშიც თვლემს დატყვევებული და საზღვრებით დასნეულებული მუზა.

ჭეშმარიტი ბრძოლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც გაბრძოლებს duende. ჩვენ ვიცით, როგორ ვეძიოთ ღმერთი: განდეგილის უმძიმესი გზით თუ მისტიკოსის დახვეწილობით, წმიდა ტერეზას კოშკით თუ ხუან დე ლა კრუსის[2] სამი გზით. და თუნდაც ჩვენ მოგვიხდეს ესაიას ხმით ღაღადისი: «მკლავი უფლისა ვის გამოეცხადა?!» ბოლოს და ბოლოს, ღმერთი მაინც

[1] იგულისხმება იტალიელი მომღერალი სილვერიო ფრანკონეტი, რომელმაც ანდალუსიაში დანერგა «კანტე ხონდოს» განვითარებული სახეობა «სეგირია».

[2] ხუან დე ლა კრუსი (1542-1591) - ესპანელი მისტიკოსი პოეტი.

ზეგარდმოუვლენს პირველ ცეცხლოვან ეკალს მის მაძიებელს.

duende-ს საძიებლად არ არსებობს არც რუკა და არც მოძღვრება. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი სისხლს გვიწვავს, როგორც მინის ნაფშხვენი; გვღლის და გვქანცავს, უკუაგდებს ჩვენს მიერ ნასწავლ გეომეტრიას, უარჰყოფს ყოველგვარ სტილს და აიძულებს გოიას, საუკეთესო ინგლისელ მხატვართა მსგავსად რუხი, ვერცხლისფერი და ვარდისფერი ტონების ოსტატს, თავისი მუშტებისა და მუხლების მეშვეობით ხატოს კუპრივით შავი, შემზარავი ფერით; ანდა იგი პირინეების სუსხში აშიშვლებს სინტო ბერდაგერს[1]; აიძულებს ხორხე მანრიკეს[2], ელოდოს თავის სიკვდილს ოკანჲას უდაბნოში; აკრობატის მწვანე კოსტიუმით მოსავს რემბოს დასუსტებულ სხეულს; ანდა შერიჟრაჟებულ ბულვარებზე მკვდარი თევზის თვალებით მიშტერებია ლოტრეამონს.

სამხრეთ ესპანეთის დიდმა არტისტებმა, ბოშებმა ანუ ფლამენკოებმა იციან, რომ სიმღერის, ცეკვისა თუ თამაშის დროს ჭეშმარიტი ემოცია არ იშვის, სანამ თავს არ იჩენს duende. მათ, შესაძლებელია მოატყუონ კიდეც აუდიტორია და მოაჩვენონ, რომ ფლობენ duende-ს, ისევე, როგორც ყოველდღიურად გვატყუებენ მწერლები, მხატვრები და ლიტერატურულ მოდასაყოლილნი, რომელთაც არ გააჩნიათ duende-ს ნასახიც. მაგრამ საკმარისია დაკვირვება, უყურადღებობისაგან თავის დახსნა, რომ ხელოვნება იმწამსვე გამოაშკარავდეს და უკუგდებულ იქნეს ყალბი duende.

ერთხელ ანდალუსიური ფლამენკოების მომღერალი პასტორა პავონი, «სავარცხლებიანი ქალიშვილი», ესპანეთის მრუმე გენია, რომელიც თავისი წარმოსახვის ნიჭით შეედრებოდა გოიას ან რაფაელ ელ გალიოს[3], მღეროდა კადისის პატარა ტავერნაში. იგი მღეროდა ჩრდილის ხმით, დამდნარი ლითონის ხმით, ხავსით დაფარული ხმით, რომელიც მის გაშლილ თმებში იხლართებოდა. იგი თავის ხმას ხან მანსანილჲაში[4] აწევდა, ხან კი ბნელსა და შორეულ ტევრებში ჰკარგავდა. მიუხედავად ამისა, იგი სასტიკად დამარცხდა. ყველაფერი ამაო იყო, საზოგადოება დუმდა.

მსმენელთა შორის იმყოფებოდა იგნასიო ესპელეტა, რომაულ კუსავით მშვენიერი, რომელსაც ერთხელ ჰკითხეს, რატომ არ მუშაობო, და მას არგანტონიოს ღირსი ღიმილით უპასუხნია: რატომ ან რისთვის უნდა ვმუშაობდე, მე ხომ წარმოშობით კადისელი ვარო.

იქვე იყო ელოიზა, სევილიის ცეცხლოვანი, არისტოკრატიული კახპა, უშუალო მემკვიდრე იმ სოლედად ვარგასი, რომელმაც 1930 წელს უარი სტკიცა როტშილდს ქორწინებაზე იმ მიზეზით, რომ ჩემნაირი წმინდა სისხლისა არა ხარო.




იქვე იყვნენ ფლორიდასები, რომელთაც ბევრნი ყასბებად თვლიდნენ, მაგრამ ნამდვილად, ისინი იყვნენ ძველნი ღვთისმსახურნი, რომელთაც ჯერ კიდევ არ მოეშალათ გერიონისათვის[5] ხარების მსხვერპლად შეწირვა. ხოლო კუთხეში იჯდა ჯიშიანი ხარების მომშენებელი დონ პაბლო მურუბე. შთამბეჭდავი აღნაგობითა და კრიტოსული ნიღბის იერით.

პასტორა პავონმა სიმღერა დაამთავრა სამარისებულ მდუმარებაში. მხოლოდ ერთმა კაცუნამ, მოცეკვავე საჭურისთაგან, რომლებიც თეთრი ბრენდის ბოთლებს მიღმა წამოხტებიან ხოლმე, ჩუმი და დამცინავი ხმით ჩაილაპარაკა: დიდება პარიზს! ამით მას თითქოს იმის თქმა სურდა, რომ ჩვენ აქ უნარი, ოსტატობა და ტექნიკა კი არ გვინდა, არამედ რაღაც სხვას მოვითხოვთო.

მაშინ «სავარცხლებიანი ქალიშვილი» კვლავ წამოდგა შეშლილივით. იგი მოტეხილი იყო, როგორც შუასაუკუნეებისდროინდელი მოტირალი. მან გადაჰკრა დიდი ჭიქით კასალჲა[6], ისევ დაჯდა და ცეცხლმოდებული ყელით წამოიწყო სიმღერა. მღეროდა უხმოდ, უსუნთქველად, ხმათა მიმორხევის გარეშე, მაგრამ... duende-თი. მან შეძლო სიმღერისათვის ხარაჩოების ჩამოცილება, რათა გზა გახსნოდა გაშმაგებულ და აალებულ duende-ს, ქვიშიან ქართა მოამქრეს, რომელიც მსმენელებს იძულებულს ხდის, რიტმიულად შემოიძარცვონ სამოსელი ისე, როგორც წმიდა ბარბარას წინაშე მტევნად შეყრილი კარიბელი ზანგები იძარცვავენ ხოლმე.

«სავარცხლებიანი ქალიშვილი» იძულებული იყო ხმა ჩაეხლიჩა, ვინაიდან იცოდა, რომ მას უსმენდნენ რჩეულნი, რომელნიც მისგან ფორმებს კი არ მოითხოვდნენ, არამედ ამ ფორმათა არსს. მას ხმის ჩახლეჩვა მოუხდა იმიტომაც, რომ მუსიკა თვით წმინდა არსამდე ამაღლდა. მოუხდა თავისი ნიჭისა და შესაძლებლობათა გაღარიბება, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, მუზის განდევნა და განმარტოება, რათა წარმოჩენილიყო duende და მასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში ჩაბმულიყო. და როგორ მღეროდა! მან მიაღწია უკიდურეს სიწრფელეს და მისი ხმა იყო სისხლის შხეფი, მშვენიერი თავისი უშუალობითა და ცეცხლოვანებით, რომელიც იშლებოდა როგორც ხუან დე ხუნის[7] მიერ წარმოსახული ათთითიანი ხელის მტევანი ქრისტეს და-

[1] ხასინტ ბერდაგერი - XIX ს. ესპანელი პოეტი.
[2] ხორხე მანრიკე - XV ს. ესპანელი პოეტი.
[3] რაფაელ ელ გალიო - ცნობილი ესპანელი ტორერო.
[4] მანსანილჲა - თეთრი, ძელგი ღვინო.
[5] ჰერაკლეს მიერ განგმირული სამსხეულიანი გოლიათი.
[6] ცეცხლოვანი არაყი.
[7] XVI ს. ფრანგი მოქანდაკე (ჟან დე ჟუანი), რომელიც უმთავრესად ესპანეთში მოღვაწეობდა.

ლურსმულ, მაგრამ მაინც მთრთოლვარე ფეხებთან.

duende-ს გამოჩენა ყოველთვის გულისხმობს ძველ სტრუქტურაზე დაფუძნებული ყოველი ფორმის რადიკალურ შეცვლას. იგი იძლევა განუცდელი სიახლის განცდას; მას მოაქვს ახლად აფეთქილი ვარდისა და სასწაულის თვისებები და იწვევს თითქმის რელიგიურ ექსტაზსა და ენთუზიაზმს.

არაბულ მუსიკაში, ცეკვებსა და სიმღერებში duende-ს გამოჩენას ესალმებიან შეძახილებით «ალლაჰ, ალლაჰ»(ღმერთო, ღმერთო), რაც შორს არ არის «ოლე»-საგან, რომელიც გაისმის ხოლმე კორიდაზე, ხარებთან ბრძოლისას.

სამხრეთ ესპანეთის სიმღერებში duende-ს გამოვლენას ხვდებიან ღაღადისით: «Viva Dios»[2]. ეს არის ღრმა, სათუთი და ადამიანური გულის ხმა ღმერთთან ურთიერთობისა, რომელიც ხორციელდება ხუთი გრძნობის მეშვეობითა და duende-ს დახმარებით. duende-ს საძრაობაში მოჰყავს მოცეკვავის ხმა და სხეული. ეს არის ჭეშმარიტი განდგომა ამა ქვეყნისაგან, ისეთივე წმინდა განდგომა, როგორსაც აღწევდა «შვიდი ბაღიდან» გამომდინარე იშვიათი ესპანელი პოეტი XVII საუკუნისა პედრო სოტო დე როხასი[3], ანდა წმიდა იოანე კლიმაკუსი[4] თავის გოდებათა მოცახცახე კიბეზე.

როდესაც ეს განდგომა მიღწეულია, მის ეფექტს ყველა გრძნობს: რჩეულნიც, რომელნიც ხედავენ, თუ როგორ იმარჯვებს სტილი საცოდავ მატერიაზე და უმეცარნიც, რომელნიც შეპყრობილნი არიან ჭეშმარიტი მღელვარებით. რამდენიმე წლის წინ ხერეს დე ლა ფრონტერაში გამართულ მოცეკვავეთა შეჯიბრზე ოთხმოცი წლის მოხუცმა ქალმა წაართვა პრიზი მშვენიერ ქალებსა და ქალიშვილებს, რომელთაც ჰქონდათ ნაკადულივით წელი. მას ხელები სადად და უბრალოდ ჰქონდა ზეაწეული, თავი უკან გადაეგდო და ერთ ადგილზე როკავდა. ანგელოზთა და მუზათა ამ კრებულში, მშვენიერ ფორმათა და ულა-



Roman Aqueducts, Segovia

მაზეს ღიმილთა შორის, უნდა გაემარჯვა მომაკვდავ duende-ს, რომელსაც მიწაზე მისთრევდა თავისი ფრთების ჟანგიანი დანები და გაიმარჯვა კიდეც.

ყოველი ხელოვნება უნდა ფლობდეს duende-ს და ბუნებრივია, ყვე-



ლოპე დე ვეგა

ლაზე მეტად მუსიკა, ცეკვა და ზეპირმეტყველი პოეზია, ვინაიდან ესენი მოითხოვენ ცოცხალ სხეულს, როგორც ინტერპრეტატორს; ვინაიდან ესენი არიან ფორმები, მარადმოკვდავნი და მარადშობადნი, რომელთა კონტურები მარტოოდენ აწმყოში იკვეთება. ხშირად ავტორის duende ინტერპრეტატორს გადაეცემა. ზოგჯერ კი, კომპოზიტორი და პოეტი ყალბნიც რომ იყვნენ, თვით ინტერპრეტატორის duende ჰქმნის ახალ სასწაულს, რომელსაც ორიგინალთან ცოტა რამ აქვს საერთო. ასე იქცეოდა duende-ს მფლობელი ელეონორა დუზე, რომელიც საგანგებოდ ეძებდა მარცხებს, რათა ისინი გამარჯვებებად ექცია, იმის შემწეობით, რასაც იგი მათში დებდა; ანდა პაგანინი, რომელსაც გოეთეს თქმით, შეეძლო უაღრესად ბანალური მუსიკიდან უღრმესი მელოდიების ამოხვეწა; ან კიდევ მშვენიერი ქალიშვილი, რომელიც პუერტო დე სანტა მარიაში ისეთი პაუზებითა და მნიშვნელობის მინიჭებით მღეროდა შემზარავ იტალიურ სიმღერას «O Mari»-ს, რომ მან ეს იაფფასიანი სიმღერა ოქროსგან ჩამოსხმულ გველად აქცია. ერთი სიტყვით, ეს იყო ინტერპრეტატორის მიერ შექმნილი ორიგინალი. ექსპრესიას მოკლებულ ნაწარმოებში შევიდა ცოცხალი სხეული და არტისტული გენია.

ყოველგვარ ხელოვნებას და ყველა ქვეყანას ძალუძს ფლობდეს duende-ს, ანგელოზსა და მუზას. თუ გერმანია, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ფლობს მუზას, ხოლო იტალია მარადის ინარჩუნებს ანგელოზს, ესპანეთს ყოველთვის ამოძრავებს და წარმართავს duende. ეს ასეა. ვინაიდან ესპანეთი არის ძველი მუსიკისა და ცეკვის საუფლო, სადაც duende წურავს განთიადის ლიმონს, და ვინაიდან იგი არის სიკვდილისათვის განხმული ქვეყანა.

სიკვდილი ყველა ქვეყანაში აღსასრულია. იგი მოდის და ფარდები ეშვება. ესპანეთში პირიქით, ფარდები ზემოთ იწევს. ბევრი ესპანელი ცხოვრობს ოთხ კედელს შორის მომწყვდეული სიკვდილის დღემდე, ხოლო ამ დღეს იგი მზეზე გამოჰყავთ. ესპანეთში მიცვალებული უფრო მეტად ცოცხალია, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. იგი სამართებელივით კვეთს ესპანეთის პროფილს. ესპანელთათვის დამახასიათებელია სიკვდილზე ხუმრობა და მისი მდუმარე განჭვრეტა, კევედოს «თავის ქალათა ზმანებასა» და ვალდეს ლეალის «ხრწნად ეპისკოპოსს»შორის, XVII საუკუნის მარაბელას, რომელიც შორ გზაზე ამხედრებული მშობიარობისას გარდაიცვალა ამ სიტყვებით:

«ჩემი საშოს სისხლს
დაუფარავს ცხენი,
შენი მერნის ფლოქვები
ცეცხლს აფრქვევენ კუპრივით...»

[1] დიდება ღმერთის!
[2] ლორკა გულისხმობს გრანადის ბაღებით შთაგონებული პედრო სოტო დე როხასის წიგნს - «მრავალთათვის დახშული სამოთხე,ყველასათვის განხმული ბაღები».
[3] იოანე კლიმაკუსი - VI ს. ასკეტი. ავტორი ცნობილი წიგნისა «სასულიერო კიბე».

და ხარის მიერ ახლახან განგმირულ სალამანკელ ჭაბუკს შორის, რომელმაც სიკვდილის წინ წამოიძახა:

«ძმებო, აღსასრულის ჟამი
დამიდგა შიგანში მკვნესარი,
მკერდში ხელსახოცი სამი
ჩამრჩა და მეოთხეც ეს არი...»

ყოველსავე ამას შორის აღმართულია გვარჯილის ყვავილთა ზღუდე, რომლის მიღმაც ბუდობს სიკვდილის მჭვრეტელი ხალხი, რომელიც თავის სიმკაცრეში შთაგონებულია იერემიას სიტყვებით და რომელსაც ლირიზმის გრძნობას ულვიძებს კვიპაროსების სურნელი. ეს არის ქვეყანა, რომელშიც ყოველივეს, რაც ხდება, დაჰკრავს სიკვდილის ლითონის გემო.

დანა, ურმის თვალი, სამართებელი, მწყემსების ეკლიანი წვერი, შიშველი მთვარე, ბუზი, ნესტიანი თახჩა, ქვაფენილი, მაქმანით დაფარული ხატები, ჩაუმქრალი კირი, კარნიზებისა და საგუშაგო კოშკების დაბილული მოხაზულობა. აი ისინი, რომელთა შორისაც ესპანეთში მოიბრძვის სიკვდილის წვრილი ბალახი, გაურკვეველი ხმები, საცნაურნი მხოლოდ დაკვირვებული გონებისათვის, რომელნიც ჩვენს მეხსიერებას წარმავლობის გულგრილობის იერს ანიჭებენ. ესპანეთის ხელოვნების ნიადაგთან კავშირი შემთხვევითი არ არის. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს ნარშავს და დასაბამეული ქვებით არის მოფენილი. პლებერიოს გოდება თუ ხოსე მარია დე ვალდივიელსოს ცეკვა გამონაკლისს არ წარმოადგენს. შემთხვევითი არც ის არის, რომ ევროპის ყველა ბალადას შორის გამოირჩევა ეს ესპანური სატრფიალო სიმღერა:

«- თუ შენ სატრფო ხარ ჩემი,
რატომ მარიდებ თვალთა?
- ჩაქრნენ თვალები ჩემი,
ჩრდილმა მოჰფინა კალთა.

- თუ შენ სატრფო ხარ ჩემი
ბაგეს რად აღარ მიწვავ?
- ბაგის ნათელი ჩემი
დანავლა შავმა მიწამ.

- თუ შენ სატრფო ხარ ჩემი,
მკლავს რატომ აღარ მომხვევ?
- საშენო მკლავი ჩემი
უკვე ჭიებმა მოხრეს».

არც ის არის საოცარი, რომ ძველ ესპანურ ლირიკულ პოეზიაში ვხვდებით ასეთ სიმღერას:

«ბაღში მელოდება სიკვდილი,
ვარდების ბუჩქნარში
მოვკვდები.

დედა, მე წავედი ბაღისკენ,
ვარდების საკრეფად წავედი
და ბაღში ვიპოვე
სიკვდილი.

დედა, მე წავედი ბაღისკენ,
ვარდების საკრეფად წავედი
და ვარდის ბუჩქნარში ვიპოვე
სიკვდილი.

ბაღში მელოდება სიკვდილი,
ვარდების ბუჩქნარში
მოვკვდები».

მთვარით გაყინული თავები, რომელთაც ხატავდა სურბარანი, ელ




Arc De Tiomf Barcelona

გრეკოს ზეთოვანი და ღია ყვითელი ფერი, სიგუენცეს პროზა, გოიას ყველა ნაწარმოები, ესკორიალის ეკლესიის აბსიდა, მთელი ჩვენი პოლიქრონული სკულპტურა, ოსუნას საგვარეულო აკლდამა, ბონავენტესის სამრეკლო მედინა დე რიო სეკოში, «სიკვდილი გიტარით» - ეს ყველაფერი უდრის წმიდა ანდრეს დე ტეიქსიდოს პილიგრიმობას, სადაც სიკვდილი პროცესიას მიჰყვება; სამგლოვიარო სიმღერებს, რომელთაც ნოემბრის ღამეში მბჟუტავი ფარნების შუქზე ასრულებენ ასტურიელი ქალები; მაიორკისა და ტოლედოს კათედრალთა სიბილების ცეკვას და ვნების პარასკევის უსასრულო რიტუალებს, რაც ხარებთან ბრძოლის ცივილიზებულ სპექტაკლებთან ერთად წარმოადგენს სიკვდილის ტრიუმფს ესპანეთში. მსოფლიოს ყველა ქვეყანათა შორის ამით მარტოოდენ მექსიკას ძალუძს ესპანეთთან გატოლება.

მუზა, როგორც კი შეიგრძნობს სიკვდილს, ახშობს კარიბჭეს, ანდა გამოდგამს ურნას და ცვილის ხელით წერს ეპიტაფიას. იგი იმწამსვე წეწავს თავის გვირგვინს ორ ქარს შორის მოქანავე მდუმარებაში. იგი ხოტბათა მოკვეთილ თაღებქვეშ მგლოვიარე ხელებით წნავს ყვავილებს, რომელთაც ასეთი გულმოდგინებით ხატავდნენ XV საუკუნის იტალიელი მხატვრები; ანდა იგი მოუხმობს ლუკრეციუსის საიმედო მამალს, რათა განდევნოს მოულოდნელი აჩრდილები.

ანგელოზი, როდესაც იგი სიკვდილის გამოჩენას იგრძნობს, ნელი წრეებით უვლის მას გარშემო და ყინულოვანი ცრემლებითა და ნარგიზებით წნავს ელეგიას, რომელიც თრთის კიტსის, ვილია სანდინოს, ჰერერას, ბეკერისა თუ ხუან რამონ ხიმენესის ხელებში. მაგრამ როგორი თრთოლაა, როდესაც ანგელოზი თავის ვარდისფერ ფეხზე იგრძნობს თუნდაც ძლიერ პატარა ობობას?!

duende არ ვლინდება, სანამ არ წარმოიშვის სიკვდილის წინათგრძნობა და სანამ იგი არ დარწმუნდება, რომ მას ხშირად მოუხდება სიკვდილის სამყოფელთა მონახულება. duende არ არის დარწმუნებული, რომ მას ძალუძს იმ რტოების შერხევა, რომელნიც ჩვენ გვიპყრია ხელთ და რომელთაც ჩვენთვის არავითარი ნუგეში არ მოაქვთ.

აზრში, ხმაში თუ მოძრაობაში duende შემოქმედთან ჭიდილისას ჭის კიდეს ელტვის. და მაშინ, როდესაც ანგელოზი და მუზა ვიოლინოთი ან ზომიერი რიტმით კმაყოფილდებიან, duende გვაყენებს ჭრილობას, რომლის შეხორცების ცდაში (რაც არასოდეს მოხდება), ვლინდება ადამიანის საოცარი ქმედითი თვითმყოფადობა.

პოემის მაგიური თვისება იმაში გამოიხატება, რომ იგი უნდა წარიმართებოდეს duende-ს მიერ, რათა მასში მხედველი უკუნეთური წყლით მოინათლოს. duende-ს შემწეობით ადვილია სხვისი სიყვარული და გაგება, და იმის რწმენაც, რომ შენც შეგიყვარებს და გაგიგებს სხვა. პოეზიაში ეს ბრძოლა გამჟღავნები-

სა და ურთიერთგაგებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილის ხასიათს იღებს ხოლმე.

გავიხსენოთ უკიდურესი ფლამენკო, duende-ს მფლობელი წმიდა ტერეზა, ფლამენკო არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან სამი დიდებული ჟესტით შეაჩერა გახელებული ხარი, და არც იმიტომ, რომ იგი ხუან დე ლა მიზერიას წინაშე თავის სილამაზეს ივეხნიდა, და არც იმის გამო, რომ მან სილა გააწნა პაპის ნუნციას, არამედ იმიტომ, რომ იგი იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანთაგანი, რომელიც თავისი ისრით დაჰკოდა duende-მ (და არა ანგელოზმა, ვინაიდან იგი თავს არ ესხმის არავის, არასოდეს). duende-ს სურდა მისი განგმირვა, ვინაიდან წმიდა ტერეზამ მას მოსტაცა უკანასკნელი საიდუმლოება - შემაერთებელი ხიდი, რომელიც აკავშირებს ხუთ გრძნობას ცოცხალი სხეულის არსთან, ცოცხალ ღრუბელთან, ცოცხალ ზღვასთან და დროისაგან განთავისუფლებულ სიყვარულთან. მან დიდი თავდადებით დაამარცხა duende, წინააღმდეგ ფილიპე ავსტრიელისა, რომელიც მუზისა და თეოლოგიის ანგელოზის მიგნების წყურვილით იმყოფებოდა duende-ს ტყვეობაში, და რომელიც უსიცოცხლო ძიების duende-მ ესკორიალში მოამწყვდია, სადაც გეომეტრია ზმანებას ემიჯნება და სადაც დიდი მეფის სამარადისო დასასჯელად duende-ს დააქვს მუზის ნიღაბი.



შეიძლება ითქვას, რომ duende-ს უყვარს საგანთა კიდე, ჭრილობა, და იგი იქ ბუდობს, სადაც ფორმები ერთმანეთს ედულაბებიან ერთ ვნებიან ლტოლვად შენივთულნი, და როდესაც ეს ლტოლვა უფრო მეტია, ვიდრე მისი ხილული გამოვლენა.

ესპანეთში (ისევე, როგორც აღმოსავლეთში, სადაც ცეკვა რელიგიურ გამოვლინებად ითვლება) duende განუსაზღვრელ სამოქმედო ასპარეზს პოულობს მარციალის მიერ ხოტბაშესხმულ კადისელ მოცეკვავე ქალთა სხეულში, იუვენალის მიერ შექებულ მომღერალთა გულებსა თუ ხარებთან ბრძოლის ყველა რიტუალში, რომელიც ჭეშმარიტ რელიგიურ დრამას წარმოადგენს, სადაც ისევე სრულდება მსხვერპლშეწირვა და ღვთისმსახურება, როგორც წირვისას.

კლასიკური სამყაროს მთელმა duende-მ თითქოს თავი მოიყარა ამქვეყნიურ შესანიშნავ სპექტაკლში, რომელიც ერის განუზომელი მგრძნობელობისა და კულტურის სიმბოლოს წარმოადგენს, სადაც დახვეწილი მრისხანება, ნატიფი მელანქოლია და დაწმენდილი კაეშანი ვლინდება. ესპანური ცეკვებისა და ხარებთან ბრძოლის მჭვრისას არავინ ერთობა. დრამის მეშვეობით duende გაიძულებს იტანჯო ცოცხალი ფორმებით და იგი ამზადებს ნიადაგს გარემომცველი რეალობისაგან გასაქცევად. duende ისე მოქმედებს მოცეკვავის სხეულზე, როგორც ქარი ქვიშაზე. იგი მაგიური ძალმოსილებით აიძულებს ახალგაზრდა ქალს, იმოძრაოს მთვარეულივით; ტავერნის სიახლოვეს მომათხოვრე მოხუცს ანიჭებს ჭაბუკურ იერს. გრძელი ნაწნავებით მოაქვს ღამეული ნავსადგურების სურნელი და ყოველ წამს ისეთ მოძრაობაში მოჰყავს ხელები, რომელიც ნებისმიერ დროს ბადებს ცეკვას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ duende არასოდეს მეორდება, როგორც არასოდეს მეორდებიან ქარიშხლიანი ზღვის ფორმები.

თავისი გამომსახველობის უმაღლეს მწვერვალს duende აღწევს ხარებთან ბრძოლისას, ვინაიდან იგი ებრძვის, ერთმხრივ სიკვდილს, რომელსაც ძალუძს მისი მოსპობა, და მეორემხრივ გეომეტრიას, რომელიც სპექტაკლის ძირითად საზომს წარმოადგენს.

ხარს თავისი ორბიტა აქვს, ტორეროს - თავისი. და ამ ორ ორბიტას შორის მოქცეულია ფათერაკის წერტილი, რომელიც ამ შემაზრზენი თამაშის უმაღლეს მწვერვალად გვევლინება.

შეიძლება ითვლებოდე შესანიშნავ ტორეროდ, როდესაც გშველის მულეტიანი[1] მუზა და ბანდერილიათი[2] შეიარაღებული ანგელოზი, მაგრამ როდესაც მუშაობ მოსასხამით, როდესაც ხარი ჯერ კიდევ არ არის დაჭრილი და ბოლოს, როდესაც დგება წამი მისი მოკვლისა, არტისტული სიმართლის ლურსმნის ჩასასმელად აუცილებელია duende.

ტორერო, რომელიც უგონო სიმამაცით აშინებს მაყურებელს, არ იძლევა ხარებთან ბრძოლის ნამდვილ

[1] მულეტა - ფოლადის ბუნიკიან ჯოხზე დახვეული ალისფერი ფარჩა.
[2] ბანდერილია - ფერადი ქაღალდებითა და ბაფთებით შემკული პატარა, წვრილი შუბი, რომელიც ხარის გასახელებლად იხმარება.

სანახაობას. იგი ახდენს სიცოცხლესთან აბსურდული თამაშის დემონსტრაციას, რაც ყველას ძალუძს; ხოლო duende-ს მიერ ნაგესლი ტორერერო პითაგორული მუსიკის გაკვეთილს გვაძლევს და გვაიძულებს დავივიწყოთ ის გარემოება, რომ იგი თავის გულს წამდაუწუმ ხარის რქებზე ისვრის.

ლეგარტიხოს[1] რომანული duende, ხოსელიტოს[2] ებრაული duende, ბელმონტეს[3] ბაროკალური duende და კაგანჩოს[4] ბოშური duende, შებინდულ არენაზე ტორეროების, პოეტების, მხატვრებისა და მუსიკოსებისათვის იძლევიან ესპანეთის ტრადიციის ოთხი დიდი გზის გაკვეთილს.

ესპანეთი არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც სიკვდილი ბუნებრივ სანახაობას წარმოადგენს; სადაც სიკვდილი ყოველი გაზაფხულის დადგომისას გაბმით ახმიანებს ბუკს და ესპანეთის ხელოვნება ყოველთვის წარიმართვის გამჭრიახი duende-ს მიერ, რომელიც ამ ხელოვნებას ანიჭებს სრულიად განსხვავებულ იერსა და გამომსახველობით თვისებებს.

duende, რომელიც ქანდაკების ისტორიაში პირველად ავსებს წითელი სისხლით მატეო დე კომპოსტელას წმინდანთა ღაწვებს, იგივ duende-ა, რომელიც სან ხუან დე ლა კრუსს აიძულებს გოდებას, ანდა წვავს გაშიშვლებულ ნიმფებს ლოპე და ვეგას რელიგიურ სონეტებში.

duende, რომელიც აღმართავს საგუნის კოშკს, ანდა აწყობს კალატაჲუდისა[5] თუ ტერუელის[6] გახურებულ აგურებს, იგივ duende-ა, რომელიც აპობს ელ გრეკოს ღრუბლებს, კინწისკვრით ფანტავს კევედოს[7] ალგვასილებს[8] და აღაგზნებს გოიას ქიმერებს.

duende წვიმაში ავლენს იდუმალ ველასკესს, თოვლში აჩენს შიშველ ერერას[9] რომელიც გვარწმუნებს, რომ სუსხი მომაკვდინებელი არ არის. გაღვივებული duende ბრწყინვალებამდე აღანთებს ბერუგეტეს[10] და მას აიძულებს ქანდაკების ახალ განზომილებათა პოვნას.

გონგორას[11] მუზასა და გარსილაზოს[12] ანგელოზს მოუხდათ გვირგვინის დათმობა წმიდა ხუან დე ლა კრუსის duende-სათვის, როდესაც

«დაჭრილი ირემი
გადმოდგა სერზე…»

გონზალო დე ბერსეოს[13] მუზასა და იტის ეპისკოპოსის ანგელოზს მოუხდათ გზის დათმობა ხორხე მანრიკესათვის[14], როდესაც იგი სასიკვდილოდ დაჭრილი მიადგა ბელმონტეს ციხესიმაგრის კარიბჭეს. გრეგორიო ერნანდესის მუზასა და ხოსე დე მორას[15] ანგელოზს მოუხდათ უკან დახევა, რათა გზა მიეცათ მენას[16] სისხლიანი ცრემლებით მოტირალი duende-სათვის. ასევე, კატალონიის მელანქოლიური მუზა და წვიმით გალუმპული გალისიის ანგელოზი გაოცებული სიყვარულით მისჩერებიან კასტილიის duende-ს, ასე დაშორებულს თბილი პურისა და ძროხისაგან, რომელიც ქარით დაცარიელებულ ცისა და დახეთქილი მიწის მიღმა იცოხნება.

კევედოსა და სერვანტესის duende, ერთი - ფოსფორული ნათების მქონე მწვანე ანემონებით, ხოლო მეორე - რუიდერის თაბაშირის ანემონებით ამკობენ ესპანეთის duende-ს საკურთხეველს.

ცხადია, რომ ყოველი ხელოვნება ფლობს სხვადასხვა სახისა და ფორმის duende-ს, მაგრამ მათი ფესვები იქ ერთდებიან, საიდანაც ტორესის თქმით, გამოიცემიან «უკუნი ხმები», ანუ პირველადი ნივთიერება ხის, ხმის, ტილოსა და სიტყვის მთრთოლვარე და დაუოკებელი საფუძველი.

სწორედ ეს «უკუნი ხმებია», რომელთა მიღმაც ჩვენ ვაგნებთ მჭიდრო კავშირში მყოფ ვულკანებს, ჭიანჭველებს, ნაზ სიოებსა და ირმის ნახტომს, რომელსაც ფერდებზე მიჰკვრია დიდებული ღამე.

ქალბატონებო და ბატონებო! მე აღვმართე სამი თაღი და გამოუცდელი ხელით მათში მოვათავსე მუზა, ანგელოზი და duende.

მუზა დაწყნარებულია. მას შეუძლია შეიმოსოს ძლიერ დანაოჭებული ტუნიკით ან იცქიროს პომპეის ძროხის გაშტერებული თვალებით, ან კიდევ ჰქონდეს დიდი ცხვირი და ოთხი სახე, როგორიც მას მისმა მეგობარმა პიკასომ შესძინა.

ანგელოზს შეუძლია თრთოდეს ანტონელო და მესინას[17] მიერ დახატულ ნაწნავებში თუ ფილიპო ლიპის[18] მიერ შექმნილ ტუნიკაში, მაზოლინოს[19] ვიოლინოში თუ რუსოსთან[20].

მაგრამ სად არის duende? ცარიელ თაღში შედის გონების ნიავი, რომელიც დაჟინებით დაჰფარფარებს მიცვალებულთა თავებს ახალი ლანდშაფტებისა და იდუმალ ხმათა ძიების წყურვილით; ნიავი, რომელსაც დაჰკრავს ბავშვის ნერწყვის, გაქელილი ბალახისა და მედუზის გამჭვირვალე აჰკის სურნელი; ნიავი, რომელიც ყველგან და ყოველთვის გვაუწყებს ახლადქმნილ საგანთა მარადიულ ნათლობას.

ესპანურიდან თარგმნეს

*ლია ლორიამ და*
*ვახუშტი კოტეტიშვილმა*

[1,2,3,4] ცნობილი ესპანელი ტორეროები.
[5] ქალაქი ესპანეთში, სარაგოსის პროვინციაში, «იერუსალიმის რაინდთა» ძველი დედაქალაქი.
[6] ქალაქი ესპანეთში, არაგონის პროვინციაში.
[7] ფრანსისკო გომეს დე კევედო ი ვილ ეგას (1580-1645) - ესპანელი მწერალი.
[8] ალგვასილი - სასამართლოს აღმასრულებელი.
[9] ხუან დე ერერა - ესკორიალის არქიტექტორი.
[10] ბერუგეტე (1480- 1561) - ესპანელი მხატვარი, მოქანდაკე და არქიტექტორი.
[11] დონ ლუის დე გონგორა (1561-1627) - ესპანელი პოეტი.
[12] გარსილაზო (1500-1559) - ესპანელი კონკისტადორი, ცნობილი ინკებისადმი უაღრესად ჰუმანური დამოკიდებულებით.
[13] გონზალო დე ბერსეო - XIII ს. კასტილიელი პოეტი.
[14] ხორხე მანრიკე - XV ს. ესპანელი პოეტი და მეზღვაური.
[15] ხოსე დე მორა (1783-1863) - ესპანელი მწერალი.
[16] ხუან დე მენა (1411-1456) - ესპანელი პოეტი.
[17] ანტონელო და მესინა (1431-1477) - იტალიელი მხატვარი.
[18] ფილიპო ლიპი (1406-1469) - იტალიელი მხატვარი.
[19] მაზოლინო (1383-1447) - იტალიელი მხატვარი.
[20] ანრი რუსო (1844-1910) - ფრანგი მხატვარი.

გიზო ჭელიძე

მოინახება თუ არა ათვლის ისეთი წერტილი, რომელიც სათავეს დაუდებს ხალხური პოეტური შემოქმედების საწყისებს. ეს ურთულესი პრობლემაა. საამისოდ აუცილებელია «დასაბამიერი» ძეგლის აღმოჩენა თუ არა, ხელმოსაკიდი ცნობების პოვნა მაინც.

რა მდგომარეობაა ქართულ სინამდვილეში?

ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორია იცნობს ერთ მეტად მნიშვნელოვან არქეოლოგიურ უნიკუმს - თრიალეთის ვერცხლის სასმისს, რომელსაც ძველი წელთაღრიცხვის XVIII-XVII საუკუნეებით ათარიღებენ. იგი გვაწვდის გასაღებს იმის გასათვლელად, თუ სად მოჩანს ქართული ხელოვნების, კერძოდ, პოეტური შემოქმედების კონტურები.

1938 წლის აგვისტოში, თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბორის კუფტინის მეთაურობით, წალკაში, ყორღან კურუხტაშში, აღმოაჩინა ვერცხლის თასი (სასმისი), რომელსაც ამშვენებს ზედა და ქვედა ფრიზები (აშიები). ზედა ფრიზზე გამოსახულია რიტუალური სცენა - ფერხული, რომელმაც იმთავითვე მიიქცია მეცნიერთა ყურადღება.

რას ასახავს ფრიზზე მოცემული საფერხულო სცენა?

უზურგო ტახტზე ზის ღვთაება მარჯვენა ხელში სასმისით. იგი ნახევრად პროფილშია; სახე დაფარული აქვს ცხოვლის ნიღბით; აცვია გულისპირმოჭრილი ტანსაცმელი, ფეხებზე - ჭვინტიანი ფეხსაცმელები; მუხლებზე ჩამოფარებული აქვს ფოჩიანი მოკაზმულობა, წინ უდგას მაღალფეხებიანი დიდი ჭურჭელი; ჭურჭლის გვერდით მოჩანს ოვალური თასი. იქვე დგას სამსხვერპლოს კვარცხლბეკი - აქეთ-იქიდან ორი ზვარაკით (პატარა ცხოველების გამოსახულება). ოცდაორ მეფერხულეს ჩაუბამს ფერხული და მიემართება ტახტზე მჯდომი ღვთაებისაკენ. მეფერხულეებიც ისეთივე ცხოვლის ნიღბებით არიან წარმოდგენილნი, როგორც ღვთაება. მეფერხულეთ მოუჩანთ მელიის გრძელი კუდები, ხელში სასმისები უჭირავთ.

ფიგურათა პოზები საზეიმოა. ღვთაების უკან დგას «ხე ცხოვრებისა».

ფერხულის სიუჟეტი ღვთაებრივი სითხის - უკვდავების სასმელის დარიგება - დამწყალობლებას გადმოსცემს, რაც, ჩვეულებრივ, ნაყოფიერების კულტთანაა დაკავშირებული. ამ ქმედებას ანალოგი ეძებნება ძველი სამყაროს რიგ ქვეყნებში - ხეთურ, შუმერულ, ეტრუსკულ კულტურებში. ხეთურ რიტუალებში ნაყოფიერების ღვთაებას კონკრეტული სახელითაც უხმობენ - ტელეფინი, ან კიდევ - ტელეფინუში. იგივე სახელი ჰქვია ეტრუსკული ნაყოფიერების ღვთაებასაც - «ტელეფა». ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით წარმართულ საქართველოში ტარდებოდა ნაყოფიერების სხვადასხვა კულტის თაყვანისცემის მისტერიები, განსაკუთრებით პატივში იყო მამრობითი სქესის ნაყოფიერების ღვთაება, რომელსაც სვანეთში ეძღვნებოდა საგანგებო ფერხულ-რიტუალი - «მელია-ტელეფიას» ან კიდევ - «ტულეფა მელიას» სახელწოდებით. «ტელეფა» ეწოდება იმერეთის ერთ-ერთ სოფელს (საჩხერის რაიონი) როგორც ვხედავთ, ტელეფას კულტი ფართო განფენილობისაა და ერთი დიდი წრის წარმართულ - კულტურულ მოვლენად მოჩანს.

ესე იგი ტელეფა განაყოფიერების ღვთაება ყოფილა. რაღაა «მელია»? რეინაკის მიგნებით ანტიკურ საბერძნეთში ნაყოფიერების ღვთაებას - დიონისეს - თაყვანს სცემენ მელიის სახელით ისე, როგორც რომში - მგელს. ბერძნულ ბაკხანალიებში მეფერხულეები მელიის ქურქს წამოისხამდნენ თურმე. გამოდის, ქართულ რიტუალში ნაყოფიერების ღვთაება ტელეფასთან მელიას დაკავშირება არ უნდა იყოს შემთხვევითი; საზეზეა ორი ღვთაების სახელის შეტოლება, რომ მელია და ტელეფა ქართული წარმართული რიტუალის მთავარი პერსონაჟები ჩანან.

როგორ ტარდებოდა «მელია-ტელეფიას» ფერხული?

არსენ ონიანის აღწერილობით, დიდი მარხვის პირველ დღეს, ეგრეთწოდებულ «შავ ხუთშაბათს», დილით, ღვთაება კვირიას სადღესასწაულოდ, მოედანზე შეიკრიბებოდა თითქმის მთელი ხევი. შეკრებილნი გაიყოფოდნენ ორ მოპირდაპირე ჯგუფად, აირჩევდნენ მხარეთა მეთაურებს - კეისრებს, გააკეთებდნენ თოვლის დიდ კოშკს - მურყვამს და დაიწყებდნენ ჭიდაობას. საითაც კეისარი წაიქცეოდა, კოშკსაც იქით გადააქცევდნენ, რაც მოსავლის ბედის გასარკვევად იძლეოდა მნიშვნელობას. კოშკის წაქცევის შემდეგ რვა-რვა კაცი ჩააბამდა ორპირ ფერხულს - «ადრეკილას», მღეროდნენ რიგ-რიგობით. პირველი წყება სიტყვებს სვანურად წარმოთქვამდა, მეორე წყება - ფუძე-ქართულზე, სიმღერაში დასცინოდნენ დამარცხებულ მხარეს. ამას მოსდევდა «მელია-ტელეფიას» ფერხული.

ბ. კოვალევსკი გადმოგვცემს, რომ ფერხულის შესრულების დროს «კაცები ერთმანეთის ზურგს უკან დგანან და ხელი მეზობლის თეძოზე უდევთ. წინ მიიწევენ რიტმულად და უბიძგებენ ერთმანეთს, თან უფრო და უფრო უჩქარებენ ნაბიჯს. უცბად წინა მეფერხულე გაიხდის ტანსაცმელს, განაგრძობს წინ სვლას და იქნევს ჯოხს. სვლა იქცევა თავშეკავებულ ბაკჰანალურ ცეკვად. უდიდესი დაძაბულობის მომენტში, ცეკვის ყველა მონაწილე და მაყურებელი, აღგზნებული თვალებით მუხლზე ეცემა პირით აღმოსავლეთისაკენ და მღერის ჰიმნს ნაყოფიერების ღვთაება - კვირიასადმი. აქვე სრულ-

დებოდა ფერხული «საქმისაიც».

შ. ამირანაშვილმა დაადგინა, რომ სასმისზე გამოხატული ფერხული იდენტურია «მელია-ტელეფიასი». ორივე ფერხულში ერთმანეთის მიმდევრობით მდგომ მეფერხულეებს თითქმის მსგავსი საცეკვაო ნახაზით უხდებოდა მოძრაობა. ერთნაირია წარმართულ-მითოსური სემანტიკა, ორივე ძეგლში იგრძნობა საფერხულო სინკრეტიზმის რღვევა, - წამყვანის (წინამძღოლის) გამოყვეთა. სინკრეტიზმის რღვევის ნიშანს ხედავს მზია იაშვილი იმ გარემოებაში, რომ თრიალეთურ ფერხულში სვლის მონაწილეები შემთხვევით არ იყოფიან 22 ფიგურად. ფიგურათა ეს რაოდენობა გულისხმობს მეფერხულეთა ანტიფონურ გუნდად დაყოფის პრინციპს, ხოლო საფერხულო სიმღერის ანტიფონურად შესრულების წესი წრიული ფორმის ფერხულის კულტივირებითაა ნაკარნახევი და სინკრეტიზმის რღვევას მოასწავებს.

ესე იგი ერთ დონეზე დგანან თრიალეთური და სვანური ფერხულები თავიანთი წყობით (ხელმოუბმელი), სემანტიკით (ნაყოფიერების ღვთაებისადმი თაყვანისცემა) და დანიშნულებით (გამოთხოვოს ღვთაებას ნაყოფიერება).

ქართული კულტურის ისტორიისათვის მეტად ფასეულია, რომ 4000 წლის წინანდელი კულტურული ფენომენი ცოცხალ გადმონაშთებს პოულობს თანამედროვე (სვანურ) ყოფაში და აცოცხლებს ხელოვნების წარსულს. ცოცხალ გადმონაშთთა მთლიანობას ქმნის ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი ერთდროულად მიმდინარე ფერხულები: «ადრეკილაი», «საქმისაი» და



«მელია-ტელეფია», რომელთა მსგავსება თრიალეთურ ფერხულთან იმაზე მეტყველებს, რომ ძველი წელთაღრიცხვის XVIII-XVII საუკუნეებში საქართველოში სინკრეტული ერთიანობით კულტივირებული ფერხულის არსებობა საეჭვო აღარაა.

რა ფოლკლორულ-მითოსური კვალი ამოიკითხება თრიალეთურ ფერხულში?

თრიალეთის ფერხული, არცთუ ვიწრო გაგებით, მთლიანობაში, მითოპოეტური მოვლენაა. სახეზეა ხალხური ხელოვნების დარგები: ცეკვა, სიმღერა (მუსიკა), სანახაობრივი გარდასახვები (დრამა-თეატრის საწყისები) და ღვთაებისადმი აღვლენილი სავედრებელ-სადიდებლები, ანუ ლექს-საგალობლის არქეტიპი.

შეიძლება ითქვას, რომ 40 საუკუნის წინ და რასაკვირველია, უფრო ადრეც, ქართველთა წინაპრებს ჰქონდათ ერთგვარად განვითარებული ცეკვა, სიმღერა, სანახაობა და შესაბამისად - პოეტური სიტყვიერებაც.

მაგრამ ყოველივე ეს ინფორმაციაა, რასაკვირველია, სარწმუნო და ღირებული, მაგრამ მაინც ინფორმაცია. მითპოეზიის ისტორიის სათავეების გასააზრებლად აუცილებელია ზეპირსიტყვიერი ძეგლი. ქართული მწერლობის ისტორიას ჩვენ ვერ დავიწყებდით მეხუთე საუკუნით, რეალურად ამ საუკუნის ნაწარმოები რომ არ შემოგვრჩენოდა. რა გვეთქმის ამ მხრივ ზეპირსიტყვიერებაზე?

თუ ჩავთვლით, რომ სვანური ფერხულები «ადრეკილაი», «საქმისაი» და «მელია-ტელეფია», როგორც ერთი კომპლექსის ქმედებანი, თრიალეთური ფერხულის იდენტური მოვლენებია, ხომ არ შეიძლება დასახელებული სვანური ფერხულების მუსიკალური ფრაზეოლოგია და მელოდიურ-ვერბალური ფაქტურა ჩავთვალოთ თრიალეთური რიტუალის გამოძახილად? ვფიქრობთ შეიძლება! მაშინ გავიხსენოთ სიტყვები ბ. კოვალევსკის აღწერილობიდან: «მელია-ტელეფიას შესრულებისას უდიდესი დაძაბულობის მომენტში ცეკვის ყველა მონაწილე მღერის ჰიმნს ნაყოფიერების ღვთაება - კვირიასადმი».

მოვიხმოთ მუსიკალურ გამაზე გაწყობილი სტრიქონები, რომლებიც, მართალია, დღეს ჩვენთვის ლინგვისტურ-სემანტიკურ გააზრებას მოკლებულია, მაგრამ თავის დროზე, მთქმელ-შემსრულებლისა და მსმენელისათვის იგი (თითოეული შორისდებული, სიტყვა-წამოძახილი), რასაკვირველია გასაგები იქნებოდა. ამიტომ ფერხულში ჩაწნული სიტყვა-შენაერთების შინაარსის ამოუხსნელობამ დაბრკოლება ვერ უნდა შექმნას იმის სავარაუდოდ, რომ საქმე გვაქვს ქართული ლექსის შორეულ არქეტიპთან.

აი, ლექს-არქეტიპიც:

*კვირია, ლე-ო-ი, ვო-ი,*
*ვო-ი-ა, ჰო, დე-ი, ჰო-ი, ჰო-ი,*
*ვო-ი, ვო-ი, ვო-ლი, ა ჰო!*
*კი-რი-ე, კი-რი-ე, კი-რი-ე,*
*ა, უ-რი-ა, ჰაი, ა, უ-რი-ა, ური,*
*ჰა, ჰა!*
*იო, იო, იო, აი, აი უ-რი, ჰაი, ჰაი, ჰო, ური, ვაია.*
*ჰა-ი, ჰა-ი, ო, ო-ა, ა, ურ-ი, ა, აი, ო, უ-რი-ური, ჰა,ჰა!*

ამ მუსიკალურ ტექსტში შეიძლება გამოვწვლილოთ სიტყვებსმიახლოებული ბგერათკომპლექსები:

კვირია - კირიე, ლეო, ვაია, ჰოდე, ჰოი, ვოლია, აურია, იო, ჰაი, ვაია, ურიური და სხვა.

აშკარაა, სახეზეა ნაყოფიერების ღვთაება კვირიასადმი მიძღვნილი ვედრება-სადიდებელი. ამაზე მეტყველებს «კვირია-კირიეს» ხშირი ხსენება. ესე იგი, საქმე უნდა გვქონდეს უხსოვარ დროინდელი მითოსური ჟანრის ლექს-სახეობასთან - საგალობელთან, რომელიც ემორჩილება საფერხულო რიტმს.

ვფიქრობთ, სანამ სხვა არქაული მასალები არ გამოვლენილა, «მელია-ტულეფიას» მუსიკალურ-ვერბალური საგალობელ-სადიდებლით უნდა დავიწყოთ მითოსურ ზეპირსიტყვიერების, კერძოდ ქართული ლექსის არქეტიპული სათავეების ძიება.

დასახელებულ თასზე აღნუსხული ფერხული ქართული ცეკვის, სიმღერა-მუსიკის, თეატრალურ გარდასახვების სათავეებზე მიუნიშნებს.

დავუბრუნდეთ ღვთაება «ტელეფიას» ფენომენს. იგი არამარტო ფონეტიკურად თანხვდება შუმერულ-ხათურ თუ ეტრუსკულ თელეფინუს-თელეფას, არამედ - ფუნქციითაც. ორივე წარმართული ღვთაებაა, რომელთაც ეძღვნება საგანგებო რიტუალები. მიჩნეულია, რომ ხათურ-ხეთურ თელეფინუს ქართულ ტელეფიასთან სახელის გარდა ანათესავებს სხვა გარემოებანიც. თუ ჩავთვლით, რომ «მელია-ტელეფია» და თრიალეთის ფერხული იდენტური ძეგლებია, მაშინ გასათვალისწინებელია რამდენიმე ნიშანდობლიობა...

... ხათურ-ხეთური ღვთაება თელეფინუ, მიძინების შემდეგ, უბრუნდება რა ქვეყნიერებას, მის წინ აღიმართება მარადმწვანე ხე - ეია. ხეზე ჰკიდია საწმისი (სხვა ვარიანტით - ბატკნის ტყავი). იგი, ხეთების წარმოდგენით, სახელმწიფოსა და ხალხის ძლიერების სიმბოლოა.

საეჭვოდ როდი მიაჩნიათ, რომ საქმე გვაქვს «ოქროს საწმისის» არგონავტებამდელ (ძვ. წ. IV-III ათასწლეული) კოლხურ მოტივთან. ისიც საგულისხმოა, რომ სვანურ ტელეფიიდან ძალიან მოკლე გენეტიკური გზაა კოლხურ «ოქროს საწმისამდე». შემთხვევითი არც ხათურ-ხეთური და კოლხური ონომასტიკონი - ეია და ეია (აია) უნდა იყოს. თანაც სვანეთში აიას სახელწოდების ღვთაებაც არსებობს (შდრ. გ. გიორგაძე «ათასი ღვთაების ქვეყანა», 1988, გვ. 164-166). შეიძლება მარადმწვანე ხეს - ეიას - მეორე კუთხით შევხედოთ - იქნებ მასში თრიალეთურ ფერხულში ღვთაების სავარძლის უკან აღმართული სიცოცხლის ხე დავინახოთ.

ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ ქართული (სვანური) ღვთაება ტელეფია გენეტიკურ ორეულად გამოიყურება შუმერულ-ხათურ-ეტრუსკულ თელეფინუსთან მიმართებით. მით უფრო, რომ შეხება ჩანს სწორედ იმ ხალხების მითოსურ კულტურასთან, რომელთანაც კარგა ხანია ეძებენ მეცნიერები ქართველურ ტომთა ფესვებს.

რაღაა სიტყვა «მელია» ტელეფიასთან კონტექსტში? - ეს ატრიბუტი (მელია) მხოლოდ სვანურში ერთვის ტელეფიას. ზემოთ მინიშნებული იყო, რომ მელია-ტელეფია ესაა ორი ღვთაების სახელთა და ფუნქციათა შეტოლება-შერწყმა. ვფიქრობთ, სიტყვა-ცნების «მელიას» გაშიფვრამ შეიძლება სხვა სურათი მოგვცეს. «მელამელამ» შუმერულად გულისხმობს სინათლეს, ელვარებას, ბრწყინვალებას; იგივე სიტყვა («მელამ») სვანურად აღნიშნავს ცეცხლის გამოშუქებას, ელვას (იხ. თ. მიბჩუანი, XX ს. უდიდესი აღმოჩენა, 1997, გვ. 90). რამდენადაც ცნობილია, ხათურ-ხეთური ტელეფინუ ტაროსის ვაჟია, მოსალოდნელია მას გამოყვა ამინდის გამოწვევის, კერძოდ, ელვის მოტანის, ფუნქციები, ამიტომ ეჭვგარეშეა მას მიუძღვნიდნენ რიტუალებს, აღუვლენდნენ ლოცვა-საგალობლებს, რათა გამოეთხოვათ ნაყოფიერება და კეთილდღეობა, ასევე, ნაყოფიერების ღვთაებად ითვლება სწორედ სვანური მელია-ტელეფიაც. თუ «მელას», შუმერული და ქართული მონაცემებით, მივანიჭებთ ელვის, ცეცხლის გამოშუქების უნარს, შეიძლება გაჩნდეს სინტაგმა - «ელვარე ტელეფია». იქნებ ამ შინაარსს აქსოვდნენ მასში და წარმოთქვამდნენ ასე: «მელია-ტელეფია - ელვის, სინათლის, ცეცხლის მომტანო, გევედრები შენ!» მით უფრო, რომ ცეკვის ბოლოს ფერხულის მონაწილენი და მაყურებელი აღგზნებული თვალებით მუხლებზე ეცემიან, პირს აღმოსავლეთით (სინათლის მომცემი მხარისკენ) დაიკავებენ და ნაყოფიერების ღვთაების - კვირიას საგალობელს წარმოთქვამენ.

ვინღაა კვირია? იგი მორიგე ღმერთის მოადგილედ, სინათლის ღვთაებად, ლილესა და რიჰოს სახესხვაობად სახელდება სვანეთში (ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, გვ. 250). ასე, რომ მელია-ტელეფიას



ფერხულში უნდა იყოს შემონახული სინათლის ღვთაებისადმი აღვლენილი ლექს-საგალობელი.

ასევე, ქართული ლექსის შორეულ არქეტიპად უნდა მივიჩნიოთ სვანური საფერხულო საგალობლის ნიმუში - «შამარერა»:

*შაიამა შამარერა, ჰორი ჰორირა,*
*შაიამა შამარერა, ჰოი ჰო ჰო, რერა!*
*ჰორირა ჰორი, ჰოი, ჰორი,*
*ჰორი ჰოირა!*
*შაიამა შამარერა, ჰორი, ჰო! ჰორი,*
*ჰორირა, შამაია შამარერა შარა შამარე, ჰო!*

ტექსტი მთლიანად გაუგებარია, გასაგებია მხოლოდ ერთი სიტყვა «შამა» (ვარიანტით - «შემა»), რაც სვანურად ნიშნავს მზეს (იხ. თ. მიბჩუანი, გვ. 94). იგივე სემანტიკა აქვს «შამა»-ს აქადურ მეტყველებასა და მითოლოგიაში. იგი, წერს ზ. კიკნაძე, შუმერული წარმოშობის ღვთაებაა, მისი შუმერული იდეოგრამა გამოხატავს ამომავალ მზეს; იგივე იდეოგრამა აღნიშნავს «დღეს», «დღის ნათელს». შამარისადმი მიძღვნილი ჰიმნები და მითოლოგიური პასაჟები მას წარმოგვიდგენს კეთილ ღვთაებად, მისი ყოველდღიური გამოჩენა ცარგვალზე წარმოსახავს ქაოსის ძალების განადგურებას» (ზურაბ კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი, 1994, გვ. 54). ზემოთ მოხმობილ ტექსტში რამდენჯერმე გაისმის «შამარერა», ისე, როგორც «მელია-ტელეფიას» საგალობელში «კვირია». «შამაშრერა» ფაქტიურად წარმოადგენს სამი სიტყვის კომპოზიცი-

ას - «შამა», «რე» და «რა». სამივე, თ. მიბჩუანის დაკვირვებით, შუმერულად ცალცალკე ნიშნავს მზეს. გავიხსენოთ «რე-სა» და «რას» ხშირი განმეორება ქართულ ლექს-სიმღერებში მისამღერ-რეფრენების სახით. გამოდის, რომ «შამარერა» მზის საგალობელია. ზემოთ ჩვენ «კვირიას» საგალობელთან დაკავშირებით მივუთითეთ, რომ საქმე გვქონდა ქართული მითოსური ლექსის არქეტიპთან. «შამარერაზე» დაკვირვება ნათელს ხდის, რომ ხელთა გვაქვს ასევე უძველესი მითოსური ლექს-საგალობელი, მაგრამ ერთგვარად კულტივირებული, სადაც უკვე ჟღერს გარკვეულწილად მოწესრიგებული პოეტური სტრიქონები: «შამაია შამარერა, ჰორი ჰორირა», «შამაია შამარერა, შარა შამარე», რაც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ ქართული ლექსის არქეტიპის მითოსურ-პოეტიკურ საზომს და სემანტიკას.

«შამარერას» სტილის, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული და ვერბალური სინკრეზმით წარმოჩენილ ლექსს-საგალობლების ციკლს საკმაოდ იცნობს ქართული პოეტური რეპერტუარი, უპირატესად სვანური ძეგლებით წარმოდგენილს. ასეთებია: «შინა ვორგილ», «ჰო რირა», «ვოისა რერა», «ზარი», (სვანური პოეზია, გვ. 266-267), აგრეთვე, გურული, აჭარული, ლეჩხუმური უტექსტო ნადურები, რომლებიც აშკარად ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ ქართული პოეტური სიტყვა მართლაც ჟღერდა ათასწლეულების წინ.

მომდევნო პერიოდის ლექს-საგალობლის ტიპიურ ძეგლად მიგვაჩნია საყოველთაოდ ცნობილი «ლილე», რომლის სახელწოდებას აკავშირებენ შუმერულ ღვთაებასთან - ენ ლილი. მსგავსება შეინიშნება ფონეტიკურიც და შინაარსობრივიც. «ლილესა» და ზემოთ გარჩეულ ძეგლებთან («კვირია», «შამარერა») დამოკიდებულება ერთგვარ სტადიურ სურათს ქმნის ლექს-საგალობელთა ევოლუციის გასათვლელად. მაგალითად, «შამარერა» «კვირიას» მსგავს საგალობლებთან შედარებით, განვითარებულ საფეხურს წარმოადგენს ვერბალურ პოეტური დახვეწილობის თვალსაზრისით, ხოლო ასეთ მდგომარეობას აჩვენებს «ლილე» «შამარერასთან» მიმართებით. სქემა შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: «კვირია» - «შამარერა» - «ლილე». მსგავსი ძეგლების დაძებნა და სქემის შევსება, რასაკვირველია, შესაძლებელია კვლევაძიებას მოითხოვს.

## შამარირა

შამარირა, მოდენილ ხარ სხივთ ჩვენთ მიერ ჩვენდა ბედად, შამარირა,
შამარირა, ცხელი გულის ამარა ვართ შთენილი და ცხელ გულს გწირავთ, შამარირა.
შამარირა, შეგვაბიჯე საკუთარი განსაცდელის შუაგულში შამარირა,
შამარირა, ნაპერწკლები მოუსხია გემტვრის ჩირაღს, შამარირა,
შამარირა, ნათება ხარ სხივწყვეტილი მაგრამ შენსკენ შამარირა,
შამარირა, გზა არსით და არსაიდან არის ხშირად, შამარირა,
შამარირა, ნეტარ ღიმილს ნუ გვაშორებ ნურც ერთ ჩვენგანს შამარირა,
შამარირა, ზნედაცულთა სასო ხარ და ქცეულ მზირად, შამარირა,
შამარირა, ვინც ეძიებს ჰპოვებდესო, ვპოვოთ ჩვენაც, შამარირა,
შამარირა, როცა შენ ხარ, სიბნელეში მიკვირს ვზით რად, შამარირა,
შამარირა, ვიდრე პირში სული გვიდგას, სული გვიდგას შამარირა,
შამარირა, ვერარაი ძალა ვეღარ დაგვცემს ძირას, შამარირა.
შამარირა, ავის მსურველ, ავის მდომელ, ავად მზირალ შამარირა,
შამარირა, ვერ შეგვიცვლის, ვერ შეგვიცვლის ოდნავ ნირას, შამარირა,
შამარირა, სამამულო დუღაბში ხარ ჩაქცეული, შამარირა,
შამარირა, შერევიხარ სამოკირწყლო ქვიშას კირად, შამარირა,
შამარირა, მსაზღვრელ გეთქმის უსაზღვროთა თვით უსაზღვროს, შამარირა,
შამარირა, ვერა სცვეთენ ჟამნი იბერთ ჯიშს და ჯილაგს, შამარირა,
შამარირა, მოდენილ ხარ სხვით ჩვენთ მიერ ჩვენდა ბედად, შამარირა,
შამარირა ცხელი გულის ამარა ვართ შთენილი და ცხელ გულს გწირავთ, შამარირა.

«დასვენება ქვათა ხვედრია მხოლოდ»! რაც უფრო მეტს ქმნი, მით მეტ ტკივილს განიცდი, ეს სევდა, ხშირად, ლოცვასავით ამოთქმულ ტირილად გესტუმრება და სათავესაც დაგაძებნინებს.

თანაბარი სიძლიერით განიცდის პოეტი სევდასაც, ტკივილსაც, ცხოვრებისეულ შხამსაც და ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებით შეგრძნებათა სიმძაფრეს ლექსის სხმულ სტრიქონებად აქცევს.

მოვლენა მოვლენას სდევს, გაცოცხლებას იწყებს წარსული. 70-იანი წლების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ეროვნული მოძრაობა. სულიერი და-ძმობა მერაბ კოსტავასა და ვლადიმერ სიხარულიძესთან. დიდი ხნის ბრძოლა და ბრძოლით მოტანილი ნანატრი თავისუფლება. მოუშუშებელი ჭრილობა სამაჩაბლო და აფხაზეთი.

არცერთი წამი არ ჰგავს ერთმანეთს, თუმცა, ისინი დროში ქმნიან თანმიმდევრობას. ამ თანმიმდევრობაში იძერწება სახე შემოქმედისა, რომელსაც არ უძებნია სამშობლოს ბედში საკუთარი პატივი.

არ უძებნია, რადგან ხმა, რომელიც თან სდევდა ყოველ ნაბიჯზე, ახსენებდა: «დასვენება ქვათა ხვედრია, მხოლოდ.»

მის ლექსებს არ უყვართ «ნოტებზე სიარული.» ლექსის ფორმა განცდისა და აზროვნების მოთხოვნილებას ეფარდება და არა პირიქით. თუკი ვინმეს შეიძლება მიესადაგოს ცნობილი გერმანელი პოეტის - ჰანს არპის სიტყვები, «მე მოვდივარ ჩემი გაურკვევლობიდან,» მათგან, ჩემი თაობის პოეტებს შორის, ერთ-ერთი ლია ბედოშვილია. რადგან მხოლოდ გაურკვევლობით და ამ გაურკვევლობიდან გამოსავალი გზის ძიებით შეიძლება იგრძნოს ადამიანმა ამაღლებული და დაცემული სამყარო. თანაბარი სიძლიერით ესმის პოეტ ქალს მყინვარწვერის, არშას, ყუროს, მამა-პაპის საძვალის ძახილი და მაღლდება წინაპრების სულიერი სამყაროს წიაღში. და ეს კიდევ მეტ გაურკვევლობაში ხვევს. აკი თავადვე გვამცნობს:

«მე თვით არ ვიცი, სად მოვხვდი,
ჯავრს ვეწირები ტარიგად,
გაჩენის დღემდე ვცოცხლობდი,
გაჩენის დღიდან მკვდარი ვარ.»

ბედოშვილის მიხედვით, გაჩენის დღემდე მარადიულ საუფლოშია სული. ჯერ კიდევ ფიზიკური სხეულის მიღმა მყოფს, დედამიწაზე განსხეულებით დაბადებასთან ერთად მოჰყვება სიკვდილი. ხრწნად სხეულში ჩასახლებული უკვდავი სული ჩავარდა მომაკვდინებელ ყოფაში. წუთისოფელში მოვლენის მისიაა, სულმა დაიბრუნოს ის უნარი, რაც მიწიერი ხორცშესხმის დროს დაკარგა. ეს არის სულის ბორგვისა და ამბოხის მიზეზი მთელი ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე.

ადამიანმა უნდა გააცოცხლოს მისი ღვთაებრივი არსი მიწიერი ცხოვრების დროს. სიკვდილის კარმა არ უნდა დაასწროს უფალთან შეერთების ლოდინს.

**«ღმერთო, მომეცი ძალა,**
**მოულოდნელი კვირტის.»**

წერს ერთ-ერთ ლექსში პოეტი და ამით მიგვანიშნებს, რომ კვირტები ის სიტყვებია, ავტორის ძალისხმევით რომ უნდა გაიშალონ. მათში კონცენტრირებულია სიცოცხლე, აქ მოულოდნელობაა, სილაღეა, შეუზღუდველობაა. და კვირტი ანგრევს ქერქს, მოაქვს დიდი შინაგანი ძალა... და თუ არა ღვთის წყალობა, «მოულოდნელი კვირტი» არ ამოიზრდება.

ორიგინალობით შეზავებული ტრადიციული ხედვაა მეტეხის ტაძრისადმი მიძღვნილ ლექსში:

«წმინდა არს ყოველი ქვაკუთხედი შენის ტანისა
და გუმბათს შენსას მზე კი არა, ღვთის მადლი დასდის.»

ქრისტიანულ სივრცულ წარმოდგენაში გუმბათი ასულდგმულებს ცის თაღს. მისი ფორმა ტატნობის შეგრძნებას აჩენს ადამიანში. ლია ბედოშვილთან მზე თავად არის ღვთის მადლით მოვლენილი პლანეტა, რომელსაც აღმატებულ ხარისხში წარმოგვიდგენს და მკითხველშიც ჩნდება შესაბამისი განწყობილება. ღმერთო, შენი მადლით მხოლოდ მზე კი არა, სიცოცხლე მოგვანიჭე...

იმდენად ლამაზია «ზემოდან დაფრქვევა» რომ გუმბათის ყელში შემოდის მზის ურთიერთგადამკვეთი სხივები და ყველა მხრიდან შემოჭრილი შუქი ცვლის ინტერიერს.

თითქოს უფალი იმზირება თავის სახლში და მისი თვალისთვის არაფერია დაფარული...

რას შენიშნავს სამყაროსეულ ეკლესიაში უფალი, როდესაც მოკვდავის თვალი, მისი წყალობით მტვრის ქრთილსაც ამჩნევს. ამჩნევს, რადგან სულია თავად, რადგან «ვიოლინოს უმწეო ხემი, სულს ფრთით ეხება და ამუსიკებს.» ამიტომაც ვხედავთ «უფსკრულისკენ ჩაშრიალებულ» ადამიანებს, მაგრამ «ქარის მიერ ცისკენ აფრიალებულ» ადამიანებსაც ვხედავთ და დავასკვნით: ლია ბედოშვილი არ არის ამბის და თხრობის პოეტი, ის ასოციაციური აზროვნების პოეტია. «ყოველ სიკვდილში გოჯითა და მადლით ივსება.» ივსება და ცდილობს მისეული პასუხი მოუძებნოს ყოველ კითხვას - ძალზე მიწიერსაც, ამაღლებულსაც:

პასუხს ითხოვს დაღუპულთა შელახული ხსოვნა, პასუხს ითხოვს სულიერ ფასეულობათა გაუფასურება. პასუხს ითხოვს სამშობლოს ხვალინდელი დღე, რომლისადმი მიძღვნილი წიგნი 9 წლის მანძილზე დუმილში აწრთო პოეტმა და ამ დუმილით მოიპოვა უფლება, მიმართოს ნაწილს საკუთარი სულისა:

*«შენ ჩემი მორეული ტკივილი ხარ და შენ ღირსმყავ მე» შორს რჩება მორეული ტკივილები და წინ კი ახალი ტკივილებია, რადგან «დასვენება ქვათა ხვედრია მხოლოდ.»*

**ერეკლე საღლიანი**

# ადამიანი იბადება თავისუფალი, მაგრამ რატომღაც ყოველთვის ბორკილებშია.

*ჟ. ჟ. რუსო*

ამ ნომრიდან ვიწყებთ ჩვენი მოძრაობის, სახელად «სრულყოფილი ადამიანი - სრულყოფილი საზოგადოება» იდეოლოგიური მასალების მიწოდებას, რომლებიც ასახავენ აღნიშნული მოძრაობის მიზნებსა და დანიშნულებას, რადგან ჟურნალი მოძრაობას ეკუთვნის და მას ემსახურება.

გაწვდით XXI საუკუნის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომლის წინასიტყვაობა ეკუთვნის ეპიგრაფის ავტორს, ჟ. ჟ. რუსოს. მასზე უკეთესად ძნელია წარმოდგენილი დოკუმენტის მნიშვნელობის გაშუქება, მით უმეტეს, რომ ეს იდეა მისეულია, რაც შესაბამისი ილუსტრაციითაა დადასტურებული.

**«მოქალაქეობის შესახებ»**

«ბუნებრივი მდგომარეობიდან მოქალაქეობრივ მდგომარეობაში გადასვლა, ცვლის რა ადამიანის ინსტინქტებს - სამართლებრიობით, რაც მის მოქმედებებს ზნეობრივ ხასიათს ანიჭებს, მეტად მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს მასში, რასაც იგი ბუნებრივ მდგომარეობაში ყოფნისას იყო მოკლებული. მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვალეობის გრძნობა ერევა ხორციელ სურვილებს და ეუფლება თავის მხრივ - სურვილს, მაშინ ადამიანი, რომელიც მხოლოდ თავის თავს ეკუთვნოდა, იძულებულია იმოქმედოს გონების კარნახით და სხვა პრინციპებით იხელმძღვანელოს, ვიდრე აჰყვეს თავის მიდრეკილებებს. თუმცა, იგი ბუნების მიერ მინიჭებულ ბევრ უპირატესობაზე ამბობს უარს, მაგრამ სხვა მნიშვნელოვან უპირატესობებს იძენს სამაგიეროდ: მისი ნიჭიერებანი იწრთობა და იზრდება, წარმოდგენები ვრცელდება, გრძნობები კეთილშობილდება და მთელი მისი სული იმდენად მაღლდება, რომ ამ ახალი მდგომარეობის მიმართ შეცოდების გამო იგი რომ არ ეცემოდეს იმაზე მდაბლა, ვიდრე ის მდგომარეობა, საიდანაც ამაღლდა მისი სული, მაშინ იგი ყოველთვის ლოცვით გაიხსენებდა იმ ბედნიერ წუთს, როდესაც სამუდამოდ დააღწია თავი გონების სიჩლუნგისა და გაპირუტყვების საფრთხეს, და შექმნა საკუთარი თავი მოაზროვნე არსებად - ადამიანად.



შევაჯამოთ ყოველი, იოლად შესადარებელ დებულებებად. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თანახმად, ადამიანი კარგავს თავის ბუნებრივ თავისუფლებას და განუსაზღვრელ უფლებას ყველაფერ იმაზე, რაც მას ხიბლავს და რასაც შეიძლება რომ დაეუფლოს, სამაგიეროდ იძენს მოქალაქეობრივ თავისუფლებას და ყოველი კერძო საკუთრების იმ უფლებას ყოველ საგანზე, რომლებსაც ჭეშმარიტად ფლობს.

*ჟ. ჟ. რუსო*

ათასწლეულების მანძილზე, მიმდინარეობს ადამიანთა ცნობიერების დატყვევების მიზანსწრაფული პროცესი - გამოიყენება ყოველი ხერხი, რათა ადამიანს დაავიწყონ ჯერ ღმერთი და შემდეგ, ერთადერთი საკუთარი ღირსება - ადამიანობა! სინათლის მატარებელი ადამიანები, ანათებდნენ ბნელეთს თავიანთი შემოქმედებით და ერებს, დიდხანს უნათებდა დიდ პიროვნებათა შემოქმედების სინათლე. მაგრამ გადიოდა ხანი და ფიზიკური თუ იდეოლოგიური აგრესია ამდაბლებდა ადამიანთა ცნობიერებას. ადამიანთა ამაღლებული ცნობიერებიდან მოწყვეტა, მათ სიკვდილს ნიშნავს, რაც კარგად იცის ბნელეთმა და ამაში არანაირი გადაჭარბება არაა, რადგან გაუხეშება და აზრის დამდაბლება, იწვევს ნგრევასა და განადგურებას. განადგურებას კი სხვაგვარად არმაგედონი ჰქვია. დიდი სიძნელეები აქვს დღევანდელ კაცობრიობას, როდესაც სატანა ტელევიზორის მეშვეობით, ყველა ოჯახში შეიჭრა და ატყვევებს ადამიანებს, ამდაბლებს მათ ცნობიერებას. ჩვენ კი გვეკიჟინებენ - «არავითარი ცენზურა», ასე ხომ უფრო იოლია, სრული უკონტროლობით სამყაროს ნგრევა.

ეს იმ დროს, როდესაც ადამიანის ორგანიზმი, მთელი პლანეტის მდგომარეობას განიცდის. უფრო მეტიც, მთელი სამყაროსი, მაგრამ ვის სცალია ჩაბარებული სამფლობელოს მოვლისათვის - როდესაც ადამიანს სრული ტყვეობისაკენ მიაქანებენ მისი ქვენა ვნებები?!

ჩვენი ამოცანაა შევახსენოთ კაცობრიობას, რომ ის გამოვლენილი, ხელშესახები სამყაროს უზენაესი ქმნილებაა და რომ შეუძლია სამყაროთა გამთლიანების ცენტრად გარდაიქცეს. მხოლოდ ამ აზრის მქონე ადამიანისაგან, გაცნობიერება და ადამიანთა შორის ამ აზრის დანერგვა მოუტანს მათ ჭეშმარიტ წარმატებას.

იმისათვის, რომ ეს აზრი გავაღვიძოთ, დაიწერა ეს სწორუპოვარი, ადამიანობისა და ადამიანში ღვთიური საწყისების აპოთეოზი, «XXI საუკუნის უფლებათა დეკლარაცია» პროექტის სახით.

ველით თქვენს შთაბეჭდილებებს, საზოგადო მოღვაწეებს ამ დოკუმენტის სრული რედაქციისათვის, რათა საქართველო, - ფარნავაზის ასომთავრულის, შოთა რუსთაველისა და წმინდა მარიამის წილხვედრი ქვეყანა მოევლინოს მსოფლიოს, ადამიანობისა და ღვთიური ღირსებების აღორძინების მედროშედ!!!

# XXI საუკუნის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია

**დევიზი: ვეძებთ არა უფლებებს, არამედ სამართალს, რომლის გარეშეც ცხოვრება სრულ პირფერობად იქცევა.**

## პრეამბულა

*XX საუკუნის მთავარი ნიშანთვისება იყო, მეცნიერების უდიდესი ინტერესი სულის პრობლემების, თეოსოფიის და მსოფლიოს ყველა რელიგიების ზნეობრივი ნორმებისადმი. დადგა დრო, როცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბრწყინვალე წარმატებებმა, მეცნიერების უახლესი თეორიებისა და აღმოჩენების საფუძველზე, მიგვიყვანა ძირითადი თეოსოფიური პრობლემების მეცნიერული მტკიცების შესაძლებლობასთან. ლეპტონურ-ელექტრომაგნიტური ჰიპოთეზა არა მარტო ამტკიცებს იმ ვითარებას, რომ ჩვენ ლეპტონურ ველში დანი და ძმანი ვართ, არამედ ახლებურად «ხსნის» ბიბლიურ ჭეშმარიტებას, და აკადემიური სიმტკიცით აცხადებს, რომ ყოველი ადამიანი მსგავსია ღმერთისა, ღმერთკაცია, რადგან ნებისყოფის დაძაბვით ქმნის ახალ «ცოცხალ» მიკროსამყაროებს მატერიის უფრო გაუხშოებულ საფეხურზე - მიკროლეპტონურ ეიდოსებს.*

*სავსებით თეოსოფიურად ჟღერს მეცნიერთა შემდეგი განაცხადიც: ადამიანი არა მარტო თავისი საქმეებისა და საქციელის, არამედ აზრების, სიტყვების, გრძნობების, სურვილების გამოც პასუხისმგებელია, ღებულობს თავის კარმას და საკუთარი ბედით პასუხს აგებს ყველაფერზე. ჩნდებიან ლეპტონური სამართლის, ლეპტონური იუსტიციის, ლეპტონური პედაგოგიკის, ლეპტონური მედიცინის, ლეპტონური ფილოსოფიის დიდი მეცნიერული პრობლემები. ლეპტონოსფეროს ევოლუციის თვალსაზრისით, უაზრობაა ბოროტების ნებისმიერი აქტი, - ომი, მტრობა, მკვლელობა, შურისძიება, შური, ღალატი, მზაკვრობა, წყენა, ინტრიგა და კაცობრიობის ქმედებათა სხვა ქვენა გამოვლინებები. დედამიწის ლეპტონოსფერო თითქოს ჩვენი პლანეტის უმაღლესი ზნეობრივი მსაჯულია, რომელიც იცავს ერების, ადამიანის, გარემოს და კულტურის ეკოლოგიას.*

*მეცნიერულ ტერმინოლოგიაში განსაზღვრულია ასევე სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემები, პირადი და კაცობრიობის უკვდავება. ავტორიტეტული მეცნიერული რეკომენდაციაა მოცემული უკვდავების მსურველთათვის: ჩაიდინეთ დიდი გმირობანი, დიადი საქმენი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.*

*ყველა დიადი საქმისა და გმირობის ჩამდენი შეუდგება განსაკუთრებულ უფლებათა მოპოვების გზას, იმ უფლებათა მსგავსისა, ბიბლიურმა გმირებმა რომ მოიპოვეს:*

*ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული ქმედება - ციური სასუფევლის მოპოვებაა: «სასუფეველი ცათა დიდი ძალისხმევით მოიპოვება და ძალისხმევის გამომყენებლები აღაფრთოვანებენ მას». აუცილებელია ბოლოსდაბოლოს გავიგოთ, რომ უფლება არ ენიჭება, როგორც ამის შესახებ იუნესკოს დირექტორმა განაცხადა, არამედ მოიპოვება სულის კოლოსალური ძალისხმევის მეშვეობით, ხოლო ყოველი, მითითებულ უფლებათა მომპოვებელი, იქცევა თავისი ერის ნუგეშად, პლანეტის მოქალაქედ. პლანეტის მოქალაქე, რომელიც ამ უფლებათა რეალიზაციას საკუთარ თავში მოახდენს, მოიპოვებს მატერიაზე ძალაუფლებასა და ბუნებრივი ძალების მართვის ცოდნას, რის გამოც იგი უდიდესი პასუხისმგებლობის მატარებელი გახდება მათი ნებისმიერი გამოყენების შემთხვევაში. ყველა ის, ვინც ეგოისტური მიზნების გამო ბოროტად იყენებს სამყაროს ძალებს, ადრე თუ გვიან აღმოაჩენს, რომ თუ ხელიდან არ გაუშვა უპატიოსნოდ მოპოვებული საზღაური, როგორც უკვე ლეპტონურ-ელექტრომაგნიტური თეორიის თანახმად მეცნიერულადაა დამტკიცებული საშინელი იქნება მისი საბოლოო ბედისწერა. მეცნიერებს არასოდეს არ აშინებდათ გიპოთეტიური ჯოჯოხეთი, მაგრამ ლეპტონოსფეროს რეალური არსებობა აიძულებს ადამიანთა მოდგმის ამ უშიშარ ნაწილს აღიქვას ზნეობრივი ნორმები, როგორც მაღალმეცნიერული ჭეშმარიტება. დღემდე უდიდესი სიხარულის მომნიჭებელია მოიპოვო უფლება დაანაყრო მოშიებულნი, განკურნო ავადმყოფნი, მკვდრეთით აღადგინო მიცვალებულნი და ჩაიდინო ბევრი სხვა შესანიშნავი და საოცარი საქმე ბუნების ამოუწურავი არსენალიდან. ავაღორძინოთ სული თავისუფლებისა, სიკეთისა და კულტურისა, რაც შესაძლებელს გახდის*

ადამიანისათვის, ქმნილების უკვდავი, მოსიყვარულე, თავისუფლების მომნიჭებელი შემოქმედის ხატის მსგავსად, რეალიზებულ იყოს და მოიპოვოს ეს უფლებები საზოგადოების საკეთილდღეოდ.

სწორედ ცხოვრების უბრალო გამოვლინებაში იპოვიან ამ უფლებათა მომპოვებელნი თავისუფლებას, ისინი გაამდიდრებენ დედამიწისა და მისი ერების კეთილდღეობას. საყოველთაო კეთილდღეობას ისინი გამოიყენებენ თავისუფალი კულტურის ყველაზე მშვენიერი სამყაროსათვის და არა ზღვარდაუდებელი მანკიერებისათვის, რომელიც «ახალი კულტურის» სახით ცდილობს შემოიჭრას ჩვენს ყოფაში.

ეს უფლებანი თვითრეალიზებული ადამიანის ძლიერებას წარმოადგენენ, ადამიანისა, რომელმაც დიდი ხნის ძიების შემდეგ დაინახა, რომ იგი ერთმთლიანია ღმერთთან და მზადაა შეასრულოს კაცობრიობის კეთილისმყოფელის როლი, როლი უკვდავი კულტურის ნათელმფენისა. ამგვარად, ყოველი ადამიანი იპოვის თავის კანონიერ ადგილს და სწორედ გაიგებს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ჯეროვნად უფლებები თავისი საკუთარი სამყაროს და გარესამყაროს საქმეებში.

მითითებულ უფლებათა მოპოვება მიიღწევა სასრული «მე»-ს შემეცნებით და მისი მორჩილებაში მოყვანით,შინაგანი მიზიდულობის ძალის მქონე სიყვარულით, სულის მაგნიტური თავგამოდებული მოწოდებით საკუთარი ღვთიური საწყისისადმი.

**XXI** საუკუნის ადამიანის უფლებებისაკენ მიმავალ გზაზე უამრავი დაბრკოლებაა მსგავსი იმისა, რაც კაცობრიობამ გამოიარა **1948** წლის **10** დეკემბრიდან დღემდე, როცა ადამიანის უფლებათა პირველმა დეკლარაციამ შეცვალა პლანეტისა და სახელმწიფოთა სახე, როცა ყველა კონსტიტუციათა საფუძველი გახდა და მიგვიყვანა **XXI** საუკუნის ადამიანთა, ღმერთის მიერ უხსოვარი დროიდან მონიჭებულ უფლებათა რეალიზაციის შესაძლებლობასთან. ადამიანის ახალ უფლებებისაკენ მიმავალ გზაზე აუცილებელია ვებრძოლოთ ქვენა ელემენტებს, რომლებიც როგორც სულები ისე ჩნდებიან, რათა დაარღვიონ და გამოსცადონ ღვთიური გეგმა, რომლის რეალიზაციასაც თქვენ შეუდექით, მაგრამ თქვენ მოთმინებით ანვითარებთ თქვენს ღვთიურ ჩანაფიქრს. ადამიანის უზენაესი უფლებანი, რომელთაგანაც მომდინარეობს ყოველი კეთილმოქმედი განზრახვა, გამომდინარეობენ გულწრფელი ურთიერთობიდან საკუთარ თავთან, რათა აღიქვან თავისი შემოქმედის შარავანდედით მოსილი გონების შთამაგონებელი აზრები.

უფლებათა შემოთავაზებული კონცეფციები ახალია, მაგრამ დრო მეტად კეთილნაყოფიერია მათ მიმართ. მრავალი ქვენა თვისებებისა და ცნობიერების ქვენა მდგომარეობების შეჯამებით საზოგადოებამ ბევრი მცდარი კონცეფცია ჩამოაყალიბა. ისინი, ვინც ჯერ კიდევ თავისუფალია მათი ტყვეობიდან, ჯეროვნად შეაფასებენ შემოთავაზებულ ალტერნატივას და ცხადია, მას მისცემენ უპირატესობას. ეს არჩევანი გამოასწორებს საზოგადოების მდგომარეობას, შექმნის გამაკეთილშობილებელ კულტურას, განდევნის მცდარ კონცეფციებს და მონიშნავს კეთილ ზნეთა ახალ საზღვრებს. ადამიანი და საზოგადოება მიმართავენ წინასწარმეტყველთა და წმინდანთა ამაღლებულ მაგალითებს, ვინც ყოველ დროში მიყვებოდა ზეციურ ჩანაფიქრს და აღწევდა ღვთიურ სიბრძნესა და სიყვარულს.

მანამ, სანამ ყოველი არ მიხვდება, რომ ინდივიდუალურად უნდა გამოამჟღავნოს ღმერთის მიერ მინიჭებული უფლება, ბრძნულად და სიყვარულით გამოიყენოს თავისი ძალები, მას არ ძალუძს გაექცეს თავისმოტყუებისა და თავისმართლების ხრამში გადაჩეხვას. ღმერთის გადაწყვეტილება ასეთია, დედამიწაზე ყოველი უნდა მიისწრაფოდეს საკუთარი თავისა და ბედის შეცნობისაკენ. ინტელექტუალური სიამაყით გამოწვეული მედიდურობა მიზეზი ხდებოდა ხშირად იმისა, რომ ბევრი გულწრფელი ადამიანი, საქვეყნო ავტორიტეტები, მეცნიერების დიდი წარმომადგენლებიც კი საკუთარი ქმნილებების მახეში ებმებოდნენ, ბევრ შემთხვევაში ისინი იმასაც კი ვერ ხვდებოდნენ, თუ როდის ჩაიკეტა მათ უკან ხაფანგის კარები. თუ რომელიმე უფლება ვერ იქნება გაგებული, კეთილისმსურველთა შორის, ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ შეიძლება მისი გამოტოვება ან ამოღება მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ იგი ძლიერ ნაცნობია ან გაცვეთილია.

მითითებულ უფლებებს, მათი რეალიზაციის შემთხვევაში მოაქვს კეთილდღეობის, სულიერი კომფორტის, ნამდვილი თავისუფლების სრულფასოვნების მოულოდნელი შედეგები. არაფერია საძრახი იმაში, რომ ჩვენ ვფლობთ ღვთიურ უფლებებს ჩვენი სულის ღვთიურ წყაროებზე, არა მარტო კაცობრიობის გასაჭირთა საშველად, არამედ საკუთარი საარსებო მოთხოვნილებებისათვისაც. ღმერთმა ხომ ხელში ჩაგვიდო ბუნების ძალების მართვის გასაღები, საყოველთაო კეთილდღეობისათვის. აუცილებელია მხოლოდ სამყაროს სქემის გაგება, ანუ სხვანაირად ქმნილების გეგმისა, იმისათვის, რომ ყველაფერი რაც თქვენ ჩაიფიქრეთ და აკეთებთ, ჰარმონიაში მოვიდეს მარადიულ კანონთან და კოსმიურ პრინციპებთან.

უთვალავ კეთილშობილურ თვისებათა დასახელება შეიძლება, მაგრამ მათი მხოლოდ პრაქტიკული დაუფლება გვაძლევს ამ ამაღლებულ უფლებებს. იმ ღვთიური სიბრძნის შექმნა, რომელსაც ყოველი უფლება შეიცავს, ხელმისაწვდომია ყოველი სულისათვის, ვინც განათლება და კულტურა აირჩია.

**XXI საუკუნის ადამიანთა უფლებები განადიდებენ უფალს, მის ღვთიურ შთაგონებას, ღმერთის გონებად წოდებულს.**

**მუხლი 1.** ყოველ ქვეყანას გააჩნია დამოუკიდებლობის უფლება. ყოველი ქვეყანა, რომელიც შინაგანი გაცვლა-გამოცვლის წყალობით მიაღწევს არსებობის საშუალებას, მოიპოვებს დამოუკიდებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში აშკარა და ფარული უცხოური კაპიტალის ბატონობა დაიმონებს ნე-

# დეკლარაცია

ბისმიერ ხალხს, წაართმევს თვითდამკვიდრების უფლებას და გადააქცევს სხვათა აღზევების უბადრუკ მჭვრეტელად.

**მუხლი 2.** ყოველ მასწავლებელსა და ექიმს აქვს უფლება სახელმწიფოსაგან უზრუნველყოფილი და დაცული იყოს. უმეცრება, სიღატაკე, ავადმყოფობა იმ ქვეყანათა თანამგზავრია, სადაც მასწავლებელი და ექიმი ბედის ანაბარადაა მიტოვებული.

წარმოადგენენ. არ არის ძნელი იმის დანახვა, რომ მასწავლებელი და ექიმი ეს ერთი დედაარსია - მოძღვარი, და გასაგები ხდება ძველთა მტკიცება: «მოძღვარი ყველაზე დიდი გმირია. მისი აღჭურვილობა არ იჟანგება, არ ცვდება. ლაშქარი შეიძლება უკუიქცეს, მაგრამ მოძღვარი უკან არ დაიხევს. შევამკოთ იგი გმირთა დაფნის გვირგვინით!»

ჭეშმარიტად აღზევებულია ერი; ვისი მასწავლებელი და ექიმი სახელმწიფოს ზრუნვით არიან დაცულნი, ვინაიდან სწორედ ისინი განსაზღვრავენ ქვეყნის აღორძინებისა და განვითარების პროცესს.

**მუხლი 3.** ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი ცნობიერების დამოუკიდებლად ფორმირების წმინდა უფლება მეცნიერების, ხელოვნების, ფილოსოფიის და თეოსოფიის საფუძველზე. აქვს უფლება დაიცვას იგი ყოველგვარი ხელყოფისაგან სპეცსამსახურების მხრივ,



ალეგორიული ფიგურა: დედა უჩვენებს შვილს "ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას" მარცხნივ - ელვის გამოსახულება, რომელიც ამსხვრევს პრივილეგიებს.
1789 წლის გრავიურა.

მშიერი ექიმი ვერ უმკურნალებს, შეჭირვებული მოძღვარი ვერ შექმნის ევოლუციას, ვინაიდან პირველი, ვერცხლის სიყვარულის გამო თავისდაუნებურად დამნაშავე ხდება, ხოლო მეორე, დღიურ ლუკმაზე ფიქრით დათრგუნული, მუდმივად ვეღარ ზრუნავს საკუთარი ცნობიერების ამაღლებაზე.

სიცოცხლე ულიმღამოა მასწავლებლის გარეშე, სიცოცხლე ტანჯვაა ექიმის გარეშე, სიცოცხლე მკვდარია გმირის გარეშე. საჭიროა დაუღალავად ვიზრუნოთ მასწავლებელზე, ექიმზე და გმირზე, ისინი ტოლფასი მცნებებია, მათ წარმატებისაკენ მივყავართ. ისინი ცხოვრებისეულ სიმძიმეთა გადატანაში გვეხმარებიან და ყველასათვის სიმამაცის წყაროს

მასობრივ ინფორმაციათა საშუალებებისგან და სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ აზრთა ინსტიტუტებისაგან, რომლებიც ნერგავენ მათთვის როგორც სასურველ, ასევე «მოსახერხებელ» მსოფლმხედველობას, გემოვნებას, ზნეობას, პოლიტიკურ შეხედულებებს, ახალგაზრდობის ორიენტაციას მონოპოლიის უფლებებით, არა მარტო პოლიტიკურ ძალაუფლებაზე ან ინფორმაციის წყაროებზე, არამედ თვით «ჭეშმარიტებაზეც».

ერის თავისუფალი ცნობიერების კრიტერიუმებია მისი მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება, განათლება, ზნეობის პრინციპები და მატერიალური კეთილდღეობის

დონე.

ცნობიერების დამოუკიდებელი ფორმირების უფლება ეს ის ერთადერთი უფლებაა, რომელიც იმედს გვისახავს, რომ ყოველი ინდივიდი ეზიარება ცოდნას და ძალას, რომლითაც ამაღლდება მარიონეტულ მდგომარეობიდან. იგი განიცდის ქვენა სულების, წარმავალი ფანტაზიების, ბნელეთის მოციქულთა და ყველა ეპოქის ტირანთა გავლენას.

დაამსხვრიეთ ბორკილები და მოიცილეთ სხვისი გავლენა.

აირჩიეთ ნათელი გზა, უსაზღვროებისაკენ რომ მივყავართ. ეს შესაძლებელია, და შესაძლებელია საკუთარი ცნობიერების დამოუკიდებელი ფორმირების წმინდა უფლების მოპოვებით.

**მუხლი 4.** ადამიანის შეუვალი უფლებაა სამშობლოს წმინდა სიყვარული - იგი უმიზეზოდ არ იბადება ამა თუ იმ ქვეყანაში. კაცობრიობის სამსახური შეუძლია მხოლოდ მას, ვინც უფლება მოიპოვა უყვარდეს და საქმით გაუთქვას სახელი თავის ერსა და სამშობლოს.

ყოველი ადამიანის წმინდა უფლებაა დაიცვას სამშობლო ტერიტორიული, იდეოლოგიური თუ მატერიალური შებღალვისაგან.

**მუხლი 5.** ყოველ ადამიანს გააჩნია ნების თავისუფლება.

ეს დიადი გრძნობა, რომელიც მას ეკუთვნის, არის თავისუფლება სიკეთის ქმნისა. პიროვნების ნება ქმედითი სიკეთის გარეშე, ადამიანთა მიერ, ქცეულია ამაზრზენ ურჩხულად: იარაღის წარმოება, შურისძიება, ორგანიზებული დანაშაული და სხვა მიწიერი მიდრეკილებები გახლავთ ცხოვრების ის წესი, რომელიც განაპირობებს უზნეობას.

ადამიანს მიეცა ნება, რათა სამყაროს მატერიალური გეგმილის გვირგვინი გამხდარიყო. ამიტომ, ღმერთი არ ერევა ამქვეყნიური პრობლემების გადაწყვეტაში, სანამ ადამიანი არ მოუხმობს მას, იგი ამგვარად საკუთარი ნებით აკეთებს არჩევანს, რომ ღმერთმა ინებოს მისი გადარჩენა. მაცხოვარმა განახორციელა ამ ძალაუფლების გადაცემა პირადიდან ღვთიურისადმი, როდესაც განაცხადა: «მამაო… ხოლო ნუ ნება ჩემი, არამედ ნება შენი იყავნ». და ამით მაგალითი მოგვცა ჩვენ.

ამგვარად ადამიანის ნების უფლება შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ქმედების შეგნებული გადაცემა ღვთისადმი და არა მისი საწინააღმდეგო, ის რაც არ უნდა დამკვიდრდეს ადამიანის ცნობიერებაში, ეგოში, რადგან იგი აიძულებს მას უბადრუკი მიწიერი არსებობის ტვირთი ზიდოს. ირჩევენ რა მათ შორის უარესს, ადამიანები გზას იკვეთენ ძლიერების ღვთიური წყაროსკენ, სიბრძნისკენ და სიყვარულისკენ. მანამ, სანამ არ გამოცდიან წუთისოფლის ამაოებას, ისინი ვერ შეიცნობენ ნების ერთადერთი უფლების სიდიდეს, - ნებას ღმრთისას, სიკეთის ქმნის თავისუფალ ნებას.

**მუხლი 6.** ცოდნის შეძენა ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა, ვინაიდან მხოლოდ იგია ბედნიერების საფუძველი, მარადიული და წარუვალი ბედნიერებისა, რადგან შემეცნება განუსაზღვრელია თავის შესაძლებლობებით. ნუ ვიფიქრებთ, რომ შემეცნების გზა რთულია, მაგრამ მის გარეშე შეუძლებელია გახდე მირონცხებული, - სრულქმნილი ადამიანი. ბევრი დაბრკოლებაა ცოდნისა და სრულქმნილების გზაზე, და მათი დაძლევა გახლავთ ჩვენი ზრდის საზომი, განუსაზღვრელია ადამიანის ცოდნის შეძენის უფლების ფასი, რამეთუ ცოდნა - ძალაა და ერთადერთი სილამაზე.

**მუხლი 7.** ყოველ ადამიანს უფლება აქვს აღმოფხვრას წარსულის ყოველგვარი მავნე გავლენა და ომი გამოუცხადოს მის საუკუნო ტირანიას. საჭიროა გავიგოთ, რომ თუ სულ მცირეოდენ წარსულსაც კი აუტანელ შევიწროებად განვიცდით, მაშინ გასაგებია, როგორ ბორკილებად შეიძლება, იქცნენ მრავალსაუკუნოვან პრეტენზიათა და წყენათა დანალექები. ისინი ხელს უშლიან ყოველგვარ წინსწრაფვას, დგებიან რა გადაულახავ ზღუდედ, როგორც პირად, ასევე საერთო საკაცობრიო ევოლუციის გზაზე.

კმარა, ისტორიის პატივმოყვარეობის ნამსხვრევებზე ჩაჭიდება სახელმწიფოთა, საზოგადოებათა და ცალკეულ პირთა, საყოველთაო ევოლუციისთვის. ადამიანი, რომელიც ამ უფლების რეალიზაციას მოახდენს ატლანტად იქცევა, ვის მხრებზეც სამყაროს მთელი ტვირთი ძევს.

დაე, გამარჯვებამ წარსულზე, მომავლის კარიბჭე გააღოს!

**მუხლი 8.** ყოველ ადამიანს აქვს კეთილსინდისიერების უფლება.

მთავრობები, რომლებსაც სურთ მიჩქმალონ ზრახვები ჩვეულებრივ წარმატებათა ნიღბით, მესაფლავეთა შრომას კისრულობენ. საჭიროა გავაფრთხილოთ ერები, რომ დადგა ეპოქა ახალი უფლებების, სავსე გონიერებით, შემოქმედებით, ერისა და პიროვნების თანამშრომლობის უზენაესი ჰარმონიით. როდემდე უნდა იყოფოდეს მსოფლიო განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებად, როდესაც, დემოკრატიის ყოველგვარი ნორმების მიუხედავად, ერთნი დამონებულნი არიან მეორეთა მიერ, როდესაც მკაცრად იცავენ, მაგალითად «ელიტარული», ერის ეკოლოგიურ ინტერესებს, გალატაკებულ «მეორეხარისხოვანთა» საზიანოდ. თითქოს მიწამ, ზეცამ და ჰაერმა იცოდეს ეთნიკური საზღვრები. მაგალითისათვის "ჩერნობილიც" კმარა.

საჭიროა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ სინდისის უფლება დავკარგეთ უამრავი საჭიროების გამო, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს არა მარტო ჩვენი რეპუტაციისა და მატერიალური კეთილდღეობისათვის, არამედ თვით ჩვენი სიცოცხლისთვისაც კი. ვლაპარაკობთ რა ამ უფლებაზე, არ ვგულისხმობთ კონკრეტულ პიროვნებას. ჩვენ ვლაპარაკობთ სინდისის უფლებაზე და მივუთითებთ უზენაესი სიმართლის გზისკენ, რომელიც მოკლებულია პირად საწყისს. ამგვარად, პატიოსნება გულისხმობს სიმართლეს, არა როგორც პირობით განყენებულობას, არამედ როგორც გაცნობიერებულ აუცილებლობას.

**მუხლი 9.** ყოველ ადამიანს აქვს წმინდა უფლება, უფლებათა და მოვალეობათა ჰარმონიული შესისხლხორცებისა.

როცა ზნეობრივი ადამიანი უძლურია, - იგი საცოდავია, როცა ძლიერი ადამიანი უზნეოა, - იგი საზიზღარია.

მათი სინთეზი, შეერთება ერთ პიროვნებაში ყოველ ადამიანს ჭეშმარიტად, კაცობრიობის მშვენებად გარდააქცევს.

განვახორციელოთ სულიერი უფლებებისა და ზნეობრივი მოვალეობების ჰარმონიული სინთეზი, როგორც პიროვნული ღირსებების, ასევე პიროვნული იმუნიტეტის საუკეთესო თვისება.

**მუხლი 10.** ყოველ ადამიანს აქვს სიხარულის უფლება. ეს უფლება ძირფესვიანად ცვლის ყველა ჩვენს მიწიერ წარმოდგენას სიხარულზე, რამეთუ ჭეშმარიტი სიხარულია:

**1) ლტოლვილობა და არა განდიდება;**
**2) მსახურება და არა ძალაუფლება;**
**3) მოწყალება და არა მომხვეჭელობა;**
**4) თესვა და არა მკა.**

ვინაიდან პირველნი ამთავრებენ წარსულს და თავისუფლების სიხარული მოაქვთ, მაშინ როცა მეორენი ახალ ბორკილებს ქმნიან, რომლებიც მიგვაქანებენ უბადრუკი მიწიერი არსებობისაკენ. პირველი - სულის მონაპოვარია. მეორე - ბორკილებია, რამეთუ ვინ მიდის სამუშაოდ სიხარულით აღსავსე?! მთესველი, მაგრამ არა მკელი. მთესველი ფართოდ აბნევს მარცვალს მარჯვენა ხელით, ქარი მიაქროლებს მარცვლებს, მაგრამ იგი მღერის - მისთვის მინდორი ტიალი არ არის, და მიდის იგი მხოლოდ მაშინ, როდესაც ხოდაბუნი მარცვლით გაძღება. მისთვის სულერთია, თუ რომელი მომკელი მოიწევს მის ნათესს და ახალ მარცვალთა სამკალს გათიბავს.

სიხარული, - ეს სამყაროს ტვირთია, დანარჩენი ევოლუციასთან არათანაზიარია, რადგან საკუთარი თავის გამოკვებაა სხვათა საკვებად...

მაშ ნუ დავივიწყებთ, რომ სიხარული განსაკუთრებული სიბრძნეა!

**მუხლი 11.** ყოველ ადამიანს აქვს უფლება თაყვანი სცეს ეროვნულ გმირებს. იმისდა მიხედვით თუ როგორ ეპყრობიან მათ, შეიძლება ვიმსჯელოთ ერის აღმავლობა-დაღმავლობაზე. ერი, რომელიც აღმავლობის გზაზეა, შეჰხარის გმირს, მაგრამ დაკნინებული ერისათვის გმირის მცნება მძიმე ტვირთია. ასეთმა ერმა თუნდაც ოქროში იცურაოს, ალვსილი იყოს ამპარტავნობითა და ქედმაღლობით, გმირობა მისთვის შეუფერებელია.

შეუპოვარ მისწრაფებათა მეზნებარებამ მიატოვა მათი გონება. ტყუილად არ უთქვამთ: «განწირულია ერი, რომელიც დაუშვებს თავისი გმირების ტალახში ამოსვრას». ჭეშმარიტად მკვდარია ერი, რომელიც საკუთარ გმირებს დაივიწყებს, ხოლო მთავრობანი, რომლებიც აღარ შექმნიან ან მივიწყების ჩრდილში ამყოფებენ მათ - დამნაშავენი არიან.

მიმდინარეობს რასათა ცვლა, მასთან ერთად ადამიანთა სიმხდალეც იზრდება, ამ დროს ვინ უნდა იზრუნოს, თუ არა მთავრობამ, ერის გმირული სულის შესანარჩუნებლად?

ყოველი ერი უსაზღვროდ მდიდარია გმირებით და როდესაც ღალატთა წყლულებს მოედება შეძრწუნების ცეცხლი, აღსდგებიან ისინი თავიანთი შეუპოვრობით. ყველაზე მრისხანე აუცილებლობის ჟამს აღსდგება გმირი სიყვარულისა და თავგანწირვის სულისკვეთებით.

მაშ უარს ნუ ვიტყვით წმინდა უფლებაზე, თაყვანი ვცეთ და პატივი მივაგოთ ჩვენს ეროვნულ გმირებს.

**მუხლი 12.** ყოველ ადამიანს აქვს შეუპოვრობის უფლება, ჩვენს გულებში ჩასახული ევოლუციის ნების მიხედვით. ეს აღმასვლის უზენაესი უფლებაა და შეუძლებელია მისი წართმევა. ყოველთვის საკუთარ თავთან განმარტოებისას თუ საზოგადოების წინაშე უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ჩვენი ხელშეუვალი უფლებაა. მხოლოდ ბრმას არ ძალუძს დაინახოს ევოლუციის მიმართულებანი. როდესაც მკაფიოდაა მინიშნებული ცოდნის კარი, ძნელი არ არის სიბნელიდან მისკენ გაემართო.

შეუპოვრობა! არ შეიძლება გავიაზროთ როგორც გაუგონარი გმირობა. განა შეუპოვრობა ყოველდღიური ტაბლა და ყოველგვარ ზრახვათა სამოსი არ უნდა გახდეს? განა დილეგთა კედლები გამჭვირვალე არ გახდებიან? და განა არ გაიხსნება საიდუმლო წერილის ბეჭედი შეუპოვართათვის? ვიყენებთ რა შეუპოვრობის უფლებას, ჩვენ ვირჩევთ უიოლეს გზას. გულმა იცის ამ გზის ჭეშმარიტება. ამჟამად არ შეიძლება სხვა გზის მითითება.

წარმოვაჩინოთ შეუპოვრობის უფლება, როგორც ევოლუციის ბუნებრივი ნება.

**მუხლი 13.** ახალი სამყაროს ცნებაში ყოველ ადამიანს აქვს საკუთრების უფლება. უპირველეს ყოვლისა საჭიროა თამამად განვაცხადოთ, რომ ახალი სამყარო უკვე შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, ამიტომ შეცდომაა ვიფიქროთ, რომ მიწათა დაპყრობა და ერთა დამონება ახალი დროის სამყაროს ამოცანებს უპასუხებს, - ეს წარმავალი აზროვნების კუთვნილებაა. დასამალი არაა, რომ სწორედ ამჟამად კაცობრიობის წინაშე გადაიშალა წიგნი, აღმოჩენებისა და გმირობისა. ამიტომ საკუთრება, დაპყრობილი მიწები, ერები და საკუთარი ხალხის ფენები კი არ არის, არამედ აზროვნების მაღალი თვისება.

მივიღოთ საკუთრების მცნება მასზე მთლიანი პასუხისმგებლობით, როგორც უზენაესი თვისება აზროვნებისა და ამაღლებული ცნობიერებისა, როგორც უზენაესი თვისება საგნებთან და სამყაროსთან ჩვენი ურთიერთქმედობისა. საკუთრების სხვანაირი ცნება უღირსი და დამამცირებელია, ვინაიდან იგი უკვე წარმავალი საუკუნის მიღმა იმყოფება (მეფე მხოლოდ საკუთარ სამშობლოშია მეფე, ბრძენი კი ყველგან ბრძენია).

შეიძლება თუ არა ევოლუციის ეს ნაყოფი იარაღით გავაპოთ, თავზარი დავცეთ დაშინებით ან მდაბიო სულმოკლეობით, ან ხელში ჩავიგდოთ მზაკვრული ღალატით? არა! რამეთუ დადგა ეპოქა ცნობიერების საყოველთაო გამდიდრებისა და არავის ეგების თქვას უარი ამ საკუთრების პირად უფლებაზე. არ არსებობენ ძალები, რომელთაც ახალი ეპოქის შეჩერება შესძლონ. ვწუხვართ, დრომოჭმული ცნობიერების მიერ საკუთრებისათვის დახარჯული უზარმაზარი ენერგიის გამო: მძიმეა უყურო, თუ როგორ მიათრევენ ადამიანები გადმონაშთა ძონძებს და ავიწყდებათ, რომ ცხოვრების გზაზე, მხოლოდ რჩეული ნივთები უნდა ატარო.

და ჩვენ პატივს ვცემთ იმათ შეუპოვრობას, ვინც აღიარა უფლება ამ ერთადერთ წმინდა საკუთრებაზე.

**მუხლი 14.** ყოველ ადამიანს აქვს უკვდავების უფლება, უკვდავება უდიადეს ძალისხმევას ითხოვს მწირი ადამიანისაგან. საჭიროა თავი დავაღწიოთ ქაოსს, - შფოთვისა და მოკვდავ აზრთა სამყაროს, რათა მივიდეთ ღვთიური გონების ამაღლებულ ცნობიერებამდე და გვესმას ჭეშმარიტების ხმა, რომელიც გაარღვევს მოკვდავი სიცრუის საფარს, გამოიყვანს ადამიანს დაბადებისა და სიკვდილის უსასრულო დინებიდან.

გზა ამისათვის მხოლოდ ერთია, - თვითშემეცნება და თვითსრულქმნა. სხვაგვარად ადამიანები ვერ შეძლებენ მოკვდავი სუბსტანციიდანააშენონ უკვდავი სხეულები, მოკვდავი აზრებიდან, - უკვდავი იდეები, მოკვდავი გრძნობებიდან კი, - ღვთაებრივი გრძნობები.

არის კიდევ ერთი აუცილებელი თვისება უკვდავებისაკენ მიმავალ გზაზე - სიმამაცე, როდესაც ამ მდგომარეობას ამქვეყნიურ შიშის დათრგუნვით მივაღწევთ, საჭირო იქნება გადავდგათ უკანასკნელი ნაბიჯი, სრული სიმამაცისაკენ: მივაღწიოთ სიმშვიდეს უფალთან

დამოკიდებულებაში. ადამიანის იდეა, რომელიც მხოლოდ ღვთისადმი შიშზეა დამყარებული, უძველესი მემკვიდრეობიდან გვერგო. წარსული, გამსჭვალული კაცობრიობის სულიერი ხრწნით გაჯერებული სუნით ადამიანის ყოველდღიურობის ჩანაწერია უკვდავი თვითმყოფადობის ცოდნიდან მოკვდავი ეგოს ცოდნამდე.

უკვდავება დაფუძნებულია სრულქმნილების კანონზე და მასზე, რომ ღმერთს ადამიანი უყვარს, მაშინ როცა შიში გულისხმობს, რომ იგი იმყოფება რაღაც არასრულყოფილ მდგომარეობაში - დაგმობილი და შეზღუდული.

ამ უფლების რეალიზაციისათვის ჩვეულებრივზე მეტი დისციპლინაა საჭირო. ეს უფლება ჭეშმარიტად გრანდიოზულია და შეიტანს რა სამყაროს მოწყობაში აუცილებელ წვლილს კაცობრიობა აღმართავს უზენაესი სილამაზის ზღუდეს, - პირამიდას ჰარმონიული სიცოცხლისა, დიდებულ არქიტექტურის ნაგებობას.

უკვდავების უფლების რეალიზაციის გზაზე გამოვიჩინოთ სრული სიმამაცე.

**მუხლი 15.** ყოველ ადამიანს აქვს რწმენის უფლება, რამეთუ რწმენაში განმტკიცება, - მიზანია.

რწმენა განსაკუთრებული ცოდნის განსაკუთრებული სახეა, როდესაც ჩვენ ვიცით არსებობა ყოვლისმომცველი არსებისა, რომელსაც ვუწოდებთ ღმერთს, როდესაც ვიცით წმინდა არსებათა უსასრულო მწკრივის არსებობა, რომლებიც მისკენ მიისწრაფიან და მიაღწიეს ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მდგომარეობას, ვიცით, რომ ღვთისკენ მიმსწრაფველ არსებათა უსასრულო იერარქიაში ჩვენი მფარველი ანგელოზებიც არიან: მოძღვრები, რომელთაც მივყავართ ნათელფენილი გონების გზით ღმერთისაკენ.

რწმენა სულიერი ცოდნის მდგომარეობაა, განუწყვეტელი და დაუღალავი მოქმედებაა ამ ცოდნის რეალიზაციის გზაზე. დაე, ზანტნი ნუ ინუგეშებენ თავს ცბიერად: «თუ რწმენა გვაქვს, დანარჩენი თვით დაერთვის»-ო. სამარცხვინოა იმის ცოდნა, რომ ჩვენ სწორედ ამით ნებაყოფლობით გავწირეთ თავი სიჩლუნგისა და სიზარმაცისათვის, რამეთუ რწმენა ღმერთზე ცოდნის დაგროვების გიგანტური შრომა და ქანცგამწყვეტი დაუღალავი შრომით მიღწეული ცოდნის რეალიზაციაა.

როგორ მოვახდინოთ ამ უდიდესი უფლების რეალიზაცია?

ლაპარაკობენ ბრმა რწმენაზე, მაგრამ რწმენის უფლება - მისი გაცნობიერების უფლებაა. რწმენა ეს ცოდნის სახეობაა - ცოდნა კი არსებობს გონებრივი და გულისმიერი. ადამიანის მიერ უამრავი საშუალებაა მოგონილი რწმენის ხელოვნური განვითარებისათვის. ისინი, ვინც თვლიან, რომ მხოლოდ სულიერი განვითარება უწყობს ხელს რწმენის განმტკიცებას, უფრო ახლოს არიან მიზანთან. მხოლოდ აზრობრივი ვარჯიში იძლევა ამაღლებულ გულისმიერ ცოდნას და რწმენას, მაგრამ რწმენის უფლების რეალიზაციისათვის ყოველდღე და ყოველ საათსაა საჭირო ასეთი სულიერი ზეასვლა.

**მუხლი 16.** ყველას აქვს დანაშაულთან ბრძოლის უფლება. ბევრი ჩვენთვის ძვირფასი ადამიანია მოტყუებით ან ძალით ჩათრეული ბანდებში, რომლებიც კიბოსავით ედებიან და აზიანებენ თითქმის ყველა ქვეყნის დიდ ქალაქებს. დანაშაულს ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ, იგი შეჩერებული უნდა იქნეს, მანამ, სანამ კონტროლს დავკარგავდეთ მასზე.

სასწორზეა კაცობრიობის მომავალი, დანაშაული ფეხქვეშ თელავს არა მარტო ჩვენს უფლებებს, არამედ მომავალ თაობებს მთლიანად უსპობს საზოგადოებრივი ცხოვრების ელემენტარულ ნორმებს, ეკოლოგიურ დაცვას, თვით ზნეობრიობის ცნებაც კი ქრება ყოვედღიურობიდან. ჩვენთვის ყველაზე საყვარელი ადამიანები, მომავალი თაობა განწირულია ჩვენს მიერ ცხოველური არსებობისათვის.საჭიროა დანაშაულთან ბრძოლის უფლების რეალიზაცია, რათა არა მარტო რეაბილიტაცია გავუკეთოთ საკუთარ თავს წინაპართა წინაშე, არამედ უზრუნველვყოთ კაცობრიობის ევოლუციური მომავალი.

ვსაჭიროებთ რიგიანი, კანონსმორჩილი ცხოვრების ნირის აღორძინებას, სადაც თვითონ სიცოცხლე განსაზღვრული იქნება, როგორც უზენაესი კულტურული მოვლენა. ნათელმფენმა ადამიანებმა, რომლებიც დანაშაულთან ბრძოლის უფლების რეალიზაციის გზას დაადგნენ, მხარი უნდა დაუჭირონ დანაშაულთან ბრძოლის ყოველ მცდელობას.

ბევრმა იცის, რომ ცხოვრება უარესდება, მაგრამ ყოველდღიურობით ისე ძლიერ ვართ შეპყრობილი, რომ ვერ ვგრძნობთ და ვერ ვხედავთ იმას, რაც ასე ცხადია. ადამიანთა გრძნობები ჩლუნგდებიან. სხვანაირად აბა რითი შეიძლება აიხსნას ზნეობის საყოველთაო დაცემა, ხელოვნების გამიზნული გადაგვარება სტრიპტიზად, ეროტიკულ თეატრებად და ა.შ. ერები ვერ გრძნობენ თავიანთ ძირითად ზნეობრივ საფუძველთა რღვევას, ხოლო თუ გრძნობენ, არ იციან რით უშველონ თავს. ამიტომ მხოლოდ მათ, ვინც აღიქვა დანაშაულთან ბრძოლის უფლება, შესწევთ უნარი იბრძოლონ საყოველთაო გადარჩენისათვის, ასეთნი კი ბევრნი არ არიან. გვახსოვდეს, რომ როდესაც ადამიანები ჩიხში არიან მომწყვდეულნი ყველაზე ნაკლებად შეუძლიათ შეიცნონ ძალები ბოროტებისა და შეებრძოლონ მათ - იმ ძალებს, რომლებიც დაუღალავად იღწვიან ყველაფრის ნგრევისათვის, რაც წმინდაა და სუფთა, რაც ღმერთისგანაა. ამ ძალებთან დამოკიდებულებაში აუცილებელია ზომების მიღება, პლანეტა უნდა გაიწმინდოს ყველაფრისაგან, რაც ანტი-სიცოცხლეა, ანტი-სინათლე. დანაშაულთან ბრძოლის უფლება უკომპრომისოა, - კომპრომისი მხოლოდ ერთია - კულტურა.

**მუხლი 17.** ყოველი ადამიანის ღვთიურ გეგმას - სამყაროს ადამიანის უკვდავი გეგმა წარმოადგენს. უკვდავი გეგმა, - ეს არის ღმერთთან იდენტურობის უცვლელი სახე, როგორც საუკეთესო გარანტია ყოველი ადამიანისათვის მასზედ, რომ გზა რომელსაც იგი ადგას ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდება. უკვდავი გეგმის საუკეთესო ნიმუში, როგორც უზენაესი თავდაცვა ადამიანური თვითგანადგურების ტენდენციებისაგან, ცხოვრებისეულ მეჩეჩებსა და კლდეებზე, არის ქრისტეს ხატება. ღმერთმა ისე შეიყვარა თავისი მხოლოდშობილი ძე, რომ სავსებით გასაგებია, რომ იგია სრული მსგავსება ღვთისა, რომლის მიხედვითაც შექმნილია ყოველი ადამიანი.

მაშასადამე ქრისტეს მსგავსება ყოველი ადამიანის ღვთიური უფლებაა.

გავიმეოროთ დიდი მაცხოვრის ყოველი ნაბიჯი, რათა ვეზიაროთ მის ხატებას, რითაც მოვახდენთ ჩვენი ღვთიური უფლების რეალიზებას.

**მუხლი 18.** ყოველ ადამიანს აქვს ღირსების უფლება - ერთადერთი უფლება, რომელიც წარმოიშვება ყოველი ადამიანის ღვთიური კეთილშობილებიდან მისი პირ-

ველშობილის უფლებიდან გამომდინარე.

ღირსების საზომი - გულწრფელობა, მსოფლიო სიდიადის საფუძველია. გავაცნობიეროთ, რისთვისაა აუცილებელი ღირსება, თავმოყვარეობა და მისგან გამომდინარე სხვა კეთილშობილური თვისებები: თავისუფლება, რისკენაც ადამიანი მიისწრაფის, მიიღწევა ღმერთის გულიდან მოვლენილი ღირსების თვისებით, რომლის მეშვეობითაც ადამიანები, საკუთარი კეთილშობილებიდან გამომდინარე, სხვის ინტერესებს საკუთარზე მაღლა აყენებენ და შეიცნობენ ჭეშმარიტი ძმობისა და მსახურების მნიშვნელობას. ღირსების უფლება, ეს კოსმიური გმირის უფლებაა.

გმირი არ არის ის, ვინც გველს გადაარჩენს, რათა მეგობარი დაკარგოს.

გმირი არ არის ის, ვინც გაურბის მოვალეობას და საბოდიშო სიტყვებს ეძებს.

გმირი არ არის ის, ვინც დაკარგა გულის საზომი.

ამიტომაა, რომ ისევ და ისევ გვაოცებენ ადამიანური შეუსაბამობანი, - ეძიებენ რა ადამიანები სულიერ განსწავლულობასა და სულიერ თავისუფლებას, ამავდროულად ქმნიან არასრულყოფილ დამოკიდებულებებსა და უთანხმოებას საკუთარ ძმებთან. ადამიანური ღირსება, - საკუთარი არასრულყოფილების აღიარებაა, ღმერთი არასოდეს არ არის დამცირებული იმ მცდარი ადამიანური ურთიერთობებით, რომლებიც ჩვეულებრივ ცდილობენ დამკვიდრდნენ რომელიმე გამომწვევი ფორმით, რასაც ჩვენს სინამდვილეში შეიძლება ჰქონდეს საფუძველი, ან შეიძლება არც ჰქონდეს.

ხოლო როდესაც გამოიყენება ღვთიური ღირსების უფლება, ადამიანური მიზნები ღვთიურ მიმართულებას იძენენ და მაშინ იმ ადამიანის არსებაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია აბსოლუტური მისწრაფება კეთილმსახურებისაკენ ადგილი არა აქვს გადახრას. ქვეყანა სავსეა ადამიანებით, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ის არის ღვთისგან, რომელიც ადამიანთა თავისუფლებას ემსახურება.

სულიერება უმეტესად იმ პირთათვისაა ეფექტური, ვინც სამართლიანობის სულიერ განვითარებასა და მოწყალებასთან ერთად მიისწრაფვის მოიპოვოს ღირსების კეთილშობილური უფლება.

ღვთაებრივი ღირსების უფლება - სულიერი არისტოკრატის უმშვენიერესი მონაპოვარია.

**მუხლი 19.** ყოველ ადამიანს აქვს ადგილის უფლება მარადიულ და უსასრულო კოსმიურ იერარქიაში. იერარქია ეს ტოტალური წესრიგია, რომელიც თავის თავს ავლენს, როგორც მდაბალ, წარმავალ მიწიერ განზომილებაში, ასევე უმაღლეს - კოსმიურ განზომილებაშიც.

კოსმიურ განზომილებაში, ყოველგან არსებული კოსმიური გონება ძაბავს ყველა ელემენტს. პოტენციალურად განსხვავებული ენერგიები იკავებენ თავიანთ ადგილს კოსმოსში და მზარდი ძლიერების ხარისხში ამტკიცებენ თავიანთ დანიშნულებას. ამგვარად ენერგიის პოტენციალი ანიჭებს მას პირველობას ან დაბალ საფეხურს. უზენაესი ძალა დაყენებულია ყველაფერზე მაღლა, ეს კანონი კოსმიურ მტკიცებაზეა დაფუძნებული. იერარქი, ეს არის მოძღვარი, ეს კოსმოსის მარადიული ურღვევი წესრიგია დაფუძნებული იერარქის სულის პოტენციალზე. მიწიერ, ადამიანურ განზომილებაში უამრავი იერარქიაა: საგვარეულო, ფინანსური, ადმინისტრაციულ-მმართველობითი, მრავლადაა დამნაშავეთა სამყაროს იერარქიებიც. ისინი ყველა წარმავალია, დრო ანგრევს მათ, როგორც ბანქოს ხუხულებს, რამეთუ ადამიანური იერარქია - ეს ძალადობის იერარქიაა, დამონებაა ერთისა მეორის მიერ. მიწიერი და სულიერი იერარქია - ეს ბოროტებისა და სიკეთის ორი მხარეა, რომლებიც მოკავშირე მხარეებს ქმნიან. სახელმწიფოთა მთავარი არსი იერარქიათა მექანიკურ აღრევაში მდგომარეობს, რაც იწვევს სახელმწიფოთა ნაადრევ დაშლასა და ნგრევას.

ჭეშმარიტად, მაინც ვინ არის იერარქიის დაქვემდებარების მიღმა?! მხოლოდ უმეცრებსა და მატყუარებს შეუძლიათ სხვადასხვა მეტსახელების საშუალებით ჩრდილი მიაყენონ იერარქიას. მათ იერარქიის თავისუფლება კი არა, საკუთარი კლანების მონობა მოაქვთ, ვინაიდან ყოველწამიერ უნდობლობის, მუდმივი ზედამხედველობის უღელქვეშ იმყოფებიან. სულიერ იერარქიაში ზედამხედველობა გარდაქმნილია თანამშრომლობად და გულახდილობად.

ზედამხედველობა წარმოშობს ძალადობის დისციპლინას, ნდობა წარმოშობს თვითდისციპლინის სიკეთეს.

კაცობრიობის ისტორია, ეს არის ადამიანთა წარმავალი იერარქიების ოკეანეთა შერევა იმ მდგომარეობამდე, სანამ ყველას სულში არ გაიღვიძებს მოთხოვნილება ღირსებათა მოპოვებისა, რომლებიც ყოველდღიურ წინააღმდეგობათა მიუხედავად მიისწრაფიან სულიერი იერარქიისაკენ. ჩვენი სინამდვილე შლის ღვთითმოცემულ მიზნებს, ადამიანური მიზნები მრავლდებიან და ანადგურებენ კოსმიურ ნორმებს.

უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ კოსმიური იერარქიასთან ურთიერთობა შეიძლება დაეხმაროს სინამდვილეზე ამაღლებული სულის აღმაფრენას. ვერ გავექცევით ცხოვრების წვრილმანებს, მაგრამ ის სულის შარავანდედით შეიძლება დავფეროთ. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ მთავარი ამოცანა ერის თვითსრულყოფაშია ანუ სულიერი იერარქიის პრინციპთა აღიარებაშია, მაგრამ არა ადამიანურის, რომელიც იმონებს რასებს, ხალხებს, ფენებს და ცალკეულ ადამიანებს.

ძირს ადამიანური მონობა. დაე, ყველა ერმა იზრუნოს გახდეს რჩეული ღმერთის თვალში, ხოლო ყოველი ადამიანი ცხოვრებაში მოპოვებული სულიერი პოტენციალის თანახმად გახდეს ღირსი სულიერ იერარქიასთან თანაზიარობის უფლებისა.

**მუხლი 20.** უფლებათა ბევრი წესდებაა შექმნილი კაცობრიობის მიერ, მაგრამ არაფერია ნათქვამი უმთავრეს უფლებაზე - კოსმიურ უფლებაზე. შესაძლებელია დავინახოთ, თუ რამდენად ხშირად გამოიყენება და მართავს ცხოვრებას ეს უფლება. ხშირად შეიძლება შევამჩნიოთ, რომ რაღაც, ადამიანთა კანონების მიხედვით შეუძლებელი, მაინც სრულდება. ამიტომ ბევრჯერ უსუსურია ადამიანთა წინასწარი სიფრთხილე. შეუძლებელია არ ვიგრძნოთ, რომ რაღაც, მიწიერ მოსაზრებათა ზეარსებული, მართავს გარემოებას. ამ რაღაცაში, ნებისყოფაც, ძალაუფლებაც და უთუოდ მომაჯადოებელი მიმზიდველობა ძევს. კოსმიურ უფლებას, ადამიანები მსოფლიო პრობლემებისაკენ მიჰყავს. ისინი ხანდახან თვითონაც ვერ ხსნიან, თუ როგორ წარმოიშვებიან მოულოდნელი გარემოებანი, სამაგიეროდ კარგად აცნობიერებენ თუ როგორ ანთია მათი გული. ამგვარად ადამიანი თითქოს ერთვება რაღაც გარდაუვალში. ამ წარუშლელი უფლების საშუალებით შეიძლება ყველაზე საშინელი უფსკრულები გადავლახოთ.

ასეთ უფლებამოსილებას შეიძლება იერარქიული ვუ-

წოდოთ. მაგრამ თუ დავუმატებთ მნათობთა და შორეულ სამყაროთა მოხაზულობას, მაშინ ასეთი უფლება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც - კოსმიური უფლება.

**მუხლი 21.** ყოველ ადამიანს აქვს უფლება მიუთითოს თითოეულს მის მოვალეობაზე და პასუხისმგებლობაზე, საზოგადოების წინაშე.

გქონდეს უფლება ეს ნიშნავს პასუხისმგებელი იყო მასზე, ამიტომ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მაწონასწორებელ საწყისად ადამიანის მოვალეობათა დეკლარაცია ითვლება.

მოვალეობა და უფლება განუყოფელია, უფლებისა და მოვალეობის სფეროში უმეცრებასა და მის ბოროტად გამოყენებას ბოლო მოეღება, ორივე დებულების მკაფიო აღიარების შემთხვევაში.

დავიცვათ საზოგადოება უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან, იმ უფლებით, რომელიც ჩვენს ახლობლებს მათ მოვალეობაზე, ვალდებულებაზე და პასუხისმგებლობაზე მითითების უფლებას გვანიჭებს.

**მუხლი 22.** ყოველ ადამიანს აქვს სრულუფლებიანობის უფლება. ეს განსაკუთრებით ტევადი უფლება, ჭეშმარიტი თანასწორუფლებიანობის განმტკიცებას ნიშნავს. თანასწორუფლებიანობა არ არის იქ, სადაც ერს პროგრესის ყოველგვარი შესაძლებლობა მოუჭრეს, ადამიანები ამაყობენ მონობის მოსპობით, მაგრამ არის კი იგი ყველგან მოსპობილი? ძალიან ხომ არ დახვეწა მან თავისი ფორმები, ფარისევლობის ნიღაბქვეშ რათა დაიპყროს მთელი ერები? შეუძლია კი დედამიწის მცხოვრებთ მშვიდად იძინონ, როდესაც სადღაც ადამიანის ღირსება პირუტყვის მდგომარეობამდეა დამცირებული? შეიძლება, რომ განათლებულმა ადამიანებმა იტრაბახონ, როცა იციან, რომ არ არსებობს სრულუფლებიანობა?

კაცობრიობის საქვეყნო სრულუფლებიანობა დროის ნიშანი უნდა გახდეს. საერთო აზრმა მკაცრად უნდა მოითხოვოს სამართლიანობა. ასეთი სრულუფლებიანობა, საკაცობრიო ურთიერთობათა შორის, ბუნებრივ კანონად უნდა იქცეს. სრულუფლებიანობა ყველაზე აუცილებელი პირობა იქნება, განსაკუთრებით ქალთა სრულუფლებიანობასთან დამოკიდებულებაში. გაცნობიერებული სრულუფლებიანობის მოვალეობანი გაათავისუფლებენ ცხოვრებას უხეში ჩვევებისაგან, ბილწსიტყვაობისაგან, სიცრუისაგან, უსუფთაო ყოფისაგან. მაგრამ ახალი ევოლუცია ადრეული სიყრმის წლებიდან უნდა დაიწყოს, თუ აზრებმა მის შესახებ დამოუკიდებლად არ გამოავლინა მათში თავისი თავი. შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ამჟამად ბევრი ქალი გვყავს კარგად რომ ესმით სრულუფლებიანობის მნიშვნელობა.

ამგვარად სამართლიანია, რომ სრულუფლებიანობის საკითხი გადაჭრილად არ ჩაითვლება არა მარტო ქვეყნებისა და ერების ან ცალკეული პირების ურთიერთ დამოკიდებულებაში, არამედ მთელი კაცობრიობის მეორე ნახევართან - ქალთა საკითხთან დამოკიდებულებაშიც.

## პოსტამბულა

*«სრულქმნილი ადამიანი, საკუთარ თავში ეძებს - არასრულყოფილი, საკუთარი თავის მიღმა»*
*(კონფუცი)*

*ადამიანი უნდა დაუბრუნდეს საწყისს, - მითითებული უფლებების რეალიზება მოახდინოს საკუთარ თავში, რათა მიაღწიოს რეალურ სულიერ თანაზიარობას ღმერთთან. აუცილებელია მართებულად გავიგოთ სიტყვები, «თქვენ ღმერთნი ხართ», ვინაიდან თუ ადამიანი ღმერთს ეკუთვნის და, როგორც მისი საკუთრება, ღვთისაა, მაშინ როგორც ღმერთის ანარეკლი, იგი ზეციერი მამის ცეცხლის ნაპერწკალი უნდა იყოს, უბრალოდ კი არ უნდა ეკუთვნოდეს მას, არამედ ჭეშმარიტად თვითონ უნდა იყოს იგი.*

*მაგრამ მსოფლიო ინფორმაციის საშუალებანი ადამიანთა წარმოების პროდუქტებს აცხადებენ იმ ერთადერთ მატერიალურ საგანძურად, რომელთა დაფასებაცაა საჭირო. ადამიანი უნდა მიხვდეს, რომ სწორედ ადამიანურ წარმოსახვათა შხამით არის გაჟღენთილი სიკვდილის ნესტარი. მიხვდეს, რომ «ძალა ცოდვისა - კანონია» და რომ ეს კანონი თვითონ ადამიანმა აღიარა: «უკანონოდ ჩავისახე და ცოდვაში მშვა დედამ ჩემმა», რითაც მან უარყო პირველ შობილობის უკვდავი უფლება, ზეციური მამის ნაბოძვარი, რომელმაც ყველას მის მიერ შექმნილს სამართლიანად უწოდა, - «მოდგმა თვისი».*

*ეს იმათთვისაა, ვინც ეთაყვანება "თავისუფალ" სიყვარულს, ექომაგება საკუთარ ეგოიზმს და სწამს საუკუნოობით ნალოლიავები სიცრუე, რომ თითქოს ყველა მდაბალია და ჭეშმარიტების გზიდან სამუდამოდ გადაცდენილი. სწორედ ასეთნი უარყოფენ XXI საუკუნის ადამიანთა უფლებებს და იფართხალებენ წარმავალ სიამოვნებათა ჭაობში, რომლის იქითაც არა არის რა სასოწარკვეთისა, შიშისა და ტანჯვის გარდა, ტანჯვისა, რომელიც ართმევს ღვთიური სიყვარულის ძალას. არ შეიძლება თავისუფალი იყოს ის, ვინც ვერ სძლია საკუთარ თავს.*

*და ეს ხდება მაშინ, როცა ათასწლეულებია არსებობენ უფლებები, რომლებიც გვიცავენ ცოდვებისაგან და იმ ტანჯვისაგან, რაც მათთანაა დაკავშირებული. ათასობით წლის წინათ ყოველ ადამიანს ებოძა უფლება ყოფილიყო საკუთარი თავის მხსნელი, ამ სიტყვის ყველაზე ჭეშმარიტი გაგებით. არაფერი თქმულა უღირსი მოკვდავი ხორცისა და სისხლის შესახებ, «სასრული» ადამიანის შესახებ, თქმულია ღმერთკაცზე, სიცოცხლის არსებობაზე, რომელიც ყოველი სულის განპიროვნებული რეალობაა. არსებობა უფლისა განპიროვნებული, როგორც უზენაესი არსება არის «მე ვარ». ეს ის ცეცხლოვანი სულია, - უკვდავი, არნაშობი, არშექმნილი, არამედ შემქმნელი, - რომელმაც მოსესთან საუბრის დროს ალმოდებული ბუჩქიდან წარმოსთქვა: - "მე ვარ ის, რომელიც ვარ".*

*უფლებანი, ღმერთის წინაშე მოსაპოვებელი ბევრია, წარმოდგენილი უფლებები საძირკველს უქმნიან მომავალ ყველა ღვთიურ უფლებას.*

*ბევრი ეკალ-ბარდია მათ გზაზე, ვინც წარმოდგენილ უფლებათა მოსაპოვებლად მიისწრაფის, მაგრამ არცერთი ძალისხმევა არ დაიხარჯება ფუჭად, - ყველა ძალისხმევა ცვლილებებთან მიგვიყვანს. ისინი, ვისთვისაც ამ გზის ყოველი ნაბიჯი ცნობილია გვეუბნებიან: ცვლილებები სასურველი გახდებიან როგორც კი სული შეეჩვევა, ხოლო გონება შეეგუება ახალ უფლებებს, რის მეშვეობითაც ყოველი ჩვენგანი წარმოიქმნება სულის არისტოკრატად, ღმერთთან დაახლოებულად.*

**ღმერთის სიყვარული - აღავსებს სიცოცხლეს!**
**ღმერთის სიყვარული - ათავისუფლებს სიცოცხლეს!**
**ღმერთის სიყვარული - თანაარსია სიცოცხლისა!**
**ჩვენთან არის ღმერთი!**

**ამინ!**

# როგორ შემოგვინახა დედამიწამ "კაცობრიობის ბავშვობა"

## ხელოვნებაა თავად უკვდავებ

ძალიან ძნელია 5-6 ათასი წლის წინ გადაიხედო ისტორიაში, მაგრამ თუ ეს მაინც მოახერხეთ, დაინახავთ ადამიანს, რომელსაც რომელიღაც ცხოველის ტყავი აქვს შემოხვეული და რაღაცას ქმნის, მგონი ხატავს თუ ძვალზე ან ირმის რქაზე რაღაცას კაწრავს. მნიშვნელობა არა აქვს, რას აკეთებს იგი, ნებისმიერი ნივთი, რომელიც მისი ხელიდან გამოვა, მომავალში ხელოვნების ნიმუშად იქნება მიჩნეული და ეს მართლაც ასეა. რამ გაუღვიძა ადამიანს ქმნის სურვილი? (განა მარტო კეთების, ან თუნდაც ლამაზად კეთების სურვილი?) ამ კითხვას რომ პასუხი გავცეთ, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ.

თავდაპირველად გაჩნდა ცა და დედამიწა, დღე და ღამე, წყალი და ხმელეთი, მცენარე და ცხოველი და თავად ადამიანიც. იგი ამ დროს თოთო ბავშვს ჰგავს. აინტერესებს ყველაფერი, რაც მის ირგვლივაა. მას ძალიან უნდა ყველაფერს ხელით შეეხოს და ასეც იქცევა. ადამიანის ცნობიერებას აღვიძებს ყველაფერი: უხვი ფერები, რომელშიც იგი გამოქვაბულიდან გამოსვლისას ხვდებოდა; ფორმები თუ სილუეტები, რომელსაც ქმნიდა უამრავი ფანტასტიკური ცხოველი თუ მოულოდნელად გაქვავებული კლდე, უცნაური ხმაური, ბგერები, რომელიც მას ცოტათი აშინებდა და სუნი, რომლის საშუალებითაც იგი მტერსა და მოყვარეს არჩევდა. და ის პირველი, რასაც ადამიანი ქმნის, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, არის სანადირო იარაღი, ქვისა და ძვლისაგან გაკეთებული შუბები, ნაჯახები, ნემსები და ა.შ. მის პარალელურად კი ადამიანი ქმნის ხელოვნებას. ირმის რქაზე კაწრავს ცხოველთა სილუეტებს; ქვაზე, ძვალზე ან სულაც გამოქვაბულის კედელზე ცდილობს დახატოს ის, რისი შეცნობაც სწადია.

ადამიანმა საკუთარი ბავშვობა არც ისე დიდი ხნის წინათ, XIX საუკუნის შუა ხანებში «აღმოაჩინა». მაშინვე გაჩნდა კითხვა - როგორ ქმნიდა ადამიანი? გაჩნდა თეორიები, მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ იგი ქმნიდა ე.წ. «ხელოვნებას ხელოვნებისათვის» და რომ პირველი, რამაც ადამიანს უბიძგა შეექმნა ხელოვნების ნიმუში, არის მისი თანდაყოლილი მისწრაფება თამაშისადმი. სხვები თვლიდნენ, რომ ადამიანი ყველაფერს უდგება გამოყენებითი თვალსაზრისით, მათ შორის ხელოვნებასაც და მისი ნახატები, სკულპტურები თუ ადრეული რელიეფები გარკვეული პრაქტიკული დანიშნულების მქონეა, ზოგი მეცნიერის აზრით კი უძველეს ხანაში (დაახლ. 40-30 ათასი წლის წინათ), შექმნილ გამოსახულებას მაგიური დანიშნულება ჰქონდა (ეს ტრადიცია დღემდე არის შემორჩენილი, გავიხსენოთ ტატუირების რიტუალი) ამ მოსაზრებას ადასტურებს სხვადასხვა გამოქვაბულში: საფრანგეთში, ჩრდილოეთ პირინეებში, ესპანეთში აღმოჩენილი თიხის ფიგურები, რომლებიც სხვადასხვა ცხოველს გამოსახავდა (ლომებს, დათვებს, ცხენებს), მათზე აღმოჩნდა შუბით გაკეთებული ნაჭდევები. ეს ნაჭდევები, როგორც ჩანს, რომელიღაც რიტუალის დროს არის გაჩენილი. განსაკუთრებით საინტერესოა მონტესპანის (საფრანგეთი) გამოქვაბულში აღმოჩენილი «დაჭრილი» დათვის თიხის ფიგურა, რომელსაც არ ჰქონდა თავი. დათვის ფეხებთან კი მისი ნამდვილი ორეულის თავის ქალა იდო. ალბათ ამ ფიგურას ზემოდან ადებდნენ დათვის მოჭრილ თავს, შემდეგ ასრულებდნენ რიტუალს, რომლის შედეგად, როგორც ისინი ფიქრობდნენ, დათვზე ნადირობა წარმატებით დასრულდებოდა.

მეცნიერები, ალბათ, კიდევ ბევრჯერ და დიდხანს იკამათებენ სხვადასხვა ნიუანსებზე. მაგრამ მთავარი არის თავად ფაქტი - ერთ-ერთი პირველი, რისი საშუალებითაც ადამიანი გარესამყაროს ეზიარა არის ხელოვნება. ადამიანის მიერ აზრის სიტყვებში მოქცევას უძველესი პიკტოგრამული ნახატებით, შეგვიძლია გავადევნოთ თვალი, ირმის რქაზე ამოკაწრული იდეოგრამიდან ანბანურ დამწერლობამდე.

პირველყოფილი ადამიანის გრძნობის ყველა ორგანო ჩართულია გარესამყაროს შეცნობის პროცესში. ყველაზე აქტიური და მახვილი მაინც თვალია. გინახავთ პირველყოფილი ადამიანის მიერ დახატული ცხოველები? მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი მხატვრებისათვის არავის უსწავლებია თუ როგორ, რა ხერხით უნდა გადმოეცა სხეულის მოცულობა, არც პერსპექტივის კანონები, არც შუქ-ჩრდილის მონაცვლეობის აუცილებლობაზე უსაუბრია ვინმეს, მის მიერ დახატული ცხოველი მაინც საოცრად ცოცხალია. იგი შესანიშნავად გადმოსცემს ცხოველის სხეულს. მონტესპანის გამოქვაბულის ჭერსა და კედლებზე დახატულია ირმები, ბიზონები, გარეული ღორები და ცხენები, ბევრი ისეთი ცხოველი, რომელიც დღეს აღარ არსებობს. მაგ. გრძელთმიანი მამონტი და ეშვებიანი ვეფხვი. თითოეული მათგანი გულმოდგინებით არის ამოხატული შავი ნახშირითა თუ მწვანე და ყვითელი მინერალებით. ეს ნახატები პირველყოფილი ადამიანისათვის, დაახლოებით ისეთ როლს თამაშობს, როგორც სათამაშო ბავშვის ხელში; დააკვირდით ბავშვს, როგორ ცდილობს შეისწავლოს ხელში მოხ-





ვედრილი ნებისმიერი ნივთი, როგორ ცდილობს ამოხსნას ყველა საიდუმლო, თუნდაც ამ მიზნით სათამაშოს დაშლაც მოუხდეს. ასევე პირველყოფილი ადამიანიც დიდხანს აკვირდება ნადირს. ცდილობს მისი ფორმები ამოკაწროს ძვალზე, ქვაზე, რქაზე ან სულაც დახატოს გამოქვაბულის კედელზე. და ამასთან ერთად ეს ფორმები იყოს რეალური, ბუნებრივი, თვით ცხოველი ცოცხალი.

პირველყოფილი ადამიანი თავის კვალს სხვადასხვა ადგილზე ტოვებს. ადრეული ადამიანის ნაშთებს მეცნიერები პოულობენ ესპანეთში (ცნობილი ალტამირას გამოქვაბულში, რომელსაც მეცნიერებმა ხუმრობით «პირველყოფილი სიქსტეს კაპელა» უწოდეს), საფრანგეთში (გამოქვაბულებში ფონ დე გომი, მონტესპანი, ლარტე), ციმბირში, დონზე (კოსტენკი), იტალიაში, ინგლისში, გერმანიაში, ალჟირში და საქართველოშიც. ყველაზე ბოლოს საჰარაში, ერთ-ერთ მთიან პლატოზე აღმოაჩინეს გიგანტური ნახატები, ე.წ. ტასილის ფრესკები და ალბათ, ეს აღმოჩენა ბოლო არ იქნება.

ერთი შეხედვით პარადოქსია მაშინ, როცა ადამიანს ჯერ კიდევ მყარად არ უჭირავს ხელში თავდასაცავი იარაღი მაშინ, როცა მას ბრძოლა უხდება თავისზე ბევრად ძლიერ ცხოველებთან, იგი ქმნის საოცრად რეალისტურ ნაწარმოებებს. ყოველივე უკვე თქმული კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ხელოვნება ისეთივე აუცილებელი ატრიბუტია ადამიანის არსებობისათვის, როგორც საჭმელი და იარაღი.

პირველყოფილი ადამიანი გარესამყაროში საკუთარ თავს ვერ პოულობს, ჯერ ვერ ხედავს, ამიტომ არც გამოხატავს. ან თუ მაინც ხატავს ადამიანს, მისი ფიგურა სასაცილოდ პატარაა და სქემატური, გინახავთ როგორ ხატავს ბავშვი "კაცუნებს"? მაშინ თქვენ ადვილად წარმოიდგენთ პირველყოფილი "მხატვრის" მიერ დახატულ მონადირეს. იგი თვლის, რომ მთავარი ობიექტური სინამდვილეა (იქ არის ღმერთი) და არა თვით სუბიექტი. თუმცა, ალბათ თქვენც მეთანხმებით, რომ ის ფაქტი, როცა პირველყოფილმა ადამიანმა მოკლულ ბიზონში "მშვენიერი" დაინახა, უკვე ბევრს ნიშნავს. როდესაც იმ ეპოქის ადამიანი ცხოველს ხატავს, იგი ერთის მხრივ, აჯერებს თავის დაკვირვებებს ცხოველის მოძრაობის, ფიგურის და სხვადასხვა მდგომარეობის შესახებ, მეორე მხრივ, იგი იქმნის გარკვეულ ზოგად წარმოდგენას სწორედ ამ ცხოველის შესახებ. იგი შეიცნობს მას და თვლის, რომ დაეუფლა გამოსახულ ცხოველს (ან მის მსგავსს). ყოველივე ამის საშუალებით ადამიანი სწავლობს განზოგადებასაც.

გინდათ შევძვრეთ ალტამირას გამოქვაბულში და დავათვალიეროთ ბიზონების გამოსახულებები. პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, ეს არის უწესრიგობა დახატული ცხოველების განლაგებაში. აქ ჯერ არ დგას ამოცანა, კომპოზიციის შექმნისა, სამაგიეროდ ზუსტი, მკვეთრი მონასმებით შავი, ყვითელი და წითელი საღებავებით გადმოსცემს მხატვარი ბიზონის სახასიათო მონოლითურ ძლიერ სხეულს. ამ ბიზონს თუ კარგად დააკვირდებით, იქნებ მისი ნესტოებიდან გამოსული ორთქლიც დაინახოთ ან ჩლიქების ბაკუნი შემოგესმათ. მართლაც მნახველს ისეთი შეგრძნება უჩნდება, თითქოს ეს ცხოველი უცებ წამოხტება და შეუტევს ცნობისმოყვარე დამთვალიერებელს. ამგვარ შეგრძნებას გვიქმნის ბიზონის დაჭიმული კუნთები, მოხრილი ფეხები და იერიშის მისატანად მომზადებული, დაბლა კუშტად დახრილი თავი. ალტამირას გამოქვაბულის ჭერზე გამოსახულია ათობით ცხოველი: ბიზონი, ცხენი, ტახი, მაგრამ მათ შორის, როგორც ზემოთ ვთქვით, სრული ქაოსია. არანაირი მინიშნება არ არის იმ გარემოზე. ეს არის «ბავშვის» ნახატი, რომელიც ცდილობს გულმოდგინედ გადახატოს მხოლოდ მის წინ მდებარე საგანი და მისი ყურადღების მიღმა რჩება ყველაფერი, რაც ამ საგანს უკავშირდება.

თუ ადრეული ქვის ხანაში, ადამიანი მხოლოდ შეიმეცნებს გარესამყაროს, მოგვიანებით, ზედა პალეოლითსა და ნეოლითში იგი გარესამყაროსთან საკუთარ ურთიერთობებს ამყარებს. მაგ: ტასილის ფრესკებზე პირველყოფილ მხატვარს აღუბეჭდავს ასეთი სცენა, დედა სპილო თავის შვილს იფარავს ვეფხვის თავდასხმისაგან. აქ უკვე ადამიანისათვის მთავარი არის არა მხლოდ სხეულის გადმოცემა, არამედ მისთვის ღირებულია გარემოსთან კავშირიც და ურთიერთობებიც. ადამიანში ჩნდება თანაგრძნობა. ფართოვდება ინტერესის სფერო. მას აინტერესებს უფრო მეტი, ვიდრე ცხოველის სხეული. მას აინტერესებს მისი ცხოვრების წესი, ზნე, ბუნება. მართლაც პირველყოფილმა ადამიანმა ძალიან ბევრი რამე იცის იმ ცხოველებზე, რომლებზეც ნადირობს, მათ ჩვევებსა თუ ცხოვრების წესზე. იგი ჩასაფრებული საათობით აკვირდება მათ, სწავლობს რათა შესაფერისი და ხელსაყრელი წამი მოძებნოს თავდასხმისათვის.



ჩვენ ზემოთ ბევრი ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ პირველყოფილ ადამიანს არა აქვს კომპოზიციის გრძნობა და ამის დასადასტურებლად მაგალითებიც მოვიყვანეთ, მაგრამ ადამიანს აქ უბრალოდ არ აინტერესებს გარემოს ზომები. სამაგიეროდ იგი შესანიშნავად გრძნობს მასშტაბს, როდესაც იგი კაწრავს ირმის რქაზე, ძვალზე, რომლის ფართობი ძალიან პატარაა, იგი საოცარი ოსტატობით იყენებს მასალის ზომას და მოცემულ ფართობზე ხატავს იმ ცხოველს, რომელიც ამ სიბრტყეს უკეთ «მოერგება».



მაგ: წაგრძელებული ფორმის, მაგრამ საკმაოდ ფართე იარაღზე, გამოსახულია ერთმანეთის გვერდიგვერდ მიმავალი ცხენები ან ირმები; უფრო ვიწროზე - თევზები და კიდევ უფრო ვიწროზე - გველები და ა.შ. ხშირად ცხოველის ფიგურა რომელიმე იარაღის სახელურს წარმოადგენს. აქაც არჩეულია ისეთი ცხოველი, რომლის სხეულის ფორმის ამ მიზნით გამოყენება სავსებით შესაძლებელია. აქ უკვე საფუძველი ეყრება გამოყენებით ხელოვნებას.

ცოტა მოგვიანებით, ზედა პალეოლითში ადამიანი უკვე განზოგადებას იწყებს. იგი ხედავს როგორ გადადის ირმების ჯოგი წყალზე (გამოსახულება ძვალზე, ლორტე). იგი ჯოგის თავსა და ბოლოში ხატავს თითო ირემს მთელი ტანით, ხოლო დარჩენილ არეს ურთიერთპარალელური ხაზებით ავსებს, რომელთა რითმით სირბილის შთაბეჭდილება იქმნება. ე.ი. ადამიანმა ისწავლა აბსტრაგირება. მას შეუძლია დანაწევრება. მას შეუძლია თითოეული ირმისაგან გამოჰყოს რაღაც ნიშანი, რომელიც საერთოა საზოგადოდ ყველა ირმისათვის (რქებისა და ფეხების გამოყენება მოძრაობის რითმისათვის), პარალელურად მას ეხერხება გადმოსცეს თითოეული ირმის ინდივიდუალური ნიშანიც.

პალეოლითის ხანის ადამიანის ნაკეთობებში ხშირად



გვხვდება ორნამენტები. აქაც მისი მასწავლებელი ბუნებაა. იგი ხედავს სხვადასხვა ფორმის და ფერის ფიგურებს თავის გარშემო: სხვადასხვა ფერად მოხატულ პეპლებს, გველის ქერცლით დაფარული ტყავის ზიგზაგებს, ყვავილის ბუტკოს ათასგვარ ფორმას, აკვირდება წყლის რუს დაკლაკნილ კალაპოტს და ა.შ. იგი ცდილობს ეს ყოველივე ორნამენტში მოაქციოს. ამიტომ ხატავს რითმულად განმეორებად პარალელურ კლაკნილ ხაზებს, ზიგზაგებს, სპირალებს, რითიც ალამაზებს თავის ყოფას. თუმცა, ამ ნიშნებს არა მარტო დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა. ეს მაგიური ნიშნებია, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია მივხვდეთ, რა წარმოდგენა ჰქონდა პირველყოფილ ადამიანს ღვთაებებზე, რას სცემდა პატივს და რისი ეშინოდა.

უკვე პალეოლითის ბოლოსა და ნეოლითში, ასევე ბრინჯაოს ხანაში ადამიანი არა მარტო ხვეწს და სრულყოფამდე აჰყავს ორნამენტი, მის პრინციპს ცხოველისა და ადამიანის ფიგურების ხატვისას იყენებს, ანუ ქმნის მათ ნიშნებს, რითაც აღწევს გამოსახულების სქემატიზაციას.

ქვის ხანის ადამიანი გაურბის საკუთარი თავის გამოსახვას. დედამიწის სხვადასხვა ადგილზე აღმოჩენილია თიხისაგან ნაძერწი ქალის პატარა ფიგურები, ე.წ. «ვილენდორფის ფიგურები», მეცნიერები მათ «პალეოლითის ვენერებსაც» უწოდებენ. ეს არის ნაყოფიერების ღვთაების გამოსახულება. ამ ფიგურებში საოცრად არის შერწყმული ერთი მხრივ ოსტატობა და მეორე მხრივ პრიმიტიულობა. პირველყოფილი ოსტატი შესანიშნავად «აქანდაკებს» ქალის სავსე ფორმებს. თითოეული ნაკვთი ცალკე შეჩერებას და დათვალიერებას მოითხოვს. მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ ქალის სახეს. სახის ადგილას მთლიანი ფორმაა, ეს ქანდაკება ისევე უპიროვნოა, როგორც პირველყოფილი ხელოვნების შემქმნელები.

თუ თვალს გავადევნებთ პირველყოფილი ადამიანის ხელოვნებას, შეიძლება სამი მთავარი ეტაპი გამოვყოთ: პირველი, როცა ადამიანი ხატავს სქემატურად, იმიტომ, რომ მისი ხელი ჯერ კიდევ არ არის ზუსტი; თანდათან იგი თითქმის რეალისტურ ნაწარმოებს ქმნის, მაგრამ უგულვებელყოფს კომპოზიციურ განლაგებას სასურათო სიბრტყეზე; მესამე ეტაპზე კვლავ უბრუნდება სქემატურ გამოსახულებებს, მაგრამ ამას იგი უკვე შეგნებულად აკეთებს. სქემატიზაციით იგი განზოგადებას ცდილობს და ახერხებს კიდეც. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ პერიოდში ადამიანს უკვე ჩამოყალიბებული აქვს კომპოზიციისა და რიტმის გრძნობა.

იგივე ტენდენცია შეიმჩნევა საკულტო ცხოველების გამოსახულებაში. თუ თავდაპირველად ადამიანი მაქსიმალურად ამგვანებს გამოსახულ ცხოველს რეალურს და ჰგონია, რომ ორეულს იგივე თვისებები აქვს, რაც მის ცოცხალ ტყუპისცალს, მოგვიანებით ტოტემებს უკვე ზოგადი თვისებები აქვს მინიჭებული და ამდენად, მისი გამოსახულებაც უფრო სქემატური ხდება.

ადამიანი სწავლობს აზროვნებას, მაგრამ სამუდამოდ კარგავს პირველყოფილი ერთიანობის შეგრძნებას. იგი (ნეოლითის ხანაში) გამოდის გამოქვაბულიდან, იწყებს საცხოვრებელი სახლების შენებას. აკეთებს საყოფაცხოვრებო ჭურჭელსა და იარაღს, ზოგიერთი ტომები უკვე მიწათმოქმედებას მისდევენ. პირველყოფილ ადამიანს აღარ ეშინია თავისი მსგავსის გამოსახვა და ცხოველსაც უფრო თამამად ხატავს. იგი ათასწლეულების სიღრმიდან, მოგვითხრობს თუ როგორ ნადირობს, თევზაობს, შრომობს, ომობს ან ერთობა, და ბოლოს ადამიანი იწყებს ლითონის მოპოვებას. იგი უფრო გაბედული ხდება. აღარ ეშინია გარესამყაროსი, ნელ-ნელა საფუძველს უყრის იმ სახელმწიფოებს, რომლებიც შემდეგ აღმოცენდება და მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ცივილიზაციის ისტორიაში - შუამდინარეთი, ეგვიპტე, მოჰენჯო-დარო...

ადამიანმა ხელოვნების ნიმუშების შექმნა დაიწყო გაცილებით ადრე, ვიდრე მას ჩამოუყალიბდებოდა გარკვეული ესთეტიკური კრიტერიუმები, ნორმები ხელოვნების შესახებ. იგი ქმნიდა ხელოვნებას ხელოვნებამდე.

მაგრამ უპასუხოდ რჩება კითხვა: მაინც როდის დაიწყო პირველმა ადამიანმა ხატვა? ან პრიველად როდის გამოძერწა ცხოველი? ამაზე ზუსტი პასუხი არ არსებობს. უბრალოდ, ერთი ნათელია - ადამიანი იბადება თანდაყოლილი მოთხოვნილებით, რომ შექმნას…

*ნათია ხოშტარია*

# ქართული ასომთავრული და ბემბოს ფირის საიდუმლოება!..

*«ფილოსოფია აღმოცენდა ანტიკური ხანის მისტერიებიდან და წარმოადგენდა რელიგიების განუყოფელ ნაწილს მანამ, სანამ არ გადაიარა მისტერიების ხანამ.»*

მენლი პ. ჰოლი

მისტერიები იმდენად ძვირფას და საიდუმლო ცოდნას წარმოადგენენ, რომ მათ მხოლოდ უდიდესი ქურუმები ფლობდნენ და ამ თითქმის მიუწვდომელ ცოდნას ჩვეულებრივი ინტელექტისათვის, განსაკუთრებული წესითა და მეთოდებით ნიღბავდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წესი უზენაესი უნდა ყოფილიყო და რა თქმა უნდა, აზროვნების უმაღლეს გეგმილში იქმნებოდა. არსებობს აზროვნების შვიდი გეგმილი: **1) რეალისტური (რასაც ხედავ მხოლოდ მასვე აღიქვამ); 2) იდეალური წარმოდგენების, აზროვნების უნარი (ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს იდეა და იდეის საფუძველზე იდეალური მოდელები ჩამოაყალიბოს); 3) ღვთაებრივი, სულიერი, მითოლოგიური აზროვნების გეგმილი (ეს უკვე რწმენაა); 4) აზროვნების სიმბოლური გეგმილი (აზროვნებაში შემოდის სიმბოლიკა თავისი შინაარსითა და დატვირთვებით); 5) ემბლემატური აზროვნების გეგმილი (ორი ან რამდენიმე შეერთებული სიმბოლო წარმოადგენს ემბლემას); 6) ქარაგმა, ალეგორია, იგავი, მინიშნება და 7) იეროგლიფური ანუ, ლოგოგრამატული აზროვნება (აქ ყოველი ასო სიტყვაა, წინადადებაა და მთელი ცნებაა).** აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ უზენაესი ცოდნა იეროგლიფური, ლოგოგრამატული წესით უნდა დაეშიფრათ. საკრალური ანუ საიდუმლო ტრანსცენდენტალური ცოდნის ერთ-ერთ უდიდებულეს წყაროს, დაწერილს მისტერიებით, წარმოადგენს ქართული ასომთავრული. ქართული ასომთავრული მთელი ბუნების მისტერიების ენა ყოფილა. ქართული დამწერლობის თვითმყოფადობა და ეროვნულობა თავისთავად ღირებულებაა, მაგრამ იგი არაფერია იმასთან, რასაც ის წარმოადგენს, როგორც ადამიანის, სამყაროს, მათემატიკის, ასტრონომიის, ასტროლოგიისა და მუსიკის საიდუმლოებათა შემცველობის თვალსაზრისით.



ესოდენ დიდი გაცხადების შემდეგ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოში რენესანსია. მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს დამოუკიდებელ მეცნიერებად ქცეული, ქართული პალეოგრაფია.

ამ საოცარ მეცნიერებას საფუძველი ჩაუყარა ჩვენმა უდიდებულესმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა, ივანე ჯავახიშვილმა.

სერიოზული არსით საოცრად გაღრმავებული ეტაპი ქართული პალეოგრაფიისა, განავითარა მისმა უშუალო მემკვიდრემ, ჭეშმარიტად ღრმა მეცნიერმა, ბატონმა რამაზ პატარიძემ. ჟურნალის რედაქცია მიმართავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და უშუალოდ მის პრეზიდენტს, ბატონ ალბერტ თავხელიძეს: ბატონ რამაზ პატარიძის ღვაწლი ითხოვს ჯეროვან შეფასებას და მისი აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევა, აკადემიის წარმატებად მიგვაჩნია. რა თქმა უნდა ეს საკითხის აღძვრაცაა და შუამდგომლობაც მიუხედავად იმისა, რომ მავანნი და მავანნი იბრალებენ ამ დიდ მეცნიერულ წოდებას, რაც ჩვენის აზრით მეცნიერების სივრცის კორუფცია გახლავთ, და ჭეშმარიტი მეცნიერის ჩრდილში ყოფნა კი საზიანოა მეცნიერებისათვის.

რაც შეეხება ამ მსოფლიოს მნიშვნელობის საკითხის ჩვენეულ შენამატს, ჩვენ მას უშუალოდ ეგვიპტეს უკავშირებთ და ბემბოს ფირის საიდუმლოებათა გაშიფვრით, დავამტკიცებთ მის რეალურ ღირებულებას. რათა საჭირო წინაპირობების აუცილებელი საფუძველი შევქმნათ, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საკითხებზე მუშაობამ ჩემთან მოიყვანა ღვთის ნიჭით დაჯილდოებული დემიკო ანთიძე. მან რამაზ პატარიძისა და ზურაბ ქაფიანიძის თეორიებზე დაყრდნობით, უაღრესად მნიშვნელოვანი ხედვა შექმნა, რაც სრულიად უჩვეულოა და დამოუკიდებელ მიმართულებას წარმოადგენს. სამყაროს ხედვისა და ასომთავრულის საფუძველზე იგი სამყაროს აღწერის განუმეორებელ მეთოდს იყენებს.

ვრცელ და ურთულეს ამოცანას დაეჭიდა იგი და როდესაც მისი შრომა ერთ-ერთ ლოგიკურ საფეხურად ჩამოყალიბდება, საზოგადოება იხილავს მის უაღრესად მნიშვნელოვან და საინტერესო ნაშრომს.

მისი ნებართვით, ვსარგებლობ მის მიერ შექმნილი ტაბულით, რასაც მე სამყაროსა და ადამიანის მატრიცა ვუწოდე. ვსარგებლობ ასევე მისი «პანთეონით», - შვიდი ასო-ნიშნის ასტრონომიული დატვირთვებით, რაც პირველი სტრიქონის ზედა მინაწერებიდან ჩანს.

ეს გასაოცარი მიგნებაა.

ჩვენის მხრივ ამ ტაბულას, პირველ ვერტიკალურ სვეტში მყოფი ასოთათვის დავუმატოთ მათი მნიშვნელობები. თუ პირველ სტრიქონს აქვს პლანეტათა მნიშვნელობანი, პირველ ვერტიკალურ სვეტს (ეს უკვე ჩვენი აზრით) აქვს სტიქიათა მნიშვნელობანი, რაც ტაბულის მარცხენამხრივი მინაწერებიდან ჩანს.

| | მთვარე | მერკური | ვენერა | მზე | მარსი | იუპიტერი | სატურნი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | Ⴀ 1 | Ⴁ 2 | Ⴂ 3 | Ⴃ 4 | Ⴄ 5 | Ⴅ 6 | Ⴆ 7 |
| ცეცხლი ⇨ | Ⴡ 8 | Ⴇ 9 | Ⴈ 10 | Ⴉ 11 | Ⴊ 13 | Ⴋ 14 | Ⴌ 15 |
| ჰაერი ⇨ | Ⴢ 15 | Ⴍ 16 | Ⴎ 17 | Ⴏ 18 | Ⴐ 19 | Ⴑ 20 | Ⴒ 21 |
| მიწა ⇨ | 22 | Ⴣ 23 | Ⴓ 24 | Ⴔ 25 | Ⴕ 26 | Ⴖ 27 | Ⴗ 28 |
| წყალი ⇨ | Ⴘ 29 | Ⴙ 30 | Ⴚ 31 | Ⴛ 32 | Ⴜ 33 | Ⴝ 34 | Ⴤ 35 |

ელენე ბლავატსკაია თავის «საიდუმლო დოქტრინაში» იძლევა სამყაროს შვიდ საწყისოვნებას: **1) მოძრაობა, 2) ბგერა, 3) სინათლე, 4) სითბო, 5) შეკავშირების ძალები, 6) ელექტროობა, 7) მაგნეტიზმი.**

პირველი მეცნიერული შინაარსი ასომთავრულისა ასეთია:

I - მოძრაობა - Ⴀ - მთვარე. მთვარე განსაზღვრავს დედამიწაზე ყველა ძირითად მოძრაობას: მიქცევ-მოქცევის მოძრაობა ოკეანეში; მიწისქვეშა წყლების მოძრაობა; დედამიწის ქერქის მოძრაობა, მსგავსად ოკეანის წყლებისა; სეზონური მოძრაობა მთვარის კალენდრის მიხედვით და მთვარის ცივი გამოსხივების გამო, ჰაერის მასების ციკლონური მოძრაობა… ერთი სიტყვით, კიდევ მრავლის თქმა შეიძლება. მოძრაობა კი სამყაროს არსებობის ერთადერთი საშუალებაა. პუანკარემ ზუსტად ციურ სხეულთა მოძრაობის მექანიკიდან გამომდინარემ შეჰქმნა თავისი «მდგრადობის თეორია» და მთვარე, როგორც «მოძრაობა» გადამწყვეტია დედამიწის არსებობაში, რადგან ატარებს სისტემის მდგრადობის ნიშანს (ლაპუნოვის მდგრადობის ნიშანი).

II - ბგერა - Ⴁ - მერკური. მერკური ჰერმესია, სიტყვა ანუ ბგერა. ჰერმესი წარმოადგენს სიტყვის საიდუმლოების ღმერთს და სიტყვა კი, თავისთავად ცხადია, რომ ბგერაა.

III - სინათლე - Ⴂ - ვენერა. ვენერა მთელს ცის კიდობანზე, ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია. მისი ელვარება თვით სირიუსის ელვარებას აღემატება.

IV - სითბო - Ⴃ - მზე. მზე სითბოა და ეგვიპტელთა შესაბამისად ღვთაება **ტუმ** - ანუ სიცოცხლეა.

V - შეკავშირების ძალები - Ⴄ - მარსი. ლითონი საერთოდ, კონკრეტულად - მარსი რკინაა. რკინა როგორც ყველაზე ძლიერი ლითონი, რა თქმა უნდა შეკავშირების ძალთა სიმბოლოა, მაგრამ თუ დავაწრებთ მოვლენებს და მომდევნო სივრცისაგან გასაგებ ცოდნას მოვიშველიებთ, რკინა და მხოლოდ რკინა, რადგან იგი სხეულის, ორგანიზმის შეკავშირების იმ ძირითად ძალას, რკინას წარმოადგენს, რომელიც ჰემოგლობინის საფუძველია.

VI - ელექტროობა - Ⴅ - იუპიტერი. იუპიტერის ბერძნული სახელწოდება ზევსია და ზევსის ძირითადი ატრიბუტი ელვა გახლავთ. ელვა, ვფიქრობ არავისთვის არ იქნება აღმოჩენა, ელექტროობა გახლავთ (საგულისხმოა იუპიტერის სასწაულებრივად სწრაფი ბრუნვა საკუთარი ღერძის ირგვლივ, ელექტროდინამოს მსგავსად).

VII - მაგნეტიზმი - Ⴆ - სატურნი. უამრავი ციური სხეულის, სატურნის ირგვლივ რგოლებზე მიზიდულობა, რა თქმა უნდა ციურ სხეულთა მიზიდულობის მაგნეტიზმს მიგვანიშნებს, მაგრამ სატურნი კოსმიური მაგნეტიზმის სიმბოლოა და კოსმიური მაგნეტიზმი ის ძალაა, რაზედაც აგებულია კოსმოსის ურყევი ერთიანობა. ეს ძალა ცნობილია, მას სიყვარული ჰქვია. მარსის საიდუმლოების გახსნისას, საჭირო გახდა მომდევნო ინფორმაციის წამოწევა და თუ აქაც იგივეს გავაკეთებთ, მაშინ ჩვენ ახლავე მოგახსენებთ სიყვარულის, სრულყოფილების შესახებ, თქვენ კი მომდევნო ინფორმაციის საშუალებით გასინჯეთ ის, რაც ახლა საჭიროების გამო მტკიცების გარეშე მოგვაქვს.

სატურნი ებრაელთა პლანეტაა, შაბათია. ებრაელთა ყველაზე დიდ საიდუმლოებას შაბათისა - შეკინა შეიცავს.

შეკინა ღვთის ადამიანში შემოსვლას ნიშნავს, რაც ალბათ გულის სიყვარულით ავსებას უნდა ნიშნავდეს და ამიტომ ჩვენ, ქართველები ებრაელებს ყველაზე დიდი სიყვარულით ვექცეოდით და სახელიც საკრალური მივანიჭეთ, - ურიები. ჯერ ის, რომ არსებობს დავიწყებული წმიდა მიხეილის ღირსებების მქონე წმინდანი ურიელი. აღსანიშნავია, რომ ურიელი ვენერას სტიქიათა დამმორჩილებელია.

სიტყვა ურიას მნიშვნელობა შემდეგია: ურ - სინათლეა (ურიელი ვენერასთანაა დაკავშირებული); ი, ანუ ასომთავრულით Ⴈ, არის 10. ათი (10) სრული სრულყოფილებაა და თუ გავიხსენებთ, რომ მთელი ეგვიპტის საკრალური მეცნიერება მოსემ 10 (ათ) მცნებაში ჩატია, მაშინ გასაგები ხდება ურ - სინათლესთან ი-ის - (Ⴈ) არსებობა. ა ნიშნავს Ⴀ - ერთს, მთვარეს, დასაბამის დასაბამს, - მოძრაობას და ამიტომ დღემდე ურიები მთვარის კალენდრით სარგებლობენ. ასე რომ საბოლოოდ:

| სინათლე | სრულყოფილება | მოძრაობა |
|---|---|---|
| ურ | ი | ა |

ურიათა საკრალური ცოდნა, მოსეს მიერ დღემდე ორგანიზებულ განდობილთა მემკვიდრეობით მოდის და უხარმახარ სინათლეს, კაცობრიობაზე ზრუნვით მოსიყვარულე ფარულ ორდენს წარმოადგენს. აი ამიტომაა, რომ სატურნი არა მარტო მატერიალური, არამედ კოსმიური სიყვარულის, მაგნეტიზმის სიმბოლოა. სატურნი ბოლო პლანეტაა, რომლის სიყვარულით დაძლევის შემთხვევაში, ადამიანი აღწევს ღმერთს.

მაშ ასე, პირველი მიახლოებით შეიძლება მივიღოთ ბლავატსკაიას ძალთა სისტემით, პლანეტების სისტემაზე ზედდების შედეგად თანხვედრა. ვნახოთ რას მოგვიტანს შემდგომი გამოკვლევები.

## მეორე ეტაპი

ავიღოთ ბემბოს ფირი და პირველად კაცობრიობის ისტორიაში პლატონის, არისტოტელეს და სხვა განდობილთა შემდეგ, ქართული ასომთავრულით წავიკითხოთ.

ვიდრე ამას გავაკეთებთ, საჭიროა წინარე ინფორმაციული ველის შექმნა, რომლის გარეშე არცა მტკიცება, რომ არაფერი ვთქვათ გასაგებ ენაზე, არცა მეცნიერული გამოკვლევა არ გამოგვივა.



თავდაპირველად მივმართოთ ისტორიას და სწორუპოვარ ავტორიტეტებს. გამოვააშკარაოთ ფუნდამენტალური დებულებები და სწორუპოვარი ავტორიტეტებისაგან მიღებული, უტყუარი პირველადი ინფორმაცია. მაშ ასე, ზოროასტრი ამბობდა, რომ რიცხვი სამი მთელს სამყაროში ანათებს, რაც ბემბოს ფირში დაფიქსირებულია სამი ზედა, შუა და ქვედა ნახატების შრეებით.

ბემბოს ფირის პრობლემას სწავლობს მთელი კაცობრიობა. მსოფლიოს უდიდესი ფილოსოფოსი და განდობილი, პლატონი ისიდას ტაბულას წინაშე, რომელიც საკურთხეველზე იდო, ღებულობდა თავის უზენაეს განდობას და რა თქმა უნდა, რომ ისიდას ტაბულა ბემბოს ფირად ცნობილი, აღელვებდა მრავალ მკვლევარს. მას სწავლობდა მრავალი მისტიკოსი, რელიგიური მოღვაწე, ფილოსოფოსი და რა თქმა უნდა მეცნიერი.

ბენედიკტიანელი მამა მონფაკონი აღიარებს თავის უძლურებას, ფირის სიმბოლიზმის საიდუმლოებათა წინაშე. კირხერი 1654 წ. გამოცემულ წიგნში «ეგვიპტელი ედიპი», უტევს ისიდას ფირის პრობლემას. მეტად მომზადებული სხვა მისტიკოსთა დახმარებით იგი საკმარისად შორს მიდის თავის გამოკვლევებში, მაგრამ «მთავარი საიდუმლოება მისთვის მიუწვდომელია», - ასეთი გამჭრიახი გამონათქვამით ასამარებს კირხერს ელიფას ლევი თავის «მაგიის ისტორიაში». თვითონ ლევი თვლიდა, რომ ის, რაც დასამალია უნდა დამალული დარჩეს და აქვე მინდა აღვნიშნო, რომ იგი უაღრესად ღრმა ინფორმაციას იძლევა ისიდას ტაბულის ირგვლივ. თუმცა მისი შენამატი მეტად მნიშვნელოვანია, იგი მაინც შორსაა ჭეშმარიტებიდან, რადგან არსად ასომთავრული არ ჩანს, რომლის გარეშე გასაღები საერთოდ არ არსებობს, თუმცა როგორც მოგახსენეთ, უსაზღვროა მისი ინფორმაციული შენამატი და მათ შორის განსაკუთრებით ყურადსაღებია მისი მიგნება ისიდას ტაბულის (ბემბოს ფირის) ცენტრალური სივრცის მიმართ. ცენტრალურ სივრცეს ლევი მზისა და პლანეტარულ ძალებს მიაკუთვნებს, რაც თავისთავად ინტუიციური დიდი წინათგრძნობაა, თუმცა ძალთა განლაგებაზე, რასაც ქართული ასომთავრული მოგვცემს არაფერია ნათქვამი, რადგან კიდევ ვიმეორებ,

მას ხელთ არ ეპყრა ასომთავრული, რომლის გარეშეც ეს საკითხი ინტუიციის დონეზე დარჩა.

ხსენებულ ფირს სხვა მკლევარებიც ჰყავდა: უესტკოტი, რომელმაც შექმნა გასაღები ფირის წასაკითხად; ჯ.რ. მიდი, რომელიც ფირის შუაგებმილის ცენტრალურ ფიგურას «იზიდას», პანტემორფულ სახელს «IYNX» «გონიერების გადამცემს» უწოდებს. სხვები მას ყოფის უნივერსალურ სიმბოლოდ მიიჩნევენ.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მკვლევარის მიერ, მრავალი სარწმუნო ინფორმაციაა მოძიებული «ჯერ კიდევ დასადგენია ისიდას ტაბულის ეგვიპტეს გნოსტიციზმთან პირდაპირი კავშირები, რადგან ბოდლევის ბიბლიოთეკაში შენახულ გნოსტიკურ პაპირუსში არის პირდაპირი მინიშნება თორმეტი მამის თაობაზედ, რომლებიც თორმეტ წყაროს წარმოადგენენ» («ეგვიპტის მაგია»).

დასახელებული მცირე რიცხვით მკვლევართა სახელები, როგორც მოგახსენეთ სარწმუნოების თვალსაზრისით, ნაწილობრივ იმსახურებენ ნდობას.

მაშ ვის ვენდოთ? - რა თქმა უნდა თვითონ ეგვიპტელებს და მათ, ვინც უშუალოდ მიიღო სწავლება და შემდეგ უკვე მათ მოწაფეებს. აი ისინიც: პლატონი, რომელიც ცამეტი (13 !!!) წელიწადი სწავლობდა ეგვიპტის მაგებთან, რომელთა სახელებია: პატენეტი, თხოაპსი, სეხტნოფისი და ეტიმონ სებენიტი. პლატონის მოწაფე არის ტოტელი ფსელუსი.

პლატონისა და არისტოტელეს გასაოცარ გამონათქვამებს გზადაგზა მოგაწვდით და რაც შეეხება ჩვენი ასომთავრულისა და ისიდას ტაბულის (იგივეა რაც ბემბოს ფირის) ურთიერთკავშირებს, აბსოლუტურად სარწმუნო წყაროებიდან მოგახსენებთ, რომ ფსელუსი წერს: «ეგვიპტელები ეთაყვანებოდნენ სამებას, რწმენას, ჭეშმარიტებას (ჭეშმარიტებაა ერთადერთი იმედი, ამიტომ ჭეშმარიტება და იმედი სინონიმებია, თუმცა არქეტიპი ანუ საწყისი, რომლისგანაც იმედი წარმოიშვება - ჭეშმარიტებაა), სიყვარულს და ასევე შვიდ საწყისს: მზეს, როგორც მმართველს - მატერიის საწყისს; შემდეგ მთავარანგელოზთა საწყისს; გრძნობათა საწყისს, აზრის, სინათლის, ანარეკლის, უცნობი შემადგენლობის ასოებს. ისინი ამბობენ, რომ მატერიალურის უზენაეს წყაროებს წარმოადგენენ ისინი, ვინც მიეძღვნება აპოლონს, ოსირისს და მერკურის, - ეს ელემენტების წარმოშობის ცენტრებია. ასე რომ მათ მზის სისტემის მმართველად მზე წარმოედგინათ; მატერიალურ მთავარანგელოზთა სამყაროდ მთვარის სამყაროს წარმოიდგენდნენ; გრძნობათა სათავედ - სატურნის სამყაროს მიიჩნევდნენ; აზრის სამყარო - იუპიტერს ეკუთვნოდა; სინათლეს - ადამიანად მიიჩნევდნენ; ანარეკლი ანუ სარკისებური ხატება (მსგავსება) - ეკუთვნოდა ვენერას სამყაროს; და ბოლოს, რაც განსაკუთრებით ყურადსაღებია ჩვენთვის ქართველებისთვის არის ის, რომ ასოთა წყაროდ მიჩნეულია მერკური ანუ ჰერმესი. გამოდის რომ გასაოცარი დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი: პირველი დასკვნა - მერკურის ცივილიზაციის დედამიწაზე ჩამოსვლისას, გადაეცა ჩვენს წინაპრებს ასომთავრული და მასში ჩადებული კოსმოგონიური ცოდნა, ან მეორე - ასომთავრული თვით ჰერმეს ტრისმეგისტის ქმნილებაა მერკურიდან ინფორმაციული სხივით მიღებული. ტაბულაში მოცემულია ოთხი სტიქია (იხ. ტაბულა): Ի - ცეცხლი; Ɔ - ჰაერი; ɋ - მიწა; C - წყალი და შვიდი პლანეტა, რომელთა დატვირთვა სამყაროს შვიდი ძალა ყოფილა. აღვნიშნოთ ისინი თანმიმდევრობით: 1 - C - წყალი; 2 - ɋ - მიწა; 3 - Ɔ - ჰაერი; 4 - Ի - ცეცხლი; 5 - ⊏ - მოძრაობა; 6 - Ղ - ბგერა; 7 - ᒪ - სინათლე; 8 - Ō - სითბო; 9 - ᒣ - შეკავშირების ძალები; 10 - ᒣ - ელექტროობა; 11 - Ъ - მაგნეტიზმი.



ამის შემდეგ ავამეტყველოთ ბემბოს ფირი. ბემბოს ფირი იყოფა სამ შრედ. შუა შრე ითვლის თერთმეტ სრულ, ძირითად ფიგურას. თავსა და ბოლოში გამოყოფილი ორ-ორი დაჯგუფებული ფიგურით. პირველი ორი ფიგურა ერთად დაჯგუფებული და გამოყოფილი ემთხვევა ჩვენი მწკრივის თერთმეტი ფიგურიდან პირველ ორს, წყალსა და მიწას, რომელთა ურთიერთკავშირი ცნობილია და ისინი მოძრაობენ ერთმანეთის მიმართ, ბემბოს ფირში ეს გამოხატულია ერთმანეთის მიმართ გადადგმული ნაბიჯებით. წყლის მოძრაობა დედამიწაზე ცნობილია. საჭიროა გავიხსენოთ დედამიწის ქერქის დროდადრო წყალში ჩაძირვა და ზღვის ფსკერის სხვა ადგილზე ამოსვლა. მაგალითად, უზარმაზარი ლემურიელების კონტინენტის წყნარ ოკეანეში ჩაძირვა, ატლანტიდის კონტინენტის ატლანტიის ოკეანეში ჩაძირვა. ჩვენი კონტინენტის შესაძლო ჩაძირვა (თუ ჩვენ ზნეობას არ დაუბრუნდით) და წყნარ ოკეანეში, ყოფილი ლემურიის კონტინენტის მოსალოდნელი ამოსვლა. ჩვენი თერთმეტი ასონიშნის მესამე ასო Ɔ - ჰაერია. ბემბოს ფირზე მესამე ფიგურაც ფრთოსანია. ტიბეტის მედიცინაში ჰაერი ლითონია და ბემბოს ფირის მესამე ფიგურასაც ხელთ მახვილი უპყრია.

მეოთხე ფიგურა სამეფო ტახტზე ზის, იგი ხელმწიფეა და ხელმწიფობის კიდევ ერთი ატრიბუტი - მაჩვენე-

ბელი თითი ჯვარია. შესაბამისი მეოთხე ასონიშანი ⊦ - ცეცხლია და «მამა ცეცხლი არს!!!» ასევე ტიბეტური მედიცინიდან ვიცით, რომ ცეცხლი წარმოქმნის მიწას და ტახტი დგას მიწაზე, რომელსაც ცეცხლი წარმოქმნის. მიწას განასახიერებს მიწის ღვთაება გები, ნიანგის სახით. მეხუთე ფიგურა მოძრაობს, მარცხენა ფეხი გადადგმული აქვს. მეხუთე ასონიშანი ⊏ - მთვარეა, აქაც მოძრაობა. გარდა ამისა, მარცხენა ფეხით სვლას სამხედრო წესი ითხოვს და მთვარე სიკვდილსაც ნიშნავს და მოკვდავებასაც, რადგან გარდაცვლილი სულები იქ გადასახლდებიან. ზემოთ მოხსენიებულ ეგვიპტელთა სარწმუნოებიდან ვიცით, რომ მთვარის სამყარო მატერიალურ მთავარანგელოზთა სამყაროს წარმოადგენდა. სიკვდილიც და ომიც მატერიისაგანაა. მეექვსე ფიგურა განსაკუთრებულია, მისი განსაკუთრებულობა გამოიხატება სრულ იზოლაციაში, დაცულობაში, ჰერმეტიზაციაში. ეს ფიგურა - იზიდაა, ჭეშმარიტებისა და საიდუმლო ცოდნის ქალღმერთი, ჰერმესის ქალიშვილი. ჰერმეტიზმში **დედა** ნიშნავს მიწას, **და** - კაცობრიობას, **ქალიშვილი** - მეცნიერებას, კონკრეტულად კი ჰერმეტიზმს. მეექვსე ფიგურის შესატყვისი

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ᑕ | ᑫ | ᑐ | ⊦ | ⊏ | ᒿ | ⅂ | Ō | ˥ | ╓ | ᒉ |




[illegible] ეს მთავარი ნიშანია. გავაგრძელოთ თერთმეტი ასონიშნის, ბემბოს ფირის შუა შრეზე განლაგებული თერთმეტი ფიგურის შინაარსის განხილვით, მათი იდენტურობის დადგენა. უშუალოდ, ისიდას ტახტქვეშ ეგვიპტეს უდიდესი საკულტო ცხოველი კატაა. კატა საკრალური ცხოველია, რადგან იგი ფარული გერმაფროდიტია და ამასთან ერთად, თვალები მთვარის ფაზებს იმეორებენ ღამით. ჰერმეტული სივრცის ოდნავ გარეთ, ტახტის ქვეშ სფინქსია მარადიული გამოცანით. მეშვიდე ფიგურა იზიდასკენაა შემობრუნებული. მეშვიდე ასონიშანი ⅂ - ვენერაა - სინათლე. იგი დადემიწას «ისიდას» უმზერს და თავისი ენერგიის ერთ მესამედს დედამიწას უგზავნის, რაც ცნობილია აგნი-იოგას საკრალური წყაროებიდან. მერვე ფიგურა ისევ სამეფო ტახტის მნიშვნელობით მიგვანიშნებს თავის განსაკუთრებულობას და აქაც უზენაესი ძლევამოსილების ატრიბუტი, მაჩვენებელი თითი - ჯვარია. ეს რომ მზეა, ამას მისი ტახტის ქვეშ მყოფი მზის ატრიბუტი, ლომი მიგვანიშნებს. მერვე ასონიშანი Ō - მზეა - სითბო. მეცხრე ფიგურა ფრთოსანია მახვილით. მახვილი - რკინა - შეკავშირების ძალები. ფრთები - რკინის ჰაერთან კავშირის ნიშნადაა, რადგან ადამიანში რკინა ზუსტად ჰაერს ემსახურება. მეცხრე ასონიშანიც ˥ - რკინაა, მარსია, შეკავშირების ძალა. ბოლო ორი ფიგურა, ორი პირველის მსგავსად გამოყოფილია მათი განსაკუთრებული, ერთმანეთის მიმართ მდგომარეობის გამო. მეათე, ელექტროობაა ╓ - გული და მეთერთმეტე, მაგნეტიზმი ᒉ - სიყვარული. გასაგებია, რომ ელექტროობა და მაგნეტიზმი ისევე განუყოფელია, როგორც გული და სიყვარული.

სახეზეა რიცხობრივად თერთმეტი განსაკუთრებული დანიშნულების მქონე ასომთავრული ნიშნების თანხვედრა, ბემბოს ფირის შუა შრეზე განლაგებულ თერთმეტ ძირითად ფიგურასთან. პირველი მარტივი დასკვნა ასეთია:

ზედა შრე და ქვედა შრე შეიცავს 12-12 ძირითად ფიგურას ანუ სულ 12+12=24. თუ დავუმატებთ შუა შრეზე მდებარე 11 ფიგურას, მივიღებთ 35-ს, რაც ტაბულის 35 ნიშნის ტოლია. თუ სულხან-საბას გავიხსენებთ ჩვენ გვაქვს ზესკნელი, სკნელი და ქვესკნელი. ამ განმარტებიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკნელი ანუ ჩვენი არსებობის განზომილება განისაზღვრება ოთხი სტიქიით: ცეცხლი, ჰაერი, მიწა, წყალი და შვიდი პლანეტით მოტანილი სამყაროს შვიდი ძალის ზეგავლენით. და იმის შესაბამისად, თუ როგორ დამოკიდებულებას გამოვიჩენთ ამ თერთმეტი მოვლენის მიმართ, ჩვენი ცხოვრებაც ან ზესკნელისკენ მიდის ან ქვესკნელისკენ. ზესკნელი აბსოლუტური სრლყოფილებაა და სკნელში ჩვენს თერთმეტ საწყისზე გამარჯვებას ნიშნავს და პირიქით - დამარცხების შემთხვევაში, ჩვენ ქვესკნელში მივდივართ. იდეოლოგიურად ეს ნიშნავს 12 ზოდიაქოს ნიშნის დადებით თვისებებს, მოპოვებულს 11 ძალასთან, სკნელში ყოფნისას, ჭიდილის შედეგად და ასევე დამარცხების შემთხვევაში, 12 ზოდიაქოს ნიშნის უარყოფით თვისებებს ქვესკნელში.

რადგან ბემბოს ფირი საკურთხევლის ძირითადი საიდუმლოებაა და განდობის საიდუმლოებას შეიცავს უნდა გავიხსენოთ, რომ ტაძრის პირველ მსახურს თავს გვირგვინი ედგა, რაც იმის სიმბოლო იყო, რომ იგი არა მარტო სამ სამყაროს მართავს ზესკნელს, სკნელსა და ქვესკნელს (სამოთხეს, მიწას და ჯოჯოხეთს), არამედ ადამიანისა და სამყაროს სამ ბუნებოვნებას - სულიერ, ინტელექტუალურ და მატერიალურ სამყაროებს. ზეცა აქვეა თუ ადამიანი წმინდაა; თუ ადამიანი მეცნიერია - ეს მისი ინტელექტუალობაა სკნელის სივრცისათვის დამახასიათებელი და თუ პირწმინდა მატერიალისტურია - ჯოჯოხეთიც იქვეა. ეს სამი სამყარო სამი საცავით იყო სიმბოლიზირებული და მათი მიგნება ბემბოს ფირზე არც ისე ძნელია.

სკნელი არის მთელი სიცოცხლის განმსაზღვრელი, აქ მიმდინარეობს მთელი სიცოცხლის განუმეორებელი მისტერია. ამიტომ სკნელის 11 ნიშნის სივრცე განსაკუთრებულადაა მოწყობილი: ორ-ორი ფიგურა გამოყოფილია და ცენტრში შვიდი ფიგურა გვრჩება. ოთხჯერ შვიდი ოცდარვაა და ოცდარვა მთვარის კალენდარია ერთის მხრივ. ერთის მხრივ, რადგან 28 (ოცდარვას) სხვა დატვირთვაც აქვს, მაგრამ ამაზე შემდეგ. ქართული ასომთავრულიც 4 სტიქიისა და 7 პლანეტისაგან შედგება და ნამრავლი მთვარის კალენდარს მიგვანიშნებს. გამოდის რომ ქართული ასომთავრული სკნელში 11 ძალის ზეგავლენასა და ცხოვრების სტრატეგიას გვაძლევს. როგორ?

ტაბულის შვიდი ასონიშანი - ძალებია. ტაბულის პირველი სვეტის 4 ასონიშანი ადამიანში არსებული 4 სტიქიაა, რომლებიც 4 კვირის განმავლობაში ღებულობს 7 პლანეტის შესაბამისი ძალის ზეგავლენას შემდეგნაირად.

კვირა იწყება ცეცხლის Ⴡ სტრიქონით მთვარით ანუ მოძრაობით და Ⴡ - მოძრაობაცაა და ცეცხლიც მთვარის პირველ დღეს. მეორე დღეს Ⴡ შედის მერკურის ზეგავლენაში და ღებულობს მის თვისებას, - საიდუმლოებას და ცეცხლი Ⴡ გარდაიქცევა Ⴇ რაც მისტიციზმში ცნობილია, როგორც საიდუმლოება. იგი აღინიშნება სრულყოფილების ციფრით - 9. მესამე დღეს ცეცხლი ვენერას, სიყვარულის ატრიბუტს იძენს და ვღებულობთ Ⴈ, რაც პითაგორეიზმის თანახმად ყველაზე აბსოლუტურ რიცხვს ნიშნავს, 10 ანუ ანდროგინია, მამაცაა და დედაც. მეოთხე დღეს იგი მზის გავლენის ქვეშ ექცევა და მეთერთმეტე არკანით თერთმეტივე საწყისს ეზიარება. მეხუთე დღეს - მარსი სხეულის 12 ნაწილს აკავშირებს შეკავშირების ძალებით, სისხლით. მეექვსე დღე - იუპიტერი - გული (ამას შემდეგ დავინახავთ). ექვსი ცოდნა, ჰერმესი, სიბრძნის ცეცხლი გულში ღვივის და გული როგორც 1 - მონადა, სხეულის 12 ნაწილის (12 მოციქულის) ქრისტე, რიცხვით 13 გვევლინება. შაბათი, ებრაელთა შეკინა, ცეცხლი სიყვარულად შემოდის ადამიანში და Ⴌ არის 14 რაც 1+4=5 ადამიანს და ადამიანი კი ეგვიპტელებს სინათლედ მიაჩნდათ. ასე პირველი კვირის განმავლობაში ცეცხლი იწყებს მოძრაობას და შაბათს სინათლედ გარდაიქცევა.

მეორე კვირა ჰაერის ნიშანი, 7 დღის განმავლობაში განიცდის მსგავს ზეგავლენებს. პირველივე დღეს ამოძრავებული ჰაერი Ⴍ არის - რიცხვი 15 ანუ 1+5=6 რაც ნიშნავს სიბრძნეს და ბგერასთან დავაკავშირებით ჰაერი სიბრძნეა, რადგან პირველი კვირის შედეგი - სინათლე გახლდათ. როდესაც ეს კვირა განილევა, ჰაერი ღებულობს უზენაესი არკანის Ⴒ - 21 მნიშვნელობას რაც იმას ნიშნავს, რომ რაც თუ საძიებელია მოძიებულია და ამას იქით ძიება აღარ არსებობს, თუ არ გინდა თავი გაიმასხარაო. და მართლაც, მესამე კვირა მიწა პირველივე დღეს არის 22 ანუ მასხარა, სრული მატერიალიზმი. რა თქმა უნდა მერკური ამთლიანებს მას. მესამე დღეს (მესამე კვირისა) ვენერა გააჯერებს დედამიწის ღერძს სიყვარულით, რომელიც მიწის ვერტიკალური ღერძის პერპენდიკულარულია და ვღებულობთ ჯვარს ანუ + (ქან) რიცხვითი წონა 24=2+4=6 (6 ჰერმეტული ცოდნაა). ბარემ აქვე აღვნიშნოთ შემდეგი: ბემბოს ფირზე იხიდა მეექვსე ფიგურაა, 11 ასომთავრულ მწკრივში Ⴗ - მეექვსეა და Ⴗ ეს ჰერმესია. აი ამიტომაა, რომ რიცხვი 6 ნიშნავს ეზოთერულად ცოდნას და + არის 6 - ცოდნა - ქრისტე. და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მიწის არსი, ღერძი გადაკვეთილი ვენერას სხივით არის ჯვარი + გასაგებია რომ საქმე გვაქვს სიყვარულთან. ასევე ყურადსაღებია +-ის რიცხვითი წონა 600 ანუ ისევ 6 ანუ ცოდნა. მეოთხე დღე ∩ - 25=2+5=7 და "ღან"-ის რიცხვითი წონაც 700 - ანუ 7 რაც ნიშნავს ღმერთს. მარსის ნიშნით იგი ხდება მარსი - მ, ასონიშანი "ყარ" და გამოდის "მყარ", რადგან ადამიანში ეს არის ელენთას სისხლმბადი დღის ფუნქცია და სისხლი ადამიანის სიმყარეა. მეექვსე დღეს მიწა შედის იუპიტერის ვარსკვლავის სივრცეში და ასტროლოგიაში ცნობილია, რომ იუპიტერი მფარველობს დედამიწას, რაც ტიბეტური მედიცინით ნიშნავს გულის (იუპიტერი) ელენთასთან (დედამიწა Ⴏ) პირდაპირ კავშირს. თუ ზედმეტად ახირებულად არ ჩამთვლიან მე იმასაც ვიტყოდი, რომ «მზე შინ შემოდიო» ეს საკრალური სიმღერაა მთვარის

კალენდრით 20 დღეს. 21 დღე: დედამიწის "ჩინ"-ებული დღე სატურნის სიყვარულით გაჯერებული ან თუ უსიყვარულოა გაწამებული მატერიალური ვნებებითა თუ პრობლემებით. მეოთხე კვირაც, მსგავსად ცეცხლის, ჰაერის და წყლისა გადის პლანეტათა (ძალთა) ზეგავლენას და წყალი (თირკმელები) ამთავრებს მთვარის კალენდრის ბოლო მეოთხედს Ⅹ - 35=3+5=8 და რიცხვითი წონაც 8000 ანუ რვაა. ებრაელთაგან ყოველ შაბათს მარხვა არის განპირობებული იმით, რომ ყოველი სტიქია სატურნის ნიშნის ქვეშ აღწევს თავის მაქსიმალურ სულიერ ძლევამოსილებას თუ ლოცულობ და მარხულობ, თუ არა და თავის მიწიერ მატერიალურ მნიშვნელო-ბას. ასე რომ 4 შაბათი ასეთ მნიშვნელობას იძენს: პირველი მეოთხედის შაბათი გულის გახსნა და უზენაესი




გამოცნობის უნარი და გრძნობათმცოდნეობა (არა და სიბრიყვე და უგულობა); მეორე შაბათი უზენაესი სიმშვიდე და ხელოვნება, მეცნიერება, ცოდნა (ან ომი, ჩხუბი, აყალმაყალი); მესამე შაბათი «ჩინ»-ებული სიყვარული, აზროვნების ჰარმონია, კუჭ-ნაწლავის მოქმედება (აქედან მიწიერი სიყვარულის ძალაც). მეოთხე შაბათი უზენა-ესი «ჯან»-მრთელობა, სიბრძნე, სიხარული, რადგან სიხარული განსაკუთრებული სიბრძნეა და «ჯან»მრთელობა რა თქმა უნდა. მოვიდა ღამე, შავი ანუ თირკმელების სრული ფუნქცია. **ფერები:** პირველი შაბათი - წითელია; მეორე - თეთრი (გამჭვირვალე); მესამე - კვერცხის გულის ფერი; მეოთხე - შავი (აგატის) ფერი.

დავუბრუნდეთ ბემბოს ფირს.

როგორც უკვე ვთქვით 12 ზოდიაქოს ნიშნის კეთილთვისებათა განვითარების შედეგად გონიერნი ზეცას ეწევიან ანუ ზესკნელს და 12 ზოდიაქოს უარყოფით თვისებათა სივრცეში ჩაფლობა იწვევს ქვესკნელში ჩაშვებას. აი რას ამბობს ამის შესახებ თვით ჰერმეს ტრისმეგისტი:

«დაე გონიერმა ადამიანმა შეიცნოს საკუთარი თავი.» 22) გამოდის რომ ყველა ადამიანს გონება არა აქვს?

- სწორი სიტყვებია, იფიქრე იმაზე რასაც გეტყვი. მე გონება ვარ წმინდანთა, ზნეკეთილთა, გულკეთილთა ხვედრი და მათი ვინც სიკეთით ცხოვრობს. ჩემი ძლევამოსილებაა მათი საყრდენი და ისინი დაუყოვნებლივ შეიცნობენ ჭეშმარიტებას, და ისინი სიყვარულით უხმობენ მამას და ყოველ კეთილ საქმიანობას უძღვნიან მას, ადიდებენ მას და კუთვნილ ხოტბას ასხამენ შვილის მოწიწებითი სიყვარულით. მაშინაც კი, როცა მათი სული ტოვებს სხეულს, რაც სხეულის წილხვედრია ისინი დასცინიან გრძნობებს, რადგან იციან მათი ხრიკები; ან უფრო სწორედ - მე არ დავუშვებ ხორცის ზეიმს; როგორც კარისკაცი გადავრაზავ კარს ავი და ბოროტი საქციელის წინაშე და ამით თვით აზრსაც კი შევაცვლევინებ მათ, ესოდენ დამამცირებელს.

23) რაც შეეხება უგუნურთ, მანკიერებსა და ბოროტებს, შურიანებსა და გაუმაძღრებს, მკვლელებს, ღვთის ურწმუნოებს, მე შორსა ვარ მათგან და მივუგზავნი მათ შურის მაძიებელ დემონს, რომელიც ამის დამსახურების მქონე ადამიანს უკეთებს ცეცხლოვან ნემსს, რომლითაც მის გრძნობებში შეჰყავს ყოვლად შემაღწეველი ვნებების ცეცხლი და ამით სულ უფრო და უფრო მეტად მიუბიძგებს მას (ადამიანს) ჩაიდინოს ბოროტება და განუწყვეტ-ლივ უღვივებს ვნებებს, რათა მეტად გააძლიეროს მისი სასჯელი და გაუმაძღარს ხდის მის სურვილებს, კვებავს მათ უხილავი მტერი და აღვივებს ცოდვილში დაუცხრომელ ცეცხლს, რომელიც საბოლოოდ შთანთქავს მას.

**(Гермес Трисмегист и Герметическая Традиция запада и востока. Киев. Москва. 1998 г.) страница №19)**

*თამაზ თავაძე*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

